3

ქართული

მასწავლებლის წიგნი

ნინო გორდელაძე
თინათინ კუხიანიძე
ნათია ნაფეტვარიძე
თეა გაბისონია

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

გრიფმინიჭებულია საქართველოს
განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს მიერ 2018 წელს.

ქართული 3
მასწავლებლის წიგნი

თბილისი, 2018

ავტორები: **ნინო გორდელაძე, თინათინ კუხიანიძე**
ნათია ნაფეტვარიძე, თეა გაბისონია
რედაქტორი **რუსუდან გორგაძე**
ტექნიკური დიზაინერი **ლადო ლომსაძე**

© ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2018
ყველა უფლება დაცულია.

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
აღმაშენებლის 150, თბილისი 0112
ტელ.: 2910954, 2911165
ელფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-30-011-0

Georgian 3
Teacher’s Book

© Sulakauri Publishing, 2018
All rights reserved.

Tbilisi, Georgia
www.sulakauri.ge

სარჩევი

1. ზოგადი ინფორმაცია სახელმძღვანელოს შესახებ 5
2. შესავალი
   საგნის სწავლების მიზანი 6

3. ეროვნული სასწავლო გეგმა 11
   III კლასი – საფეხურებრივი სტანდარტის შედეგები და
   მათი შეფასების ინდიკატორები 12

4. სახელმძღვანელოს შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან 19
5. სახელმძღვანელოს კომპონენტები და სტრუქტურა 27
6. რეკომენდაციები შეფასებაში
   ამონარიდი ეროვნული სასწავლო გეგმიდან 31
   დაკვირვება 35
   განმავითარებელი შეფასება 36

7. პრაქტიკული ნაწილი – გაკვეთილების გეგმები და სცენარები,
   მოსასმენი ტექსტები 41
   7.1. შემაჯამებელი სავარჯიშოები 148

8. დამატებითი რეკომენდაციები 149
   8.1. კითხვის ხელშეწყობა 150
   8.2. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მეთოდური გზამკვლევი 154
   8.3. შეფასების რუბრიკების ნიმუშები 166
   8.4. ინკლუზიური განათლება 172

1. ზოგადი ინფორმაცია სახელმძღვანელოს შესახებ

თქვენ წინაშეა დაწყებით საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების კარგად გააზრებული კურსი, რომელიც წლების განმავლობაში იქმნებოდა და იხვეწებოდა ავტორთა მიერ. მუშაობის პროცესში შესაძლებლობა გვქონდა, შეგვემოწმებინა ჩვენ მიერ შედგენილი გაკვეთილები საკლასო გარემოში, განსხვავებული უნარ-ჩვევების მქონე მოსწავლეებთან. შესაბამისად, აქტივობები შედგენილია საშუალო მონაცემებზე დაყრდნობით. მასწავლებელს ადვილად შეუძლია მოარგოს ისინი საკუთარ გარემოებებს, მოსწავლეთა შესაძლებლობებსა თუ სკოლის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას.

შევეცადეთ, მრავალფეროვანი თემებითა და აქტივობებით დაგვეკმაყოფილებინა ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგნის სწავლების სტანდარტის ყველა მოთხოვნა. მაგრამ ჩვენი მთავარი მიზანია, შევაყვაროთ ბავშვებს მშობლიური ენა, გავუღვივოთ ინტერესი გრამატიკისა და ლიტერატურისადმი, გავხადოთ შემოქმედებითი პროცესის თანამონაწილეები და ინიციატორები. ამიტომ შევეცადეთ, მშობლიური ენისა და ლიტერატურის სამყარო წარმოგვეჩინა მოსწავლეებისთვის საინტერესო კუთხით, მიგვეწოდებინა მათთვის არა მხოლოდ კლასიკური, არამედ თანამედროვე ტექსტები და მნიშვნელოვანი თეორიული მასალა, რომელიც გაუზრდიდა ცნობისმოყვარეობასა და ინტერესს საგნისადმი.

მასწავლებლისთვის გაკვეთილების სცენარები გაწერილია დეტალურად (ზოგ შემთხვევაში მოცემულია მხოლოდ გაკვეთილის გეგმა) და შეიცავს სრულ ინფორმაციას გაკვეთილზე მოსწავლეებისთვის მისაწოდებელი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული სამუშაოს შესახებ. მასწავლებელს შეუძლია სიტყვასიტყვით მისდიოს სცენარში აღწერილ გაკვეთილის მსვლელობას, ან სცენარი გამოიყენოს, როგორც საბაზო რესურსი ან იდეა და საკუთარი თვალთახედვით შეარჩიოს სასაუბრო თუ საილუსტრაციო მასალა. წიგნში ასევე მოცემულია ცოდნის გასამყარებელი, სააზროვნო უნარების განმავითარებელი აქტივობები.

მოსწავლეთა აქტივობები შედგენილია ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, მიწოდებულია გასაგები ფორმით, ხშირად თამაშებისა და შემოქმედებითი ექსპერიმენტების სახით. დამოუკიდებლად გაკეთებული აღმოჩენა (მაგალითად, გრამატიკის კურსში, რომელიც ამ სერიის მნიშვნელოვანი ნაწილია) განსაკუთრებით დასამახსოვრებელს გახდის თითოეულ გაკვეთილს. აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელო თავებად დაყოფილია არა მისაღწევი შედეგების, არამედ თემების მიხედვით, რაც მუშაობას გაუადვილებს როგორც პედაგოგებს, ასევე მოსწავლეებს. ბავშვები შეძლებენ, ერთი თემის ფარგლებში გაეცნონ სხვადასხვა ტიპის ტექსტს. გარდა ამისა, კურსის მასალა ხელს შეუწყობს მოსწავლეებში კომუნიკაციის, თანამშრომლობის, ორგანიზებულობის, ანალიზის, ინტერპრეტაციის, შეფასებისა და რეფლექსიის უნარების ფორმირებას.

დღევანდელი საზოგადოებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი მომავალი თაობის აღზრდა, რომელიც ორიენტირებული იქნება იზრუნოს არა მხოლოდ ეკონომიკურ წინსვლაზე, არამედ დემოკრატიული საზოგადოების შექმნასა თუ ეკოლოგიური პრობლემების აღმოფხვრაზე. რა თქმა უნდა, ამ მიმართულებას ვერც ეროვნული სასწავლო გეგმა აუვლის გვერდს. ამიტომ დიდი ყურადღება ექცევა სასწავლო მასალაში (ნებისმიერი საგნობრივი მიმართულებით) ამ საკითხებზე კონცენტრირებას. მდგრადი განვითარების მიზნები მოიცავს მდგრადი განვითარების სამ განზომილებას: ეკონომიკური ზრდა, სოციალური ინკლუზია და გარემოს დაცვა. სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტები და დავალებები შესანიშნავ საშუალებას იძლევა, დაწყებითი კლასების მოსწავლეებს განუვითაროს აზროვნება თითოეული მიმართულებით; მაგალითად, თავების, „კარგი და ცუდი“ და „ძალა ერთობაშია“, „ცხოველები წიგნებში“, „ჩვენ და ბუნება“ სწავლების დროს მასწავლებელი ყურადღებას გაუმახვილებს ტოლერანტობაზე, კაცთმოყვარეობაზე, საკუთარი მოვალეობების შეგნებაზე, ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებაზე, ბუნების სიყვარულზე და ა.შ.

დაწვრილებითი ინფორმაცია მდგრად განვითარებასა და მის პრინციპებზე მასწავლებელს შეუძლია მიიღოს შესაბამისი ლიტერატურიდან; მაგ.: tpdc.ge/ptk_files/_ckuploaded/747850.pdf

http://www.ungeorgia.ge/geo/sutainable_development_goals#.WuRY-DNRXMw და სხვ.

საგნის სწავლების მიზანი

ასაკობრივ თავისებურებებზე საუბრისას გამოყენებულია მანანა მელიქიშვილის „შუა ბავშვობა“ (უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის განვითარების თავისებურებები)

ბავშვის განვითარების თავისებურებები სხვადასხვა სფეროს მიხედვით

სწავლა ცოდნის აგების პროცესია, ამიტომაც მნიშვნელოვანია მასში მოსწავლე აქტიურად იყოს ჩართული. მან საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებაზე დაფუძნებით უნდა აღმოაჩინოს და დაამუშავოს ახალი საკითხები. ასე უკეთ გაიაზრებს ახალშეძენილ ცოდნას. მასწავლებელმა უნდა მიაწოდოს მხოლოდ აუცილებელი მასალა, დასვას მიმანიშნებელი კითხვები და მისცეს საშუალება დააკვირდნენ, გამოთქვან მოსაზრებები. მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს მრავალფეროვანი ფორმები: დისკუსია, ლიტერატურასთან მუშაობა, ემპირიული ინფორმაციის შეგროვება და სხვ. მყარდება კავშირი ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. მუშაობის სხვადასხვა ფორმისა თუ სტრატეგიის გამოყენება ხელს უწყობს სხვადასხვა საჭირო უნარის განვითარებას.

შედეგის მისაღწევად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ დავამახსოვრებინოთ მოსწავლეს მიღებული ინფორმაცია, არამედ დავეხმაროთ ამ ინფორმაციის მყარ და ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნაში. ამგვარი ცოდნის მიღება კი შესაძლებელია მხოლოდ გაღრმავებული სწავლებით, რაც გულისხმობს სასწავლო მასალის ეტაპობრივად და მრავალმხრივად დამუშავებას, ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვას, ათვისებული ცოდნის განმტკიცებას, საგანთაშორისი კავშირების გამოვლენასა და საერთო ასპექტების დამუშავებას.

სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტურად წარსამართავად აუცილებელია გავითვალისწინოთ მოტივაციის როლი. ამიტომ, სასწავლო გეგმის შედგენისას, მასწავლებელი უნდა დაფიქრდეს მოტივებზე და გაიაზროს, რისი გაკეთებაა საჭირო, რომ მოსწავლეებს სწავლის სურვილი გაუღვიძოს; როგორ განუვითაროს და აუმაღლოს მათ მოტივაცია სასწავლო გეგმის ფარგლებში. უპირველეს ყოვლისა, ბავშვებს უნდა გაუჩნდეთ წინსვლის შეგრძნება. ამისათვის თითოეულ მოსწავლეს, მიუხედავად მათი აკადემიური მიღწევებისა, უნდა მივცეთ ეტაპობრივი პროგრესირების საშუალება საკუთარ შესაძლებლობებსა და ცოდნაზე დაყრდნობით. ამდენად, აუცილებელია, თითოეული მოსწავლისათვის სწორად შეირჩეს დავალებათა სირთულის დონე. თუ მოსწავლეს მივცემთ ზედმეტად რთულ, მისთვის დაუძლეველ დავალებებს, ის წინსვლის იმედს დაკარგავს.

სასურველი შედეგის მისაღწევად მნიშვნელოვანია ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება. სახელმძღვანელოს შედგენისას სწორედ ეს იყო ჩვენთვის ამოსავალი. უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვი ფიზიკურად აქტიურია. აქვს ჭარბი ენერგია, რომელიც ფიზიკური აქტივობის საფუძველს წარმოადგენს. უყვარს თავგადასავლები, შთაბეჭდილებები, ფიზიკური ვარჯიში. ამ ასაკის ბავშვი ძალიანაა დაკავებული თავისი ყოველდღიური თავგადასავლებით. ამიტომ აუცილებელია მისთვის მრავალფეროვანი აქტივობების შეთავაზება, რათა სასწავლო პროცესი უინტერესო არ გახდეს.

უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეების აღქმა არასაკმარისად არის დანაწევრებული და განისაზღვრება ობიექტის მახასიათებლებით. ბავშვები საგანში ხშირად ამჩნევენ არა მთავარს, მნიშვნელოვანს, არამედ საგნის თვალშისაცემ, მკვეთრ თვისებებს. ამიტომ მნიშვნელოვანია გამოვიყენოთ ისეთი აქტივობები, რომლებიც განუვითარებთ მათ დაკვირვების უნარს. ხატვა, ილუსტრაციების შექმნა, სურათების დათვალიერება-თანმიმდევრულად დალაგება, აღწერა, მსგავსება-განსხვავების პოვნა, ზღაპრების, ლექსების, მოთხრობების მოსმენა და შეთხზვა, გამოცანების გამოცნობა და სხვ. ეხმარება მოსწავლეს ობიექტური მასალის გარდაქმნასა და საგნის ობიექტური თვისებების აღქმაში.

უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეებში სუსტად არის განვითარებული ნებისმიერი ყურაღება,

სამაგიეროდ, კარგად არის განვითარებული უნებლიე ყურადღება. ყველაფერი ახალი, მოულოდნელი, საინტერესო, ნათელი აინტერესებს. შეიძლება არ შეაჩეროს ყურადღება სასწავლო მასალაში არსებით დეტალებზე და შეაჩეროს არაარსებითზე, იმიტომ, რომ მათ მიიზიდონ.

გარდა ამისა, ბავშვის ყურადღება მჭიდროდაა დაკავშირებული აზროვნებასთან. მას უჭირს ყურადღების კონცენტრაცია მისთვის გაუგებარ, ბუნდოვან მასალაზე. მნიშვნელოვანია ყოველი გაკვეთილი მოსწავლეთა მომზადების დონის შესაბამისად წარიმართოს. ჩვენს სახელმძღვანელოში თემატიკა ისეა შერჩეული და დალაგებული, რომ ახალი მასალა მოსწავლის ცოდნასა და გამოცდილებას ეყრდნობა და მის ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს. უფრო მეტიც, ყოველი ახალი თემა ეფუძნება წინა კლასში ნასწავლს. მოსწავლეები არა მხოლოდ ახალ ნაწარმოებებს ეცნობიან, არამედ მათ ხშირად გასულ წლებში განვლილი მასალის თემატიკურ ჭრილშიც განიხილავენ და ამით ერთგვარად ამთლიანებენ ცოდნას.

6-8 წლის ასაკის ბავშვი **დამკვირვებელია**.
9-11 წლის ბავშვი **მკვლევარია**.

ამ ასაკის ბავშვიც ასევე კარგი დამკვირვებელია, მაგრამ უფრო ყურადღებით აკვირდება და ლოგიკურად აზროვნებს. სვამს ბევრ კითხვას და შეუძლია თვითონ იპოვოს მათზე პასუხი.

უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეებს უჩნდებათ ლოგიკური აზროვნების ნიშნები, რომელიც ჯერ კიდევ მხოლოდ კონკრეტულია. ბავშვის მსჯელობა, როგორც წესი, ემყარება კონკრეტულ მაგალითებსა და პირად გამოცდილებას. ამიტომ, ახსნისას უპირატესობა უნდა მივანიჭოთ კონკრეტული მაგალითების გამოყენებას.

უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვს არ შეუძლია კარგად გაიგოს თეორიული ცოდნა, რომელიც მას ეძლევა გამზადებული სახით. ნამდვილ გაგებას ადგილი ექნება მხოლოდ ობიექტებზე აქტივობის განხორციელების შედეგად – ტრანსფორმაცია, გადაადგილება, დაკავშირება, კომბინაცია.

უნდა აღინიშნოს, რომ აზროვნების ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მახასიათებელი არ აღმოცენდება ერთდროულად („ერთ მშვენიერ დღეს“). ბავშვს სჭირდება რამდენიმე წელიწადი, რათა შეძლოს აზროვნების აღნიშნული მახასიათებლების გამოყენება პრობლემის გადასაწყვეტად.

მასწავლებელმა უნდა განავითაროს ბავშვებში ცნებითი და ლოგიკური აზროვნება, მსჯელობა, დასკვნის გაკეთების უნარი.

დავალებებისა და საგაკვეთილო სცენარების შედგენისას ჩვენ ეს პრინციპები მაქსიმალურად გავითვალისწინეთ, დანარჩენი კი მასწავლებლის ოსტატობაზეა დამოკიდებული. ჩვენს ყოველ რეკომენდაციას მასწავლებელი შემოქმედებითად უნდა მიუდგეს. წიგნში მოცემულ მასალაში ჩვენ განვსაზღვრავთ მუშაობის მიმართულებას, მიზნის მიღწევის შესაძლო გზებს. საუკეთესო ვარიანტი კი მასწავლებელმა თვითონ უნდა შეარჩიოს. რა თქმა უნდა, მასწავლებელს შეეძლება გადააადგილოს გაკვეთილში მოცემული დავალებები, საჭიროების მიხედვით, და ამისთვის შეუძლია სარეზერვო საათები გამოიყენოს.

დაწყებით საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს აუცილებელი ენობრივი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის მიმართულებით. ამავე დროს, ეს პროცესი გულისხმობს იმ მინიმალური ლინგვისტური კომპეტენციის ფორმირებას, რომელიც ენის პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით არის აქტუალური და შეესაბამება მოსწავლის ინტელექტუალურ შესაძლებლობებსა და ინტერესებს.

მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლება დაწყებით საფეხურზე ეფუძნება მდიდარ ტექსტურ კორპუსს - სხვადასხვა სახის მხატვრულ და არამხატვრულ, ასევე მულტიმედიურ ტექსტებს.

ტექსტების ნაირსახეობა ქმნის იმ აუცილებელ თემატურ გარემოს, რომლის გაცნობაც მოსწავლეს შესძენს ცხოვრებისეული ურთიერთობებისათვის საჭირო გამოცდილებას. მოსწავლეები უნდა დაეუფლონ მხატვრული, საინფორმაციო-შემეცნებითი და პრაგმატული ტექსტების აღქმის, გაგების, გამოყენებისა და შექმნის, ასევე ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების საბაზისო უნარ-ჩვევებს. სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ასევე მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას. მოსწავლეებმა უნდა შეძლონ მიღებული ცოდნისა თუ ენობრივი გამოცდილების საფუძველზე ახალი ტექსტების შექმნა და თვითგამოხატვა.

მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, I-IV კლასების სტანდარტის მოთხოვნების შესრულებისას ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს მოსწავლეთა ბუნებრივი

ენობრივი უნარების კორექციასა და შემდგომ განვითარებაზე, ლექსიკური მარაგის გამდიდრებაზე; ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის კულტურის გამომუშავებაზე (საწყის დონეზე). მუშაობა უნდა წარიმართოს იმ მიმართულებითაც, რომ მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეთ პოზიტიური დამოკიდებულება კითხვისა და, ზოგადად, სწავლის მიმართ, განუვითარდეთ მეტაკოგნიტური უნარები საწყის დონეზე (საკუთარ სწავლის პროცესზე დაკვირვება, დამოუკიდებლად მუშაობა, სასწავლო საქმიანობის ორგანიზება და სხვ.).

სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეთა ზეპირმეტყველების უნარების განვითარებას სისტემური და თანამიმდევრული ხასიათი უნდა მიეცეს. მოსმენილის ზეპირად გადმოცემა/თხრობა, მასზე აზრის გამოთქმა, პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და სხვა ხელს უწყობს გაგება-გააზრების პროცესებს. სწავლების პროცესში მოსმენილი ტექსტობრივი მასალის ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და შესწავლილი სიტყვების აქტიურად გამოყენებით კი თანდათანობით მდიდრდება მოსწავლეთა ლექსიკური მარაგი, იხვეწება მათი მეტყველება.

კითხვის სწავლების საბოლოო მიზანია წაკითხულის გააზრება, რაც გულისხმობს მკითხველის აქტიურ მონაწილეობას კითხვის პროცესის სამივე ეტაპზე: კითხვის დაწყებამდე, კითხვის დროსა და კითხვის შემდეგ. კითხვის ტექნიკის თანდათანობით სრულყოფა საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, გახდნენ გაწაფული მკითხველები, გაიგონ და გაიაზრონ წაკითხული.

წაკითხულის გაგება-გააზრება მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული ლექსიკურ მარაგზე - რაც უფრო მდიდარია მოსწავლის ლექსიკური მარაგი, მით უფრო წარმატებულია იგი, როგორც მკითხველი. ამდენად, ლექსიკური მარაგის შევსება-გამდიდრებაზე ზრუნვას სწავლების საწყის ეტაპზევე საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს. ზეპირი და ბეჭდური ვერბალური ტექსტების გარდა, მუშაობა უნდა წარიმართოს ასევე მულტიმედიური ტექსტების კითხვა-გაგების მიმართულებითაც, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ზოგადი წიგნიერების უნარ-ჩვევების განვითარებას.

სხვადასხვა სახისა და ტიპის ტექსტების შედგენაზე მუშაობა თავდაპირველად უნდა წარიმართოს მასწავლებლის ხელმძღვანელობით, საყრდენების/მინიშნებების გამოყენებით თუ მოდელის მიხედვით. მკაფიო და გასაგები ინსტრუქციების თანხლებით, მრავალფეროვანი და შინაარსიანი კონტექსტის მქონე წერითი დავალებების შესრულების გზით მოსწავლეები თანდათან დახვეწენ კალიგრაფიას, გაიწაფებიან წერაში და შეიქმნიან გარკვეულ წარმოდგენას წერის პროცესზე, რაც გულისხმობს მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობას წერის სამივე ეტაპზე: წერის დაწყებამდე, წერის პროცესში, წერის შემდეგ.

სახელმძღვანელოს აგების მთავარი პრინციპი სწორედ ამ სამი მიმართულების (წერის, კითხვის, ზეპირმეტყველების) ინტეგრირებულად სწავლებაა.

მნიშვნელოვანია საგნის სწავლებისას ყურადღება გამახვილდეს გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზეც: საოცრად სწრაფად ცვალებად მსოფლიოში წარმატების მისაღწევად მოსწავლეებს უნდა შესწევდეთ ინფორმაციის მიკვლევისა და იმის გადაწყვეტის უნარი, თუ რა არის მნიშვნელოვანი ამ ინფორმაციიდან და რა – არა. მათ უნდა შეეძლოთ ინფორმაციის დახარისხება, დამუშავება და გამოყენება. ამდენად, დღევანდელი ხედვით, ცოდნას მარტო მაშინ აქვს ფასი, როდესაც მას სარგებლობა მოაქვს. დღეს სარგებლობა მხოლოდ იმ ცოდნას მოაქვს, რომელიც კონცეპტუალურად არის გააზრებული და შესაძლებელია მისი პრაქტიკული, შემოქმედებითი და კრიტიკული გამოყენება.

ამიტომ ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, მოვამზადოთ მოსწავლე შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნებისთვის, რათა მან შეძლოს ინფორმაციის მოპოვება, გაანალიზება, კრიტიკული განსჯა, შეფასება და გამოყენება თავისი ამოცანების განსახორციელებლად.

ჩვენ მიერ შექმნილი სახელმძღვანელო ხელს შეუწყობს მოსწავლეებში როგორც საგნობრივი ცოდნის შეძენასა და გაღრმავებას, ისე სხვადასხვა სასწავლო-სოციალური უნარ-ჩვევის განვითარებას. წიგნში მოცემულია არა მარტო მრავალფეროვანი ლიტერატურული ტექსტები, არამედ აღწერითი და საინფორმაციო ხასიათის მასალაც, რაც დაეხმარება მასწავლებელს განუვითაროს მოსწავლეებს კითხვის უნარ-ჩვევები და ჩამოუყალიბოს ლიტერატურული გემოვნება. სახელმძღვანელო გათვლილია ყველა ტიპის მოსწავლეზე და ითვალისწინებს მათ აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში.

ტექსტებს დართული აქვს სავარჯიშოები, რომლებიც განსაზღვრავს მუშობის ძირითად სპეციფიკას.

სახელმძღვანელოში მოცემული შეკითხვები გადის ყველა სააზროვნო დონეზე. მაღალი სააზროვნო დონის შეკითხვებზე წინასწარ განსაზღვრული სწორი პასუხები ხშირად არ არსებობს, მათი დანიშნულებაა მოსწავლეებში ღრმა და კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარება. კითხვებს შორის ზოგჯერ გვხვდება დაბალი სააზროვნო დონის, ანუ მეხსიერებაზე ორიენტირებული კითხვებიც. მათი პასუხები ადვილი მოსაძებნია თვით ტექსტში. კითხვის დასმისა და მასზე რეაგირების ხერხების ცოდნა მეტად მნიშვნელოვანია ეფექტური სწავლებისთვის.

სასწავლო პროცესში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სასწავლო გარემოს მოწყობას, განსაკუთრებით კი დაწყებით კლასებში, მათი ასაკობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე. სასწავლო გარემო ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ ხელს უწყობდეს სასწავლო პროცესის ეფექტურობის ამაღლებას, მოსწავლეთა დამოუკიდებელ და შემოქმედებით მუშაობას, სწავლების ორგანიზაციას და საგნისადმი ინტერესის გაღვივებას.

ეს საკმაოდ რთული, კომპლექსური სისტემაა და მოიცავს, როგორც საკლასო ოთახის ფიზიკურ მახასიათებლებს (მაგ; განათება, ტემპერატურა, სასწავლო ავეჯი და სხვ.), ისე სწავლებისათვის საჭირო სხვადასხვა სახის რესურსებს (მაგ; საპრეზენტაციო და საექსპოზიციო მასალებს, მოწყობილობებს, სასწავლო-მეთოდურ კომპლექტებს და სხვ.).

სასწავლო გარემოსა და სწორედ შერჩეული რესურსების საშუალებით მასწავლებელმა უნდა შეძლოს მოსწავლეში აღძრას საგნისადმი ინტერესი, გააღვივოს კვლევის სურვილი და შეუქმნას მას ისეთი მიმზიდველი და პრაქტიკული გარემო, სადაც ის შეძლებს მუშაობასა და სწავლას. კლასში უნდა არსებობდეს ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობისათვის, კვლევისათვის, დასვენებისა და თამაშისათვის საჭირო პირობები.

სასწავლო რესურსები სასწავლო პროცესში უნდა იძლეოდეს სტიმულს, აადვილებდეს კლასში მუშაობას და სასწავლო პროცესს უფრო დინამიურსა და ინტერაქტიულს ხდიდეს. რესურსების გულისყურით შერჩევას, შესაბამისი სახით წარდგენას და მათ მიზნობრივ გამოყენებასგანსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბუნებისმეტყველების სწავლების პროცესში.

სხვადასხვა სახის სასწავლო რესურსი ის საკომუნიკაციო საშუალებაა, რომელმაც მოსწავლეებში უნდა განავითაროს აზროვნება, შემოქმედებითობა, დაკვირვება, კვლევა, ესთეტიური გემოვნება და სხვ. ასევე ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეებში ინფორმაციის ვიზუალურად მიღებასა და გაგებას, სწავლის, ანალიზის, კვლევის და სხვა უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასა განვითარებას.

დამხმარე საშუალებების, მასალებისა და რესურსების საჭიროებისამებრ გამოყენება იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შეესაბამება ის გაკვეთილის მიზანს. ამიტომ მასწავლებელმა გაკვეთილის დაგეგმვის დროს პირველ რიგში უნდა გაითვალისწინოს, თუ რა სახის რესურსები სჭირდება და როგორ გამოიყენოს ისინი მიზნობრივად და ეფექტიანად.

საგანმანათლებლო რესურსების შესაფასებლად მეტად მნიშვნელოვანია ისეთი კრიტერიუმების გათვალისწინება, როგორებიცაა: საჭიროება (რა რესურსების საჭირო სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად?), ხელმისაწვდომობა (რა რესურსებია ხელმისაწვდომი საკლასო ოთახში, სკოლაში, საზოგადოებაში?), შენახვის უზრუნველყოფა (როგორ ინახება რესურსები და რამდენადაა ისინი დაცული საკლასო ოთახში, სკოლაში?), მათი უსაფრთხო მახმარება (უსაფრთხოების რა ზომების დაცვაა საჭირო) და დახმარება (რა სახის დახმარებაა საჭირო?).

ინფორმაციის მოძიების დროს მნიშვნელოვანია მასწავლებელმა მიუთითოს კონკრეტული ელექტრონული თუ ბეჭდური რესურსები, რათა მოსწავლემ შეძლოს სწორი და ღირებული მასალის მოპოვება.

წარმატებული და შედეგზე ორიენტირებული სწავლებისათვის გამოსაყენებელი საგანმანათლებლო რესურსების ეფექტიანობის შესამოწმებლად მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა გაითვალისწინოს რამდენიმე ფაქტორი, კერძოდ რამდენად შესაძლებელია მათი დახმარებით:

1. გავუღვივოთ მოსწავლეებს სწავლის სურვილი (რა არის რესურსებში ისეთი, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლებში მოტივაციას, ინტერესს?);
2. მოსწავლეებმა შეძლონ სწავლა კეთებით (რა არის რესურსებში ისეთი, რაც ხელს შეუწყობს სწავლას გამოცდილების საფუძველზე, პრაქტიკით);
3. მოსწავლეებმა შეძლონ უკუგება (როგორი იქნება ამ რესურსების გამოყენებისას უკუგება ანუ გააცნობიერებენ თუ არა მოსწავლეები, როგორ მიმდინარეობს სწავლების

პროცესი კლასში, რა ისწავლეს ერთმანეთისგან და მასწავლებლისგან?);

4. მოსწავლეებმა შეძლონ მასალის ათვისება (შეუწყობს თუ არა ეს რესურსი ნასწავლის უფრო უკეთ გააზრება-გაგებას?).

სასწავლო გარემოსა და რესურსების შექმნის პროცესში მეტად მნიშვნელოვანია თავად მოსწავლეების ჩართვაც.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული გაკვეთილების გეგმები/სცენარები უპირატესად სამფაზიანი გაკვეთილის მოდელზეა აწყობილი. მასწავლებლებს ვთავაზობთ, ერთი მხრივ, კონკრეტულ გაკვეთილზე მორგებულ, ზედმიწევნით, ნაბიჯ-ნაბიჯ გაწერილ სცენარებს, მეორე მხრივ, გეგმებს, რომლებიც, მართალია, აღწერს ამ თუ იმ მეთოდის მიმდინარეობას სახელმძღვანელოში მოცემული ნაწარმოებების საფუძველზე, თუმცა მასწავლებელს შეუძლია მათი მოდიფიცირება და სხვა თემისთვის გამოყენება მიზნის შესაბამისად. ამ ტიპის გაკვეთილების აღწერისას ჩვენ შეგნებულად მივეცით მასწავლებლებს მეტი თავისუფლება, არ მივუთითეთ დრო და ხშირად ალტერნატიული აქტივობები შევთავაზეთ.

როგორც უკვე გითხარით, ჩვენ მასწავლებელს ვთავაზობთ სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტების დამუშავებისა და კრიტიკულად გააზრების რამდენიმე ეფექტურ მეთოდს, ხოლო პედაგოგმა თავისით უნდა გადაწყვიტოს, რომელ შემთხვევაში გაკვეთილის რომელი მეთოდით ჩატარება იქნება უმჯობესი. ეს მეთოდები, სასურველია, მასწავლებელმა გამოიყენოს ერთმანეთის მონაცვლეობით, რათა ბავშვებისთვის სწავლა მოსაბეზრებელი არ გახდეს. ბუნებრივია, პედაგოგს შეუძლია ზოგჯერ ტექსტის დამუშავების ტრადიციული ხერხებიც გამოიყენოს ან შემოქმედებითად გაამდიდროს.

რაც შეეხება მოსწავლეთა შეფასებას, ჩვენ გეგმების ბოლოს მითითებული გვაქვს კრიტერიუმები, თუმცა მასწავლებელს აქაც შეუძლია, საჭიროებიდან გამომდინარე, შეაფასოს ყველა კრიტერიუმის მიხედვით, ან მოცემულიდან შეარჩიოს. მასწავლებლის წიგნში მოცემულია ჩაშლილი შეფასების რუბრიკებიც.

მასწავლებელს სახელმძღვანელოს შინაარსიდან გამომდინარე რჩება სარეზერვო დრო, რომელსაც სხვადასხვა აქტივობისა და დამოუკიდებელი სამუშაოსთვის გამოიყენებს.

საგაკვეთილო პროცესის გასამრავალფეროვნებლად, მასწავლებელს შეუძლია ისარგებლოს სხვადასხვა ელექტრონული თუ ბეჭდური დამხმარე რესურსით. ელექტრონული რესურსების წყაროდ შესაძლებელია გამოიყენოს შემდეგი ვებგვერდები:

tpdc.ge/ptk_files/_ckuploaded/747850.pdf
http://mastsavlebeli.ge/?p=12760
http://mastsavlebeli.ge/?p=12743
http://mastsavlebeli.ge/?p=12733

ასევე, მასწავლებელს შეუძლია შესწავლილ მასალასთან დაკავშირებით არსებული ვიდეო რესურსების/ფილმებისა/ნახატების გამოყენება, რომელთა მოძიებაც საკმაოდ მარტივია საძიებო სისტემების მეშვეობით. თუმცა, ზოგიერთი გაკვეთილის აღწერაში ჩვენ თავად ვთავაზობთ მასწავლებელს ისტ-ის გამოყენების ნიმუშებს.

რაც შეეხება ბეჭდურ რესურსებს, შეგიძლიათ მოსწავლეებს შესთავაზოთ ასაკის შესაბამისი საკითხავი ლიტერატურა, მაგალითად: ქართული ხალხური და/ან მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები, ქართველ საბავშვო მწერალთა (იაკობ გოგებაშვილის, რევაზ ინანიშვილის, ეკატერინე გაბაშვილის, ნოდარ დუმბაძის, გოდერძი ჩოხელის, არჩილ სულაკაურის, ვაჟა-ფშაველას, თედო რაზიკაშვილის...) ნაწარმოებები, შარლ პეროს, ჰანს ქრისტიან ანდერსენის, ძმები გრიმების ზღაპართა კრებულები, ანე-კატერინე ვესტლის თხზულებები, ასტრიდ ლინდგრენის ტექსტები, დონალდ ბისეტის „ყველაფერი ყირამალა“, ჯეიმს მეთიუ ბარის „პიტერ პენი“, ჩარლზ დიკენსის „ოლივერ ტვისტი“, ლუის კეროლის „ელისი საოცრებათა ქვეყანაში“, მარკ ტვენის „ტომ სოიერის თავგადასავალი “ „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“ და ა.შ.

სახელმძღვანელოს შინაარსი შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მისაღწევ შედეგებსა და ინდიკატორებს.

ქართული ენა და ლიტერატურა (სტანდარტი)

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები

მიმართულება:		
ზეპირმეტყველება	**კითხვა**	**წერა**
ქართ.დაწყ.(I).1. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სამეტყველო ქცევის გამოვლენა ნაცნობ საკომუნიკაციო სიტუაციაში. **ქართ.დაწყ.(I).2.** მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება-გააზრება და გადმოცემა. **ქართ.დაწყ.(I).3.** მოსწავლემ უნდა შეძლოს პირადი დამოკიდებულების გამოხატვა ტექსტის თემის, მასში განხილული საკითხების მიმართ; მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟ(ებ)ის, მისი/მათი ქცევის შეფასება და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა. **ქართ.დაწყ.(I).4.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკისა და ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციების სათანადოდ გამოყენება; მართლმეტყველებისა და სამეტყველო ეტიკეტის საბაზისო ნორმების დაცვა. **ქართ.დაწყ.(I).5.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ზეპირმეტყველების ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.	**ქართ.დაწყ.(I).6.** მოსწავლემ უნდა შეძლოს გაწაფულად კითხვა. **ქართ.დაწყ.(I).7.** მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთდაკავშირება. **ქართ.დაწყ.(I).8.** მოსწავლემ უნდა შეძლოს მცირე ზომის მხატვრული ტექსტების ინტერპრეტირება ვერბალური და არავერბალური გზით; ვერბალური ინფორმაციის ვიზუალურად გარდაქმნა და/ან პირიქით. **ქართ.დაწყ.(I).9.** მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; ტექსტის თემის და/ან მასში განხილული კონკრეტული საკითხების შეფასება. **ქართ.დაწყ.(I).10.** მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მაორგანიზებელი ელემენტების, სტრუქტურული და კომპოზიციური მახასიათებლების ამოცნობა. **ქართ.დაწყ.(I).11.** მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკურ და სემანტიკურ მხარეზე, ენობრივ ფორმებზე დაკვირვება. **ქართ.დაწყ.(I).12.** მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.	**ქართ.დაწყ.(I).13.** მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის მარტივი ტექსტების შექმნა ნაცნობ თემატიკაზე. **ქართ.დაწყ.(I).14.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკის, ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტუქტურული ელემენტების ადეკვატურად გამოყენება; კალიგრაფიისა და მართლწერის საბაზისო ნორმების დაცვა. **ქართ.დაწყ.(I).15.** მოსწავლემ უნდა შეძლოს წერის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.

III კლასი – საფეხურებრივი სტანდარტის შედეგები და მათი შეფასების ინდიკატორები

მიმართულება: ზეპირმეტყველება

ქართ.დაწყ.(I).1. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სამეტყველო ქცევის გამოვლენა ნაცნობ საკომუნიკაციო სიტუაციაში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მიზნისა და სამეტყველო სიტუაციის ადრესატის გათვალისწინებით ირჩევს შესაბამის არავერბალურ საშუალებებს (ჟესტს, მიმიკას, ინტონაციას);
- ადეკვატურად რეაგირებს ნაცნობ სამეტყველო სიტუაციაში;
- ადეკვატურად აღიქვამს ინფორმაციას;
- გადმოსცემს ინფორმაციას ნანახის, განცდილის შესახებ;
- ჰყვება ამბავს პირადი გამოცდილებიდან.

ქართ.დაწყ.(I).2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება-გააზრება და გადმოცემა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ისმენს და ამოიცნობს პრაგმატული ტექსტების ადრესატს (მაგ., ვისთვისაა განკუთვნილი რეკლამა - დიდებისთვის თუ პატარებისთვის) და მიზანს (გაფრთხილება, რჩევის მიცემა, აკრძალვა, ინტერესის/სურვილის აღძვრა და სხვ.);
- ამოიცნობს ტექსტის თემას;
- ასახელებს ტექსტში ასახულ ფაქტებს, პერსონაჟებს;
- საკუთარი სიტყვებით, თანამიმდევრულობისა და აზრობრივი შესაბამისობის დაცვით გადმოსცემს ტექსტის შინაარსს;
- ამოიცნობს ტექსტის შინაარსს სათაურის მიხედვით.

ქართ.დაწყ.(I).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს პირადი დამოკიდებულების გამოხატვა ტექსტის თემის, მასში განხილული საკითხების მიმართ; მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟ(ებ)ის, მისი/მათი ქცევის შეფასება და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- აღწერს და ახასიათებს პერსონაჟებს თვალსაჩინო ნიშნების მიხედვით;
- ავლებს პარალელს მოსმენილ ტექსტში ასახულ ამბავსა და პირად/ლიტერატურულ გამოცდილებას შორის;
- მარტივი გამოთქმებით („მომწონს / არ მომწონს“, „საინტერესოა / უინტერესოა“, „ვეთანხმები/ არ ვეთანხმები“, „ერთგულია / მოღალატეა“, „მამაცია / მხდალია“ და ა. შ.) აფასებს ნაწარმოებს, პერსონაჟებს, მათს საქციელს და ცდილობს საკუთარი მოსაზრების ახსნას („არ ვეთანხმები იმიტომ, რომ...“, „საინტერესოა იმით, რომ...“ და ა. შ.).

ქართ.დაწყ.(I).4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკისა და ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციების სათანადოდ გამოყენება; მართლმეტყველებისა და სამეტყველო ეტიკეტის საბაზისო ნორმების დაცვა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- სასაუბრო თემებისათვის (მაგ., „წელიწადის დროები“, „ცხოველები“, „ქალაქი“, „სოფელი“ და ა. შ.) იყენებს სპეციალურ ლექსიკას;
- სიტყვათა შესაკავშირებლად გააზრებულად იყენებს კავშირებსა და სიტყვა-კავშირებს (ან, თუ, ვინც, რაც, როგორც, როცა / როდესაც...);
- სწორად იყენებს პირის, ჩვენებით, კითხვით და უარყოფით ნაცვალსახელებს;

- სათანადო კონტექსტში სწორად იყენებს სიტყვებს: ყველა, ზოგი (ზოგიერთი), არცერთი და სხვ.;
- მართებულად სვამს კითხვებს (ვინ...? რა...? როგორი...? რომელი...? რამდენი...?) და კითხვით წინადადებაში მახვილს სვამს კითხვით სიტყვებზე;
- სწორად უხამებს ზმნას სახელს პირსა და რიცხვში;
- მიზნისა და სამეტყველო სიტუაციის ადრესატის გათვალისწინებით ირჩევს შესაბამის სამეტყველო სტილს;
- განარჩევს და სწორად იყენებს ჩვეულებრივ და თავაზიანობის გამომხატველ ზმნურ ფორმებს („მოდი – მობრძანდით"; „აიღე –ინებეთ", „დაჯექი – დაბრძანდით" და სხვ.)..

ქართ.დაწყ.(I).5. მოსწავლემ უნდა შეძლოს ზეპირმეტყველების ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- იყენებს საყრდენებს/მინიშნებებს (მაგ., შეთავაზებული მარტივი გრაფიკული მაორგანიზებლების) ინფორმაციის დასახარისხებლად;
- იყენებს ნიმუშებს, საყრდენებს საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი სამეტყველო ქცევის წარსამართავად.

დავალებათა / აქტივობათა ნიმუშები:

- ჯგუფური აქტივობები, სიტუაციური თამაშები (ადრესანტის ცვლილებით);
- მოსმენილი წიგნის/მოთხრობის შესახებ თანაკლასელებისთვის შთაბეჭდილების გაზიარება;
- წაკითხული ან მოსმენილი ტექსტის შესახებ მინიდისკუსიის მოწყობა;
- სარითმო სიტყვების ამოცნობა ლექსებში;
- სხვადასხვა მოდალობის წინადადების შედგენა და გამოთქმა შესაბამისი ინტონაციით;
- მრავალფუნქციური ზეპირი საკომუნიკაციო სიტუაციის (მაგ., ინტერვიუ ცნობილ პოეტთან, მსახიობთან) მომზადება და იმიტირება;
- ტექსტის როლური ინსცენირება შესაბამისი ინტონაციისა და მიმიკის გამოყენებით;
- მინიდიალოგების გათამაშება ერთსა და იმავე თემაზე/საკითხზე განსხვავებული სამეტყველო სიტუაციების შეთავაზებით (მაგ., სხვადასხვა ადრესატთან - მასწავლებელთან, თანაკლასელთან, მშობელთან, ოჯახის წევრთან, ნაწარმოების პერსონაჟთან);
- მინიპრეზენტაციები (მაგ., პრეზენტაცია „ფოტოს მოყოლილი ამბავი" - მოსწავლეები წარადგენენ საოჯახო ალბომიდან შერჩეულ ფოტოსურათს და ჰყვებიან მასთან დაკავშირებულ ამბავს);
- საუბარი/თხრობა საყვარელი წიგნის, ფილმის, მულტფილმის შესახებ (მასწავლებლის მიერ წინასწარ შეთავაზებულ მარტივ საორიენტაციო შეკითხვებზე დაყრდნობით ან ცოცხალი ინტერაქციის გზით;
- სასწავლო მასალასთან დაკავშირებული სახალისო ვიქტორინები;
- თამაში ლექსიკური ერთეულებით: ორ- ან მეტცნებიან კომპოზიტებში ფუძეთა გამოყოფა (მაგ., გონებაწართმეული, უსახლკარო, თავგზააბნეული, ხელფეხშეკრული) და სხვა.

მიმართულება: კითხვა

ქართ.დაწყ.(I).6. მოსწავლემ უნდა შეძლოს გაწაფულად კითხვა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- თავისუფლად კითხულობს ნაცნობ და უცნობ სიტყვებს, ცდილობს დაიცვას სათანადო ტემპი;
- ხმამაღლა, თავისუფლად კითხულობს მასწავლებლის მიერ მითითებულ ეპიზოდს, მცირე ზომის ტექსტებს;
- ხმამაღლა კითხვისას იცავს პაუზას სასვენ ნიშნებთან.

ქართ.დაწყ.(I).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთდაკავშირება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს ტექსტის თემას, წვდება დედააზრს (მთავარ იდეას);
- ტექსტში ეძებს და პოულობს კონკრეტულ ინფორმაციას (როდის, სად, რამდენი, როგორი, რამდენ ხანს, რამდენჯერ და სხვ.);
- აკავშირებს ერთმანეთთან ექსპლიციტურად მოცემულ ფაქტებს, მოვლენებს, მოქმედებებს;
- ამოიცნობს ტექსტში მოცემულ სხვადასხვა ინფორმაციას შორის არსებულ მიზეზშედეგობრივ კავშირებს, გამოაქვს სათანადო დასკვნა;
- აჯგუფებს ინფორმაციას კონკრეტული (მაგ., მსგავსება-განსხვავების) ნიშნით;
- საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს ტექსტის შინაარსს, ტექსტის ცალკეული მონაკვეთის არსებით ინფორმაციას;
- განსაზღვრავს მოქმედებათა დროსა და ადგილს;
- განსაზღვრავს, რა იცის / რა არ იცის ცალკეულმა პერსონაჟმა;
- ამოიცნობს პერსონაჟების მოქმედებებს, გრძნობებს, ემოციებს;
- ამოიცნობს, რა ტიპის ურთიერთობა აქვთ პერსონაჟებს ერთმანეთთან (ნათესაური, მტრული, მეგობრული და სხვ.);
- გამოყოფს სიუჟეტის განვითარების საფეხურებს (დასაწყისს, ამბის შუა ნაწილს, დასასრულს);
- განსაზღვრავს რეპლიკის ავტორს, ადრესატსა და მიზანს (რჩევის მიცემა, ინფორმირება, ახსნა, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა და სხვ.);
- აკვირდება მხატვრული ტექსტების ენას, მწერლისეულ ლექსიკას;
- ეძებს და პოულობს, რომელ რუბრიკას / ქვესათაურს უკავშირდება ილუსტრაცია, წარწერა.

ქართ.დაწყ.(I).8. მოსწავლემ უნდა შეძლოს მცირე ზომის მხატვრული ტექსტების ინტერპრეტირება ვერბალური და არავერბალური გზით; ვერბალური ინფორმაციის ვიზუალურად გარდაქმნა და/ან პირიქით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- წაკითხული ნაწარმოებიდან მიღებული შთაბეჭდილებით ქმნის ილუსტრაციებს;
- აფასებს სხვების მიერ შექმნილ ილუსტრაციებს (რამდენად ასახავს ილუსტრაცია ტექსტის შინაარსს);
- ჯგუფის წევრებთან ერთად დგამს ნაწარმოებში ასახულ სცენებს.

ქართ.დაწყ.(I).9. მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; ტექსტის თემის და/ან მასში განხილული კონკრეტული საკითხების შეფასება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- გამოხატავს წაკითხული ტექსტით აღძრულ ემოციებს, განცდებს;
- ტექსტში მოცემულ ინფორმაციას აკავშირებს პირად გამოცდილებასთან და გამოაქვს დასკვნა;
- ასახელებს საყვარელ პერსონაჟს და ხსნის საკუთარ არჩევანს;
- ასახელებს ნაწარმოების გმირების მოქმედების მოტივს (რატომ მოიქცა ასე) და აფასებს მათს საქციელს;
- ასახელებს მულტფილმებს, სურათებს, ნახატებს, მოსმენილ და წაკითხულ ნაწარმოებებს, რომლებიც გაახსენდა ტექსტის კითხვის დროს; მსჯელობს მათ შორის, მსგავსება-განსხვავებაზე.

ქართ.დაწყ.(I).10. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტე-ბის მაორგანიზებელი ელემენტების, სტრუქტურული და კომპოზიციური მახასიათებლების ამოცნობა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მთლიანობაში აკვირდება ტექსტის სტრუქტურას, მის სიტყვიერ და არასიტყვიერ

მაორგანიზებელ ელემენტებს (სათაურს, რუბრიკას, ილუსტრაციას, წარწერას, აბზაცს, სვეტს, ლოგოს, ტიპოგრაფიულ მახასიათებლებს, მაგ., მსხვილ შრიფტსა და სხვ.) ინფორმაციის ამოკრების მიზნით;

- ასახელებს ტექსტის კომპოზიციურ მახასიათებლებს (სათაურს, ილუსტრაციას, წარწერას, პირობით ნიშანს, რუბრიკას, აბზაცების რაოდენობას, სქემასა და სხვ.);
- ამოიცნობს, რომელ რუბრიკაში, ტექსტის რომელ ნაწილში უნდა ეძებოს ესა თუ ის ინფორმაცია (მაგ., რას ჭამს ზღარბი? . . . - რუბრიკაში „საკვები“);

ქართ.დაწყ.(I).11. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკურ და სემანტიკურ მხარეზე, ენობრივ ფორმებზე დაკვირვება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს სასვენი ნიშნების (წერტილის, მძიმის, ორწერტილის, ბრჭყალების, კითხვისა და ძახილის ნიშნების) ფუნქციას;
- ამოიცნობს პირდაპირ ნათქვამს;
- კითხვების (რა? ვინ? როგორი? რამდენი? რას აკეთებს?) გამოყენებით განასხვავებს შესაბამის მეტყველების ნაწილებს.

ქართ.დაწყ.(I).12. მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ცდილობს უცნობი სიტყვების ახსნას კონტექსტის გათვალისწინებით;
- ილუსტრაციებზე, სათაურზე დაყრდნობით გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის შინაარსის შესახებ;
- წაკითხული შინაარსის უკეთ გაგების მიზნით გონებაში, წარმოსახვაში აცოცხლებს მას;
- კონკრეტული ინფორმაციის მოძიებისას საყრდენებად იყენებს ტექსტის სიტყვიერ და არასიტყვიერ მაორგანიზებელ ელემენტებს, სტრუქტურულ მახასიათებლებს;
- აღწერს, რა ხერხს მიმართა დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად;
- დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ აზუსტებს, რამდენადაა პასუხის სისწორეში დარწმუნებული („დარწმუნებული ვარ“, „თითქმის დარწმუნებული ვარ“, „არა ვარ დარწმუნებული“);
- განსაზღვრავს და პოულობს ტექსტის იმ მონაკვეთს, რომელსაც უნდა მიუბრუნდეს პასუხის დასაზუსტებლად;
- მასწავლებლის დახმარებით ადგენს ტექსტის მარტივ გეგმას მისთვის სასურველი ფორმით (სიტყვიერად ან ნახატებით).

დავალებათა / აქტივობათა ნიმუშები:

- წინადადებაში გამოტოვებულ ადგილას მართებული სიტყვის შერჩევა და ჩასმა კონტექსტის მიხედვით;
- ტექსტში გადმოცემულ მოქმედებათა დროისა და ადგილის გრაფიკულ სქემაში ასახვა / ქრონოლოგიური სქემის შედგენა;
- როლებში კითხვა/მკითხველის თეატრი;
- საყვარელი ნაწარმოების/ეპიზოდის წაკითხვა თანაკლასელებისთვის;
- ხმამაღალი კითხვის ჩანაწერის მოსმენა და კორექტირება;
- ინფორმაციის კატეგორიზაცია თემატურად;
- აზრობრივი რუკების / სქემების შექმნა;
- პერსონაჟის დამახასიათებელი სიტყვების/ფრაზების/წინადადებების/ეპიზოდების მოძიება და ამოწერა;
- მოვლენათა შორის მიზეზშედეგობრივი კავშირების სქემის სახით გადმოცემა;
- მოკლედ გადმოცემული ამბის გავრცობა საყრდენების/მინიშნებების გამოყენებით;

- ტექსტის სიუჟეტის ან მხოლოდ დასასრულის შეცვლა;
- პერსონაჟის ალტერნატიული საქციელის მოფიქრება;
- საყვარელი ნაწარმოებების დასურათების კონკურსი - გამოფენა;
- საყვარელი ნაწარმოების /ზღაპრის მიხედვით წიგნის შექმნა;
- წაკითხული ნაწარმოების მიხედვით დიორამების შექმნა;
- ტექსტის დაყოფა კომპოზიციური და სტრუქტურული მახასიათებლების მიხედვით;
- ნაცნობი და უცნობი ლექსიკის აქტივაცია - მათი გამოყენებით ახალი წინადადებების შექმნა;
- მსგავსი და განსხვავებული მნიშვნელობის სიტყვების დაჯგუფება;
- ვარაუდების სქემის გამოყენება;
- ტექსტთან დაკავშირებით მოსწავლეების მიერ ერთმანეთისთვის კითხვების დასმა;
- ტექსტის მონაკვეთებად დაყოფა და დასათაურება, გეგმის შედგენა
- და სხვა.

მიმართულება: წერა

ქართ.დაწყ.(I).13. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის მარტივი ტექსტების შექმნა ნაცნობ თემატიკაზე.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- წერს ინსტრუქციებს, გასაგებად წარმოადგენს საჭირო ინფორმაციას;
- აღწერს კონკრეტულ საგანს/ნივთს (მცენარეს, ცხოველს, მოვლენას), წარმოაჩენს მათ დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს;
- გადმოსცემს კონკრეტულ ფაქტს/მოვლენას საკუთარი ცხოვრებიდან;
- ადგენს მარტივ დიალოგებს;
- თანამიდევრულობის დაცვით გადმოსცემს ინფორმაციას;
- თანამიმდევრულობის დაცვით გადმოსცემს ნაცნობი ტექსტის/ტექსტის ეპიზოდის შინაარსს;
- თანამიმდევრულად აგებს თხრობას;
- ცდილობს ახლად შესწავლილი სიტყვების, ფრაზების გამოყენებას (მაგ., საინფორმაციო ტექსტების შედგენისას).

ქართ.დაწყ.(I).14. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკის, ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტუქტურული ელემენტების ადეკვატურად გამოყენება; კალიგრაფიისა და მართლწერის საბაზისო ნორმების დაცვა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- იყენებს ზმნას სათანადო პირისა და რიცხვის ფორმით;
- სწორად იყენებს კავშირებს (და, თუ, მაგრამ, ან) რთული და შერწყმული წინადადებების ნაწილების დასაკავშირებლად;
- სათანადოდ იყენებს პირის, ჩვენებით („ეს / ის კაცი მოვიდა - ეს / ის მოვიდა“...) და კითხვით (რომელი? როგორი?) ნაცვალსახელებს;
- სათანადო კონტექსტში სწორად ხმარობს სიტყვებს: ყველა, ზოგი (ზოგიერთი), არცერთი;
- სწორად უხამებს ზმნას სახელს პირსა და რიცხვში, სწორად ათანხმებს რიცხვით და / ან ზედსართავ სახელსა და არსებით სახელს ბრუნვასა და რიცხვში;
- მსგავსი მნიშვნელობის ლექსიკური ერთეულებიდან შეარჩევს მოცემული კონტექსტისთვის შესაფერის / მართებულ სიტყვას;
- იყენებს დიალოგის გაფორმებისთვის საჭირო ენობრივ-გრამატიკულ საშუალებებს (ზმნის II პირის ფორმებს, პუნქტუაციის ნიშნებს);
- სწორად დამარცვლავს სიტყვებს და გადააქვს სტრიქონიდან სტრიქონზე;
- სათანადოდ იყენებს სასვენ ნიშნებს (წერტილს, მძიმეს, ორწერტილს, ბრჭყალებს, კითხვისა და ძახილის ნიშნებს);

- სათანადოდ აფორმებს მარტივ დიალოგებს;
- საჭიროებისამებრ ყოფს ნამუშევარს აბზაცებად თანამიმდევრულობის დაცვით.

ქართ.დაწყ.(I).15. მოსწავლემ უნდა შეძლოს წერის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- საჭიროებისამებრ იყენებს საყრდენებს (მოდელს, მითითებებს, მარტივ გრაფიკულ სქემებს, გეგმას და სხვ.);
- ითვალისწინებს მიზანსა და აუდიტორიას მარტივი პრაგმატული ტექსტის (მაგ., მოსაწვევი ბარათის) შედგენისას;
- გადაიკითხავს და ჩაასწორებს საკუთარ ნაწერს, ჩაამატებს, ამოშლის ან გადასვამს ტექსტში სასურველ სიტყვას ან წინადადებას;
- კარნახით ნაწერ ტექსტს უდარებს დედანს (ჩასწორების მიზნით);
- ამოწმებს და ჩაასწორებს საკუთარ და/ან სხვის ნაწერში მისთვის ნაცნობ სასვენ ნიშნებს.

დავალებათა / აქტივობათა ნიმუშები:

- მარტივი ინსტრუქციების შედგენა ნაცნობ თემატიკაზე (მაგ., როგორ უნდა მოვიქცეთ ქუჩის გადასასვლელებზე, როგორ მოვუაროთ შინაურ ცხოველებს, როგორ გავუფრთხილდეთ სასკოლო ნივთებს);
- წერილის დაწერა ნაწარმოების პერსონაჟის/კომიქსის, მულტფილმის გმირის მიმართ;
- მცირე ზომის მარტივი ინფორმაციული ტექსტის შედგენა სხვადასხვა საგანში შეძენილი ცოდნის საფუძველზე (მაგ., ,,შემოდგომა", "შინაური ცხოველები", "ჩვენი დედაქალაქი");
- მცირე ზომის აღწერითი ტექსტის შედგენა (მაგ., სურათის/ილუსტრაციის აღწერა);
- კონკრეტული ცხოვრებისული გამოცდილების ამსახველი მცირე ზომის ტექსტის შედგენა;
- თვითშეფასების სქემის შევსება წერილობითი ნამუშევრის შესაფასებლად;
- პერსონაჟის დახასიათება მარტივი გრაფიკული სქემების გამოყენებით;
- წერითი ნამუშევრის შეფასების კრიტერიუმების შედგენა
- და სხვა.

პროგრამის შინაარსი

შედეგების მიღწევა შესაძლებელია მოცემული შინაარსის საფუძველზე:

1. ინფორმაციის გაგება, ანალიზი და შეფასება

ძირითადი თემატიკა:

ლექსიკოლოგიური ასპექტი: აქტიური ლექსიკური ფონდი; სიტყვათა დაჯგუფება-განსხვავება შინაარსობრივი და ექსპრესიული თვალსაზრისით; ხატოვანი გამონათქვამები და მარტივი ფრაზეოლოგიზმები.

გრამატიკული ასპექტი: წინადადების ძირითადი წევრები: ზმნა-შემასმენელი და მასთან დაკავშირებული მოქმედი პირი (სუბიექტი); ზმნა და საგარემოებო სიტყვები; კავშირები წინადადებაში. სახელის სხვადასხვა ბრუნვის ფორმებს შორის ფუნქციური სხვაობა; ზმნური და სახელური ფორმაცვალება; ტიპობრივი ორთოგრაფიული შეცდომების გასწორების წესები; ძირითადი სასვენი ნიშნები (წერტილი, მძიმე, კითხვისა და ძახილის ნიშნები, ბრჭყალები, ორწერტილი, ტირე).

2. ენის კომუნიკაციური ასპექტები

ძირითადი თემატიკა: საკომუნიკაციო ამოცანა და მიზანი; მიზნობრივი ტექსტის დანიშნულება და ადრესატი; საუბრისა და კამათის თემა; ჯგუფური აქტივობა, სიტუაციური თამაში და კონკრეტული როლი; საბავშვო ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები; კითხვის სტრატეგიები (თემა, მთავარი და მეორეხარისხოვანი გმირები, სათაურისა და ტექსტის აზრობრივი მიმართება). ტექსტის ტიპები: მიზნობრივი ტექსტები (რეცეპტი, სამახსოვრო წესები, აბრა, რეკლამა, განცხადება); ტექსტის ჩასწორების მარტივი ხერხები.

3.მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა

ძირითადი თემატიკა: თანატოლების ცხოვრება, სათავგადასავლო, იუმორისტული ნაწარმოებები, დიდაქტიკური ხასიათის თხზულებები.

საკითხავი მასალა: ქართული და მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები, თქმულებები, ლეგენდები, მითები; ადაპტირებული ლიტერატურული ტექსტები, ლირიკული და სიუჟეტიანი ლექსები, პროზაული თხზულებები (მცირე ზომის) დასრულებული ამბით, საინტერესო სიუჟეტით, მკაფიოდ და ნათლად გამოხატული სათქმელით.

წერა	**15.** მოსწავლემ უნდა შეძლოს წერის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.						
	14. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტრუქტურული ელემენტების ადეკვატურად გამოყენება; კალიგრაფიისა და მართლწერის საბაზისო ნორმების დაცვა.						
	13. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის მარტივი ტექსტების შექმნა ნაცნობ თემატიკაზე.						
კითხვა	**12.** მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.						
	11. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკურ და სემანტიკურ მხარეზე, ენობრივ ფორმებზე დაკვირვება.						
	10. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მაორგანიზებელი ელემენტების, სტრუქტურული და კომპოზიციური მახასიათებლების ამოცნობა.						
	9. მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; ტექსტის თემის და/ან მასში განხილული კონკრეტული საკითხების შეფასება.						
	8. მოსწავლემ უნდა შეძლოს მცირე ზომის მხატვრული ტექსტების ინტერპრეტირება ვერბალური და არავერბალური გზით; ვერბალური ინფორმაციის ვიზუალურად გარდაქმნა და/ან პირიქით.						
	7. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთდაკავშირება.						
	6. მოსწავლემ უნდა შეძლოს გაწაფულად კითხვა.						
ზეპირმეტყველება	**5.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ზეპირმეტყველების ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.						
	4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკისა და ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციების სათანადოდ გამოყენება; მართლმეტყველებისა და სამეტყველო ეტიკეტის საბაზისო ნორმების დაცვა.						
	3. მოსწავლემ უნდა შეძლოს პირადი დამოკიდებულების გამოხატვა ტექსტის თემის, მასში განხილული საკითხების მიმართ; მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟ(ებ)ის, მისი/მათი ქცევის შეფასება და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა.						
	2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება-გააზრება და გადმოცემა.						
	1. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სამეტყველო ქცევის გამოვლენა ნაცნობ საკომუნიკაციო სიტუაციაში.						
სასწავლო დროის ხანგრძლივობა (სთ)		18					
გაკვეთილების და თემების დასახელება		თავი 1. წიგნი	**თეორია.** გამოცანა	*** (თეთრი ხნული, შავი თესლი)	*** (ფენოა, მაგრამ უხმოდ	წიგნი ვის ეკუთვნის?	ქართული ანბანი

		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
გრამატიკა. ასო და ბგერა							■								■	
ძვირფასი ყუთი								■						■		
თეორია. პოეტი, ლექსი, რითმა, წიგნები											■	■				
მოსასმენი: იკაროსი და დედალოსი. როგორ სწავლობდა გოჭი ფრენას								■	■				■			
დედა წერტილი და შვილი წერტილი			■		■									■		■
გრამატიკა. სიტყვა და წინადადება													■			
თავი 2. ცხოველები წიგნებში	24															
წერო და მელა			■												■	■
თეორია. აბზაცი, იგავი											■	■				
სამი მგელი							■				■				■	
გრამატიკა. სიტყვის მარცვალი			■												■	
დათვი და მელია		■		■		■			■					■	■	■
გრამატიკა. ზმნა და არსებითი სახელი					■		■									■
მარტოჭამია დათვი და მელა								■		■	■					
გრამატიკა. სულიერი და უსულო არსებითი სახელები			■												■	■
მთაში მოსულა ზამთარი						■	■					■				■

		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
გრამატიკა. სიტყვის გადატანა															■	
სათაგური			■	■		■	■	■	■	■			■			
გრამატიკა. ვინ? თუ რა?															■	■
კეთილი ბებერი ბუები							■					■		■		
არწივი				■								■			■	
თეორია. ფსევდონიმი						■	■				■	■				
ფუღურო					■		■		■					■		
გრამატიკა. მხოლობითი და მრავლობითი					■								■			
მოსასმენი: როგორ გაჩნდა ღვინო			■	■												
ჭკვიანი ძაღლები								■					■			
ჭკვიანი ბასარა		■					■				■			■		
თავი 3. ძალა ერთობაშია	12															
გვრიტი							■	■							■	
გრამატიკა. გასულიერება		■					■									■
მოსასმენი: ნადირთა ძმობა			■													■
ძალა ერთობაშია								■	■	■						
გრამატიკა. არსებითი სახელი და რიცხვითი სახელი		■														■
სპილო და ჭიანჭველალები							■	■		■						
ჩონგური							■	■								
თეორია. სტროფი		■													■	

		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
თავი 4. თქმულე-ბები და მითები	18															
ამირანი		■		■							■	■		■		
ლახტიანი კოპალა							■						■			
გრამატიკა. არსები-თი სახელის ბრუნება		■							■							
არიადნეს ძაფი			■											■	■	■
მოსასმენი: დავითი და გოლიათი						■								■		
გრამატიკა. არსები-თი სახელის კუმშვა		■					■								■	
თავი 5. ჩვენ და ბუნება	30															
ყმაწვილი და პეპელა					■						■	■		■		
ტყე და მისი დიდი მნიშვნელობა							■	■		■						
გრამატიკა. არსები-თი სახელის კვეცა							■							■		
მოსასმენი: ტყის მცველი ფრინველები			■	■										■	■	■
ბეთანიის გზაზე					■				■						■	
*** (ატყდა ქუხილი)											■	■				
მეხი (მოგონება)							■	■						■		
მოსასმენი: კომეტა			■				■					■				
ბუნება ვაჟა-ფშავე-ლას ლექსებში						■	■		■						■	
მოსასმენი: რატომ ცივა მთაში და რატომ თბილა ბარში			■											■	■	
გიორგობისთვის დღე											■	■		■	■	
მოსასმენი: ჰაერი და მისი მოძრაობა			■	■											■	

		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
გრამატიკა. მიმართვა					■										■	
ზღვები რატომ არ ივსება და ნაპირებიდან არ გადმოდის				■			■	■								■
გრამატიკა. ბევრი თუ ცოტა?		■													■	
ქართლის გზაზე			■								■	■	■			■
მოსასმენი: ნოეს კიდობანი			■		■										■	
ნაძვის ცრემლები				■					■	■				■		
თავი 6. სამშობლო	12															
გერბი, დროშა და ჰიმნი						■			■							
ხატის წინ								■			■		■		■	
საქართველო და მისი ნაწილები					■		■							■	■	
სიმღერა				■			■									
გაზაფხული														■		
გრამატიკა. ერთმანეთის მონაცვლე ზმნები		■			■											■
პატარა ბედუინის სიზმარი			■			■								■		
გრამატიკა. ზედსართავი სახელი												■				
მოსასმენი: სამასი თავდადებული გლეხი		■		■										■		
გალაკტიონ ტაბიძის ლექსებიდან						■	■								■	
თავი 7. კარგი და ცუდი	18															
ორი ამხანაგი			■	■												

		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
კარგი ოინი				■			■	■		■						
გრამატიკა. ნაცვალსახელი		■													■	
ორი ამბავი ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრებიდან			■		■	■			■				■			■
მოსასმენი: სოლომონ ბრძენი							■	■					■	■		
გრამატიკა. ნაცვალსახელი მრავლობით რიცხვში					■										■	
თეთრი ქალაქი				■							■	■		■	■	
მოსასმენი: ტყის დღე			■												■	
გრამატიკა. მხოლობითი და მრავლობითი											■	■				■
დაყვედრება ტყვეობაზე უარესია				■	■		■	■		■						
გულწრფელი პასუხი					■			■							■	
ბუტიას კერძი ტკბილია								■	■	■						
თავი 8. სახალისო ამბები	18															
ყიყინა საფოსტო ყუთი				■						■				■		
ბულბული და ყიყინა			■		■		■									
გრამატიკა. ზმნა და დრო					■							■				
მომავალი დრო		■										■			■	
მარგალიტი							■	■							■	
თეორია. იუმორი		■									■	■				
წვეულება									■							

		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
დათვის წვეულება							■		■		■	■		■		
მოსასმენი: მელიას კუდი მოწმედ			■	■												
თეორია. იუმორი ხატოვან გამოთქმებში		■												■		
ამპარტავანი ნოტი სი					■			■							■	
თავი 9. საქმე	12															
ერთი მანეთის შოვნა			■	■						■						
მოსასმენი: ორი სახნისი			■	■										■		
გრამატიკა. თავაზიანი საუბარი		■					■								■	
ჭრიჭინა და ჭიანჭველა								■	■					■		
გრამატიკა. პირველი პირი და მეორე პირი		■										■				
სიკეთის უკვდავება					■		■	■						■		
ანდაზები											■					
თავი 10. ოჯახი	12															
ჩხიკვთა ქორწილი		■		■	■			■		■						
თეორია. პერსონაჟი		■			■	■										
გრამატიკა. ჩამოთვლა							■								■	■
გრამატიკა. ზმნა და ასო „ჰ“												■			■	
დედა ჩიტი				■						■				■		
უმცროსი და							■								■	

		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
გრამატიკა. სახ-ელით მიმართვა		■			■											■
პაპა და შვილიშვილი			■				■							■		
მოსასმენი: ვანო			■	■												■
გრამატიკა. თხრო-ბითი და კითხვითი წინადადებები					■							■		■		
თავი 11. ერთი კაცის თავგადა-სავალი	12															
ნაცარქექია				■				■	■					■		
მოსასმენი: ხუთ-კუნჭულა							■	■		■				■	■	
გრამატიკა. ბრძანებითი წინა-დადება		■										■				■
გრამატიკა. წერტი-ლი, ორწერტილი, სამი წერტილი			■									■			■	
ცოტნე დადიანი					■			■		■						
გრამატიკა. ბრჭყ-ალები		■										■	■		■	

5. სახელმძღვანელოს კომპონენტები და სტრუქტურა

სახელმძღვანელო რამდენიმე კომპონენტისაგან შედგება:

მოსწავლის წიგნი (ორ ნაწილად)
მასწავლებლის წიგნი
მოსწავლის რვეული

მოსწავლის წიგნი და მისი სტრუქტურა

მოსწავლის წიგნი მესამე კლასის სახელმძღვანელოს ძირითადი კომპონენტია. სახელმძღვანელოს აგების საფუძველი, ისევე როგორც წინა კლასებში, ამჯერადაც მასალის თემატური მოწესრიგებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმძღვანელოს ყოველი თავი (სულ 11 თავია) ერთი კონკრეტული თემის და ამ თემაზე შექმნილი სხვადასხვა ტიპის ნაწარმოებების (შემეცნებითი და მხატვრული) შესწავლას ეთმობა. სულ 11 თემაა, ზოგ თემას ორი კვირა ეთმობა, ზოგს – სამი, ოთხი ან ხუთი; ჯამურად – 34 კვირა (იგულისხმება, რომ თემების რაოდენობა ოდნავ ნაკლებია სასწავლო დღეების მთლიან მაქსიმალურ რაოდენობაზე, რათა მასწავლებელს რამდენიმე საათი თადარიგში ჰქონდეს).

თემების განაწილება თავებისა და კვირების მიხედვით ასეთია:

თავი 1	წიგნი	3 კვირა (18 საათი)
თავი 2	ცხოველები წიგნებში	4 კვირა (24 საათი)
თავი 3	ძალა ერთობაშია	2 კვირა (12 საათი)
თავი 4	თქმულებები და მითები	3 კვირა (18 საათი)
თავი 5	ჩვენ და ბუნება	5 კვირა (30 საათი)
თავი 6	სამშობლო	2 კვირა (12 საათი)
თავი 7	კარგი და ცუდი	3 კვირა (18 საათი)
თავი 8	სახალისო ამბები	3 კვირა (18 საათი)
თავი 9	საქმე	2 კვირა (12 საათი)
თავი 10	ოჯახი	2 კვირა (12 საათი)
თავი 11	ერთი კაცის თავგადასავალი	2 კვირა (12 საათი)

სახელმძღვანელოს მიხედვით, პირველ თავში მოცემული გაკვეთილების რაოდენობა არ ემთხვევა პირველი თავისთვის ცხრილში მოცემული საათების ოდენობას, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებელს წიგნით მუშაობის დაწყებამდე ჩასატარებელი აქვს შესავალი მეცადინეობა, და, გარდა ამისა, მას სჭირდება დრო მოსწავლის რვეულზე სამუშაოდ. იგივე შეიძლება ითქვას დანარჩენი თავების შესახებაც.

შენიშვნა: მოსწავლის წიგნი გაყოფილია ორ ნაწილად. მეორე ნაწილი დანომრილია ორგვარად. სარჩევში გვერდები მითითებულია პირველი, მსხვილი შრიფტით მოცემული ნუმერაციის მიხედვით. მეორე, მკრთალი და პატარა შრიფტით დაბეჭდილი ნუმერაცია გულისხმობს პირველი წიგნის გაგრძელებას, რაც დატოვებულია სპეციალურად. ეს მასწავლებელს გაუადვილებს, იოლად იპოვოს ის გვერდი, რომლის ნომერიც ზოგიერთ შემთხვევაში მასწავლებლის წიგნშია მითითებული (სავარჯიშოების პასუხები, კონკრეტული სავარჯიშოს ან დავალების მითითება და ა.შ.).

ყოველი თავის დასაწყისში ცალკე გვერდზე მოთავსებულია თავის ნომერი, სათაური და სათანადო ნახატი. ეს გვერდი ერთგვარი შესავალი საუბრისათვის გამოიყენება. აქვე ჩამოთვლილია, რა შეისწავლება ამ თავში. ყოველი თავი მოიცავს ტექსტებს, გრამატიკულ და თეორიულ საკითხებს.

ტექსტები

სახელმძღვანელოში შეტანილია მოთხრობები, ზღაპრები, მითები, ლეგენდები, იგავ-არაკები, ლექსები, ენციკლოპედიურ-შემეცნებითი ხასიათის ტექსტები.

სახელმძღვანელოს ტექსტები შერჩეულია რამდენიმე ნიშნით: 1) შეესაბამებოდეს თემას; 2) გააჩნდეს მხატვრული (ან – შემეცნებითი) ღირებულება; 3) შეესაბამებოდეს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს; 4) ასახული იყოს ის ენობრივ-გრამატიკული მომენტები, რომლებიც შესაბამის თავში შეისწავლება.

ყოველ ტექსტს მოსდევს დავალებათა ბლოკი. **ძირითადად** სამი ტიპის დავალება გვხვდება:

1) **უპასუხე შეკითხვებს** – ტექსტთან დაკავშირებული შეკითხვები. შეკითხვები ისეა შერჩეული, რომ მასწავლებელი იოლად მიხვდეს, როგორ გაიგეს მოსწავლეებმა ტექსტი;

2) **დაწერე** – წერილობით დავალებათაგან ზოგი კლასშივე უნდა შეასრულოს მოსწავლემ სამუშაო რვეულში, ზოგი კი – საშინაო დავალებად.

3) **იმსჯელე** – ზოგ შემთხვევაში მოსწავლეებს დასმულ საკითხებზე თავიანთი აზრის გადმოცემა მოეთხოვებათ. ზოგიერთი სავარჯიშო ჯგუფური მუშაობისთვისაა განსაზღვრული. ჯგუფურ მუშაობას სულ რამდენიმე წუთი ეთმობა. თითოეულ ჯგუფში 3-5 მოსწავლე უნდა იყოს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მე-3 კლასში მოსწავლეები ე.წ. ცალხაზიან რვეულში იწყებენ წერას. წიგნში მოცემული წერითი დავალებები სრულდება ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ ცალხაზიან რვეულებში. ამას გარდა, სახელმძღვანელოს ერთ-ერთი კომპონენტი რვეულიცაა (მის შესახებ იხ. ქვემოთ).

ყველა ტექსტი ილუსტრირებულია ფერადად, ბავშვისათვის გასაგები, სახალისო სურათებით. ტექსტები სპეციალურად შერჩეული, ადვილად აღსაქმელი, კარგად საკითხავი შრიფტითაა აწყობილი.

ისევე, როგორც წინა კლასების სახელმძღვანელოებში, აქაც უზარმაზარი როლი ენიჭება ლექსიკაზე მუშაობას. სავარაუდოდ, უცნობი ლექსიკური ერთეულები ტექსტებთანვე, არშიებზეა განმარტებული. ეს არ ნიშნავს, რომ სხვა სიტყვებზე ყურადღება არ გამახვილდეს. ლექსიკური სავარჯიშოები უხვადაა დავალებათა ბლოკებშიც. წინა კლასებისაგან ერთი მცირე განსხვავება ისაა, რომ ამჯერად მეტი ყურადღება ეთმობა ზმნას.

თეორიული საკითხები

ყოველ თავში შეტანილია გარკვეული თეორიული მასალა. ცხადია, მიზანი ის კი არ არის, რომ ბავშვებს ეს მცირე თეორიული ტექსტები დავაზუთხინოთ, არამედ ის, რომ მოსწავლეს შეეძლოს, შეძენილი ცოდნა პრაქტიკულად გამოიყენოს. მაგალითად, მე-10 თავში შემოდის პერსონაჟის ცნება. არ არის აუცილებელი შესაბამისი ტექსტუალური მასალის ზეპირად ან თუნდაც თხრობით დასწავლა. მთავარია, მოსწავლემ შეძლოს წაკითხულის გააზრება, შემდეგ კი სავარჯიშოების შესრულება და შეკითხვებზე პასუხის გაცემა.

გრამატიკა

სწავლების მიზანია, მოსწავლეებს შეუქმნას აუცილებელი ბაზა მშობლიური ენის გრამატიკის დასაუფლებლად. ამასთანავე სწავლების პროცესში მუდმივად უნდა იქნას გათვალისწინებული მოსწავლის ასაკობრივი ფსიქიკური თავისებურებანი. ამიტომაც აუცილებელია მასალის მიწოდება გარკვეული თანამიმდევრობით. შერჩეული მასალა ემყარება იმ ცოდნას, რომელიც მოსწავლეს, როგორც ენის პრაქტიკულ მომხმარებელს, უკვე აქვს.

8-9 წლის ბავშვს უკვე გავლილი აქვს მშობლიური ენის ათვისების ადრეული და სკოლამდელი ეტაპები, მოცემული ასაკისთვის ფლობს (რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლები შეზღუდვებით) ენობრივ სისტემას: ძირითადად სწორად იყენებს (ფონეტიკა-ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ) ენობრივ ერთეულებს; აქვს გარკვეული ლექსიკა და პრაქტიკულად დაუფლებულია სემანტიკურ ასპექტებს – იყენებს ანალოგიას, აკეთებს მარტივ ეტიმოლოგიებს, ფლობს სიტყვათშეთანხმების მოდელებს. სწავლების მიზანია ამ ცოდნის გამოვლენა – გაცნობიერება, მისი ობიექტივაცია. ამგვარი მიდგომა გააადვილებს არა მხოლოდ გრამატიკული მასალის ათვისებას, არამედ თავიდან აგვაცილებს ზედმეტ სირთულეებს, რომლებიც სწავლებისას შეიძლება გაჩნდეს. ჩვენ შევეცადეთ მეცნიერული გრამატიკის რთული ცნებითი სისტემის ერთგვარად გამარტივებით ბავშვი მიგვეახლოვებინა გრამატიკული ფაქტის გაცნობიერებასთან.

იმის გამო, რომ ცალკეული სიტყვები მათი ფორმაცვალებადობის შესწავლაში არაფრის მომცემია

ბავშვებისთვის, მათ სიტყვები ეძლევათ წინადადებაში, რათა სემანტიკა დაეხმაროს მათ ენის ფორმალური ნიშნების აღმოჩენასა და დაუფლებაში. ჯერჯერობით მოსწავლეებს არ ვაცნობთ ყველა გრამატიკულ ტერმინს. მაგალითად, სახელის ბრუნების გაცნობისას მასწავლებელი სავარჯიშოდან იღებს ჯერ პირველ წინადადებას, ქვეშ მიუწერს მეორე წინადადებას და ა. შ. როდესაც შვიდივე წინადადება დაიწერება, ბავშვები თავიდან ბოლომდე ჩაიკითხავენ მათ. მათ უნდა აღიქვან სისტემა მთლიანად და ყურადღება მიაქციონ ბრუნვის ნიშნების ცვალებადობას.

გრამატიკის სწავლების სახელმძღვანელოში აღწერილი მიდგომა აგრძელებს წინა კლასის სახელმძღვანელოს ტრადიციას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ წინა პლანზე წამოწეულია პრაქტიკული გრამატიკის საკითხები. მაგალითად, როდესაც ვასწავლით არსებითი სახელის ბრუნებას, ამას ვაკეთებთ არა აბსტრაქტულად, არამედ წინადადების კონტექსტში. ასეთი მიდგომით მოსწავლე პრაქტიკულად ეუფლება სახელის ბრუნებას, მას შეუძლია კონკრეტული სახელის ჩასმა ყველა ბრუნვაში, მაგრამ ჯერჯერობით არ ვასწავლით ბრუნვათა დასახელებებს (ეს მე-4 კლასის საქმეა).

გრამატიკული მასალა ყოველთვის ცალკე გვერდზეა მოთავსებული. გვერდს ზედა ზოლზე მითითებული აქვს რუბრიკა „გრამატიკა“ და შესაბამისი საკითხის სათაური.

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გრამატიკის გვერდზე მოცემული თეორიული მასალის მიცემა ბავშვებისათვის დასასწავლად. ამის როლს სპეციალური სავარჯიშოები ასრულებს.

მოსასმენი ტექსტები

წიგნის ყოველ თავში **სპეციალური ნიშნით** გამოყოფილია ტექსტის სათაური. ეს ტექსტები მასწავლებლის წიგნშია მოცემული შესაბამისი თავის გაკვეთილების აღწერის ბოლოს. ისინი სასწავლო პროცესში რამდენიმე დანიშნულებით შეგვიძლია ჩავრთოთ:

ა. **როგორც მოსასმენი ტექსტი**: მასწავლებელი უკითხავს ტექსტს, რომელიც მოსწავლის წიგნში არ წერია. შემდეგ უსვამს შინაარსთან დაკავშირებულ შეკითხვებს, აძლევს დასახატს ან წერით დავალებას.

ბ. **როგორც უცხო ტექსტი**: მასწავლებელი აკეთებს ტექსტის ასლს და შეაქვს კლასში როგორც უცხო ტექსტი. მოსწავლეები კითხულობენ მას. შემდეგ კი პედაგოგი უსვამს შინაარსთან დაკავშირებულ შეკითხვებს, აძლევს დასახატს ან წერით დავალებას (ზოგჯერ ასეთი დავალებები თავად ტექსტებსაც ახლავს).

გ. **კარნახით წერა** სწორედ ამ ტექსტებით ივარჯიშებენ მოსწავლეები კარნახით წერაში.

მოაწყვეთ ჩვენება

ეკრანის ლოგოთი აღნიშნულია ნაწარმოებები, რომელზეც გადაღებულია ასაკისთვის შესაბამისი ფილმი ან მულტფილმი, ან საერთოა (ემთხვევა) პერსონაჟი და თემა (მაგალითად, „ვლის ნუკრის ნაამბობი“ და „ბემბი“) ან ფილმი ეხება თემას, რომელიც გაშლილია შესასწავლ თავში და ა.შ.

თუ მოსწავლის წიგნში ნაწარმოების სათაურთან მოცემულია მითითებული ნიშანი, ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმძღვანელოს ავტორების რეკომენდაციით, მასწავლებელმა, სასურველია, მოიძიოს მითითებული ვიდეომასალა, მოკლე ინფორმაცია ფილმის გამოშვების წლის, რეჟისორის თუ სხვა მნიშვნელოვან ამბებისა და პიროვნებების შესახებ და ამ ნაწარმოების შესწავლის შემდეგ აჩვენოს მოსწავლეებს კლასში. ჩვენება შეიძლება 2 საგაკვეთილო საათსაც გაგრძელდეს. ქვემოთ მოცემულია ვიდეომასალის დამუშავებისას საგაკვეთილო პროცესში დასმული შეკითხვებისა და განსახორციელებელი აქტივობების ნიმუშები:

- სად გაწყდა ფილმის ჩვენება? რა იყო პირველ ნაწყვეტში? იგულისხმება შინაარსი;
- ემთხვევა თუ არა ნაწარმოებისა და ეკრანიზაციის სათაური? და თუ არის განსხვავება, იმსჯელონ, რომელი ვერსია მოსწონთ და რატომ;
- ვიდეომასალაში (ფილმში, მულტფილმში...) რა არის მოცემული განსხვავებულად? დამატებულია ან აკლია პერსონაჟი თუ ამბავი; შეცვლილია ფინალი... აქვე გაიმართება მსჯელობა რეჟისორის ფანტაზიით შექმნილ მასალაზე;
- შესაძლებელია შეფასდეს კოსტიუმები და დაისვას კითხვები, რომელ პერსონაჟს რა ტიპის ტანსაცმელი უფრო მოუხდებოდა და რატომ;

- შეიქმნას ფილმის აფიშა;
- შეიქმნას ფილმის რეკლამა: მოსწავლეების ჩართულობით დაიწეროს სცენარი რომელშიც ჩაერთვება ბავშვების მიერ ხმათა უმრავლესობით არჩეული მუსიკა. მასწავლებელმა საბოლოო პროდუქტი ვიდეოზე აღბეჭდოს. ან: გაკეთდეს სარეკლამო პლაკატი ჩანახატებითა და სლოგანებით.
- დაიდგას კოსტიუმირებული სპექტაკლი ამ ნაწარმოების მიხედვით. სასურველია, ამ კოსტიუმების მხატვრები თავად მოსწავლეები იყვნენ. მაგალითად, ჩვეულებრივი ტანსაცმელი ქაღალდის ელემენტებით იყოს შეფუთული.

მოსწავლის რვეული

სახელმძღვანელოს ახლავს სპეციალურად შექმნილი რვეული. რვეულის საწყისი გვერდები ბავშვებისათვის ახალი, ე.წ. ცალხაზიანი ბადის დაუფლებას ეთმობა. მომდევნო გვერდებზე მოთავსებულია დამატებით სავარჯიშოთა მთელი სისტემა, რაც გაღრმავებული სწავლებისთვისაა განკუთვნილი. აქვე არის შემაჯამებელი ტესტებიც. მათი დახმარებით წლის ბოლოს შეგვიძლია შევამოწმოთ, რამდენად კარგად აითვისეს მოსწავლეებმა განვლილი მასალა.

დიდაქტიკური თამაშები კითხვის, წერისა და ზეპირმეტყველების განვითარებისათვის

აქვე გთავაზობთ რამდენიმე დიდაქტიკურ თამაშს, რომელთა გამოყენებაც გაკვეთილზე ძალიან სასარგებლო იქნება როგორც სასწავლო შედეგების მისაღწევად, ასევე იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი სახალისო და ძალდაუტანებელი გახდეს.

1. სიტყვების მოძებნა

მასწავლებელი აძლევს კლასს 3 წუთს და მოსწავლეებმა უნდა მოძებნონ სახელმძღვანელოში გარკვეული რაოდენობის ოთხასოიანი (ხუთასოიანი და ა.შ.) სიტყვა.

2. სიტყვების შედგენა

მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვას და მოსწავლეებმა ფურცლებზე დამოუკიდებლად უნდა შეძლონ, რაც შეიძლება, მეტი სიტყვის მოფიქრება დაწერილი სიტყვის ასოების გამოყენებით.

3. გრძელი სიტყვა

მასწავლებელი დაფაზე დაწერს ასოებს და მოსწავლეებმა ამ ასოების გამოყენებით უნდა მოიფიქრონ, რაც შეიძლება, გრძელი სიტყვა.

4. მარცვლებისგან სიტყვის შედგენა

მასწავლებელი დაფაზე წერს მარცვლებს და მოსწავლეებმა მათი გამოყენებით უნდა შეადგინონ, რაც შეიძლება, მეტი სიტყვა.

5. „გამოიცანი სიტყვა!“

დაფაზე დაიწერება რომელიმე სიტყვის პირველი და ბოლო ასოები, ხოლო შუა ასოების ნაცვლად ტირეები (მაგალითად, სიტყვის „სახლი“ ნაცვლად იქნება ს---ი). მოსწავლეებმა რიგრიგობით უნდა გამოიცნონ, რომელი ასოები აკლია. ასახელებენ ჯერ ერთ ასოს. თუ სწორად გამოიცნო, ტირეს ადგილას იწერება ასო, თუ ვერა – ახალი ასო უნდა დაასახელოს სხვა მოსწავლემ და ა.შ.

6. ამოშლილი სიტყვები

უკვე შესწავლილი ტექსტიდან მასწავლებელი ამოშლის ყოველ მე-5 სიტყვას. ბავშვებმა უნდა გამოიცნონ, რომელი სიტყვებია ამოშლილი.

7. ამოშლილი მარცვლები

უკვე შესწავლილი ტექსტიდან მასწავლებელი ამოშლის ყოველი სიტყვის ბოლო მარცვალს. ბავშვებმა უნდა გამოიცნონ, რომელი მარცვლებია ამოშლილი.

ამონარიდი „ეროვნული სასწავლო გეგმიდან“

მოსწავლის შეფასების სისტემა

მოსწავლის შეფასების მიზანი, პრინციპები და ამოცანები

1. მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ.

2. მოსწავლის შეფასება არის სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილი. თანამიმდევრული საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად, მოსწავლის შეფასება უნდა დაეფუძნოს სწავლის კონსტრუქტივისტულ პრინციპებს.

3. მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

ა) აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება;

ბ) ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები;

გ) გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად;

დ) მოიცვას სამივე კატეგორიის ცოდნა;

ე) აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში.

4. ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება

1. შეფასება შეიძლება იყოს: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.

2. განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.

3. განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების აღწერილობა

	განმავითარებელი	**განმსაზღვრელი**
მიზნები	სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობა.	მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დადგენა საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.
ამოცანები	ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის შეფასება; წინარე ცოდნის/წარმოდგენების დადგენა; მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარის შეფასება; მოსწავლის მიერ საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად გააზრებული ნაბიჯების გადადგმის უნარის შეფასება; ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესის შეფასება; ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება.	ცოდნათა ურთიერთდაკავშირების უნარის შეფასება; ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენების უნარის შეფასება; ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება.
წარმატების კრიტერიუმი	განხორციელებული წინსვლა წინარე შედეგებთან/ წინარე დონესთან შედარებით.	მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შედარებით
შემფასებელი და შეფასების ფორმები	**მასწავლებელი**: ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი, წამახალისებელი მითითებები, სიმბოლური ნიშნები და ა.შ. **მოსწავლეები**: თვითშეფასებით; ურთიერთშეფასებით.	მასწავლებელი: ქულა (შეიძლება ახლდეს კომენტარი ძლიერი და სუსტი მხარეების აღწერით, ხარვეზების გამოსასწორებელი მითითებებით).

შეფასება დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე

1. I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება. წლის ბოლოს საგნის მასწავლებლებმა უნდა დაწერონ მოსწავლის მოკლე წერილობითი შეფასება, რომელშიც დაახასიათებენ მოსწავლეს, აღნიშნავენ მის წარმატებებს და მიუთითებენ, რაში სჭირდება მოსწავლეს დახმარება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად. კლასის დამრიგებელმა, საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, IV კლასის ბოლოს უნდა დაწეროს შემაჯამებელი წერილობითი შეფასება.

2. V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება. მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით, ყველაზე დაბალი ქულა არის 1, ხოლო ყველაზე მაღალი – 10.

3. V-XII კლასებში სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში, საგანში „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ და არჩევით საგნებში მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა.

მოსწავლის შეფასების კომპონენტები

1. სემესტრის განმავლობაში მოსწავლეები ფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით:

ა) მიმდინარე საშინაო დავალება;

ბ) მიმდინარე საკლასო დავალება;

გ) შემაჯამებელი დავალება.

2. მასწავლებელს შეუძლია სემესტრის განმავლობაში განმავითარებელი შეფასება გამოიყენოს ნებისმიერ კომპონენტში.

3. სემესტრის განმავლობაში განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები ფასდებიან შემდეგ კომპონენტებში:

ა) მიმდინარე საკლასო დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები),

ბ) მიმდინარე საშინაო დავალება (VII-XII კლასები),

გ) შემაჯამებელი დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები).

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს ერთნაირი შეფასებითი ღირებულება გააჩნია.

5. I-VI კლასებში საშინაო დავალების კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.

6. I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.

7. V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება.

	I-IV კლასები და V კლასის პირველი სემესტრი	V კლასის მეორე სემესტრი და VI კლასი	საბაზისო და საშუალო საფეხურები
მიმდინარე საშინაო დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება
მიმდინარე საკლასო დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება
შემაჯამებელი დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება

8. შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება (მაგ., ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შეთხზვა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.). ამგვარ დავალებაში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის პედაგოგმა უნდა შეიმუშაოს მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმები.

9. ეროვნული სასწავლო გეგმა V კლასის მეორე სემესტრის, VI კლასის და საბაზისო-საშუალო საფეხურების თითოეული საგნისათვის განსაზღვრავს სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალურ რაოდენობას.

10. მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება (ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი სავალდებულო მინიმუმი და სკოლის მიერ დამატებით დადგენილი, ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში).

11. თუ მოსწავლე არ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებელ დავალებას გაცდენის გამო, სკოლა ვალდებულია, მისცეს მას გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის საშუალება. შემაჯამებელი დავალებების აღდგენის ვადები და მისი ჩატარების ფორმა განისაზღვრება სასკოლო სასწავლო გეგმით.

12. თითოეული მასწავლებელი ვალდებულია, კათედრას წარუდგინოს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დოკუმენტაცია. აღნიშნულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს: შემაჯამებელი დავალების ნომერი, შემაჯამებელი დავალების პირობა, საგნის სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; კრიტერიუმები, რომლებითაც შეფასდება ეს დავალებები; ასევე, მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი დავალების რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული შემაჯამებელი დავალების ამსახველი ვიზუალური მასალა.

დაკვირვება

მასწავლებლისათვის მოსწავლეებზე **დაკვირვება შეფასების ერთ-ერთი ყველაზე ხელმისაწვდომი ფორმაა.** მასწავლებლები დაკვირვებას აწარმოებენ როგორც ფორმალურ (გაკვეთილის დროს), ისე არაფორმალურ გარემოში (ბავშვებთან ყოველდღიური ურთიერთობისა და თამაშისას). დაკვირვებისას მასწავლებელი ცდილობს, გაარკვიოს ბავშვის ინტერესების სფეროები. მას ასევე შეუძლია გაარკვიოს, როგორ ამყარებს ბავშვი ურთიერთობას უფროსებთან და თანატოლებთან, როგორ სწავლობს. თუკი უეცრად ბავშვი ცვლის ჩვეულ ქცევას, მასწავლებელს ძალუძს, შეამჩნიოს ეს ცვლილება და ეცადოს, შესაბამისი რეაგირება მოახდინოს მასზე.

არსებობს დაკვირვების დოკუმენტირების მრავალი გზა. შესაძლებელია, მასწავლებლებს გამოადგეთ მათ მიერვე შედგენილი სქემები, რომლებშიც გამოყოფილია დაკვირვებისათვის საინტერესო ქცევა.

კლასზე დაკვირვების სქემა

მასწავლებელი ირჩევს ქცევის ტიპებს, რომლებსაც რომელიმე კონკრეტული გაკვეთილის განმავლობაში დააკვირდება, მათ გასწვრივ კი წერს ბავშვების სახელებს. ქვემოთ მოცემულია მაგალითი მხოლოდ ოთხი სახელით. გაკვეთილის განმავლობაში მასწავლებელი ქცევას აღნიშნავს შესაბამის გრაფაში, ქვემოთ წარმოდგენილი პირობითი აღნიშვნებით:

ყ = ყოველთვის
ხ = ხანდახან
ი = იშვიათად
ა = არასოდეს

	დათო	მარიამი	ანა	გიორგი
იღებს მონაწილეობას დისკუსიებში				
ტექსტთან დაკავშირებით გამოთქვამს წინასწარ ვარაუდებს				
ადასტურებს ან უარყოფს წინა ვარაუდებს				
იყენებს ტქსტს, რათა დაასაბუთოს ვარაუდები				
კითხულობს გამართულად				
იყენებს კონტექსტს სიტყვის მნიშვნელობის გამოსაცნობად				
შეუძლია საკუთარი სიტყვებით ტექსტის შინაარსის გადმოცემა				
შეუძლია დავალებების კეთება სხვებთან ერთად				

განმავითარებელი შეფასება

ყველა მასწავლებელი აცნობიერებს კავშირს სწავლებასა და შემაჯამებელ ტესტირებას შორის. როგორც წესი, ეფექტურ სწავლებას მოსწავლეთა კარგი შედეგები მოსდევს შემაჯამებელ ტესტებში. თუმცა არ უნდა გამოვტოვოთ მნიშვნელოვანი ელემენტი – როგორ ამოწმებს მასწავლებელი მოსწავლეთა მოსწრებას არა მხოლოდ სასწავლო პროცესის ბოლოს, არამედ უშუალოდ სწავლის პროცესში. რაც უფრო ხშირად ამოწმებს მასწავლებელი სწავლას, მით უფრო ეფექტურია სწავლება.

განმავითარებელი შეფასების დანიშნულებაა მოსწავლის სწავლის მონიტორინგი და მუდმივი უკუკავშირი, რაც ეხმარება მასწავლებლებს სწავლების, ხოლო მოსწავლეებს _ სწავლის გაუმჯობესებაში. განმავითარებელი შეფასება არის მოსწავლეების სწავლაზე მუდმივი დაკვირვების, აღრიცხვისა და ანალიზის პროცესი. მაგალითად, თუ მასწავლებელი შეამჩნევს, რომ რამდენიმე მოსწავლეს უჭირს გრძელი სიტყვების წაკითხვა ან პერსონაჟის ქცევების დახასიათება, მას შეუძლია შეცვალოს აქტივობები, დავალებები, სასწავლო რესურსები და ამგვარად დაეხმაროს მოსწავლეებს.

მოცემულ შემთხვევებში მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს სიტყვების სკივრი ან მოიტანოს

ცხოვრებისეული მაგალითები პერსონაჟის თვისებების გამოსაკვეთად. განმავითარებელი შეფასების შედეგები მასწავლებელს აჩვენებს, რამდენად ეფექტურად წარმართავს იგი სწავლების პროცესს და საჭიროა თუ არა მისი მხრიდან მიდგომების, სტრატეგიების, რესურსების შეცვლა.

განმავითარებელი შეფასება მოიცავს მიმდინარე შემოწმებას, დაკვირვებას, შეჯამებებსა და განხილვებს, რომლებიც მასწავლებელს საჭირო ინფორმაციას აწვდის სწავლების პროცესში და რომელთა საფუძველზეც მოსწავლეები რეგულარულად იღებენ კონსტრუქციულ უკუკავშირს.

განმავითარებელი შეფასება უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს დიფერენცირებულ საკლასო ოთახშიც, სადაც ერთმანეთის გვერდიგვერდ სხედან განსხვავებული მზაობისა და მიღწევების მქონე მოსწავლეები. რეგულარული განმავითარებელი შეფასების, ანუ ათვისების შემოწმების გარეშე მასწავლებელი ვერ გაიგებს, თუ რა სჭირდება თითოეულ მოსწავლეს სტანდარტებით გათვალისწინებული წარმატების მისაღწევად.

როგორც წესი, მასწავლებლები უფრო აქტიურად იყენებენ საკონტროლო და შემაჯამებელ შეფასებას იმის დასადგენად, თუ რა ოდენობის მასალა აითვისეს მოსწავლეებმა დროის გარკვეულ მომენტამდე. ნასწავლის შეფასების ასეთი ფორმის გამოყენებით ვრწმუნდებით, რამდენად მიაღწიეს მოსწავლეებმა დასახულ სასწავლო მიზნებს სახელმძღვანელოს ერთი თავის გავლის ან დროის გარკვეული მონაკვეთის გასვლის შემდეგ. ნასწავლის განმსაზღვრელი შეფასება მნიშვნელოვანია ანგარიშგების მიზნით, ოღონდ მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს განმავითარებელ შეფასებაზეც, რომელიც აუმჯობესებს მოსწავლეთა სწავლას უშუალოდ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას.

მიუხედავად განმავითარებელი შეფასების მნიშვნელოვანი როლისა, სულაც არაა საჭირო მისთვის ზედმეტი დროის დათმობა. მნიშვნელოვანია, რომ პროექტებისა და თხზულებების გარდა არსებობს განმავითარებელი შეფასების ბევრი ინსტრუმენტი, რომლებიც სწრაფად და იოლად გამოიყენება ყოველდღიურ პრაქტიკაში.

რატომ უნდა გამოვიყენოთ განმავითარებელი შეფასება?

1. განმავითარებელი შეფასება აძლიერებს მოსწავლის რეფლექსიას სწავლის პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ. ამით ის ხელს უწყობს მოსწავლეთა გააქტიურებასა და თვითმონიტორინგს.

2. განმავითარებელი შეფასებისას მოსწავლეთა აზროვნებისა და შემეცნების პროცესები

უფრო თვალსაჩინო ხდება როგორც თვით მოსწავლეებისათვის, ისე მასწავლებლისათვის. ეს ეხმარება მასწავლებელს ადეკვატური მეთოდებისა და სასწავლო რესურსების შერჩევაში.

3. განმავითარებელი შეფასება მოსწავლეებს ეხმარება იმის გაცნობიერებაში, თუ რას სწავლობენ და რამდენად კარგად ეუფლებიან ცოდნას.

4. განმავითარებელი შეფასება გვეხმარება იმის განსაზღვრაში, თუ რამდენად მზადაა ბავშვი, რომ ცოდნა და უნარები ახალ სიტუაციებში გამოიყენოს.

5. განმავითარებელი შეფასება გვეხმარება სწავლების დიფერენცირებაში, ჯგუფების სწორად დაკომპლექტებაში და მოსწავლეებისთვის ადეკვატური დავალებების შერჩევაში.

6. მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასებით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მასწავლებელს შეუძლია შეაფასოს ჩატარებული გაკვეთილის ეფექტურობა.

7. განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების უნარების განვითარებას.

8. განმავითარებელი შეფასება ეხმარება სასწავლო პროცესის მონაწილეებს კონსტრუქციული უკუკავშირის გაცემასა და გამოყენებაში (მასწავლებელი-მოსწავლე, მოსწავლე-მოსწავლე, მოსწავლე-მასწავლებელი).

9. განმავითარებელი შეფასების მეშვეობით მასწავლებელი ღებულობს ინფორმაციას და გა-

11. განმავითარებელი შეფასება კომფორტს უქმნის და თავდაჯერებას მატებს მოსწავლეს მოსაზრებების საჯაროდ გამოხატვისას.

კვირის განმავლობაშიმრავალფეროვანიგანმავითარებელი შეფასების გამოყენებით მასწავლებელი მიიღებს რეალურ სურათს იმის შესახებ, თუ რა აქვთ ათვისებული და კიდევ რის ათვისება სჭირდებათ მოსწავლეებს საბოლოო მიზნის მისაღწევად. ყოველდღიურად, სულ მცირე, თითო ტიპის განმავითარებელი შეფასების გამოყენებით მასწავლებელს ეძლევა საშუალება, შეაფასოს სწავლის პროცესი და მიიღოს პასუხი საკვანძო კითხვებზე: როგორ ვითარდება თითოეული მოსწავლის ცოდნა და უნარები? რით შემიძლია დავეხმარო მოსწავლეებს ამა თუ იმ დავალების შესრულებასა თუ უნარის განაფვაში?

ეფექტურ საკლასო ოთახში განმავითარებელი შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. კარგი მასწავლებლები:

- მუდმივად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, როგორც ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს;
- შეაქვთ ადეკვატური ცვლილება-დამატებები სწავლების პროცესში მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით;
- სწრაფად რეაგირებენ ცალკეულ მოსწავლეთა შეფერხებებზე და სთავაზობენ მათ ადეკვატურ დახმარებას (სკაფოლდინგი); აძლევენ ამ მოსწავლეებს ხელახლა მოსინჯვისა და წარმატების მიღწევის შანსს;
- ადეკვატურ აქტივობებში ჩართვითა და სათანადო სირთულის დავალებების მიცემით

შემდგომი განვითარების შესაძლებლობას აძლევენ წარმატებულ მოსწავლეებს.

მოსწავლეთა მიერ საკითხის/უნარის ათვისების გადამოწმების შემდეგ მასწავლებელი სვამს ისეთ შეკითხვებს, როგორებიცაა:

- ვის სჭირდება ახლა ჩემი ყურადღება?
- რომელი მოსწავლეები საჭიროებენ სწავლების სხვაგვარ მიდგომებს?
- რომელი მოსწავლეები ვერ ახერხებენ ახალი ცოდნის დაუფლებას?
- რა შემიძლია გავაკეთო იმისთვის, რომ თითოეულმა მოსწავლემ გადადგას ნაბიჯი ახალი უნარების გამოყენების მიმართულებით?

სწავლისა და ათვისების შემოწმება მოითხოვს მასწავლებლის დიდ ძალისხმევასა და ერთგულებას. მასწავლებელმა უნდა გაისიგრძეგანოს, რომ მოსწავლეებს აქვთ განსხვავებული საჭიროებები, რომლებსაც უნდა მოვარგოთ სწავლების მეთოდები და ტემპი. ზოგიერთი მოსწავლე მყისიერად იგებს ახალ საკითხს და ამიტომ შედარებით რთული დავალებები სჭირდება განვითარებისთვის. ზოგიერთი მოსწავლისთვის კი განმეორებითი სწავლება და ნაბიჯ-ნაბიჯ დახმარებაა აუცილებელი.

ეფექტური აქტივობები და ინსტრუმენტები განმავითარებელი შეფასებისთვის არსებობს განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტთა ვრცელი ნაირსახეობა. ეს ინსტრუმენტები (შემაჯამებელი შეკითხვები – *დროგამოშვებით მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს წერილობით დავალებას და სთხოვს, ფურცლის/ბარათის ერთ მხარეს დაწერონ დამუშავებული ტექსტის მთავარი აზრი მაქსიმუმ სამი წინადადებით;*

ფურცლის მეორე მხარეს კი დასვან შეკითხვა ტექსტის იმ ნაწილის შესახებ, რომელიც კარგად ვერ გაიგეს; 12-სიტყვიანი რეზიუმე (შეჯამება) – *გაკვეთილის დასრულებისას მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაწერონ რეზიუმე (შეჯამება), რომლისთვისაც მხოლოდ 12 სიტყვას გამოიყენებენ. ეს ეხმარება მასწავლებელს იმის დადგენაში, თუ რამდენად აითვისეს მოსწავლეებმა გაკვეთილის მასალა და მისი ძირითადი კომპონენტები. სიტყვების რაოდენობის შეზღუდვა `აიძულებს~ მოსწავლეებს, ყველაზე მნიშვნელოვან აზრებს მოუყარონ თავი. შესაძლებელია სიტყვების ნაცვლად წინადადებების რაოდენობის შეზღუდვაც (მაგალითად, დაწერონ რეზიუმე ორი ან სამი წინადადებით);* ერთწუთიანი ესეი – *სწრაფი წერილობითი რეაგირება კონკრეტულ შეკითხვაზე;* ცნების/გონებრივი რუკა – *მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, შეავსონ სხვადასხვა ვიზუალური სქემა/გრაფიკული ორგანიზატორი. შევსებული სქემების/ფორმების გადამოწმებით მასწავლებელი დაადგენს, თუ როგორ გაიაზრეს მოსწავლეებმა კავშირები და მიმართებები ცნებებს, მოვლენებს, იდეებს შორის.* და ა.შ.) გვეხმარება, სწრაფად გადავამოწმოთ მიმდინარე სასწავლო სიტუაციის ეფექტურობა. მათი გამოყენებით შეგვიძლია სწრაფად გავიგოთ, თუ როგორ მოგვყვებიან მოსწავლეები, რას ითვისებენ და რაში სჭირდებათ დამატებითი დახმარება.

კონსტრუქციული უკუკავშირი

უკუკავშირი არის რეაგირება იმაზე, თუ როგორ ასრულებს მოსწავლე ამა თუ იმ დავალებას და როგორ იყენებს ცოდნას/უნარებს მისი შესრულების დროს. როგორც წესი, უკუკავშირს ზეპირი ან წერილობითი კომენტარის სახე აქვს და მოიცავს შეფასებას, წახალისებას და რჩევებს. უკუკავშირი სწავლის შეფასების არსებითი ნაწილია. სწავლის შეფასება განსხვავდება ნასწავლის შეფასებისგან. მისი საშუალებით შეგროვებული ინფორმაცია კონკრეტული მიზნით გამოიყენება – დავეხმაროთ მოსწავლეებს აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში უშუალოდ სწავლის პროცესში, ანუ მანამდე, სანამ შემაჯამებელ შეფასებამდე მივალთ. როგორ ზემოქმედებს უკუკავშირი მოსწავლეთა სწავლის მოტივაციასა და შედეგებზე? მრავალი კვლევა ადასტურებს უკუკავშირის დიდ გავლენას მოსწრებაზე. აღმოჩნდა, რომ გავლენა შეიძლება იყოს დადებითიც იყოს და უარყოფითიც. ეს ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული: უკუკავშირის ტიპზე, მიწოდების დროსა და ფორმაზე. ამას გარდა, უკუკავშირის სტრუქტურა, ფოკუსი და მოცულობაც მნიშვნელოვნად განაპირობებს მის ეფექტურობას. უკუკავშირის ზოგიერთი ტიპი, მაგალითად, უხეში ნეგატიური შეფასება, სხვა მოსწავლეებთან შედარება, საჯაროდ გაკრიტიკება კლასის წინაშე, გამოკვეთილად უარყოფით ზეგავლენას ახდენს სწავლასა და მოტივაციაზე. ასეთი უკუკავშირი შთააგონებს მოსწავლეებს, რომ ისინი არასაკმარისად უნარიანები არიან, რაც ამცირებს მათ სწრაფვას წარმატებისკენ. ეფექტური უკუკავშირი აუცილებლად შეიცავს პასუხს სამ შეკითხვაზე:

1. რა გაკეთდა კარგად?

კომპლიმენტი და შექება აუცილებელია იმისათვის, რომ მოსწავლემ: • უმტკივნეულოდ მიიღოს კრიტიკული შენიშვნები და დაიწყოს ფიქრი გასაუმჯობესებელ მხარეებზე; • გააცნობიეროს საკუთარი ძლიერი მხარეები და აქტიურად გამოყენოს ისინი მომავალში; • თავდაჯერებულად და მოტივირებულად გააგრძელოს სწავლა. მნიშვნელოვანია, რომ უკუკავშირი შეიცავდეს ერთზე მეტ კომპლიმენტს სამუშაოს შესრულების სრულიად კონკრეტული ასპექტების შესახებ. უნდა მოვერიდოთ დაუმსახურებელ ქებას.

2. რა საჭიროებს გაუმჯობესებას?

ზოგჯერ აუცილებელია სამუშაოს შესრულების ნეგატიურ ასპექტებზე კონცენტრირება, რათა მოსწავლემ: • ყურადღება გაამახვილოს გასაუმჯობესებელ მხარეებზე და გააანალიზოს ისინი; • შეგნებულად აარიდოს თავი ხარვეზების გამეორებას მომავალში. მნიშვნელოვანია, რომ უკუკავშირი კონკრეტულად აღწერდეს იმას, თუ რის გაუმჯობესებას მოელიან მოსწავლისგან. ზოგჯერ მეტად სასარგებლოა რეფლექსიური შეკითხვის დასმა, რათა მოსწავლემ თავად გამოთქვას გასაუმჯობესებელი მხარეები. უნდა მოვერიდოთ პიროვნების გაკრიტიკებას, მკაცრ ტონს და ისეთ ასპექტებზე საუბარს, რომელთა ფაქტობრივი დასაბუთებაც გაგვიძნელდება.

3. როგორ უნდა გაუმჯობესდეს ..... ?

ეფექტური უკუკავშირი მოსწავლეს აწვდის დეტალურ და კონკრეტულ ინფორმაციას სწავლის გაუმჯობესების გზების შესახებ. მოსწავლემ აუცილებლად უნდა მიიღოს მკაფიო მითითებები და რჩევები გაუმჯობესებისთვის საჭირო შემდგომი მოქმედებების შესახებ, რათა მან: • აიღოს პასუხისმგებლობა გაუმჯობესებაზე; • გადადგას პრაქტიკული, თანმიმდევრული ნაბიჯები სამუშაოს უკეთ შესასრულებლად და სასწავლო მიზნის მისაღწევად; • გაუძლიერდეს თვითრწმენა და სამუშაოს უკეთ შესრულების მოლოდინი. მნიშვნელოვანია, რომ უკუკავშირი კონკრეტულ (არაბუნდოვან და არააბსტრაქტულ) ინფორმაციას იძლეოდეს იმის შესახებ, თუ რა უნდა გააკეთოს მოსწავლემ უკუკავშირის მიღების შემდეგ. კვლევა და პრაქტიკა გვეუბნება, რომ უკუკავშირს კონსტრუქციული ეფექტი აქვს, როდესაც ის: – მიბმული და ფოკუსირებულია დასახულ სასწავლო მიზნებზე/ამოცანებზე. მოსწავლისთვის ნათელი უნდა იყოს, თუ რის ცოდნას და რომელ უნარს ეხება უკუკავშირი; - არის კონკრეტული. არ არის ზოგადი და ფრაგმენტული. ფოკუსირებულია სწავლის ერთ ან ორ პრაქტიკულ ასპექტზე. შეიცავს დეტალებსა და ინფორმაციას კონკრეტული დავალების/აქტივობის შესრულების შესახებ; - იძლევა სასარგებლო, პრაქტიკულ ინფორმაციას ამა თუ იმ უნარის განაფვისათვის ან სტრატეგიის გამოყენებისათვის, ასევე, რჩევებს კონკრეტული ხარვეზის აღმოსაფხვრელად. რეკომენდაციების განხორციელება შესაძლებელია დროის განსაზღვრულ პერიოდში; – არის ობიექტური, ეყრდნობა ფაქტობრივ ინფორმაციას და გამყარებულია კონკრეტული მაგალითებით. აღწერითი ტიპისაა და არ ეხება მოსწავლის პიროვნულ მახასიათებლებს; – ფორმულირებულია მკაფიოდ, გასაგებად და მეგობრული ტონით. არ შეიცავს უხეშ კრიტიკას და ბუნდოვან, ზოგად მითითებებს. არ არის ზედმეტად ვრცელი; – არის დროული. მიეწოდება სამუშაოს/დავალების შესრულების პროცესში, სამუშაოს დასრულებისთანავე ან დასრულებიდან არცთუ დიდი დროის გასვლის შემდეგ. მომდევნო შანსი მოსწავლეს წუთებისა და საათების შემდეგ მიეცემა და არა – კვირებისა და თვეების შემდეგ; - არის მიმდინარე და უწყვეტი. მიეწოდება ხშირად და რეგულარულად. მნიშვნელოვანია, რომ უკუკავშირი კონსტრუქციულად დაიწყოს. ქვემოთ მოყვანილია უკუკავშირის ტექსტის გახსნითი ფრაზები, რომლებიც დაგეხმარებათ მოსწავლის საჭიროებებსა და კონკრეტულ სასწავლო მიზნებზე ორიენტირებული უკუკავშირის ჩამოსაყალიბებლად: • ეს კარგი ნაშრომია, რადგან ..... • შენი ნააზრევიდან გამოჩნდა, რომ ..... • შენ მართლაც კარგად გააკეთე ორი რამ: ..... და ..... • სასურველია, რომ ამის შემდეგი ნაბიჯი იყოს ..... • იქნებ გეცადა ..... • საკითხის ახსნისას შენ ..... • კიდევ ერთი რამ, რაც უნდა გააუმჯობესო, არის ..... • შენ გჭირდება უფრო მეტი ძალისხმევა, რათა ..... • შენ ნაკლებად გჭირდება ..... • შეეცადე, მეტი ყურადღება დაუთმო ..... • გაიხსენე, როგორ ვაკეთებთ ..... • შემდეგ ჯერზე გამოიყენე ..... სასწავლო მიზნების მისაღწევად მოსწავლეებს სჭირდებათ უწყვეტი უკუკავშირი. უკუკავშირი ეხმარება მოსწავლეებს, რომ მასწავლებლის მიერ მიცემული დავალებები აღიქვან, როგორც სწავლისა და განვითარების შესაძლებლობა და არა მათი გაკრიტიკების საშუალება. ხშირი, ეფექტური უკუკავშირი მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა წარმატებას მიაღწიეს და, ამასთანავე, როგორ მიაღწიონ უკეთეს შედეგს მომავალში. მთავარია, რომ უკუკავშირის მიღების შედეგად მოსწავლემ გააცნობიეროს არსებული მდგომარეობა და პრაქტიკული ნაბიჯები გადადგას სასწავლო მიზნის მისაღწევად.

გამოყენებული წყარო:
http://kargiskola.ge/teacherintro/teacher-resurswignebi-maswavleblebistvis.php

7. პრაქტიკული ნაწილი – გაკვეთილების გეგმები და სცენარები, მოსასმენი ტექსტები

თავი I – წიგნი

გამოცანა

მიზანი და მოსალოდნელი შედეგები (სტანდარტის მიხედვით)

მოსწავლე დაეუფლოს კითხვის ტექნიკას: მოძებნოს მითითებული სიტყვა/მონაკვეთი ტექსტში; გაიგოს უცნობი სიტყვა კონტექსტის გათვალისწინებით; მიუბრუნდეს ტექსტს პასუხის დასაზუსტებლად; მთლიანობაში დააკვირდეს ტექსტის სტრუქტურას.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დაწყ.(I).6. მოსწავლემ უნდა შეძლოს გაწაფულად კითხვა.

- თავისუფლად კითხულობს ნაცნობ და უცნობ სიტყვებს, ცდილობს, დაიცვას სათანადო ტემპი;
- ხმამაღლა, თავისუფლად კითხულობს მასწავლებლის მიერ მითითებულ ეპიზოდს, მცირე ზომის ტექსტებს;

ქართ.დაწყ.(I).9. მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; ტექსტის თემის და/ან მასში განხილული კონკრეტული საკითხების შეფასება.

- ასახელებს მულტფილმებს, სურათებს, ნახატებს, მოსმენილ და წაკითხულ ნაწარმოებებს, რომლებიც გაახსენდა ტექსტის კითხვის დროს; მსჯელობს მათ შორის, მსგავსება-განსხვავებაზე.

ქართ.დაწყ.(I).10. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მაორგანიზებელი ელემენტების, სტრუქტურული და კომპოზიციური მახასიათებლების ამოცნობა.

- მთლიანობაში აკვირდება ტექსტის სტრუქტურას, მის სიტყვიერ და არასიტყვიერ მაორგანიზებელ ელემენტებს (სათაურს, რუბრიკას, ილუსტრაციას, წარწერას, აბზაცს, სვეტს, ლოგოს, ტიპოგრაფიულ მახასიათებლებს, მაგ., მსხვილ შრიფტსა და სხვ.) ინფორმაციის ამოკრების მიზნით;

გაკვეთილის ეტაპები

აქტივობა 1. *მოსმენა, კითხვა*

მისალმების შემდეგ, მოტივაციის გაჩენის მიზნით, მასწავლებელი მოსწავლეებს „გაუმხელს“ ერთ უჩვეულო ამბავს: მათი სახელმძღვანელოს პირველი თავის პირველივე გაკვეთილი გამოცანებით იწყება.

მოსწავლეები მიიღებენ დავალებას:

– წიგნში ორი გამოცანაა. წინასწარ გეტყვით, რომ ამ გამოცანებს ერთი და იგივე პასუხი აქვს. ერთად წავიკითხოთ. ვინც პასუხს გამოიცნობს, არ წამოიძახოს, ბარათზე (ფურცელზე) დაწეროს და სხვებსაც დაელოდოს.

შემდეგ მკაფიოდ წაიკითხავს ორივე ტექსტს; ბავშვებს კი სთხოვს, წიგნში ნაწერს თვალი გაადევნონ.

(მასწავლებელი ჯერჯერობით არ ანაწევრებს გამოცანის მთლიან შინაარსს. არ უნდა გამოიკითხოს, მაგალითად, რომელიმე სიტყვის პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობა; არ შეაჩეროს ყურადღება

ავტორზე).

სახელმძღვანელოში მოცემული გამოცანები:

თეთრი ხნული, შავი თესლი,
თესლი მთესველს ეუბნება.
(წიგნი)

უენოა, მაგრამ უხმოდ
ბევრი რამ კარგის მთქმელია,
სულელის დაწუნებული,
ჭკვიანის სანატრელია.
(წიგნი)

ვარიანტი I: სავარაუდოდ, გამოცანები ერთმანეთს შეავსებს, ბავშვებს სახელმძღვანელოს ამ თავის სათაურიც დაეხმარება და ისინი გამოიცნობენ, რომ პასუხია „წიგნი". ასევე, მოსალოდნელია, ზოგმა იცოდეს კიდეც პირველი – ცნობილი ხალხური გამოცანა.

ვარიანტი II: ბავშვებმა პასუხი ვერ გამოიცნეს. ამ შემთხვევაში მასწავლებელი არ არღვევს „თამაშის წესს" და გამოცანითვე მიახვედრებს მათ პასუხს:

– ის, რაც თქვენ წინ დევს, ამ გამოცანების პასუხია.

გაკვეთილის ეს მონაკვეთი მოიცავს მოსწავლის მიერ საკუთარი გამოცდილებისა თუ ცოდნის გამოყენებასაც. ბავშვი ცოდნას უშუალოდ გამოავლენს, ან ზოგადად გამოცანის სპეციფიკის ცოდნასა და აღქმაში თავის გამოცდილებას გამოიყენებს.

აქტივობა 2. *წაკითხულის გააზრება; მეტყველება*

ვიწყებთ ამოცანების ანალიზს:

ა) ლექსიკურ მარაგზე დაყრდნობით:

ვამოწმებთ, იციან თუ არა მოსწავლეებმა პირველი გამოცანის საკვანძო სიტყვების (ხნული, თესლი) მნიშვნელობები.

მასწავლებელი ეკითხება კლასს:

– ამ გამოცანაში გვხვდება ხნული და თესლი; ამათგან რომელი სიტყვა უკავშირდება მიწას და რომელი – მცენარეს?

შემდეგ კი ვარკვევთ ამ სიტყვათა გადატანით მნიშვნელობებს.

მასწავლებლის შეკითხვები:

– როგორ ფიქრობთ, ამათგან რომელი სიტყვა გულისხმობს ფურცელს და რომელი – ასოს?

– წაიკითხეთ და დააკვირდით, რომელმა მინიშნებამ მიგახვედრათ, რომ აქ ხნული მიწას კი არა, ფურცელს ნიშნავს, თესლი კი ასოებს? (თეთრი – შავი).

– თუ თესლი ასოებია, სიტყვა მთესველი ვის გულისხმობს? (დამწერს/მკითხველს; მას, ვისაც ასოების დაწერა/წაკითხვა შეუძლია).

– დააკვირდით პირველ გამოცანას, კიდევ რომელი სიტყვა გვეხმარება პასუხის გამოცნობაში? (ეუბნება).

ბ) კრიტიკული შეფასების უნარზე დაყრდნობით:

ვამოწმებთ, შეუძლიათ თუ არა მოსწავლეებს, უფრო დამოუკიდებლად, ნაკლები დახმარების გარეშე გააანალიზონ მეორე გამოცანა.

მასწავლებელი:

– მეორე გამოცანაში რომელი მინიშნებები, რომელი სიტყვები მიგვახვედრებს პასუხს? კარგად დააკ-ვირდით პირველ და მეორე სტრიქონებს და იპოვეთ მინიშნება!

ბავშვებს გამოვათქმევინოთ საკუთარი ვერსიები.

მოსალოდნელი პასუხები: 1. უენოა; 2. უხმოდ მთქმელია; 3. ბევრი რამ კარგის მთქმელია.

– რომელი სიტყვები მიგვანიშნებს, რომ წიგნი ცოდნას გვაძლევს? (ბევრი რამ კარგის მთქმელია.)

შემდეგ საგანგებო ყურადღება მივაქციოთ გამოცანის მეოთხე სტრიქონს (ჭკვიანის სანატრელია.)

მასწავლებელი:

– წაიკითხეთ მეოთხე სტრიქონი და თქვენი სიტყვებით ახსენით.

სასურველია, მასწავლებელმა გამოაცხადოს „ფიქრის წუთები“: ყველა თავისთვის ფიქრობს, როგორ ახსნას ამ სტრიქონის შინაარსი.

მოსალოდნელი პასუხები: 1. ჭკვიანს წიგნი ძალიან უყვარს; 2. ჭკვიანი ბევრს კითხულობს...

აქტივობა 3. *კითხვა*

ვუბრუნდებით კითხვას. გამოიყენეთ ამორჩევით კითხვის სტრატეგია (ერთი რომელიმე ფრაგმენტის მოძებნა და წაკითხვა):

ა) სთხოვეთ რომელიმე მოსწავლეს, ხმამაღლა წაიკითხოს პირველი გამოცანის მეორე სტრიქონი.

ბ) სხვა მოსწავლეს სთხოვეთ, ხმამაღლა წაიკითხოს მეორე გამოცანის მეორე სტრიქონი.

გამოიყენეთ, ასევე, სტრატეგია – „ექო მკითხველი“: ჯერ მასწავლებელი კითხულობს პირველ სტრიქონს, შემდეგ იმავეს ერთად ხმამაღლა კითხულობენ ბავშვები (ექო მკითხველები), მასწავლებელი წაიკითხავს მომდევნო სტრიქონს, იმავეს წაიკითხავენ ბავშვები... კითხვაში ასეთი ვარჯიში ხელს შეუ-წყობს გამოცანების დასწავლასაც.

შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს, წიგნში დააკვირდნენ გამოცანებს და უპასუხონ თქვენ მიერ დასმულ შეკითხვებს:

– რომელი გამოცანაა ლექსად გამოთქმული? (მეორე)

– ვის მოუფიქრებია ეს ლექსი-გამოცანა? (აკაკი წერეთელს)

– პირველი გამოცანაც აკაკი წერეთლის მოგონილია? (არა, ხალხურია.)

– შეგიძლიათ, გაიხსენოთ კიდევ ერთი ქართული ხალხური გამოცანა?

თუ გახსენება გაუძნელდებათ, თქვენ დაეხმარეთ.

შეახსენეთ გამოცანები:

დავკარ ხმალი,
არ დააჩნდა კვალი (წყალი).

მიდის, მოდის,
იქავე დგას (კარი).

აქტივობა 4. *მეტყველება (5 წუთი)*

მოსწავლეებს შეახსენეთ მოთხრობა „თხა და გიგო“; როგორ უნდოდა გიგოს წიგნის კითხვით თავის გამოჩენა და სინამდვილეში რა შეემთხვა მას.

შემდეგ სთხოვეთ ბავშვებს, დაუკავშირონ ეს მოთხრობა გამოცანებს და მოამზადონ პასუხი შეკითხვაზე: როგორი უნდა იყოს ნამდვილი მკითხველი? გამოაცხადეთ „ფიქრის წუთები“.

მოსალოდნელი პასუხი: ნამდვილი მკითხველი წიგნს სიამოვნებით უნდა კითხულობდეს; ბევრ წიგნს უნდა კითხულობდეს; ყურადღებით კითხულობდეს; წიგნიდან ცოდნას იძენდეს...

აზროვნების ამ პროცესს, ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით, მისადაგება ეწოდება. მოსწავლემ მცირე დახმარების შედეგად უნდა შეძლოს უკვე ნასწავლი მასალის სხვა მასალასთან მისადაგება, შეჯერება და ახალი აზრის გამოკვეთა.

ცხრილის ნიმუში:	
ვიცოდი	გავიგე

აქტივობა 5. *კითხვა, წაკითხულის გააზრება*

გამოაცხადეთ „კითხვის წუთები“ და სთხოვეთ მოსწავლეებს, ჩუმად წაიკითხონ გვერდის ბოლოს მოცემული ტექსტი – გამოცანა. კითხვის დასრულების შემდეგ დაფაზე დახაზეთ მოცემული ცხრილი.

ჰკითხეთ მოსწავლეებს, რა ეწერა ტექსტში ისეთი, რაც მათ წაკითხვამდე იცოდნენ და პასუხები ცხრილის მარცხენა ნაწილში ჩამოწერეთ.

შემდეგ დააზუსტეთ, რა იყო მათთვის ახალი, რა გაიგეს ისეთი, რაც აქამდე არ იცოდნენ. პასუხი მარჯვენა მხარეს ჩაწერეთ.

მოსალოდნელი პასუხები:

ვიცოდი: 1. გამოცანას ზოგჯერ ლექსად გამოთქვამენ. 2. გამოცანის პასუხი წინასწარ უნდა იყოს ჩაფიქრებული.

გავიგე: გამოთქმა – გამოცანა გერგება!

აქტივობა 6. *კითხვა და მოსმენა*

სახალისო თამაში „გამოცანა გერგება“!

ა) წინასწარ გაამზადეთ ექვსი ბარათი; ორ ბარათზე ერთი და იგივე გამოცანა უნდა ეწეროს. ასე რომ, სულ სამი გამოცანა დაგჭირდებათ.

ჩამოწერეთ დაფაზე მხოლოდ პასუხები.

დაყავით კლასი ექვს გუნდად და მათგან ორ-ორს (ე. ი. ერთმანეთის მეტოქეებს) მიეცით ერთნაირი ბარათები; გუნდმა სწორი პასუხი უნდა შეარჩიოს, ბარათზევე დაწეროს და მასწავლებელს გადასცეს. იმ გუნდს, რომელიც სწორი პასუხის ჩაბარებას მეტოქეს დაასწრებს, გამოცანა ერგება (ე. ი. ის ამ ბარათის მფლობელი ხდება).

შენიშვნა: თუ კლასი დიდია და გუნდებად დაყოფა ხმაურს გამოიწვევს, ექვსი მოსწავლე შეარჩიეთ და კლასის წინაშე ათამაშეთ.

როცა ბავშვები საკუთარ ადგილებთან დასხდებიან, წაიკითხეთ და კლასთან ერთად განიხილეთ სამივე

გამოცანა, გამოარკვიეთ, ამათგან რომელი იცოდნენ; მათი აზრით, რომელია ძნელად გამოსაცნობი და ა. შ.

ბ) ეთამაშეთ მთელ კლასს. წაუკითხეთ მათ აკაკი წერეთლის კიდევ ერთი გამოცანა და გამოავლინეთ, ვის ერგება ის:

(თუ პასუხის გამოცნობა გაუძნელდებათ, ტექსტი დაფაზე დაწერეთ და მინიშნებებით დაეხმარეთ).

გამოცანები ბარათებზე:

გარეთ ატლასი,
შიგნით ათასი.
(ბროწეული)

გამოცანას მოგახსენებ,
დიდი არაფერიაო,
ალაგ წითელ, ალაგ ყვითელ, ალაგ ალისფერიაო.
(ხალიჩა)

წითელი ხარის ნაძოვზე
ბალახი აღარ ამოდის.
(ცეცხლი)

წაუკითხეთ გამოცანა:

თეთრი რამ შავზე დახტოდა,
სტოვებდა თეთრსა კვალსაო,
კვალშივე ედგა ყმაწვილი,
არ აშორებდა თვალსაო.
(დაფა და ცარცი)

გაკვეთილის დასასრულს ჩაანიშნინეთ მოსწავლეებს წიგნში მოცემული წერითი დავალება სახლში შესასრულებლად (გამოიყენონ სიტყვა წიგნი და შეადგინონ ორი წინადადება. შეეცადონ, წინადადებაში არ იყოს 5 სიტყვაზე ნაკლები. მოსწ. წიგნი, გვ. 8).

შეფასება

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, რამდენად შეძლეს მითითებული სიტყვების/ფრაზების პოვნა ტექსტში, ტექსტის სტრუქტურაზე დაკვირვება.

წიგნი ვის ეკუთვნის?

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები (სტანდარტის მიხედვით)

მოსწავლემ შეძლოს წაკითხული ტექსტის შინაარსის გაგება-გააზრება, კითხვების ჩამოყალიბება, არსებითი სახელების ამოცნობა, ტექსტის შინაარსის გაგების საფუძველზე ზედსართავი სახელების მისადაგება არსებითი სახელებისთვის.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დაწყ.(I).7.მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთადაკავშირება.

1. ამოიცნობს პერსონაჟების მოქმედებებს, გრძნობებს, ემოციებს;
2. განსაზღვრავს რეპლიკის ავტორს, ადრესატსა და მიზანს (რჩევის მიცემა, ინფორმირება, ახსნა, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა და სხვ.).

წინარე ცოდნა

მოსწავლეებმა იციან არსებითი სახელები და მათი მახასიათებლები, შეუძლიათ ტექსტის გამართულად წაკითხვა, წაკითხულის შინაარსის გააზრება.

გაკვეთილის მსვლელობა

ორგანიზების ფორმები: საერთო საკლასო, წყვილური, ინდივიდუალური.

აქტივობა 1. *მოტივაცია*

მოტივაციის მიზნით, მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს სათაურის გააზრებით. სვამს კითხვას: ვის შეიძლება ეკუთვნოდეს წიგნი? მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს. ნებისმიერი პასუხი შეიძლება იყოს მისაღები. პასუხებს მასწავლებელი ჩამოწერს დაფაზე.

აქტივობა 2. *ტექსტის წაკითხვა*

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გადაშალონ სახელმძღვანელოები მოთხრობაზე „წიგნი ვის ეკუთვნის?“.

მასწავლებელი სთხოვს რომელიმე მოსწავლეს ხმამაღლა, პაუზების დაცვითა და შესაბამისი ინტონაციით ტექსტის წაკითხვას.

აქტივობა 3. *კითხვის დასმა*

მასწავლებელი აწყვილებს მოსწავლეებს და სთხოვს, მოიფიქრონ 2-2 კითხვა ტექსტის შესახებ და პასუხების გასაცემად გაუცვალონ ერთმანეთს. აქტივობის დასასრულს მასწავლებელი რამდენიმე მათგანს ახმამაღლა ათქმევინებს კითხვებს. ეს დაეხმარება, გაარკვიოს, რამდენად გაიგეს მოსწავლეებმა ტექსტის შინაარსი.

შენიშვნა: თუ მასწავლებელი დაინახავს, რომ მოსწავლეებს გაუჭირდათ მსგავსი აქტივობის შესრულება, შეუძლია თავად დასვას კითხვები, ყურადღება გაამახვილოს ძმების დამოკიდებულებაზე წიგნის მიმართ, ძმების ურთიერთობაზე, მეზობლის რეპლიკაზე...

აქტივობა 4. *ენობრივი მასალის გააქტიურება*

მასწავლებელის სთხოვს მოსწავლეებს, ამოწერონ არსებითი სახელები და მათი მახასიათებლები (მოხუცი კაცი, მოდავე ძმები, სასაცილო კაცი). თუ არსებით სახელს არ უწერია მახასიათებელი, თავად მოიფიქრონ, ტექსტიდან გამომდინარე, და დაასაბუთონ თავიანთი მოსაზრება (მაგალითად: ჭკვიანი მეზობელი, რადგან დაეხმარა ძმებს შეცდომის გააზრებაში.).

აქტივობა 5. *შეჯამება*

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ამჯერად, ტექსტიდან გამომდინარე, დაწერონ პასუხი კითხვაზე: „წიგნი ვის ეკუთვნის?“

საშინაო დავალება

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებას: მოამზადონ ტექსტი თხრობით.

შეფასება

ყველა მოსწავლე შეფასდება იმის მიხედვით, რამდენად შეუძლია წაკითხული ტექსტის შინაარსის გაგება-გააზრება, კითხვების ჩამოყალიბება, არსებითი სახელების ამოცნობა, ტექსტის შინაარსის გაგების საფუძველზე ზედსართავი სახელების მისადაგება არსებითი სახელებისთვის.

ქართული ანბანი

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები (სტანდარტის მიხედვით)

მოსწავლემ უნდა გაიგოს, რომ ანბანში ასოების თანამიმდევრობა წინასწარ დადგენილია. მოსწავლეები შეძლებენ მასწავლებლის მიერ მიცემული ინსტრუქციების შესრულებას.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დაწყ.(I).1. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სამეტყველო ქცევის გამოვლენა ნაცნობ საკომუნიკაციო სიტუაციაში.

- ადეკვატურად რეაგირებს ნაცნობ სამეტყველო სიტუაციაში;

ქართ.დაწყ.(I).6. მოსწავლემ უნდა შეძლოს გაწაფულად კითხვა.

- თავისუფლად კითხულობს ნაცნობ და უცნობ სიტყვებს, ცდილობს, დაიცვას სათანადო ტემპი.

გაკვეთილის ეტაპები

აქტივობა 1. *მოსმენა, მეტყველება*

სთხოვეთ მოსწავლეებს, გაიხსენონ, როგორ მთავრდება აკაკი წერეთლის ლექსის ნაწყვეტი, რა ითქვა ბოლო სტრიქონში? („პირველი ასო არის ა“).

შემდეგ იკითხეთ:

– რა არის ამ ლექსის სათაური? (ქართული ანბანი). აღნიშნეთ, რომ პოეტი ბოლო სტრიქონში, რა თქმა უნდა, ანბანს გულისხმობს, ა ქართული ანბანის პირველი ასოა.

დასვით შეკითხვა:

– ქართულის გარდა, კიდევ რომელი ანბანი იცით?

მოსალოდნელია, რომ ბავშვები რომელიმე უცხო ენის ანბანს გაიხსენებენ. სთხოვეთ მათგან ერთ-ერთს, გამოვიდეს დაფასთან და გვერდით მიუწეროს ქართულ ა-ს შესაბამისი ასო სხვა ანბანიდან და წარმოაჩინოს, რომ ისინი ერთმანეთისაგან აშკარად განსხვავდება.

აქტივობა 2. *მოსმენა, კითხვა*

 განმარტეთ, რომ ანბანში ასოები აუცილებლად გარკვეული თანამიმდევრობით არის დალაგებული: ე. ი. ასოებს ჩვენს ნებაზე ვერ ჩამოვთვლით, ანბანის ყველა ასოს თავისი ადგილი აქვს; ეს თანამიმდევრობა კი სხვადასხვა ანბანში სხვადასხვაგვარია.

დასვით შეკითხვა:

– როგორია ასოების თანამიმდევრობა ქართულ ანბანში?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად გადააშლევინეთ მოსწავლეებს წიგნები მე-11 გვერდზე (სახალისო ანბანი).

დასვით შეკითხვები:

– რომელია ქართული ანბანის პირველი ასო; რომელი სიტყვით გაგვაცნეს სახალისო ანბანში პირ-ველი ასო?

– რომელია ქართული ანბანის ბოლო ასო; ბოლო ასოზე რომელი სიტყვა შეარჩიეს? (დააზუსტეთ, იციან თუ არა მოსწავლეებმა ამ სიტყვის – ჰიპოპოტამის – მნიშვნელობა. განუმარტეთ მათ, რომ ჰიპოპოტამი იგივე ბეჰემოთია. სასურველია, ეს სიტყვები დაფაზეც დაწეროთ.).

– მერამდენე წერია სიტყვა „ბეღურა“ სახალისო ანბანში? „კაკაბი“ რომელ ადგილზეა?

– პირველ სვეტში რამდენი ასოა? მეორეში? მესამეში?
– სულ რამდენი ასოა ქართულ ანბანში?

განმარტეთ, რომ სხვადასხვა ანბანში ასოების რაოდენობა შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. მაგალითად, ინგლისურში 26 ასოა...

აქტივობა 3. *წერა, კითხვა*

ა) თანამიმდევრობით დაწერეთ დაფაზე ქართული ანბანის ოცდაცამეტივე ასო (უმჯობესია ჰორიზონტალურად: ა ბ გ დ ე ვ ზ თ და ა. შ.). შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს, გადათვალონ დასაწყისიდან 18 ასო და რვეულში ჩაწერონ.

შენიშვნა: მოსწავლის რვეულში, რომელშიც დაგეგმილია ცალხაზიან ბადეში ასოების ჩაწერაში ვარჯიში, ამ დროისათვის ანბანის 18 ასო უკვე ათვისებული უნდა იყოს).

ბ) ამუშავეთ მოსწავლეები წყვილებად: დაავალეთ მათ, გაცვალონ რვეულები და შეუმოწმონ ერთმანეთს ნაწერი: მართლაც წერია თუ არა წერია 18 ასო, ემთხვევა თუ არა ასოების თანამიმდევრობა დაფაზე მოცემულს.

აქტივობა 4. *მოსმენა, კითხვა*

განმარტეთ, რომ ანბანის ყოველ ასოს თავისი საკუთარი სახელი აქვს: რიგში პირველს ჰქვია ან-ი, მომდევნოს – ბან-ი, შემდეგია – გან-ი... უკანასკნელია ჰაე. ეს სახელები დაფაზეც ჩამოწერეთ.

დასვით შეკითხვა:

– როგორ ფიქრობთ, რატომ დაარქვეს ქართული ასოების რიგს ანბანი?

მოსალოდნელია, რომ ბავშვები ამოიცნობენ პირველი და მეორე ასოების სახელთა ნაერთს.

შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს, იპოვონ წიგნის მე-8 გვერდზე ტექსტი სათაურით – ანბანი – და ჩუმად წაიკითხონ.

შემდეგ გამოიყენეთ გაგრძელებებით კითხვის სტრატეგია: მოცემული 3 წინადადების შესაბამისად, მონაცვლეობით წააკითხეთ ტექსტი 3 მოსწავლეს. დანარჩენებმა კი ნაწერს თვალი გაადევნონ.

აქტივობა 5. *მოსმენა*

მიაქციეთ ყურადღება მესამე წინადადებას:

ქართული ანბანი ყველა სხვა ანბანისაგან ძალიან განსხვავდება. შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ ამ აზრის დასაბუთება ქართული ანბანის სხვა ანბანთან შედარებით შეგვიძლია. წიგნში მოცემულია რუსული, ინგლისური და ბერძნული ანბანის ასოები. ეს ასოები არ ჰგავს ქართულს და ერთმანეთისაგანაც განსხვავებულია. ჩამოწერეთ დაფაზე ქართულ, რუსულ და ინგლისურ ანბანთა პირველი სამი ასო. წაუკითხეთ მოსწავლეებს ამ სამი სხვადასხვა ანბანის ასოები და მიაქცევინეთ ყურადღება, რომ მათი თანამიმდევრობაც სხვადასხვაგვარია: ქართულში მესამეა გ, რუსულში B– (ვე) , ინგლისურში – C (სი) . შემდეგ ქართულისა და ბერძნულის მაგალითზე ანბანთა სახელებსაც მიაქციეთ ყურადღება: ქართულს ანბანი ჰქვია, ბერძნულს კი – ალფაბეტი, რადგან ალფა და ბეტა ბერძნული ანბანის პირველი და მეორე ასოების სახელებია.

აქტივობა 6. *მოსმენა, კითხვა, მეტყველება (10 წუთი)*

დაუბრუნდით სახალისო ანბანს. დაუსვით მოსწავლეებს შეკითხვები:

– რომელი სიტყვით გაგვაცნეს ანბანის მესამე ასო?

– რომელია ქართული ანბანის მეოთხე ასო, რომელი სიტყვით გაგვაცნეს სახალისო ანბანში ეს ასო?

– რომელია ქართული ანბანის მეექვსე ასო, ეს ასო რომელი სიტყვით გაგვაცნეს?

– მერამდენე წერია სიტყვა „თაგვი“ სახალისო ანბანში?

– ასო ი (დაწერეთ დაფაზე) რომელ ადგილზეა? რომელი სიტყვით გაგვაცნეს ეს ასო?

– ახსენით, რატომ არის სიტყვა „ლომი“ მეთერთმეტე? (მოსწავლემ უნდა განმარტოს: იმიტომ, რომ ქართული ანბანის რიგში ასო, რომლითაც ეს სიტყვა იწყება, მეთერთმეტეა.).

– „მიმინო“ რომელ ადგილზეა?

– ახსენით, რატომ არის სიტყვა „ნიანგი“ მეცამეტე?

– მეთხუთმეტე ადგილზე რომელი ცხოველი მოხვდა?

– სახალისო ანბანში სპილოსა და ჟირაფს შორის რომელი რომელზე ადრე გვხვდება? ფოცხვერსა და ტურას შორის? ქორსა და ყანჩას შორის? წეროსა და შაშვს შორის? ძერასა და ხვლიკს შორის?

საგანგებოდ ჩამოწერეთ დაფაზე სიტყვები: 1. შაშვი და წერო; 2. ძერა და ხვლიკი. სიტყვაში „შაშვი“ პირველ ასოს ხაზი გაუსვით და დასვით შეკითხვა: მერამდენეა შაშვი სახალისო ანბანში? სიტყვაში „წერო“ პირველ ასოს ხაზი გაუსვით და დასვით შეკითხვა: „წერო“ მერამდენეა ანბანში? ანალოგიურად დაამუშავეთ ძ – ხ ასოების შესაბამისი სიტყვებიც.

აქტივობა 7. *წერა, კითხვა*

ა) მიეცით მოსწავლეებს წერითი დავალება:

– ამოიწერეთ ანბანის მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეცხრე ასოები; რა სიტყვა გამოგვივიდა? (დევი).

ბ) შეამოწმეთ მოსწავლეთა ლექსიკური მარაგი: გამოიყენეთ ჩუმი კითხვის სტრატეგია; სთხოვეთ ბავშვებს, დაკვირვებით წაიკითხონ სახალისო ანბანი ანიდან ჰაემდე და აღნიშნონ, ხომ არ არის ჩამონათვალში ისეთი სიტყვა, რომლის მნიშვნელობაც არ იციან.

შესაძლებელია, უცნობ სიტყვათა რიცხვში აღმოჩნდეს: ერკემალი (მამალი ცხვარი), რაში (მშვენიერი და სწრაფი ცხენი, გვხვდება ქართულ ზღაპრებში), ულაყი (მამალი ცხენი).

გაკვეთილის დასარულს ჩაანიშნინეთ მოსწავლეებს წიგნში მოცემული წერითი დავალება სახლში შესასრულებლად (მოსწ. წიგნი, გვ. 10): ამოიწერე ანბანის მეხუთე, მეშვიდე და მეთოთხმეტე ასოები). გარდა ამისა, დაავალეთ მათ, შეასრულონ მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება: ცალხაზიან ბადეში ტ, უ, ფ, ქ, ღ, ყ ასოების ჩაწერა (მოსწ. რვეული, გვ. 4).

შეფასება

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, რამდენად შეძლეს გაეაზრებინათ მიწოდებული მასალა, მასწავებლის მიერ მიცემული ინსტრუქციების შესრულება.

გრამატიკა – ასო და ბგერა

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები (სტანდარტის მიხედვით)

მოსწავლეებმა შეძლონ ასო-ბგერის, ხმოვანი-თანხმოვნის გარჩევა, ინსტრუქციის მიხედვით დავალების შესრულება.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დაწყ.(I).6.მოსწავლემ უნდა შეძლოსგაწაფულად კითხვა.

- თავისუფლად კითხულობს ნაცნობ და უცნობ სიტყვებს, ცდილობს დაიცვას სათანადო ტემპი.

ქართ.დაწყ.(I).14.მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკის, ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტუქტურული ელემენტების ადეკვატურად გამოყენება; კალიგრაფიისა და მართლწერის საბაზისო ნორმების დაცვა.

- მსგავსი მნიშვნელობის ლექსიკური ერთეულებიდან შეარჩევს მოცემული კონტექსტისთვის შესაფერის / მართებულ სიტყვას.

წინარე ცოდნა

მოსწავლეებს შეუძლიათ გამართულად კითხვა, მასწავლებლის მიცემული ინსტრუქციების შესრულება.

გაკვეთილის მსვლელობა

ორგანიზების ფორმები: საერთო საკლასო, წყვილური, ინდივიდუალური.

აქტივობა 1. *შესავალი საუბარი*

თემისა და მიზნის გაცნობის შემდეგ მასწავლებელი დაფაზე წერს ასოებს, რომლებსაც ახმოვანებინებს მოსწავლეებს. ატარებს მინილექციას, რომლის დროსაც უხსნის განსხვავებას ასოსა და ბგერას შორის, აქცენტს აკეთებს ბგერაზე და ამბობს, რომ არსებობს ხმოვანი და თანხმოვანი ბგერები.

აქტივობა 2. *ხმოვანი და თანხმოვანი ბგერების გარჩევა*

მასწავლებელი დაფაზე ჩამოწერს ხმოვნებს და რამდენიმე თანხმოვანს ცალ-ცალკე და წააკითხებს რამდენიმე მოსწავლეს. სთხოვს, დააკვირდნენ, წარმოთქმის დროს რა განსხვავებას ხედავენ მათ შორის. სავარაუდოდ, მოსწავლეები იტყვიან, რომ ხმოვნები უფრო გრძელია, უფრო ხმიანია, უფრო ადვილად წარმოითქმის და ა.შ. თანხმოვანი კი – პირიქით.

მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ხმოვანი აჟღერებს სიტყვას. ამისთვის მოჰყავს მაგალითები: წ. გ. ნ. (წიგნი); კ. ლ. მ. (კალამი) ...

აქტივობა 3. *მასალის განმტკიცება*

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს ნაწყვეტებს მარტივი ტექსტებიდან (შეუძლია გამოიყენოს სახელმძღვანელო ან ბუკი) და სთხოვს, გახაზონ ხმოვანი ბგერები და ამოწერონ სიტყვა, რომელშიც ყველაზე მეტი ხმოვანია.

აქტივობა 4. *პრაქტიკული სავარჯიშო „გამოიცანი“*

მასწავლებელი აწყვილებს მოსწავლეებს და აძლევს ბარათებზე ამოწერილ 3-4-სიტყვიან წინადადებებს, რომლებშიც სიტყვებს აკლია ხმოვნები და სთხოვს, „გაახმოვანონ“ წინადადებები (შესაძლოა, ეს იყოს ნაწყვეტები რომელიმე მარტივი ლექსიდან). ან სთავაზობს თანხმოვნებს, რომლებშიც შეუძლიათ ცვალონ ხმოვნები ისე, რომ სხვადასხვა სიტყვა მიიღონ (მაგალითად, ხ. ლ.: ხილი, ხალი, ხელი, ხულა...); ან, საჭიროების მიხედვით, ორივე აქტივობა გამოიყენოს.

აქტივობა 5. *შეჯამება*

მასწავლებელი კითხვების მიხედვით აჯამებს გაკვეთილს: რა გავიგეთ ახალი? რა არის ასო? რა არის ბგერა? როგორ გავარჩიოთ ერთმანეთისგან ხმოვანი და თანხმოვანი?

საშინაო დავალება

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებად, მოიფიქრონ 2-2 სიტყვა, რომლებშიც: ა) ხმოვანი მეტია თანხმოვანზე; ბ) ხმოვანთა და თანხმოვანთა რაოდენობა თანაბარია; ბ) თანხმოვანი მეტია ხმოვანზე.

შეფასება

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, რამდენად შეძლეს ასო-ბგერის, ხმოვანი-თანხმოვნის გარჩევა, ინსტრუქციის მიხედვით დავალების შესრულება, აქტიურად ჩართვა მუშაობაში.

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები (სტანდარტის მიხედვით)

მოსწავლემ შეძლოს წაკითხული ტექსტის შინაარსის გაგება-გააზრება, განუვითარდებათ ტექსტში არსებული ინფორმაციის დახარისხების, ორგანიზებისა და წერილობით გადმოცემის, თანამშრომლობითი უნარ-ჩვევები.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დაწყ.(I).7.მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთადაკავშირება.

- ტექსტში ეძებს და პოულობს კონკრეტულ ინფორმაციას (როდის, სად, რამდენი, როგორი, რამდენ ხანს, რამდენჯერ და სხვ.);
- განსაზღვრავს მოქმედებათა დროსა და ადგილს;
- ამოკრებს კონკრეტულ ინფორმაციას (სად, როდის, რამდენი, რამდენჯერ, როგორი, რითი და სხვ.);
- აკავშირებს ერთმანეთთან ექსპლიციტურად მოცემულ ფაქტებს, მოვლენებს, მოქმედებებს და გამოაქვს სათანადო დასკვნები;
- საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს ტექსტის შინაარსს.

ქართ.დაწყ.(I).13.მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის მარტივი ტექსტების შექმნა ნაცნობ თემატიკაზე.

- თანამიმდევრულობის დაცვით გადმოსცემს ნაცნობი ტექსტის/ეპიზოდის შინაარსს.

წინარე ცოდნა

მოსწავლეებს შეუძლიათ დამოუკიდებლად ტექსტის წაკითხვა და შინაარსის გაგება, აქვთ გრაფიკული მაორგანიზებლების შევსების ელემენტარული უნარები.

გაკვეთილის მსვლელობა

ორგანიზების ფორმები: საერთო საკლასო, ინდივიდუალური, ჯგუფური.

აქტივობა 1. *მოტივაცია*

მასწავლებელი გაკვეთილის დასაწყისში, გაკვეთილის მიზნის გაცნობასთან ერთად, მოსწავლეებს ესაუბრება იმაზე, რომ ტექსტში ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი ისტორიული სახელები შეხვდებათ: ალექსანდრე მაკედონელი და ჰომეროსი. ეკითხება მოსწავლეებს, აუგიათ თუ არა მათ შესახებ. მოსწავლეთა პასუხების შემდეგ კი მასწავლებელი (სასურველია პრეზენტაციის და არა მინილექციის სახით) აცნობს რამდენიმე საინტერესო ფაქტს მათი ცხოვრებიდან თუ მოღვაწეობიდან.

აქტივობა 2. *ტექსტის წაკითხვა*

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გადაშალონ სახელმძღვანელოები მოთხრობაზე „ძვირფასი

ყუთი“, ინდივიდუალურად, ჩუმად წაიკითხონ ტექსტი და გახაზონ ბუნდოვანი სიტყვები. სავარაუდოდ, ეს სიტყვები იქნება: მთავარსარდალი, ხელქვეითები, საუცხოო... მასწავლებელი ეხმარება მათ სიტყვების განმარტებაში.

აქტივობა 3. *ამბის ჩარჩო*

მასწავლებელი დაფაზე (ან კომპიუტერში, ინტერნეტის საშუალებით გადაუგზავნის ბუკებში) ხაზავს ამბის ჩარჩოს, რომელიც წარმოადგენს ხუთსვეტიან ცხრილს და სიტყვიერად უხსნის მოსწავლეებს, როგორ შეავსონ ის: გრაფაში ვინ? იწერება მოქმედი პირები? სად? – სად ხდება მოქმედება? და ა.შ. სასურველია, ერთი მაგალითი თვითონ აჩვენოს. მცირე ჯგუფებად დაყოფილი მოსწავლეები ცხრილს ავსებენ.

ვინ?	სად?	რა გააკეთა?	როდის?	რატომ?
• ალექსანდრე მაკედონელი • ხელქვეითები	• სპარსეთში	• სპარსეთზე გაიმარჯვა • ყუთი მოართვეს • შეინახა „ილიადა“	• გამარჯვების შემდეგ	• გაიმარჯვა • ყველაზე ძვირფასად მიიჩნია

შენიშვნა: მოსწავლეებს საშუალება ექნებათ, იმსჯელონ შესატყვისი პასუხის შესარჩევად და ტექსტიდან სრულად ამოკრიბონ საჭირო ინფორმაცია.

აქტივობა 5. *შეჯამება*

რამდენიმე მოსწავლე წარადგენს ნამუშევარს, დანარჩენები ავსებენ.

საშინაო დავალება

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებად, სქემის გამოყენებით დაწერონ ტექსტის მოკლე შინაარსი.

შეფასება

მოსწავლე შეფასდება იმის მიხედვით, რამდენად შეუძლია წაკითხული ტექსტის შინაარსის გაგება-გააზრება, ინფორმაციის ორგანიზება, თანამშრომლობა.

თეორია – პოეტი, ლექსი, რითმა, წიგნები

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლე გაიაზრებს განსხვავებას ლექსსა და მოთხრობას შორის, რითმის რაობას, განუვითარდება დეტალებზე დაკვირვებისა და ლოგიკური აზროვნების უნარი.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დაწყ.(I).10. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მაორგანიზებელი ელემენტების, სტრუქტურული და კომპოზიციური მახასიათებლების ამოცნობა.

- მთლიანობაში აკვირდება ტექსტის სტრუქტურას, მის სიტყვიერ და არასიტყვიერ მაორგანიზებელ ელემენტებს (სათაურს, რუბრიკას, ილუსტრაციას, წარწერას, აბზაცს, სვეტს, ლოგოს, ტიპოგრაფიულ მახასიათებლებს, მაგ., მსხვილ შრიფტსა და სხვ.) ინფორმაციის ამოკრების მიზნით;
- ასახელებს ტექსტის კომპოზიციურ მახასიათებლებს (სათაურს, ილუსტრაციას, წარწერას, პირობით ნიშანს, რუბრიკას, აბზაცების რაოდენობას, სქემასა და სხვ.);

ქართ.დაწყ.(I).11. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკურ და სემანტიკურ მხარეზე, ენობრივ ფორმებზე დაკვირვება.

- ამოიცნობს სასვენი ნიშნების (წერტილის, მძიმის, ორწერტილის, ბრჭყალების, კითხვისა და ძახილის ნიშნების) ფუნქციას;

წინარე ცოდნა

მოსწავლეებმა იციან კითხვის ზოგიერთი სტრატეგია, იცნობენ პოეტურ ნაწარმოებებსა და მათ ავტორებს, აქვთ ლექსის ანალიზის, ინსტრუქციის შესრულებისა და თანამშრომლობის ელემენტარული უნარები.

გაკვეთილის მსვლელობა

ორგანიზების ფორმები: საერთო საკლასო, ინდივიდუალური, ჯგუფური.

აქტივობა 1. *მოტივაცია*

მოტივაციის გაჩენის მიზნით, მასწავლებელი გაკვეთილის დასაწყისში სვამს კითხვას: რომელ პოეტებს იცნობთ? მოსწავლეები ასახელებენ. მასწავლებელი უზუსტებს მოსწავლეებს, თუ ვინ არის პოეტი: პოეტია ის, ვინც წერს ლექსებს.

აქტივობა 2. *განსხვავება ლექსსა და მოთხრობას შორის*

მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს ლექსის ერთ სტროფს და ნაწყვეტს პროზაული ტექსტიდან. მაგ.:

„ტურფა გაზაფხული მოვა,
ტურფა გაზაფხული მოდის!
ამას მეუბნება თოვა
და სითეთრე ტყემლის ტოტის“.

„გაზაფხულია ყველაფრის დასაბამი. გაზაფხულზე იღვიძებს ბუნება, იწყება სიცოცხლე. გაზაფხულს მოჰყვება მზიანი დღეები და სითბო. ასე უნდა ვთქვათ, ასეა ოდითგანვე ნათქვამი, თორემ თვითონ გაზაფხული მოჰყვება მზეს, მზიდან მოდის სითბოც და ალერსიც“.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, დააკვირდნენ ამ ორ ტექსტს და იმსჯელონ მათ შორის განსხ-

ვავებაზე. მოსწავლეები იტყვიან, რომ ერთი ლექსია, მეორე – მოთხრობა, ერთში მოკლე ფრაზებია, მეორეში – ვრცელი აღწერა და ა.შ.

აქტივობა 3. *მინილექცია*

მასწავლებელი მინილექციის საშუალებით უხსნის მოსწავლეებს ლექსსა და მოთხრობას შორის მსგავსება-განსხვავებას, ესაუბრება რითმაზე.

აქტივობა 4. *პრაქტიკული სავარჯიშოები და მუშაობა სახელმძღვანელოზე*

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, იპოვონ რომელი სტრიქონებია გარითმული მოცემულ სტროფში:

„ტურფა გაზაფხული მოვა,
ტურფა გაზაფხული მოდის!
ამას მეუბნება თოვა
და სითეთრე ტყემლის ტოტის“.

შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ინდივიდუალურად შეასრულონ სახელმძღვანელოში მოცემული მე-3 სავარჯიშო.

აქტივობა 6. *საჭირო სიტყვა*

მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს მცირე ჯგუფებად, ურიგებს ბარათზე დაწერილ სტროფებს ლექსიდან, რომლებსაც აკლია გარითმული სიტყვები (ეს ადგილები სამწერტილით უნდა მოინიშნოს) და სთხოვს, ამოარჩიონ სწორი ვარიანტი.

მაგ.:

დათვმა ლხინი გადიხადა,
მოიწვია მეზობლები;
გარეშენიც ბევრი ჰყავდა:
ტურა, მელა, კატა, ... (ძვლები, თმები, მგლები, ფოთლები)

შენიშვნა: ამ ტიპის აქტივობის გამოყენება მნიშვნელოვანია, რადგან მოსწავლე უკვე არა მხოლოდ ტექსტის მუსიკალობას, რითმის სისწორეს მიაქცევს ყურადღებას, არამედ შინაარსობრივ გამართულობასაც, რადგან ჩამონათვალში ყველა სიტყვა ერითმება ნაწყვეტს).

აქტივობა 7. *სიტყვებით თამაში*

მასწავლებელი მოსწავლეებს (შესაძლებელია, იმავე ჯგუფებში) ურიგებს ბარათებზე დაწერილ „დაშლილ“ ლექსებს: ჩამოწერილ სიტყვებს, რომლებიც ლექსებად უნდა ააწყონ.

აქტივობის დასასრულს მოსწავლეები წარადგენენ ნამუშევრებს.

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი ისევ ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ რითმა უფრო მუსიკალურს ხდის ლექსს.

საშინაო დავალება

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, სახლში შეასრულონ სახელმძღვანელოში მოცემული მე-4 დავალება (მოსწ. წიგნი, გვ. 15).

შეფასება

მოსწავლე შეფასდება იმის მიხედვით, რამდენად ადეკვატურად შეუძლიათ ახსნილი მასალის გაგება-გააზრება და პრაქტიკულად გამოყენება, ჯგუფურად მუშაობა.

როგორ სწავლობდა გოჭი ფრენას

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები (სტანდარტის მიხედვით)

მოსწავლემ შეძლოს წაკითხული ტექსტის შინაარსის გაგება-გააზრება, ეპიზოდების დასათაურება, წაკითხულის მიხედვით დიორამების შექმნა.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ. დაწყ.(I).7.მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორ-მაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთადაკავშირება.

- ტექსტში ეძებს და პოულობს კონკრეტულ ინფორმაციას (როდის, სად, რამდენი, როგორი, რამდენ ხანს, რამდენჯერ და სხვ.);
- აკავშირებს ერთმანეთთან ექსპლიციტურად მოცემულ ფაქტებს, მოვლენებს, მოქმედებებს;

ქართ.დაწყ.(I).8.მოსწავლემ უნდა შეძლოს მცირე ზომის მხატვრული ტექსტების ინტერპრეტირება ვერბალური და არავერბალური გზით; ვერბალური ინფორმაციის ვიზუალურად გარდაქმნა და/ან პირიქით.

- წაკითხული ნაწარმოებიდან მიღებული შთაბეჭდილებით ქმნის ილუსტრაციებს;
- აფასებს სხვების მიერ შექმნილ ილუსტრაციებს (რამდენად ასახავს ილუსტრაცია ტექსტის შინაარსს);

ქართ.დაწყ.(I).12.მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.

- მასწავლებლის დახმარებით ადგენს ტექსტის მარტივ გეგმას მისთვის სასურველი ფორმით (სიტყვიერად ან ნახატებით).

წინარე ცოდნა

მოსწავლეებს შეუძლიათ მოსმენილის გააზრება, ტექსტის ეპიზოდებისთვის სათაურების შერჩევა, აქვთ მაკეტების შექმნის გამოცდილება, ჯგუფური მუშაობის უნარები.

გაკვეთილის მსვლელობა

ორგანიზების ფორმები: საერთო საკლასო, ჯგუფური

აქტივობა 1. *მოტივაცია*

მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს კითხვით: გიოცნებიათ თუ არა შეუძლებელზე? რამდენიმე მოსწავ-ლეს აპასუხებინებს. სასურველია, თუ თავადაც გაუმხელს ბავშვობის ოცნებას და ლოგიკურად გადადის თემაზე – მოკლედ უყვება მითს იკაროსზე, რომლის საფუძველზეც შექმნილია სახელმძღვანელოში მოცემული ზღაპარი (დედალოსისა და იკაროსის მითი მოცემულია ამ მეთოდურ სახელმძღვანელოში – გვ. 62, როგორც მოსასმენი ტექსტი. მასწავლებელს შეუძლია, ის გამოიყენოს.).

აქტივობა 2. *ინსტრუქციის გაცნობა*

მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს ინსტრუქციას. უხსნის, რომ წაიკითხავს ტექსტს ეპიზოდებად,

მოსწავლეები კი ყურადღებით მოისმენენ, უპასუხებენ დასმულ შეკითხვებს, შემდეგ კი მიეცემათ დრო თითოეული ეპიზოდის დასასათაურებლად.

აქტივობა 3. *ტექსტის წაკითხვა*

მასწავლებელი ყოფს ტექსტს ლოგიკურ ნაწილებად; ორივე თავი დაიყოფა 3-3 ნაწილად (შენიშვნა: მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, ტექსტი უფრო მეტ ან ნაკლებ ლოგიკურ ნაწილად დაყოს):

1. „ერთხელ ერთი გოჭი... – ...ფრენა ვისწავლოო“.
2. „მეორე დღეს... – ...რა მოხდებოდა“.
3. „იკაროსმა ფრთები... – მზეს უახლოვდებოდა“.
4. „გოჭი და რა გოჭი!... –...ზღვაში მოადინა ტყაპანი“.
5. „საბრალო იკაროსი... – ...მთავარი კი ეს არის“.
6. „იმავე საღამოს... –...იკაროს!“.

თითოეული ეპიზოდის წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი სვამს მარტივ შეკითხვებს ტექსტის შესახებ, რათა დარწმუნდეს, კარგად გაიგეს თუ არა მოსწავლეებმა წაკითხული მასალა, შემდეგ კი სთხოვს, დაასათაურონ მონაკვეთი. ყველაზე ლოგიკური და ორიგინალური სათაური იწერება დაფაზე.

აქტივობა 4. *მომზადება დიორამის შესაქმნელად*

მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს იმდენ ჯგუფად, რამდენ ეპიზოდადაც დაყვეს ტექსტი. კენჭისყრით ან სხვა რომელიმე პრინციპით აძლევს მოსწავლეებს ეპიზოდებს. მასწავლებელს რესურსები წინასწარ კლასის ერთ კუთხეში აქვს თავმოყრილი (შენიშვნა: მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს წყვილი გაკვეთილი ან დიორამების შექმნა მეორე დღისთვის გადადოს და რესურსების მოძიებაში მოსწავლეებიც დაიხმაროს.).

აქტივობა 5. *დიორამების/ილუსტრაციების შექმნა*

მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფებად დიორამების შექმნაზე.

აქტივობა 6. *პრეზენტაციები*

ჯგუფები ეპიზოდური თანმიმდევრობით წარადგენენ ნამუშევრებს.

აქტივობა 7.

მოსწავლეები ათვალიერებენ ერთმანეთის ნამუშევრებს და ასახელებენ საუკეთესოს.

საშინაო დავალება

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებად, დახატონ ერთი ეპიზოდის ილუსტრაცია.

შეფასება

მოსწავლე შეფასდება იმის მიხედვით, რამდენად შეუძლია წაკითხული ტექსტის შინაარსის გაგება-გააზრება, ეპიზოდების წარმოსახვაში გაცოცხლება, დიორამის შექმნა.

შენიშვნა: სასურველია, მასწავლებელმა დაიხმაროს ხელოვნების პედაგოგი და ჩაატაროს ინტეგრირებული გაკვეთილი.

დედა წერტილი და შვილი წერტილი

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები (სტანდარტის მიხედვით)

მოსწავლემ შეძლოს ტექსტის შინაარსის გაგება-გააზრება, ეპიზოდების დასათაურება და წაკითხულის მოკლე შინაარსის წერილობით გადმოცემა; განუმტკიცდებათ ტექსტის რედაქტირების საწყისი უნარ-ჩვევები.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დაწყ.(I).2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება-გააზრება და გადმოცემა.

- ასახელებს მოსმენილ ტექსტში ასახულ ფაქტებს, პერსონაჟებს;
- საკუთარი სიტყვებით, თანამიმდევრულობისა და აზრობრივი შესაბამისობის დაცვით, გადმოსცემს ტექსტის შინაარსს;

ქართ.დაწყ.(I).4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკისა და ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციების სათანადოდ გამოყენება; მართლმეტყველებისა და სამეტყველო ეტიკეტის საბაზისო ნორმების დაცვა.

- სიტყვათა შესაკავშირებლად გააზრებულად იყენებს კავშირებსა და სიტყვა-კავშირებს (ან, თუ, ვინც, რაც, როგორც, როცა/როდესაც...);
- სწორად იყენებს პირის, ჩვენებით, კითხვით და უარყოფით ნაცვალსახელებს;
- სათანადო კონტექსტში სწორად იყენებს სიტყვებს: ყველა, ზოგი (ზოგიერთი), არც ერთი და სხვ.;
- მართებულად სვამს კითხვებს (ვინ...? რა...? როგორი...? რომელი...? რამდენი...?) და კითხვით წინადადებაში მახვილს სვამს კითხვით სიტყვებზე;
- სწორად უხამებს ზმნას სახელს პირსა და რიცხვში;

ქართ.დაწყ.(I).13.მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის მარტივი ტექსტების შექმნა ნაცნობ თემატიკაზე.

- თანამიმდევრულობის დაცვით გადმოსცემს ნაცნობი ტექსტის/ტექსტის ეპიზოდის შინაარსს;

ქართ.დაწყ.(I).15.მოსწავლემ უნდა შეძლოს წერის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.

- გადაიკითხავს და ჩაასწორებს საკუთარ ნაწერს, ჩაამატებს, ამოშლის ან გადასვამს ტექსტში სასურველ სიტყვას ან წინადადებას;
- ამოწმებს და ჩაასწორებს საკუთარ და/ან სხვის ნაწერში მისთვის ნაცნობ სასვენ ნიშნებს.

წინარე ცოდნა

მოსწავლეებს შეუძლიათ მოსმენილის გააზრება, ტექსტის ეპიზოდებისთვის სათაურების შერჩევა, აქვთ ტექსტის რედაქტირების ელემენტარული უნარები.

გაკვეთილის მსვლელობა

ორგანიზების ფორმები: საერთო საკლასო, წყვილური, ინდივიდუალური.

აქტივობა 1. *წინარე ცოდნის გააქტიურება*

მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს კითხვით: რომელი სასვენი ნიშნები იცით? როდის გამოიყენება წერტილი? მძიმე? კითხვის ნიშანი? და ასე გადადის გაკვეთილის თემაზე

აქტივობა 2. *ინსტრუქციის გაცნობა*

მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს ინსტრუქციას. უხსნის, რომ წაიკითხავს ტექსტს ეპიზოდებად, მოსწავლეები კი ყურადღებით მოისმენენ, უპასუხებენ დასმულ შეკითხვებს, შემდეგ კი მიეცემათ დრო ეპიზოდის დასასათაურებლად, შინაარსის 2-3 წინადადებით დასაწერად.

აქტივობა 3. *ტექსტის წაკითხვა*

მასწავლებელი ყოფს ტექსტს ლოგიკურ ნაწილებად; ორივე თავი დაიყოფა 3-3 ნაწილად.

(შენიშვნა: მასწავლებელს შეუძლია, გამოიყენოს ის, რომ ტექსტში ძალიან ბევრია პერსონაჟთა მეტყველება. ამ ტიპის თხზულების მოკლე შინაარსის დაწერა განსაკუთრებით უჭირთ მოსწავლეებს; ამიტომ მათ ამ მხრივ დაეხმარება.):

1. „იყო და არა იყო რა... – ...მშვენივრად გრძნობდნენ“.
2. „ – რა კარგია... – ... - რამე მაინც გვეთამაშა“.
3. „შენი თამაში როგორ შეიძლება... – ...ტბას გადავცურავ“.
4. „დედა წერტილი შეეცადა... – ... რამე გამოვიდეს“.
5. „სწორედ ამ დროს... –...პირკატანაცემი დარჩა“.
6. „ – არ იტირო... – ...წერტილი“.

თითოეული ეპიზოდის წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი სვამს შეკითხვებს ტექსტის შესახებ, რათა დარწმუნდეს, კარგად გაიგეს თუ არა მოსწავლეებმა წაკითხული მასალა, შემდეგ კი სთხოვს იმუშაონ რვეულებში: დაასათაურონ მონაკვეთი და დაწერონ ეპიზოდის მოკლე შინაარსი (თუკი მოსწავლეებს გაუჭირდებათ შინაარსის დამოუკიდებლად დიალოგების გარეშე დაწერა, პირველი ეპიზოოდის ნიმუშს აძლევს მასწავლებლი: ერთხელ ერთმა ფანქარმა წერტილები დიდი და პატარა წერტილები დახატა. დიდს დედა-წერტილი დაარქვა, პატარას - შვილი-წერტილი.

აქტივობა 4. *ნაშრომების გასწორება*

მასწავლებელი აწყვილებს მოსწავლეებს, სთხოვს, გაცვალონ ნაშრომები, წაიკითხონ, ერთმანეთს გაუსწორონ შეცდომები და მისცენ რჩევები. ეს მათ ტექსტის რედაქტირებისა და წერითი მეტყველების ელემენტარულ უნარ-ჩვევებს განუვითარებს.

აქტივობა 5. *შეჯამება*

მასწავლებელი აკითხებს რამდენიმე მოსწავლეს როგორც ნაშრომს, ისე მეგობრის შენიშვნებს.

საშინაო დავალება

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებად, მოამზადონ ტექსტი თხრობით.

შეფასება

მოსწავლე შეფასდება იმის მიხედვით, რამდენად შეუძლია წაკითხული ტექსტის შინაარსის გაგება და წერილობით გადმოცემა, დასათაურება, შეცდომების გასწორება.

გრამატიკა – სიტყვა და წინადადება

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები (სტანდარტის მიხედვით)

მოსწავლეებმა შეძლონ სიტყვებისგან წინადადების აწყობა, წინადადებისგან ტექსტის აწყობა, გაგება-გააზრება, რის შედეგადაც განუვითარდებათ ლოგიკური აზროვნების უნარი.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დაწყ.(I).12.მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.

- კონკრეტული ინფორმაციის მოძიებისას ეყრდნობა ტექსტის სიტყვიერ და არასიტყვიერ მაორგანიზებელ ელემენტებს, სტრუქტურულ მახასიათებლებს.

წინარე ცოდნა

მოსწავლეებს შეუძლიათ გამართულად კითხვა, მასწავლებლის ინსტრუქციების შესრულება, აქვთ ჯგუფური მუშაობის უნარები.

გაკვეთილის მსვლელობა

ორგანიზების ფორმები: საერთო საკლასო, ჯგუფური.

აქტივობა 1. *გამოწვევა*

მასწავლებელი დაფაზე წერს:

ნინო, კინო, წასვლა	ნინო კინოში წავიდა.
გიორგი, ბურთი, თამაში	გიორგი ბურთს თამაშობს.

სთხოვს მოსწავლეებს, დაასახელონ ორივე შემთხვევაში განსხვავება მათ შორის. მოსწავლეები პასუხობენ, რომ ერთ შემთხვევაში მხოლოდ სიტყვებია ჩამოწერილი უშინაარსოდ, მეორეს კი შინაარსი აქვს.

აქტივობა 2. *მინილექცია*

მასწავლებელი მინილექციის მეშვეობით უხსნის განსხვავებას სიტყვასა და წინადადებას შორის, ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ წინადადება გამოხატავს დასრულებულ აზრს, თხრობითი წინადადების ბოლოს დაისმის წერტილი.

აქტივობა 3. *მასალის განმტკიცება*

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს ტექსტებს (შეუძლია გამოიყენოს სახელმძღვანელო ან ბუკი); და სთხოვს, დაითვალონ, რამდენი წინადადებაა და თითოეული წინადადება რამდენი სიტყვისგან შედგება. ამით აჩვენებს, რომ წინადადება შეიძლება სხვადასხვა რაოდენობის სიტყვებისგან შედგებოდეს.

აქტივობა 4. *პრაქტიკული სავარჯიშო*

მასწავლებელი ქმნის მცირე ჯგუფებს, აძლევს მათ წებოვან ბარათებზე ამოწერილ სიტყვებს და სთხოვს, შეადგინონ წინადადებები (სხვადასხვა ჯგუფს აქვს სხვადასხვა წინადადება. ეს უნდა იყოს ნაწყვეტები რომელიმე მარტივი ტექსტიდან, რადგან შემდეგ აქტივობაში მათ მოუწევთ მოცემული წინადადებებისგან შეადგინონ მოთხრობა). მიღებულ წინადადებებს წერენ დაფაზე. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელი ეხმარება მათ. როდესაც ყველა წინადადება ჩამოიწერება დაფაზე, მოსწავლეები უბრუნდებიან თავიანთ ჯგუფებს და მოცემულ წინადადებებს ალაგებენ თანმიმდევრულად, ისე რომ მიიღონ მოთხრობის ტექსტი. გაიმარჯვებს ის ჯგუფი, რომელიც ყველაზე სწრაფად და სწორად შეასრულებს დავალებას.

შენიშვნა: ჩვენ მიერ შემოთავაზებული მეთოდი არის „მხიარული ბანქოს“ მოდიფიცირებული ვარიანტი. იგი აგებულია გუნდური თამაშის პრინციპზე. აქტივობის მსვლელობას თუ შეჯიბრების სახეს მივცემთ, ეს უფრო წაახალისებს მოსწავლეებს. აუცილებელია ვაკონტროლოთ დრო და ხმაური კლასში, რათა აქტიური პროცესი ქაოსში არ გადაიზარდოს.

საშინაო დავალება

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებად, მოიფიქრონ 1, 2, 3 და 4-სიტყვიანი თითო წინადადება.

შეფასება

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, რამდენად გაიაზრეს სიტყვისა და წინადადების მნიშვნელობა და ფუნქცია; შეუძლია თუ არა პრაქტიკული სავარჯიშოების სწრაფად და ლოგიკურად შესრულება.

დედალოსი და იკაროსი

(ბერძნული მითის მიხედვით)

საქვეყნოდ სახელგანთქმულ მხატვარსა და მოქანდაკეს, დედალოსს, ერთხელ ისეთი რამ შეემთხვა, რომ იძულებული გახდა, სამშობლოდან კუნძულ კრეტაზე გადახვეწილიყო.

იქ, კრეტაზე, დედალოსმა მრავალ წელიწადს იშრომ-იღვაწა; უჩვეულო სასახლეებითა და ქანდაკებებით დაამშვენა მეფე მინოსის საბრძანებელი, მაგრამ ბოროტი მეფე სულ უკმაყოფილო იყო. ეშინოდა, დედალოსი არ გამეპაროს და სხვა მბრძანებლებისთვის უკეთესი სასახლეები არ შექმნასო. ამიტომ მინოსს მხატვარი დამწყვდეული ჰყავდა და გამუდმებით თვალყურს ადევნებდა.

ბოლოს და ბოლოს, დედალოსს მოსწყინდა ტყვეობა და კრეტიდან გაქცევა გადაწყვიტა.

– იკაროს! – მიმართა ხელოვანმა შვილს, – ამ კუნძულიდან წასვლა შეუძლებელია. თუ გაფრინდება აქედან კაცი, თორემ სხვა საშველი არ ჩანს!

და დედალოსმა ბუმბულის, ცვილის, გამძლე თოკებისა და მტკიცე წნელების მომარაგებას მიჰყო ხელი. აქვე შეგახსენებ, ჩემო პატარა მსმენელო, რომ ცვილი სანთელს ნიშნავს.

ყმაწვილი იკაროსი მიჩვეული იყო მამის ახირებებს და მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

ცოტა ხანში ამ მხრებზე რომ თვითნაკეთი ფრთები დაუმაგრეს, დიდად არც ის გაჰკვირვებია.

– იკაროს, კარგად მომისმინე! – გაფრენის წინ კიდევ ერთხელ დაარიგა მამამ, – ხელები ძლიერად იქნიე. კვალდაკვალ მომყევი. არც ზღვას მიუახლოვდე, ფრთები რომ არ დაისველო, და არც მზისკენ წახვიდე, ცვილი რომ არ დაადნოს მნათობის მცხუნვარებამ.

მამამ და შვილმა ხელები დაიქნიეს და სულ მალე ჩიტის საფრენიდან გადმოხედეს გაცოფებულ მეფე მინოსს, რომელიც მუშტების ქნევითა და ფეხების ბაკუნით უყვიროდა მცველებს:

– ხომ გეუბნებოდით, გაფრინდებიან-მეთქი!

იფრინა მამა-შვილმა, იფრინა, ცხრა მთა გადაიფრინა და... მოსწყინდა იკაროსს მამის უკან ჩანჩალი. იფიქრა, თუ ფრენაა, ფრენა იყოსო, და მზისკენ აიჭრა.

მაგრამ... ცვილი მზემ დაადნო, ფრთები ქარმა გაფანტა, ფრთებშემოძარცული იკაროსი კი ზღვაში ჩავარდა და დაიღუპა.

უცნაური ამ ამბავში ერთი რამ არის: იკაროსის ფრთები, იკაროსის ფრენა – მარტო ეს გამონათქვამები დაგვიტოვა მითმა, თითქოს აღარავის ახსოვს, რომ ფრთები სულაც დედალოსმა გააკეთა. ადამიანებს უყვართ ფრენაზე ოცნება, მეოცნებენი და მფრინავებიც უყვართ. ამიტომ ის დაამახსოვრდათ, ვინც იმაზე მაღლა შეეცადა ფრენას, ვიდრე ეს იმ დროისათვის ნებადართული იყო.

მაკა მიქელაძე

თავი II – ცხოველები წიგნებში

გრამატიკა – ზმნა და არსებითი სახელი

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები (სტანდარტის მიხედვით)

მოსწავლემ შეძლოს ამოიცნოს ზმნები და განასხვავოს ისინი არსებითი სახელებისგან; გაიგოს რა კავშირი შეიძლება იყოს ზმნასა და არსებით სახელს შორის წინადადებაში.

შენიშვნა: მესამე კლასიდან მოსწავლეები რომელიმე უცხო ენის შესწავლას იწყებენ. ამიტომაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მშობლიური ენის გრამატიკული მასალის მაგალითზე ათვისება.

მოსწავლემ უნდა შეძლოს ზმნისა და არსებითი სახელის ერთმანეთისაგან გარჩევა და გაიგოს, რა კავშირი შეიძლება იყოს ზმნასა და არსებით სახელს შორის წინადადებაში.

სტრატეგიები: 1. დაჯგუფება მსგავსების აღმოჩენის მიზნით; 2. შედარება განსხვავების აღმოსაჩენად.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ესგ: ქართ.დაწყ.(I).11.მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკურ და სემანტიკურ მხარეზე, ენობრივ ფორმებზე დაკვირვება.

- აკავშირებს ერთმანეთთან საგნისა და მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვებს;
- ადარებს და კითხვის დასმის საშუალებით აჯგუფებს სიტყვებს (სახელებსა და მოქმედების აღმ-ნიშვნელ სიტყვებს).

გაკვეთილის ეტაპები

აქტივობა 1. *მოსმენა, კითხვა, წერა*

ა) აუხსენით მოსწავლეებს, რომ მათ გრამატიკის გაკვეთილი უტარდებათ; ისაუბრეთ გრამატიკის შესახებ:

გრამატიკა ენის თავისებურებებსა და წესებს შეისწავლის. ყოველ ენას თავისი წესები აქვს. ენის შემსწავლელები აკვირდებიან ბგერას, სიტყვას, წინადადებას და ენის წესებს აღმოაჩენენ. ენის კარგი ცოდნა კი ამ წესების დაცვას ნიშნავს.

დღეს ჩვენ სიტყვებს უნდა დავაკვირდეთ. ენის შემსწავლელებმა ანუ ენათმეცნიერებმა სიტყვები მსგავსების მიხედვით დააჯგუფეს, კლასებად დაყვეს. მაგალითად, სიტყვების ერთ კლასს ზმნა ეწოდება.

ბ) დაწერეთ დაფაზე წინადადებები წინა საგაკვეთილო მასალიდან:

მელა დაცუნცულებდა. დათვი დაძუნძულებდა.

დასვით შეკითხვები:

– რამდენი წინადადება წერია დაფაზე? რამდენი სიტყვაა თითოეულ წინადადებაში?

– რომელი სიტყვა გამოხატავს მელას მოქმედებას? დათვის მოქმედებას?

– რა მსგავსებაა ამ ორ სიტყვას შორის: დაცუნცულებდა, დაძუნძულებდა (დაწერეთ დაფაზე), რას გამოხატავს ისინი? (მოქმედებას).

განმარტეთ: სიტყვას, რომელიც მოქმედებას გამოხატავს, ზმნა ეწოდება (დაფაზე მიუწერეთ – ზმნა).

– რას შვრებოდა მელა? დათვი?

გ) დაწერეთ დაფაზე ახალი ტექსტის პირველი წინადადება:

ბაყაყმა და თაგვმა იჩხუბეს.

დასვით შეკითხვა: რა ქნეს ბაყაყმა და თაგვმა? აპოვნინეთ მოსწავლეებს ზმნა. შემდეგ სთხოვეთ, წინადადება დაფიდან რვეულში გადაიწერონ და ზმნას ქვეშ ხაზი გაუსვან (ბაყაყმა და თაგვმა იჩხუბეს.).

თქვენ კი გააგრძელეთ ტექსტი დაფაზე:

ქორმა ჩამოიქროლა, მოჩხუბრებს კლანჭები დაავლო და ბუდისაკენ გააქანა.

დასვით შეკითხვა:

– ამ წინადადებაში კი სამი ზმნაა. შეგიძლიათ მათი ამოცნობა?

სთხოვეთ მოსწავლეებს, ეს წინადადებაც რვეულში ჩაწერონ და ზმნებს ხაზი გაუსვან. გააფრთხილეთ ბავშვები, დაიხმარონ შეკითხვა: რა ქნა ქორმა?

ამუშავეთ მოსწავლეები წყვილებად: დაავალეთ მათ, გაცვალონ რვეულები და შეუმოწმონ ერთმანეთს ნაწერი: მართლაც არის თუ არა სწორად ხაზგასმული სამივე ზმნა (ჩამოიქროლა, დაავლო, გააქანა).

შემდეგ კი შესამოწმებლად დაფაზე ზმნები თქვენც გახაზეთ.

დ) წარმოაჩინეთ ენაში ზმნის დიდი როლი და მნიშვნელობა:

ზმნა წინადადებაში ყველაზე მთავარია. ზმნა ისეთი სიტყვაა, რომლითაც ზოგჯერ ერთ წინადადებას მთლიანად გამოხატავ. დაწერეთ დაფაზე ერთსიტყვიანი წინადადებები: წვიმს. ცივა. თენდება...

დააკვირდით დაფაზე დაწერილ ტექსტს. მას რომ ზმნები ამოვაკლოთ, ამბავს მაინც გავიგებთ? წაშალეთ დაფაზე ოთხივე ზმნა:

ბაყაყმა და თაგვმა ... ქორმა .... მოჩხუბრებს კლანჭები ... და ბუდისაკენ ...

ზმნის გარეშე წინადადებას აზრი ეკარგება.

ქართველმა მწერალმა ილია ჭავჭავაძემ ზმნებს ხატოვნად „ენის ხერხემალი“ უწოდა...

აქტივობა 2. *წერა*

შეასრულებინეთ მოსწავლეებს დამოუკიდებელი სამუშაო:

ა) სთხოვეთ მათ, იპოვონ წიგნში პირველი სავარჯიშო, ყურადღებით გადაიწერონ წინადადებები და ზმნები გახაზონ.

მეცხვარე დათვს გაეკიდა. დათვი გაიქცა. მელამ ქონი შეჭამა.

ამუშავეთ მოსწავლეები წყვილებად: დაავალეთ მათ, გაცვალონ რვეულები და შეუმოწმონ ერთმანეთს ნაწერი: მართლაც სწორად არის თუ არა ხაზგასმული სამივე ზმნა. შემოწმების მიზნით, შეარჩიეთ 3 მოსწავლე, თითო წინადადება წააკითხეთ და დააზუსტეთ ხაზგასმული ზმნები.

მოსწავლეებთან ერთად ჩამოთვალეთ გაკვეთილზე ხაზგასმული ყველა ზმნა და დაფაზე ჩამოწერეთ:

დაცუნცულებდა, დაძუნძულებდა, იჩხუბეს, ჩამოიქროლა, დაავლო, გააქანა, გაეკიდა, გაიქცა, შეჭამა.

აქტივობა 3. *მოსმენა, მეტყველება, წერა*

ა) დაუსვით კლასს შეკითხვები:

– დააკვირდით წინადადებების შინაარსს; რომელი სიტყვების მოქმედებას გამოხატავს ეს ზმნები:

– რა დაცუნცულებდა? (მოსწავლეთა პასუხის მიღების შემდეგ მიუწერეთ „მელა“ ზმნას „დაცუნ-ცულებდა“). რა დაძუნძულებდა? (მიუწერეთ „დათვი“).

მელა დაცუნცულებდა.
დათვი დაძუნძულებდა.

ბ) შეარჩიეთ ორი მოსწავლე და ინდივიდუალურად აპასუხებინეთ, რომელი სიტყვები უნდა დაემატოს მომდევნო ორ ზმნას. პასუხები დაფაზეც დაწერეთ:
ბაყაყმა და თაგვმა იჩხუბეს.
ქორმა ჩამოიქროლა.
მოსწავლეებთან ერთად „აღმოაჩინეთ", რომ შემდეგი ორი ზმნაც ქორის მოქმედებას გამოხატავს (ქორმა დაავლო, გააქანა).

გ) განმარტეთ: მელა, დათვი, ბაყაყი, თაგვი, ქორი (დაფაზე გაუსვით ხაზი თითოეულს) არსებითი სახელებია. ზმნამ კი არსებითი სახელის მოქმედება გამოხატა.
შეარჩიეთ სხვა მოსწავლე და ახლა მას ჩამოათვლევინეთ დაფაზე თქვენ მიერ ხაზგასმული არსებითი სახელები.

დ) შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს, დააკვირდნენ რვეულში ჩაწერილ წინადადებებს:
მეცხვარე დათვს გაეკიდა.
დათვი გაიქცა.
მელამ ქონი შეჭამა.

განმარტეთ: ამ წინადადებებში სამი ზმნაა, დანარჩენი სიტყვები კი არსებითი სახელებია. სთხოვეთ მოსწავლეებს, ამოიწერონ ოთხი არსებითი სახელი.
შემოწმების მიზნით, დაფაზეც დაწერეთ:
მეცხვარე, დათვი, მელა (მელამ), ქონი.
ახსენით: ენათმეცნიერებმა არსებითი სახელები იმ სიტყვებს უწოდეს, რომლებსაც დაესმის კითხვები: ვინ? ან რა?
დაუსვით კლასს შეკითხვები:
– ვინ გაეკიდა დათვს? (მეცხვარე).
– რა შეჭამა მელამ? (ქონი).

შეფასება

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, რამდენად შეძლეს ზმნების სწორად ამოცნობა, ზმნასა და არსებით სახელს შორის კავშირის დანახვა, პრაქტიკული სავარჯიშოების შესრულება.

საშინაო დავალება

გაკვეთილის დასასრულს ჩაანიშვნინეთ მოსწავლეებს წიგნში მოცემული წერითი დავალება (მე-3 და მე-4 სავარჯიშოები) სახლში შესასრულებლად (მოსწ. წიგნი, გვ. 31).

მარტოჭამია დათვი და მელა

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები (სტანდარტის მიხედვით)

მოსწავლე დაეუფლოს წაკითხულის გააზრების ძირითად სტრატეგიებს; მოძებნოს ტექსტში კონკრეტული ინფორმაცია; ამოიცნოს მიზეზშედეგობრივი კავშირი ტექსტის სხვადასხვა ინფორმაციას შორის; საკუთარი სიტყვებით გადმოსცეს ეპიზოდის შინაარსი; გამოიცნოს პერსონაჟთა მოქმედების მოტივი, შეაფასოს მათი საქციელი.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დაწყ.(I).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთდაკავშირება.

- ამოიცნობს ტექსტის თემას, სწვდება დედააზრს (მთავარ იდეას);
- აკავშირებს ერთმანეთთან ექსპლიციტურად მოცემულ ფაქტებს, მოვლენებს, მოქმედებებს;
- ამოიცნობს ტექსტში მოცემულ სხვადასხვა ინფორმაციას შორის არსებულ მიზეზშედეგობრივ კავშირებს, გამოაქვს სათანადო დასკვნა;
- აჯგუფებს ინფორმაციას კონკრეტული (მაგ., მსგავსება-განსხვავების) ნიშნით;

ქართ.დაწყ.(I).9. მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; ტექსტის თემის და/ან მასში განხილული კონკრეტული საკითხების შეფასება.

- ტექსტში მოცემულ ინფორმაციას აკავშირებს პირად გამოცდილებასთან და გამოაქვს დასკვნა;
- ასახელებს მულტფილმებს, სურათებს, ნახატებს, მოსმენილ და წაკითხულ ნაწარმოებებს, რომლებიც გაახსენდა ტექსტის კითხვის დროს; მსჯელობს მათ შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებაზე.

ქართ.დაწყ.(I).10. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მაორგანიზებელი ელემენტების, სტრუქტურული და კომპოზიციური მახასიათებლების ამოცნობა.

- მთლიანობაში აკვირდება ტექსტის სტრუქტურას, მის სიტყვიერ და არასიტყვიერ მაორგანიზებელ ელემენტებს (სათაურს, რუბრიკას, ილუსტრაციას, წარწერას, აბზაცს, სვეტს, ლოგოს, ტიპოგრაფიულ მახასიათებლებს, მაგ., მსხვილ შრიფტსა და სხვ.) ინფორმაციის ამოკრების მიზნით;

გაკვეთილის ეტაპები

აქტივობა 1. *კითხვა და მეტყველება*

მასწავლებელი გაკვეთილს ახალი ტექსტის სათაურზე ყურადღების გამახვილებით იწყებს.

გადააშლევინეთ მოსწავლეებს წიგნები 32-ე გვერდზე და დასვით შეკითხვები:

– რა არის ამ ახალი ტექსტის სათაური? (მარტოჭამია დათვი და მელა).

– რას გვატყობინებს მინაწერი სათაურის ქვეშ? (ის ქართული ხალხური ზღაპარია.)

– ამ სათაურმა რომელი ნაცნობი ზღაპარი მოგაგონათ? („დათვი და მელა“).

– რით განსხვავდება ერთმანეთისაგან ეს ორი სათაური? (ახალ ზღაპარში – „მარტოჭამია“).

– როგორ ფიქრობთ, რა მოხდება ამ ზღაპარში?

გამოათქმევინეთ ბავშვებს საკუთარი ვერსიები და დაფაზე მოკლედ ჩამოწერეთ.

მასწავლებელი: წავიკითხოთ და ვნახოთ, რა ხდება ამ ზღაპარში, გავიგოთ მისი შინაარსი.

I ნაწილი – „დათვი ... – ადგა და შეჭამა“;

II ნაწილი – „ცოტა ხნის... – გაუდგა გზას“.

აქტივობა 2. *I ნაწილის წაკითხვა, წაკითხულის გააზრება*

ტექსტი პირობითად გაყავით ორ ნაწილად:

ა) მოანიშნინეთ მოსწავლეებს პირველი ნაწილი და გამოაცხადეთ „კითხვის წუთები“. გამოიყენეთ ჩუმი კითხვის სტრატეგია. ყველა მოსწავლე დამოუკიდებლად, ჩუმად კითხულობს.

ტექსტი შეიცავს ისეთ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც ბავშვებისთვის კარგად ნაცნობია. ამიტომ მოსალოდნელია, რომ დამოუკიდებლად კითხვისას მათ ლექსიკური ხასიათის სირთულე არ შეექმნებათ. შესაბამისად, დიდი დროც არ დასჭირდებათ.

ბ) კითხვის დასრულების შემდეგ შეაფასეთ დაფაზე ჩამოწერილი ვარაუდები და დასვით შეკითხვები წაკითხულის გააზრების შესამოწმებლად:

– როგორ ფიქრობთ, წინასწარ გამოთქმული რომელი აზრი გამართლდა?

– ეხმარება თუ არა ეს სათაური მკითხველს სწორი აზრის წინასწარ გამოცნობაში?

– რაზე შეთანხმდნენ დაძმობილებული მელა და დათვი? (მელა მწყემსებს გაიტყუებდა და დათვს ცხვარს დააჭერინებდა; დათვი კი ჭამას მარტო არ დაიწყებდა.)

– როგორ მოიქცა დათვი? (შეთანხმება დაარღვია /პირობა არ შეასრულა...)

გ) შემდეგ გამოიყენეთ ამორჩევით კითხვის სტრატეგია (ტექსტის ერთი რომელიმე ფრაგმენტის მოძებნა და წაკითხვა):

• სთხოვეთ ერთ-ერთ მოსწავლეს, იპოვოს და ხმამაღლა წაიკითხოს:

– როგორ მიმართა, რა სთხოვა დათვმა მელას, როცა ცხვრების ფარა დაინახა?

• შეარჩიეთ სხვა მოსწავლე და სთხოვეთ, ხმამაღლა წაიკითხოს:

– რა ქნეს მწყემსებმა, როცა მელა დაინახეს?

დ) ბოლოს სთხოვეთ ყველას, წინასწარ გამოიცნონ, ივარაუდონ, შემდეგ რა მოხდება:

– როგორ გაგრძელდება ზღაპარი?

გამოათქმევინეთ ბავშვებს საკუთარი ვერსიები და დაფაზე მოკლედ ჩამოწერეთ.

მოსალოდნელია, რომ აზრი გაიყოფა ორად იმის მიხედვით, საბოლოოდ ვინ დარჩება „გამარჯვებული“, დათვი თუ მელა.

აქტივობა 3. *II ნაწილის წაკითხვა, წაკითხულის გააზრება*

ა) მოაძებნინეთ მოსწავლეებს მეორე ნაწილის დასაწყისი და გამოაცხადეთ „კითხვის წუთები“.

ისევ გამოიყენეთ ჩუმი კითხვის სტრატეგია.

ბ) კითხვის დასრულების შემდეგ შეაფასეთ დაფაზე ჩამოწერილი ვარაუდები და დასვით შეკითხვები წაკითხულის გააზრების შესამოწმებლად:

– როგორ ფიქრობთ, წინასწარ გამოთქმული რომელი აზრი გამართლდა?

– ვის დაუდგამს გზაზე ხაფანგი?

– ამ ნაწილში სად ჩანს, რომ მელა დათვზე უფრო მოხერხებული და მიხვედრილია? (მელა მიხვდა, რომ დათვს ქონი ნამდვილად მოუნდებოდა და ხაფანგში მოექცეოდა.)

გ) შემდეგ გამოიყენეთ ამორჩევით კითხვის სტრატეგია. ამჯერად კითხვა გამოიყენეთ ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად:

• მიეცით დავალება მოსწავლეებს, იპოვონ:

– ტექსტის ის ადგილი, რომელშიც დათვი სიცრუეს ამბობს.

• სთხოვეთ მოსწავლეს, იპოვოს და ხმამაღლა წაიკითხოს:

– როგორ გრძელდება ზღაპარი იმ ადგილიდან, სადაც წერია: „მელა განაწყენდა, მაგრამ რას იზამდა?“ (გულში დათვის ჯავრი ჩაიდო.)

• შეარჩიეთ სხვა მოსწავლე და სთხოვეთ, ხმამაღლა წაიკითხოს:

– რომელი წინადადებით დასრულდა ზღაპარი? (კმაყოფილი მელა არხეინად გაუდგა გზას.)

დაეხმარეთ მოსწავლეებს, განმარტონ გამოთქმები: 1. გულში ჯავრის ჩადება (განაწყენება და წყენის დამახსოვრება), 2. არხეინად ყოფნა (უდარდელად ყოფნა).

აქტივობა 4. *მეტყველება; ორი ტექსტის შედარება*

ამუშავეთ მოსწავლეები ორი ტექსტის შედარებაზე: დათვი და მელა (ახლახან ნასწავლი) და მარტოჭამია დათვი და მელა.

დაეხმარეთ ბავშვებს, გაიაზრონ:

ა) რა არის საერთო ამ ტექსტებში;

ბ) რა განასხვავებს მათ ერთმანეთისაგან.

მიზნის მისაღწევად გამოიყენეთ ე. წ. ვენის დიაგრამა: შემოხაზეთ დაფაზე ორი ერთმანეთის გადამკვეთი წრე (I და II). საერთო ნაწილში ჩაწერეთ ის, რაც ორივე ზღაპარს შეეხება, განსხვავება კი აღნიშნეთ შესაბამის ნაწილებში.

მასწავლებლის შეკითხვები:

– შეადარეთ ერთმანეთს ეს ორი ნაწარმოები: „დათვი და მელა“ და „მარტოჭამია დათვი და მელა“; რა აქვთ მათ საერთო? (შეეცადეთ, მხოლოდ მინიმალური დახმარებით მისცეთ გეზი პასუხებს.)



მოსალოდნელი პასუხები: 1. ორივე ქართული ხალხური ზღაპარია. 2. ორივეშია დათვი და მელა. 3.

საბოლოოდ მელა იმარჯვებს. / მელა დათვზე უფრო მოხერხებულია. 4. ადამიანი ორივეში ჩანს. 5. დათვს და მელას დამეგობრება (დაძმობილება) არ შეუძლიათ...

– რა განსხვავებაა ამ ზღაპრებს შორის?

თუ ბავშვებს განსხვავების შენიშვნა გაუძნელდებათ, დაეხმარეთ მათ დამატებითი შეკითხვებით:

– ამ ზღაპრებიდან რომელია უფრო დიდი, ვრცელი?

– როგორ იწყება პირველი ზღაპარი? მეორეც ასე იწყება?

– პირველ ზღაპარში რომელი არღვევს შეთანხმებას, დათვი თუ მელა? მეორე ზღაპარშიც ასეა?

– რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან პირველი ზღაპრის დათვი და მეორე ზღაპრის დათვი, რომელია უფრო მსუნაგი? მატყუარა?

– სად უფრო სასტიკი და უსამართლოა მელა, პირველ ზღაპარში თუ მეორე ზღაპარში?

მოსალოდნელი პასუხები:

I ზღაპარი – უფრო დიდია; დასაწყისია იყო და არა იყო რა; შეთანხმებას მელა არღვევს; დათვი არ მსუნაგობს, არ ცრუობს; მელა სასტიკია / უსამართლოა...

II ზღაპარი – პატარაა; სხვაგვარად იწყება; პირობას დათვი არღვევს; დათვი მსუნაგი და მატყუარაა; მელა შედარებით სამართლიანია...

აქტივობა 5. *მოსმენა, კითხვა*

ესაუბრეთ მოსწავლეებს ზღაპრის გამოთქმების, მისი დასაწყისისა და დასასრულის შესახებ:

– თქვენ იცით, რომ ქართული ზღაპარი იწყება სიტყვებით: „იყო და არა იყო რა“. ზოგ ზღაპარს კი უფრო ვრცელი დასაწყისიც აქვს: იყო და არა იყო რა. ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. ან ასეთი: იყო და არა იყო რა. იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი.

– ზღაპარში ხშირად გვხვდება გამოთქმები: ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ან: იარა, იარა და ცხრა მთა გადაიარა. ასევე, ზღაპრის გამოთქმაა: „სად იყო და სად არა“.

– ალბათ გახსოვთ ზღაპრების დასასრულიც: „ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა“.

შემდეგ მიეცით მოსწავლეებს დავალება:

ჩუმად გადაავლონ თვალი ზღაპარს „მარტოჭამია დათვი და მელა“ და დააკვირდნენ, არის თუ არა გამოყენებული რომელიმე გამოთქმა ამ ზღაპარშიც.

(მათ უნდა იპოვონ – ბევრი იარეს თუ ცოტა.)

საშინაო დავალება

გაკვეთილის დასასრულს ჩაანიშნინეთ მოსწავლეებს წიგნში მოცემული წერითი დავალება სახლში შესასრულებლად (უპასუხონ სავარჯიშოების ნაწილის პირველ, მეორე და მესამე შეკითხვებს – მოსწ. წიგნი, გვ. 32).

რეკომენდაცია: ვენის დიაგრამის გამოყენება ასევე შესაძლებელია მე-4 თავის მასალაზე მუშაობისას; გვერდები: 66-78, ამირანისა და კოპალას შედარება.

შეფასება

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, რამდენად შეძლეს კონკრეტული ინფორმაციის პოვნა ტექსტში, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ამოცნობა, პერსონაჟთა შეფასება.

გრამატიკა – მხოლობითი და მრავლობითი

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები (სტანდარტის მიხედვით)

მოსწავლემ შეძლოს ძირითადი ენობრივ-გრამატიკული საშუალებების სათანადოდ გამოყენება – სწორად შეუსაბამოს ზმნა სახელს პირსა და რიცხვში.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დაწყ.(I).4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკისა და ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციების სათანადოდ გამოყენება; მართლმეტყველებისა და სამეტყველო ეტიკეტის საბაზისო ნორმების დაცვა.

- სწორად უხამებს ზმნას სახელს პირსა და რიცხვში;

გაკვეთილის ეტაპები

აქტივობა 1. *მოსმენა, კითხვა, მეტყველება, წერა*

მიზანი – ნასწავლის გამეორება და ცოდნის შემოწმება

შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ მათ ახლა გრამატიკის გაკვეთილი უტარდებათ.
სანამ ბავშვებს წიგნის გადაშლას დაავალებთ, დაწერეთ დაფაზე ორი წინადადება:

ჩიტი ტკბილად გალობს.
ჩიტები ტკბილად გალობენ.

მიეცით დავალებები მოსწავლეებს:

– თქვენ იცით, რომ ენის შემსწავლელები სიტყვებს სხვადასხვა კლასში აჯგუფებენ. ჩვენ უკვე გავიცანით სიტყვათა ორი დიდი კლასი – ზმნები და არსებითი სახელები. შეგიძლიათ წინადადებაში მათი ამოცნობა?! გადაიწერეთ რვეულში პირველი წინადადება და ზმნას ქვეშ ხაზი გაუსვით (1. ჩიტი ტკბილად გალობს).

– გალობს ზმნაა, ესე იგი, ის არსებითი სახელის მოქმედებას გამოხატავს.

– რომელია ამ წინადადებაში არსებითი სახელი? იპოვეთ და ახალ ხაზზე ამოწერეთ! (ჩიტი)

– ჩიტი რას შვრება? (გალობს). რა გალობს? (ჩიტი).

დაუსვით მოსწავლეებს შეკითხვები:

– ჩიტი როგორი არსებითი სახელია, სულიერია თუ უსულო? მიუწერეთ გვერდით პასუხი! (ჩიტი სულიერია).

შემდეგ სთხოვეთ ბავშვებს, თქვენ მიერ დასმულ შეკითხვებს სწრაფად უპასუხონ. სათითაოდ მიმართეთ 8 მოსწავლეს და ადგილიდანვე აპასუხებინეთ:

– სულიერია თუ უსულოა: ბავშვი? ბურთი? გოგონა? მინდორი? პეპელა? ფოთოლი? სოკო? ძაღლი?

აქტივობა 2. *მოსმენა, კითხვა, მეტყველება, წერა*

ახალი მასალის ათვისება (მხოლობითი და მრავლობითი რიცხვი)

სტრატეგია: შეპირისპირებით განსხვავების აღმოჩენა

ა) მასწავლებლის დავალებები და შეკითხვები კლასს:

– დაფაზე მეორე წინადადებაც წერია. ამ წინადადებიდანაც ამოიწერეთ არსებითი სახელი (ჩიტები).

– პირველი წინადადებიდან ჩიტი ამოვწერეთ, მეორიდან – ჩიტები. შეგიძლიათ, ამიხსნათ, რითი განსხვავდება ერთმანეთისაგან ჩიტი და ჩიტები?

მოსალოდნელი პასუხი: ჩიტი ერთია, ჩიტები ბევრია (რამდენიმეა / ერთზე მეტია / უფრო მეტია / მრავალია...)

მხოლობითი რიცხვი	**მრავლობითი რიცხვი**
ჩიტი	ჩიტები

– გამოდის, რომ ჩვენ არსებითი სახელის რიცხვი გავიგეთ: ჩიტი მხოლოდ ერთია, ჩიტები კი მასზე მეტი, ბევრი, მრავალი. ახლა სხვა სახელებსაც ჩამოგითვლით და სწრაფად მიპასუხეთ, მხოლოდ ერთია თუ მრავალი:

ბავშვები? ბავშვი? მუხა? მუხები? მთები? მთა? ბიჭები? ბიჭი? მაგიდები? მაგიდა?

დაუხაზეთ დაფაზე ცხრილი, ნიმუშიც ჩაწერეთ და კლასის პასუხებიც შესაბამისად მიუმატეთ.

მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებმა ჯერ სასაუბრო ენით მოისმინონ სიტყვები: რიცხვი, მხოლოდ ერთი, მრავალი; გრამატიკული ტერმინები კი მათ შემდეგ გააცანით.

სთხოვეთ მოსწავლეებს, გადაშალონ წიგნები 47-ე გვერდზე, წაიკითხონ გაკვეთილის სათაური და პირველი-მეორე რიგის ნახატებსა და წინადადებებს დააკვირდნენ. შეაქეთ ისინი, უთხარით, რომ ყველაფერს სწორად მიხვდნენ; ახლა კი კარგად უნდა დაიმახსოვრონ წიგნში მოცემული ორი გამოთქმა, რომლებითაც ენის შემსწავლელებმა მხოლოდ ერთი და მრავალი გამოხატეს:

დაფაზე ცხრილში ჩაწერეთ და წაიკითხეთ – მხოლობითი რიცხვი და მრავლობითი რიცხვი.

– რვეულში თქვენ უკვე ამოწერეთ სიტყვა „ჩიტები“, ახლა გვერდით მიუწერეთ მას, რომელ რიცხვშია (ჩიტები მრავლობით რიცხვშია.).

– ახლა კი დაფასაც დააკვირდით და დაუხმარებლად კიდევ ერთი რამ აღმოაჩინეთ! რომელი ასოები ემატება არსებით სახელებს მრავლობით რიცხვში? (ებ).

– არსებით სახელებში ებ მრავლობითი რიცხვის ნიშანია!

აქტივობა 3. *მოსმენა, კითხვა, მეტყველება, წერა*

ახალი მასალის ათვისება (მხოლობითი და მრავლობითი რიცხვი ზმნებში)

სტრატეგია: შეპირისპირებით განსხვავების აღმოჩენა

მასწავლებლის დავალებები და შეკითხვები:

– გადაიწერეთ დაფიდან მეორე წინადადება. (ჩიტები ტკბილად გალობენ.).

– შეადარეთ პირველ წინადადებას და დააკვირდით,ზმნა თუ იცვლება რიცხვის მიხედვით.

– „გალობს“ მხოლობითშია თუ მრავლობითში? „გალობენ“ რომელ რიცხვშია?

შემდეგ სთხოვეთ ბავშვებს, წიგნში ჩაიხედონ და მეორე რიგის წინადადებებსაც დააკვირდნენ:

– „თამაშობენ“ მხოლობითშია თუ მრავლობითში? „თამაშობს“ რომელ რიცხვშია?

– რას შვრება ერთი ბიჭი? ბიჭები რას შვრებიან?

შეამოწმეთ ახალი მასალის ათვისება ანალოგიური დავალებით:

გაასუფთავეთ დაფა, დაწერეთ ორი ახალი წინადადება და მიეცით წერითი დავალება ყველას, ეს წინადადებები მრავლობით რიცხვში გადაიყვანონ:

თქვენც დაწერეთ დაფაზე მრავლობითის ფორმები და კიდევ ერთხელ დააზუსტეთ მოსწავლეებთან ერთად, რომ ამ წინადადებებში სულიერი არსებითი სახელებია.

წინადადებები დაფზე:

მხოლობითი:	*მრავლობითი*:
ძაღლი ყეფს.	ძაღლები ყეფენ.
ბიჭი დგას.	ბიჭები დგანან.

აქტივობა 5. *მოსმენა, კითხვა, მეტყველება*

ახალი მასალის ათვისება (ზმნის რიცხვი უსულო არსებით სახელებთან)

სტრატეგია: ჯერ კონკრეტული მაგალითის გაცნობა და შემდეგ განზოგადება

• დაწერეთ დაფაზე წინადადება და სთხოვეთ მოსწავლეებს, შეცდომა აღმოაჩინონ:

ოთახში მაგიდები დგანან.

მასწავლებელი:

– კარგად დააკვირდით: ამ წინადადებაში შეცდომაა, ქართულ ენაში არ არის მიღებული ასე თქმა. როგორ უნდა ვთქვათ სწორად?

თუ ბავშვებს შეცდომის აღმოჩენა გაუჭირდებათ, დაეხმარეთ: ზმნას ქვეშ ხაზი გაუსვით და ჰკითხეთ მათ, სწორი იყო თუ არა ამ წინადადებაში ზმნის მრავლობით რიცხვში ჩასმა.

– სწორია, ითქვას და დაიწეროს ასე: ოთახში მაგიდები დგას (გადახაზეთ „დგანან“ და დაწერეთ „დგას“.).

– დააკვირდით ამ წინადადებას და მიზეზი ერთად აღმოვაჩინოთ: ამ წინადადებაში როგორი არსებითი სახელი გვაქვს, სულიერი თუ უსულო?

– რა თქმა უნდა, მაგიდა, მაგიდები უსულო არსებითი სახელია.

• დაფაზე დაწერეთ:

მაგიდა დგას. მაგიდები დგას.

განმარტეთ: მრავლობითში ჩასმულ უსულო არსებით სახელთან ზმნა მხოლობით რიცხვში რჩება.

• სთხოვეთ მოსწავლეებს:

ა. წაიკითხონ წიგნის მესამე რიგის წინადადებები (მინდორში მუხა დგას. მინდორში მუხები დგას.);

ბ. იპოვონ და წაიკითხონ, წერია თუ არა წიგნში წესი, რომელიც ქართულ ენაში აუცილებლად უნდა დავიცვათ.

• შემდეგ კი დაფაზე დაწერეთ ახალი მაგალითები:

ბავშვები გაიზარდნენ. მუხები გაიზარდა.

ეკრანზე ძაღლები გამოჩნდნენ. ეკრანზე სახლები გამოჩნდა.

და ამ გაკვეთილის მასალა შეაჯამეთ, გაამთლიანეთ:

– მრავლობითში ჩასმულ სულიერ არსებით სახელებთან ზმნაც მრავლობითშია, უსულოსთან კი – მხოლობითში.

• ბოლოს სავარჯიშოებით განამტკიცეთ ახსნილი მასალა:

დაწერეთ დაფაზე წინადადებები, გახაზეთ მრავლობით რიცხვში მდგარი არსებითი სახელები და სთხოვეთ მოსწავლეებს, ზმნები დაასრულონ:

ა) ერთ წელიწადში ბუჩქები გაიზარდ-. (გაიზარდა).

ბ) გაზაფხულზე მთები ამწვანდ-. (ამწვანდა).

გ) შემოდგომაზე ფოთლები გაყვითლდ-. (გაყვითლდა).

დ) წვიმის შემდეგ სოკოები ამოვიდ-. (ამოვიდა).

ე) ბაღში ვარდები გაიშალ-. (გაიშალა).

ან: შეგიძლიათ, დაფასთან სათითაოდ გამოიყვანოთ ბავშვები და დავალებები 5 მოსწავლეს ინდივიდუალურად შეასრულებინოთ.

დასვით შეკითხვა:

– ამ წინადადებებში არსებითი სახელები მრავლობითშია, ზმნები კი – მხოლობითში; რატომ? როგორია ეს არსებითი სახელები? (უსულო)

საშინაო დავალება

გაკვეთილის დასასრულს ჩაანიშნინეთ მოსწავლეებს წიგნში მოცემული დავალება სახლში შესასრულებლად (მოსწ. წიგნი, გვ. 48).

შეფასება

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, რამდენად სწორად შეძლეს სახელისა და ზმნის პირსა და რიცხვში შესაბამება.

ჭკვიანი ძაღლები

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები (სტანდარტის მიხედვით)

მოსწავლე დაეუფლოს წაკითხულის გააზრების ძირითად სტრატეგიებს; დააკავშიროს ერთმანეთთან ტექსტში მოცემული ფაქტები, მოქმედებები და გამოიტანოს სათანადო დასკვნები. გაიაზროს ტექსტის სტრუქტურა მთლიანობაში, შეადგინოს გეგმა (მასწავლებლის დახმარებით).

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დაწყ.(I).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთდაკავშირება.

- განსაზღვრავს რეპლიკის ავტორს, ადრესატსა და მიზანს (რჩევის მიცემა, ინფორმირება, ახსნა, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა და სხვ.);
- აკვირდება მხატვრული ტექსტების ენას, მწერლისეულ ლექსიკას;

ქართ.დაწყ.(I).12. მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.

- მასწავლებლის დახმარებით ადგენს ტექსტის მარტივ გეგმას მისთვის სასურველი ფორმით (სიტყვიერად ან ნახატებით).

გაკვეთილის ეტაპები

აქტივობა 1. *კითხვა და მეტყველება*

გაკვეთილს ახალი ტექსტის სათაურსა და ავტორზე ყურადღების გამახვილებით იწყებთ.

გადააშლევინეთ მოსწავლეებს წიგნები 50-ე გვერდზე და დასვით შეკითხვები:

– რა აქვს სათაურად ამ ახალ ტექსტს? (ჭკვიანი ძაღლები).

– ვინ არის ტექსტის ავტორი? (იაკობ გოგებაშვილი).

– რას გვატყობინებს მინაწერი სათაურის ქვეშ? (ეს ნამდვილი ამბავია.).

– რა განსხვავებაა ნამდვილ ამბავსა და მხატვრულ ნაწარმოებს შორის?

– როგორ ფიქრობ, რა არის ამ ტექსტის ავტორის მიზანი? (კითხვას პასუხი უნდა გაეცეს სათაურზე დაყრდნობით.)

– ეთანხმებით აზრს, რომ ძაღლი ჭკვიანი ცხოველია? შეგიძლია, შენი პასუხი მაგალითითაც დაასაბუთო?

შეარჩიეთ პასუხის ორი მსურველი და აამბობინეთ მაგალითები. სთხოვეთ ბავშვებს, შეაფასონ მოსმენილი ამბები: მართლაც, დამაჯერებლად ასაბუთებს თუ არა მონათხრობი, რომ ძაღლი ჭკვიანია (ან, საპირისპირო აზრის შემთხვევაში, მაგალითი ასაბუთებს თუ არა იმას, რომ ძაღლი არ არის ჭკვიანი ცხოველი.)

– იცით თუ არა, რომ ძაღლის ძალიან ბევრი ჯიში არსებობს?! რომლის დასახელება შეგიძლია? (მწევარი, ნაგაზი, სენბერნარი, ბულდოგი, პუდელი და სხვა.)

აქტივობა 2. *კითხვა და მეტყველება*

ტექსტი დაყოფილია 5 აბზაცად. ცალ-ცალკე დაამუშავეთ აბზაცები. თავდაპირველად გამოიყენეთ ჩუმი კითხვის სტრატეგია. ყოველი აბზაცის წაკითხვის შემდეგ შეაჩერეთ კითხვის პროცესი წაკითხულის გასაანალიზებლად.

ა) I აბზაცის დასრულების შემდეგ შეამოწმეთ, სწორად გაიგეს თუ არა მოსწავლეებმა ტექსტის ამ მონაკვეთის ყველა სიტყვა და ინფორმაცია. მათ, ცხადია, შეუძლიათ, ჩახედონ ტექსტს და შემდეგ უპასუხონ შეკითხვას.

ამ ეტაპზე ვამოწმებთ: 1. ტექსტში ცხადად მოცემული ინფორმაციის გაგებასა და აღქმას; 2. მოსწავლეთა კითხვის ლექსიკონს – წაკითხულის შინაარსის გაგებისათვის სიტყვათა მნიშვნელობების ცოდნას (ცნობილია, რომ მკვლევრები გამოყოფენ 4 სახის ლექსიკონს: სმენით ლექსიკონს, ზეპირ ლექსიკონს, კითხვის ლექსიკონსა და წერის ლექსიკონს).

მასწავლებლის შეკითხვები:

– რომელი ქვეყანაა ტექსტში ნახსენები? (შვეიცარია).

– რატომ არის სახიფათო, საშიში შვეიცარიის მთებზე გადასვლა?

– რა არის ნამქერი?

თუ ამ სიტყვის შინაარსი არ იციან, განუმარტეთ ლექსიკონის დახმარებით.

– თურმე რა იწვევს იმას, რომ მგზავრებს გზა ხშირად ეკარგებათ? (ნამქერი).

– რა ითქვა ამ აბზაცში ისეთი, რაც ტექსტის სათაურთან დაკავშირებულია? (აქ მგზავრების მხსნელი ძაღლები ყოფილან.)

ბ) II აბზაციდან კითხვას სხვა მოსწავლე აგრძელებს.

კითხვის დასრულების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს კვლავ შეკითხვებს დაუსვამს:

– რა აუშენებიათ შვეიცარიის მთებში? (მონასტერი)

მონასტრის მნიშვნელობის ახსნისას დაგეხმარებათ ბეთანიის ფოტო წიგნის 81-ე გვერდზე.

– რა ეწოდებათ იმ მამაკაცებს, რომლებიც მონასტერში ცხოვრობენ? (ბერები).

ბერის მნიშვნელობაც განმარტეთ ლექსიკონის დახმარებით.

– ვინ პატრონობს ძაღლებს მთებში? (ბერები)

– ამ აბზაცში რა ითქვა ისეთი, რაც სათაურთან და წინა აბზაცთან დაკავშირებულია? (ძაღლებმა ადამიანები გადაარჩინეს.)

გ) გრძელდება III აბზაცის კითხვა. შემდეგ მასწავლებელი კვლავ შეკითხვებს სვამს:

– როგორ ახერხებენ ბერები გზააბნეული მგზავრების შველას?

– თქვენი აზრით, რატომ შეაბამენ ხოლმე ყელზე ძაღლებს ბერები ღვინოსა და პურს?

– როგორ ხვდებიან გზააბნეული მგზავრები მონასტერში? (წინ ძაღლი მიუძღვით).

– რა შევიტყვეთ ერთი განსაკუთრებული ძაღლის შესახებ?

დ) IV აბზაცის წაკითხვის დაწყებამდე სთხოვეთ მოსწავლეებს, გამოთქვან ვარაუდი, როგორ გააგრძელებს ავტორი თხრობას: ახლა სხვა ძაღლის ამბავს გაგვაცნობს, თუ ამ განსაკუთრებული ძაღლის შესახებ უფრო მეტს გვეტყვის (ამგვარი წინასწარი მოლოდინი მკითხველს ინტერესს კიდევ უფრო უღვივებს.).

მასწავლებლის შეკითხვები IV აბზაცის დასრულების შემდეგ:

– რომელი წინასწარ გამოთქმული აზრი გამართლდა?

– როგორ მოიქცა ძაღლი, როცა მიხვდა, რომ ბავშვს მისი ეშინოდა?

ე) გრძელდება ბოლო, V აბზაცის კითხვა.

მასწავლებლის შეკითხვები კლასს:

– რას ამბობს ავტორი ძაღლების შესახებ?

– შენც ეთანხმები ბოლო აბზაცში გამოთქმულ აზრს?

თუკი რომელიმე მოსწავლეს ძაღლი ძალიან ჭკვიან ცხოველად არ მიაჩნდა, შეამოწმეთ, ხომ არ შეუცვლია მას თავისი აზრი ამ ტექსტის წაკითხვის შემდეგ.

აქტივობა 3. *კითხვა და წერა*

მოსწავლეებმა ტექსტის თითოეულ (ხუთივე) აბზაცს შესაბამისი სათაური უნდა შეურჩიონ და რვეულში მიმდევრობით ჩამოწერონ.

მასწავლებელმა ბავშვებს უნდა ურჩიოს, აუცილებლად წაიკითხონ აბზაცების პირველი წინადადებები; მათ გაახსენდებათ თითოეული აბზაცის შინაარსი და სათაურსაც ადვილად შეარჩევენ.

შესაძლებელი ვარიანტი: 1. შვეიცარიის თოვლიანი მთები; 2. მონასტერი და ბერები; 3. ძაღლების მთებში გაგზავნა; 4. მხსნელი ძაღლი და გულწასული ბავშვი; 5. ძაღლი ძალიან ჭკვიანი ცხოველია.

ა) შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ ამგვარ დასათაურებას თხრობის გეგმასაც უწოდებენ. გეგმის მიხედვით ამბის მოყოლა, თხრობა გაცილებით ადვილია.

ბ) შემდეგ რამდენიმეს ხმამაღლა წააკითხეთ მის მიერ შედგენილი გეგმა და მოსწავლეებთან ერთად განიხილეთ.

თუ დრო დაგრჩებათ:

გ) სასურველია, დაფაზე ჩამოწეროთ გეგმის ერთი შეჯერებული ვარიანტი.

დ) სთხოვთ მოსწავლეებს, გეგმის დახმარებით შეაფასონ, სად, რომელ აბზაცში, როდის იძაბება ყველაზე მეტად მკითხველის ყურადღება.

ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით, შეფასება, როგორც აზროვნების მნიშვნელოვანი საფეხური, წარმოაჩენს მოსწავლის უნარს, მოცემული კრიტერიუმის საფუძველზე გამოარჩიოს და განსაჯოს საკითხი /პრობლემა/სიტუაცია.

გეგმა:

1. შვეიცარიის თოვლიანი მთები;
2. მონასტერი და ბერები;
3. ძაღლების გაგზავნა მთებში;
4. მხსნელი ძაღლი და გულწასული ბავშვი;
5. ძაღლი ძალიან ჭკვიანია.

გაკვეთილის დასასრულს ჩაანიშნინეთ მოსწავლეებს წიგნში მოცემული წერითი დავალება სახლში შესასრულებლად (სავარჯიშოების ნაწილის მეშვიდე დავალება – მოსწ. წიგნი, გვ. 50).

ასევე, დაავალეთ, ივარჯიშონ „ჭკვიანი ძაღლების“ თავისუფლად კითხვაში.

შენიშვნა

მომდევნო დღეს, კითხვის ტემპის შემოწმების მიზნით, გამოიყენეთ ხმამაღლა, გაგრძელებებით კითხვის სტრატეგია: აბზაცების მიხედვით, მონაცვლეობით წააკითხეთ ტექსტი ხუთ მოსწავლეს.

შეფასება

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, თუ რამდენად შეძლეს წაკითხულის გააზრება; როგორ დააკავშირეს ერთმანეთთან ტექსტში მოცემული ფაქტები, მოქმედებები და გამოიტანეს სათანადო დასკვნები. როგორ გაიაზრეს ტექსტის სტრუქტურა მთლიანობაში, შეადგინეს გეგმა.

როგორ გაჩნდა ღვინო – მოსასმენი ტექსტი

(ე. წ. საყოფაცხოვრებო ზღაპრების ჟანრიდან)

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები (სტანდარტის მიხედვით)

მოსმენის უნარის გასავითარებლად გააქტიურდეს აზროვნების საფეხურები: ცოდნა, აღქმა, მისადაგება (II გამოყენება), ანალიზი, შეფასება.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დაწყ.(I).2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება-გააზრება და გადმოცემა.

- ამოიცნობს ტექსტის თემას;

ქართ.დაწყ.(I).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს პირადი დამოკიდებულების გამოხატვა ტექსტის თემის, მასში განხილული საკითხების მიმართ; მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟ(ებ)ის, მისი/მათი ქცევის შეფასება და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა.

- აღწერს და ახასიათებს პერსონაჟებს თვალსაჩინო ნიშნების მიხედვით.

გაკვეთილის ეტაპები

აქტივობა 1. *მოსმენა, მეტყველება*

ტექსტის წაკითხვამდე გააცანით მოსწავლეებს მხოლოდ სათაური და გამოიკითხეთ, რა შეიძლება იყოს ამ ნაწარმოების შინაარსი, რა იციან ღვინის შესახებ; შეამოწმეთ მათი ლექსიკური მარაგი:

ა) სანამ თემატურ საუბარს დაიწყებთ, დაფაზე ჩამოწერეთ შესაბამისი სემანტიკური ველის სიტყვები (შინაარსით ახლოს მდგომი სიტყვები), შეურიეთ მათ ერთი დამატებითი სიტყვა და სთხოვეთ მოსწავ-ლეებს, გამოიცნონ, რომელია ზედმეტი:

ვაზი, ყურძენი, ვენახი, რთველი, ყანა, მტევანი.

რადგან II კლასში ეს სიტყვები შესწავლილი აქვთ, მოსალოდნელია, რომ ბავშვები ყანას ადვილად გამორიცხავენ.

ბ) მასწავლებლის შეკითხვები:

– რომელი მცენარის ნაყოფისაგან მზადდება ღვინო? (ვაზის)

– რას ისხამს ვაზი? (ყურძენს)

– რა განსხვავებაა მარცვალსა და მტევანს შორის?

– რას ვუწოდებთ ადგილს, სადაც ბევრი ვაზი ერთად ხარობს? (ვენახს)

შესაძლებელია, რომელიმე მოსწავლემ იცოდეს სიტყვა ზვარიც.

– როდის, წელიწადის რომელ დროს, კრეფენ ხოლმე ვენახში ყურძენს? (შემოდგომაზე)

– რომელი სიტყვა აღნიშნავს შემოდგომაზე ვენახებში ყურძნის ერთად დაკრეფას? (რთველი)

– რას ნიშნავს გამოთქმა: ყურძნის დაწურვა?

– ახალდაწურული ყურძნის წვენი უკვე ღვინოა?

– რა თვისება აქვს ღვინოს, რას იწვევს ბევრი ღვინის სმა? (თრობას)

აუხსენით მოსწავლეებს, რომ ზრდასრული ადამიანისთვის ღვინის მცირე რაოდენობით დალევა

სასარგებლოც კი არის. ღვინოს სამკურნალო თვისებებიც აქვს. მონასტერშიც კი ბერებს უფლება აქვთ, ცოტაოდენი ღვინო მიირთვან...

აქტივობა 2. *მოსმენა, მეტყველება*

მასწავლებელი:

– თქვენ ახლა ზღაპარი უნდა მოისმინოთ. უკვე გითხარით, ზღაპრის სათაურია „როგორ გაჩნდა ღვინო“. მიუხედავად იმისა, რომ ეს ზღაპრული, მოგონილი ამბავია, მისი ერთი ნაწილი სიმართლეა. კარგად მოუსმინეთ და გამოიცანით, რა შეიძლება იყოს მართლაც შესაძლებელი?

შემდეგ მოასმენინეთ მოსწავლეებს ზღაპრის I მონაკვეთი (სიტყვებამდე: რა დავარქვათ, ან რა თვისება დავანათლოთო).

ა) დასვით შეკითხვები:

– როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია, ასეთი რამ სინამდვილეშიც მომხდარიყო? რა ჰგავს სიმართლეს?

მოსწავლეებმა დასაშვებად უნდა მიიჩნიონ, რომ:

1. ვაზი იქნებ თავდაპირველად მართლაც ტყეში ხარობდა;
2. ადამიანმა კი გადაწყვიტა, ეზოშიც დაერგო.
3. როცა მან ვაზის ნაყოფს გემო გაუსინჯა, ძალიან მოეწონა.
4. ვაზმა ბევრი ყურძენი მოისხა.
5. კაცმა მტევნები დაწურა და ტკბილი წვენი თიხის ჭურჭელში ჩაასხა.
6. ცოტა ხნის შემდეგ წვენი ღვინოდ იქცა...

თუ ბავშვებს ზემოთ აღნიშნული პასუხების გადმოცემა გაუძნელდებათ, მიეცით გეზი შეკითხვების დახმარებით:

– თქვენ ალბათ იცით, რომ არსებობს ტყის ვაშლი და ბაღის ვაშლი; ტყის ვარდი და ბაღის ვარდი... დასაშვებია, რომ ადამიანს ვაზი პირველად ტყეში ენახა და შემდეგ ეზოშიც გაეხარებინა?

– შესაძლებელია, ვაზის რამდენიმე ძირს იმდენი ყურძენი მოესხა, რომ ერთბაშად ვერ შეეჭამათ და დარჩენილიყო?

– სინამდვილეშიც არსებობს თიხის ჭურჭელი?

– ყურძნის ახალდაწურული წვენი ტკბილი იქნებოდა?

– მოგვიანებით წვენი მართლაც ღვინოდ გადაიქცეოდა?

– მოსმენილიდან რა მიგვანიშნებს იმას, რომ ეს ამბავი ზღაპარია და შეუძლებელია, ყველაფერი, მართლაც ასე მომხდარიყო?

მოსალოდნელია, რომ ბავშვებმა ყურადღება მიაქციეს:

1. ზღაპრის დასაწყისს: იყო და არა იყო რა.
2. იმ უჩვეულო ამბავს, რომ კაცმა ადამიანებთან ერთად ნადირ-ფრინველიც მოიწვია. ადამიანები და ნადირ-ფრინველები ერთმანეთს ესაუბრებიან.

გაამახვილეთ ყურადღება ზღაპრის დასაწყისზე: მართლაც რა იყო, და რა – არა.

ბ) შემდეგ კიდევ ერთხელ მოასმენინეთ მოსწავლეებს ეს მონაკვეთი და შეამოწმეთ სმენითი ლექსიკონი (ჭაშნიკზე მიიწვია; გაიმართა ბჭობა):

– ხომ არ გახსოვთ, როდის ითქვა ზღაპარში სიტყვა ჭაშნიკი, „ჭაშნიკზე მიწვევა“? რატომ მიიწვია კაცმა ხელმეორედ სტუმრები? სასმელის გემოს გასასინჯად მიწვევას რა ეწოდება?!

– რის შესახებ უნდა გამოეთქვათ თავიანთი აზრი ერთად შეკრებილ ადამიანებსა და ნადირ-ფრინ-ველებს? რა გამართეს მათ გემრიელი სასმელისთვის სახელის შესარჩევად? რას ნიშნავს „ბჭობა“?!...

აქტივობა 3. *მოსმენა, მეტყველება*

ა) წაუკითხეთ ზღაპრის გაგრძელება (II მონაკვეთი, ლხინის ღმერთის სიტყვების ჩათვლით).

ბ) დასვით შეკითხვები:

– ზღაპრის მიხედვით, რომელი ფრინველი და ცხოველი ბჭობდა ადამიანებთან ერთად?

პასუხი დაფაზე დაწერეთ:

ბულბული, ლომი, ჭრიჭინა, ძაღლი, ბატი, ღორი.

მოსწავლეებთან ერთად გაიხსენეთ ჯამების რაოდენობაც და დაფაზე ჩამოწერეთ: 3, 5, 7, 9,12 და მეტი.

(სასურველია, ბავშვებს აჩვენოთ ან დაუხატოთ ღვინის სასმელი ჯამი – ზომიერი ფიალა.)

შემდეგ სათითაოდ გამოიკითხეთ ექვსივე თვისების შესახებ:

– რომელმა რა დაანათლა სასმელს?

გამოიყენეთ წყვილებად მუშაობის სტრატეგია. დაუნაწილეთ ეს ექვსი დავალება სხვადასხვა წყვილს და სთხოვეთ, გაიხსენონ მოსმენილი და ჩამოაყალიბონ პასუხი.

– თქვენი აზრით, კარგად, ოსტატურად შეურჩია მეზღაპრემ ფრინველ-ცხოველებს თვისებები? შეეფერება ბულბულს, ლომს, ჭრიჭინას, ძაღლს, ბატსა და ღორს ის, რაც აქ არის ჩამოთვლილი?

– სახელი როგორ დაერქვა სასმელს? (ლხინის ღმერთმა – ღვინომ თავისი სახელი დაარქვა).

აქტივობა 4. *მოსმენა, მეტყველება*

წაუკითხეთ მოსწავლეებს ზღაპრის ბოლო, მესამე ნაწილი. შეამოწმეთ, აღმოჩნდა თუ არა სწორი ის, რაც მათ მეორე ნაწილიდან დაუმახსოვრებიათ (ამ ნაწილში ერთხელ კიდევ ჩამოთვლილია ყველა თვისება).

დასვით შეკითხვები ზღაპრის მთავარი აზრის ამოსაცნობად:

– ორი სასმისის ზემოთ, მესამე ჯამიდან, ღვინო ადამიანზე თავის ძალას ავლენს. ზღაპრის მიხედ-ვით, ადამიანი თანდათანობით სხვადასხვა თვისებას იძენს. შეაფასეთ, რომელია ამათგან შედარებით მოსაწონი და რომელი – არა?

მოსალოდნელია, რომ ბავშვები ბულბულის თვისებას – სიმღერის სურვილის გაჩენას მოიწონებენ; შედარებით დადებითად შეაფასებენ ლომის თვისებასაც, დანარჩენს კი – კრიტიკულად, უარყოფითად.

საშინაო დავალება

გაკვეთილის დასასრულს მიეცით მოსწავლეებს წერითი დავალება სახლში შესასრულებლად: როგორ უნდა მოიქცნენ მამაკაცები, მათი ლხინი რომ მოსაწონი იყოს? დაფაზე დაწერეთ და ჩააწერინეთ დასაწყისი:

ლხინი რომ მოსაწონი იყოს, ...

შეფასება

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, თუ რამდენად სათანადოდ შეძლეს მოსმენილი ტექსტის გაგება-გააზრება, კითხვებზე პასუხის გაცემა.

როგორ გაჩნდა ღვინო

იყო და არა იყო რა, ამქვეყნად რა არ ყოფილა! ოდესღაც ისეთი დროც იყო, როცა ხალხი ვაზს არ იცნობდა და არც ღვინის დაყენება იცოდა. ვაზი მაშინ ტყეში იზრდებოდა და ყურძენს ჩიტები კენკავდნენ.

ერთხელ ერთმა კაცმა ტყიდან ვაზის ნერგი წამოიღო და თავის ეზოში დარგო. ვაზმა, რა თქმა უნდა, ყურძენი დაისხა. კაცმა შეჭამა ყურძენი, მოეწონა და მეორე წელიწადს კიდევ დარგო რამდენიმე ძირი.

ვაზი მალე მთელ ეზოს მოედო. კაცი ყოველ შემოდგომაზე რთველს მართავდა, მოიწვევდა მეზობლებს – ხალხს, ნადირ-ფრინველს – და გემრიელი ნაყოფით უმასპინძლდებოდა.

ერთ წელიწადს ვაზმა დიდძალი ნაყოფი გამოიღო. კაცმა ჩვეულებრივ მოიწვია მეზობლები, მაგრამ ნახევარიც ვერ შეჭამეს. დარჩენილი მტევნები კაცმა დაწურა და ტკბილი წვენი თიხის ჭურჭელში ჩაასხა.

გავიდა ცოტა ხანი, კაცმა წვენს გემო გაუსინჯა, მოეწონა და ჭაშნიკზე ისევ მოიწვია ხალხი და ნადირ-ფრინველი. ყველამ გასინჯა წვენი და ყველას მოეწონა მისი სურნელი და გემო. გაიმართა ბჭობა: რა დავარქვათ, ან რა თვისება დავანათლოთო?

მოფრინდა ბულბული, შეავსო თიხის ჯამი და თქვა:

– ვინც სამი ჯამი დალიოს, ჩემსავით ტკბილად ამღერდესო! – დალია ჯამი და დადგა.

მოვიდა ლომი, შეავსო ჯამი და თქვა:

– ვინც ხუთი ჯამი დალიოს, ჩემსავით ღონიერი და უშიშარი გახდესო!

მოვიდა ჭრიჭინა, შეავსო ჯამი და თქვა:

– ვინც შვიდი ჯამი დალიოს, ჩემსავით მომაბეზრებლად აჭრიჭინდესო!

მოვიდა ძაღლი, შეავსო ჯამი და თქვა:

– ვინც ცხრა ჯამი დალიოს, ჩემსავით ღრენა დაიწყოსო! – დალია ჯამი და დადგა.

მოვიდა ბატი, შეავსო ჯამი და თქვა:

– ვინც თორმეტი ჯამი დალიოს, ჩემსავით გამოტვინდესო!

ბოლოს მოვიდა ღორი, შეავსო ჯამი და თქვა:

– ვინც თორმეტ ჯამზე მეტი დალიოს, ჩემსავით ტალახში იგორაოსო!

ამ დროს მოვიდა ლხინის ღმერთი, აავსო ჯამი და თქვა:

– რაკი ყველა ჩემი ძალა და უნარი დაანათლეთ, მაშ, სახელიც ჩემი ერქვასო, და ღვინო დაარქვა.

ასე აღმოაჩინა კაცმა ღვინო. დროთა განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა. ხალხმა ვაზის სულ ახალი და ახალი ჯიშები აღმოაჩინა და ღვინოებიც სხვადასხვაგვარი გაჩნდა, მაგრამ ის თავდაპირველი ძალა და თვისება კი დღევანდლამდე უცვლელად შეინარჩუნა: ახლაც, სამ ჯამს რომ დალევს კაცი, ბულბულივით ტკბილად ამღერდება, ხუთ ჯამზე ლომის ძალა და გამბედაობა ეძლევა, შვიდჯამდალეული ჭრიჭინასავით აჭრიჭინდება და ყველას თავს აბეზრებს, მეცხრე ჯამზე ძაღლივით ღრენას იწყებს, მეთორმეტეზე ბატივით გამოტვინდება, ხოლო ვინც თორმეტ ჯამზე მეტს დალევს, ღორივით ტალახში ჩაწვება და გორაობასა და ღრუტუნს დაიწყებს.

ქართული ხალხური ზღაპარი

თავი III – ძალა ერთობაშია

გრამატიკა – არსებითი სახელი და რიცხვითი სახელი

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები (სტანდარტის მიხედვით)

მოსწავლემ შეძლოს ძირითადი ენობრივ-გრამატიკული საშუალებების სათანადოდ გამოყენება – მართებულად დასვას კითხვები: ვინ? რა? რამდენი? შესაბამის კონტექსტში სწორად გამოიყენოს რაოდენობითი რიცხვითი სახელები.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დაწყ.(I).1. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სამეტყველო ქცევის გამოვლენა ნაცნობ საკომუნიკაციო სიტუაციაში.

- ადეკვატურად აღიქვამს ინფორმაციას;

ქართ.დაწყ.(I).15. მოსწავლემ უნდა შეძლოს წერის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის

- გადაიკითხავს და ჩაასწორებს საკუთარ ნაწერს, ჩაამატებს, ამოშლის ან გადასვამს ტექსტში სასურველ სიტყვას ან წინადადებას;

გაკვეთილის ეტაპები

აქტივობა 1. მოსმენა, კითხვა, მეტყველება, წერა

ახალ გაკვეთილს ტექსტის სათაურზე ყურადღების გამახვილებით ვიწყებთ.

გადააშლევინეთ მოსწავლეებს წიგნები 59-ე გვერდზე და სთხოვეთ, წაიკითხონ სათაური.

მასწავლებელი: – დღეს გრამატიკის გაკვეთილი გვაქვს. რა არის ჩვენი გაკვეთილის თემა? (არსებითი სახელი და რიცხვითი სახელი).

– არსებითი სახელი თქვენ უკვე ისწავლეთ. ერთხელ კიდევ გავიმეოროთ, რა ვიცით მის შესახებ; გავიხსენოთ, რომელ სიტყვებს უწოდეს ენის შემსწავლელებმა არსებითი სახელები.

შემდეგ მასწავლებელი დაფაზე წერს წინადადებებს და ბავშვებს სთხოვს, რვეულებში გადაიწერონ.

გამოიყენეთ ე. წ. გონებრივი იერიშის სტრატეგია, დაუსვით შეკითხვები მოსწავლეებს:

– ამ წინადადებებში რომელია არსებითი სახელები? (ბავშვები, წიგნები)

– რა კითხვები დაესმის არსებით სახელებს? (ვინ? და რა?)

– ამათგან რომელია სულიერი და რომელი – უსულო? (ბავშვები – სულიერი, წიგნები – უსულო)

– რომელ რიცხვშია ეს არსებითი სახელები? (მრავლობითში)

მოსწავლეები მიიღებენ დავალებას:

– გადაიყვანეთ წინადადებები მხოლობით რიცხვში და რვეულში ჩაწერეთ (ბავშვი კითხულობს. წიგნი გადაშლილია.)

– რა ემატება მრავლობითში არსებით სახელს? ნიშანს ქვეშ ხაზი გაუსვით (-ებ)

– თითოეულ წინადადებაში ორი სიტყვაა. პირველი არსებითი სახელია, მეორე რა არის? (ზმნა)

წინადადებები დაფაზე:

ბავშვები კითხულობენ. წიგნები გადაშლილია.

აქტივობა 2. მოსმენა, კითხვა, მეტყველება, წერა

ახალი გრამატიკული მასალის ათვისება (რიცხვითი სახელი)

სტრატეგიები: შეპირისპირებით განსხვავების აღმოჩენა

მასწავლებელი დაფაზე ახალ წინადადებებს დაწერს.

– რომელ რიცხვშია არსებითი სახელები? (მრავლობითში)

– შეგიძლიათ, ამ წინადადებების მიხედვით მითხრათ, ზუსტად რამდენი ჩიტი ჭიკჭიკებს ან რამდენი ყვავილი გაიშალა?

ბავშვები „აღმოაჩენენ", რომ ეს შეუძლებელია. შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მათ, ჩაიხედონ წიგნში და წაიკითხონ ნახატების ქვეშ რიგით მეორე წინადადებები.

თვითონ კი ამ წინადადებებს დაფაზე წერს: ორი ბავშვი კითხულობს. სამი ჩიტი ჭიკჭიკებს.

ორი ყვავილი გაიშალა.

წინადადებები დაფაზე:

ჩიტები ჭიკჭიკებენ. ყვავილები გაიშალა.

მასწავლებელი:

– რომელი სიტყვები დაემატა წინ არსებით სახელებს? (ორი, სამი, ორი)

– ახლა ჩვენ უკვე ვიცით ბავშვების, ჩიტებისა და ყვავილების რაოდენობა.

შემდეგ სთხოვს მოსწავლეებს, გადაიწერონ ეს წინადადებები რვეულში და რაოდენობის აღმნიშვნელ სიტყვებს ხაზი გაუსვან.

მასწავლებელი:

– თქვენ, რა თქმა უნდა, იცით, რომ ერთი, ორი, სამი ... ასი რიცხვების სახელებია. ენის შემსწავლელებმა კი მათ რიცხვითი სახელები უწოდეს.

– რამდენი ბავშვი კითხულობს? რამდენი ჩიტი ჭიკჭიკებს? რამდენი ყვავილი გაიშალა?

– რა ყოფილა რიცხვითი სახელის კითხვა? (რამდენი?)

აქტივობა 3. *მოსმენა, კითხვა, მეტყველება*

ახალი გრამატიკული მასალის ათვისება (რიცხვითი სახელი და არსებითი სახელის რიცხვი)

ხერხი: კონკრეტულ მაგალითებზე დაკვირვების შემდეგ ზოგადი წესის ჩამოყალიბება.

სთხოვეთ მოსწავლეებს, ჩახედონ წიგნს და ყურადღება მიაქციონ გაკვეთილის თემას – არსებითი სახელი და რიცხვითი სახელი. შემდეგ მათ წააკითხეთ პირველი ნახატის ქვეშ დაწერილი ორივე წინადადება. წინადადებების ეს წყვილი დაფაზეც დაწერეთ და არსებით სახელებს ქვეშ ხაზი გაუსვით:

ბავშვები კითხულობენ.

ორი ბავშვი კითხულობს.

დასვით შეკითხვები:

– რომელ რიცხვშია არსებითი სახელი პირველ წინადადებაში? (მრავლობითში)

– მეორე წინადადებაში რომელ რიცხვშია არსებითი სახელი? (მხოლობითში)

– რა შენიშნეთ, რიცხვითი სახელის გვერდით არსებითი სახელი რომელ რიცხვში უნდა იყოს? (მხოლობითში).

– წავიკითხოთ და დავაკვირდეთ, სხვა წინადადებებშიც ასეა? (სამი ჩიტი ჭიკჭიკებს. ორი ყვავილი გაიშალა.)

– ქართულ ენაში ასეთი წესია : რიცხვითი სახელის გვერდით არსებითი სახელი ყოველთვის მხოლობით რიცხვშია.

მოსწავლეები მიიღებენ დავალებას:

– იპოვეთ, წერია თუ არა წიგნში ეს წესი?

რომელიმე მოსწავლეს ხმამაღლა წააკითხეთ.

აქტივობა 4. *მოსმენა, კითხვა*

ახალი გრამატიკული მასალის ათვისება (რიცხვითი სახელი და ზმნის რიცხვი)

სტრატეგია: ანალოგია (ენის წესის მიგნება ანალოგიის საფუძველზე)

მასწავლებელი:

– მოდი, ახლა ამ რიცხვით სახელიან წინადადებაში ზმნასაც დავაკვირდეთ.

მიუთითეთ დაფაზე წინადადება:

ორი ბავშვი კითხულობს.

დაელოდეთ ბავშვების პასუხს. შესაძლებელია, დამოუკიდებლადაც მიხვდნენ, რომ რიცხვითი სახელის გვერდით, ისევე როგორც არსებითი სახელი, ზმნაც მხოლობითში უნდა იყოს.

– რომელ რიცხვშია აქ ზმნა? (მხოლობითში)

– სხვა რიცხვითსახელიან წინადადებებშიც ასეა?

მიუთითეთ დაფაზე წინადადებები: სამი ჩიტი ჭიკჭიკებს. ორი ყვავილი გაიშალა.

– აბა, ახლა თქვენ აღმოაჩინეთ კიდევ ერთი წესი!

მოსალოდნელი პასუხი: რიცხვითი სახელის გვერდით ზმნა ყოველთვის მხოლობით რიცხვშია.

შემდეგ გაამთლიანეთ ქართული ენის ეს წესები, დაწერეთ დაფაზე და ბავშვებს სთხოვეთ, ხმამაღლა წაიკითხონ:

რიცხვითი სახელის გვერდით არსებითი სახელი და ზმნა მხოლობით რიცხვშია.

სასურველია, განუმარტოთ მოსწავლეებს, რომ ყველა ენაში ასე არ არის. ხშირად ენებს სხვადასხვაგვარი წესები აქვს. ქართულში კი ეს წესი აუცილებლად უნდა დავიცვათ.

აქტივობა 5. *კითხვა, წერა*

ა) სთხოვეთ მოსწავლეებს, იგავიდან „ძალა ერთობაშია“ გადაიწერონ პირველი სტრიქონი და რიცხვით სახელებს ქვეშ ხაზი გაუსვან.

იყო ერთი დიდებული მეფე. მას ოცდაათი ვაჟიშვილი ჰყავდა.

(ყურადღება მიაქციეთ ოცდაათის მართლწერასაც.)

ბ) დაწერეთ დაფაზე წინადადებები შეცდომებით და სთხოვეთ მოსწავლეებს, იპოვონ შეცდომა:

ხუთი წინადადებები შევადგინე. სამი მგზავრი ფეხით მიდიან.

საშინაო დავალება

გაკვეთილის დასასრულს ჩაანიშნინეთ მოსწავლეებს წიგნში მოცემული წერითი დავალება სახლში შესასრულებლად (სავარჯიშოების ნაწილის ორივე სავარჯიშო – მოსწ. წიგნი, გვ. 59).

შეფასება

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, რამდენად შეძლეს ძირითადი ენობრივ-გრამატიკული საშუალებების სათანადოდ გამოყენება.

სპილო და ჭიანჭველები, II ნაწილი

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები (სტანდარტის მიხედვით)

მოსწავლემ შეძლოს ტექსტში პერსონაჟთა რეპლიკების მიზნის განსაზღვრა; პერსონაჟების ერთმანეთთან ურთიერთობის შეფასება; წაკითხული ტექსტით აღძრული განცდის, ემოციის გამოხატვა.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან:

ქართ.დაწყ.(I).6. მოსწავლემ უნდა შეძლოს გაწაფულად კითხვა.

- ხმამაღლა, თავისუფლად კითხულობს მასწავლებლის მიერ მითითებულ ეპიზოდს, მცირე ზომის ტექსტებს;

ქართ.დაწყ.(I).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთდაკავშირება.

- ამოიცნობს ტექსტის თემას, წვდება დედააზრს (მთავარ იდეას);

ქართ.დაწყ.(I).9. მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; ტექსტის თემის და/ან მასში განხილული კონკრეტული საკითხების შეფასება.

- გამოხატავს წაკითხული ტექსტით აღძრულ ემოციებს, განცდებს;

გაკვეთილის ეტაპები

აქტივობა 1. *მოსმენა, კითხვა, მეტყველება*

მასწავლებელი გაკვეთილს ტექსტის პირველი ნაწილის შეხსენებით იწყებს.

შეამოწმეთ წერითი საშინაო დავალება, რომელიც I ნაწილის II აბზაცის გადაწერასა და დასათაურებას მოითხოვდა.

მოსალოდნელი ვარიანტები: სპილო ჭიანჭველებს ბუდეს უნგრევს / სპილომ ძალა გამოიჩინა / სპილომ ვედრება არ შეისმინა / უმოწყალო სპილო...

დასვით შეკითხვები:

– შემდეგ რა მოხდა, დაემორჩილნენ სპილოს ციცქნა ჭიანჭველები?

– რა ხერხს მიმართეს ჭიანჭველებმა?

– სად შეწყდა თხრობა, რა შევიტყვეთ ამ ნაწილის ბოლოს?

პასუხების მოსმენის შემდეგ უთხარით მოსწავლეებს:

– თქვენ იცით, რომ ეს ნაწარმოები იგავ-არაკია. შესაძლებელია, მეიგავე ცხოველების შესახებ გვიამბობდეს, მაგრამ ფარულად ადამიანებსაც გულისხმობდეს. იგავი აუცილებლად რაღაცას გვასწავლის, ჭკუას გვარიგებს. ჭკვიანი მკითხველი კი ამას თვითონ უნდა მიხვდეს.

დასვით შეკითხვა და ასარჩევი ვარიანტები დაფაზე დაწერეთ:

– რას გვასწავლის სპილოსა და ჭიანჭველების ამბავი?

ა) სპილო უზარმაზარი და შეუბრალებელი ცხოველია.

ბ) ციცქნა ჭიანჭველას მწარედ კბენა შეუძლია.

გ) პატარა სულიერებს დიდ ძალასთან შებრძოლება შეუძლიათ.

შეახსენეთ მოსწავლეებს, აუცილებლად წაიკითხონ სამივე და მხოლოდ შემდეგ გადაწყვიტონ, რომელია სწორი პასუხი. გამოავლინეთ, ვინ რომელს ირჩევს. მოსწავლეებს, რომელთაც სწორი პასუხი (ე. ი. გ) ვარიანტი) შეარჩიეს, სთხოვეთ, ახსნან, რატომ მიაჩნიათ, რომ გ) სწორია.

დაეხმარეთ ბავშვებს შეკითხვებით:

– ამ სამიდან რომელშია გამოთქმული აზრი მხოლოდ სპილოს შესახებ?

– რომელია მხოლოდ ჭიანჭველების შესახებ?

– სპილოსა და ჭიანჭველების ამბავი რომელში ჩანს?

– როგორ ფიქრობთ, გ) პასუხში გამოთქმული აზრი მხოლოდ ჭიანჭველებსა და სპილოს ეხება?

შემდეგ გადააშლევინეთ მოსწავლეებს წიგნები 61-ე გვერდზე და იგავის მეორე ნაწილის დასაწყისი აპოვნინეთ.

აქტივობა 2. *კითხვა და მეტყველება*

ა) გამოიყენეთ ჩუმი კითხვის სტრატეგია: ტექსტი მოკლეა, ამიტომ ამჯერად კითხვა გზადაგზა აღარგააწყვეტინოთ.

ბ) კითხვის დასრულების შემდეგ შეამოწმეთ, სწორად გაიგეს თუ არა მოსწავლეებმა ტექსტის ყველა სიტყვა და ინფორმაცია. მათ, ცხადია, შეუძლიათ, ჩახედონ ტექსტს და შემდეგ უპასუხონ შეკითხვას.

ამოწმებთ: 1. ტექსტში ცხადად მოცემული ინფორმაციის პოვნასა და გაგებას; 2. მოსწავლეთა კითხვის ლექსიკონს – წაკითხულის შინაარსის გაგებისათვის სიტყვათა მნიშვნელობების ცოდნას. 3. ტექსტის სხვადასხვა წინადადებას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დანახვისა და გააზრების უნარს.

მასწავლებლის შეკითხვები და დავალებები მოსწავლეებს:

– რატომ ელოდა სპილოს კლდეზე გადავარდნის საშიშროება?

– რას ნიშნავს დაჩოქება?

– რა უთხრა ჭიანჭველებს დაჩოქებულმა სპილომ?

– მესამე აბზაცში იპოვეთ სიტყვა, რომელიც სპილოს შეუბრალებლობას, უმოწყალობას აღნიშნავს. (გულქვაობა).

– რას გვეუბნება მეიგავე: როგორ შეიცვალა სპილო, როგორი გახდა ის? (მომთმენი, მშვიდი, უწყინარი)

აქტივობა 3. *კითხვა/წაკითხულის გააზრება, წერა, მეტყველება*

ახალი მასალის ათვისების შემოწმება წიგნის სავარჯიშოების დახმარებით

ა) გამოიყენეთ წყვილებში მუშაობის მეთოდი და სთხოვეთ ბავშვებს, ერთად იპოვონ პასუხი სავარჯიშოების ნაწილის I და II დავალებაზე (I. რა პირობა წაუყენეს სპილოს ჭიანჭველებმა? II. რა უხაროდათ ჭიანჭველებს განსაკუთრებით?).

I და II სავარჯიშოში მოცემულია კითხვები არჩევითი პასუხით (ა. ბ. გ.). ამიტომ შეახსენეთ მოსწავლეებს: აუცილებლად წაიკითხონ სამივე და მხოლოდ შემდეგ გადაწყვიტონ, რომელია სწორი; არ იჩქარონ პასუხის გაცემა, ტექსტში აუცილებლად ჩაიხედონ.

ბ) შემდეგ გამოავლინეთ, ვინ რა ვარიანტი აირჩია. წყვილებს, რომელთაც სწორი პასუხები (I-ში გ) ვარიანტი; II-ში ბ) ვარიანტი) შეარჩიეს, სთხოვეთ, წიგნის მიხედვით დაასაბუთონ, დაამტკიცონ, რომ ეს პასუხები მართლაც სწორია.

მოსწავლემ უნდა შეძლოს ტექსტში ცხადად მოცემული ორი ინფორმაციის პოვნა: I. მე-3 აბზაცში: „არაფერი არ უნდა დაუშაო სხვასაც, მით უმეტეს, პატარასა და სუსტსაო“. II. მე-5 აბზაცში: „ჭიანჭველებს

... მეტად ის ახარებდათ, რომ გულკეთილობით აჯობეს უზარმაზარ სპილოს“.

გ) III სავარჯიშოს შეკითხვა ე. წ. ღია კითხვაა – მას არ ახლავს ასარჩევი პასუხი. ეს შეკითხვა (შენი აზრით, რამ მოუტანა ჭიანჭველებს გამარჯვება?) ყველას დაუსვით. გამოაცხადეთ „ფიქრის წუთები“ და სთხოვეთ მოსწავლეებს, მოფიქრებული პასუხი რვეულში ჩაწერონ. ბავშვებთან ერთად განიხილეთ რამდენიმე ნაწერი.

ბავშვები უნდა მიხვდნენ, რომ ჭიანჭველებმა სპილო ერთად დაამარცხეს. სპილოს დასამარცხებლად ისინი ერთ გუნდად შეგროვდნენ.

დ) შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს, გაიხსენონ იგავი „ძალა ერთობაშია“ და ამ იგავ-არაკს დაუკავშირონ; ახსნან, რა საერთოა მათ შორის?

შეგიძლიათ, გამოიყენოთ სტრატეგია – მოსწავლე მასწავლებლის როლში: სურვილის გათვალისწინებით შეარჩიოთ მოსწავლე, რომელიც კლასს ამ შეკითხვის პასუხს განუმარტავს.

ე) ისევ მიუბრუნდით უშუალოდ ტექსტს; გამოიყენეთ ამორჩევით კითხვის სტრატეგია (ტექსტის ერთი რომელიმე ფრაგმენტის მოძებნა და წაკითხვა). დავალებას სისწრაფეში შეჯიბრის სახე მიეცით:

სთხოვეთ მოსწავლეებს, სწრაფად იპოვონ ტექსტში ის ადგილი, რომელშიც ჩანს, რომ სპილო ტანჯვას ველარ უძლებდა.

გაკვეთილის დასასრულს ჩაანიშნინეთ მოსწავლეებს წიგნში მოცემული მეორე წერითი დავალება სახლში შესასრულებლად (მოსწ. წიგნი, გვ. 62).

აქტივობა 4. *კითხვა/დეკოდირება*

კითხვის ტემპის შემოწმების მიზნით, გამოიყენეთ გაგრძელებებით ხმამაღლა კითხვის სტრატეგია. წააკითხეთ ტექსტი ხუთ მოსწავლეს, აბზაცების რაოდენობის შესაბამისად.

შეფასება

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, თუ რამდენად შეძლეს ტექსტში პერსონაჟთა რეპლიკების მიზნის განსაზღვრა; მათი ერთმანეთთან ურთიერთობის შეფასება; წაკითხული ტექსტით აღძრული განცდის, ემოციის გამოხატვა.

ჩონგური

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები (სტანდარტის მიხედვით)

მოსწავლემ შეძლოს ტექსტის ხმამაღლა, თავისუფლად, სწორი ინტონაციით წაკითხვა, პაუზის დაცვა სასვენ ნიშნებთან; თხრობითი ტექსტისაგან განსხვავებული სახის მქონე ნაწარმოების (ლექსის) თავისებურების გააზრება; წაკითხულის შინაარსის გააზრება და საკუთარი სიტყვებით გადმოცემა.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დაწყ.(I).6. მოსწავლემ უნდა შეძლოს გაწაფულად კითხვა.

- ხმამაღლა, თავისუფლად კითხულობს მასწავლებლის მიერ მითითებულ ეპიზოდს, მცირე ზომის ტექსტებს;
- ხმამაღლა კითხვისას იცავს პაუზას სასვენ ნიშნებთან.

ქართ.დაწყ.(I).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთდაკავშირება.

- საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს ტექსტის შინაარსს, ცალკეული მონაკვეთის არსებით ინფორმაციას;

გაკვეთილის ეტაპები

აქტივობა 1. *მოსმენა, კითხვა, მეტყველება*

მასწავლებელი გაკვეთილს ლექსის ფორმაზე, სათაურსა და ავტორზე ყურადღების გამახვილებით იწყებს (აკაკი წერეთელი, „ჩონგური“).

ა) გადააშლევინეთ მოსწავლეებს წიგნები 61-ე გვერდზე და დასვით შეკითხვები:

– როგორ ვხვდებით ერთი შეხედვითაც კი, რომ ჩვენ წინაშე ლექსია და არა – მოთხრობა?

დაეხმარეთ ბავშვებს, მათი ცოდნის ფარგლებში ჩამოაყალიბონ პასუხი: მოთხრობისაგან განსხვავებით, ლექსს უფრო მოკლე სტრიქონები აქვს. ლექსს ფურცლის შუა ნაწილში წერენ. მას არა აქვს აბზაცები.

– დააკვირდით, ამ ლექსის პირველ სტრიქონში რამდენი მარცვალია? (8)

– როგორ ფიქრობთ, სხვა სტრიქონებშიც ამდენივე მარცვალია?

ხალხური ლექსისა და პაოლო იაშვილის ლექსის მაგალითზე მათ უკვე იციან, რომ ლექსის ყველა სტრიქონში მარცვლების ერთნაირი რაოდენობაა.

– რა არის ამ ლექსის სათაური? ვინ არის მისი ავტორი?

– კიდევ რა გამოარჩევს ლექსს მოთხრობისაგან, სტრიქონების ბოლოს რა აქვს ხოლმე მას? (რითმა).

– ჩუმად წაიკითხეთ ლექსის პირველივე გამოყოფილი ნაწილი – ოთხი სტრიქონი – და იპოვეთ აკაკი წერეთლის გარითმული სიტყვები (ნელაო – დელაო / ნელა-ნელაო – დელა-დელაო).

ბ) შემდეგ სთხოვეთ ბავშვებს, გადაშალონ წიგნები მომდევნო გვერდზე და იპოვონ ტექსტი სათაურით – სტროფი. წაუკითხეთ მათ ეს ინფორმაცია და დასვით შეკითხვები:

– რას უწოდებენ თურმე ლექსის ნაწილებს? (სტროფს)

– პოეტები რამდენ სტრიქონს აერთიანებენ ხოლმე ერთ სტროფში? (ოთხს)

– დაითვალეთ, რამდენი სტროფისაგან შედგება ეს ლექსი? (ოთხი)

სთხოვეთ მოსწავლეებს, ჩამოთვალონ ოთხი ბერძნული სიტყვა, რომელიც თქვენ მიერ წაკითხულ ტექსტში იყო დასახელებული. (პოეტი, ლექსი, რითმა, სტროფი).

აქტივობა 2. *მოსმენა, კითხვა, მეტყველება*

ა) წაუკითხეთ ბავშვებს ლექსი მთლიანად. თქვენი მიზანია, მოსწავლეებს ლექსის ინტონაციის სწორად გადმოცემის ნიმუშიც აჩვენოთ. ჰკითხეთ მათ, არის თუ არა ეს ლექსი სასიამოვნოდ მოსასმენი, კეთილხმოვანი?

აუცილებლად მიაქციეთ ყურადღება იმას, თუ როგორ უნდა წავიკითხოთ ლექსი: ყოველი სტრიქონის საწყისი პირველი სიტყვა შედარებით ხმამაღლა უნდა გამოვთქვათ, შემდეგ კი ხმა ოდნავ უნდა დავადაბლოთ.

დასვით შეკითხვა ლექსის მთავარი სათქმელის ამოსაცნობად: – გაიხსენეთ, ლექსის ბოლო სტროფში რა შეადარა პოეტმა ჩონგურს?

ბ) შემდეგ კი პირველი სტროფის შესასწავლად გამოიყენეთ სტრატეგია „ექო მკითხველი“ (მასწავლებელი კითხულობს პირველ ორ სტრიქონს, იმავეს ერთად ხმამაღლა კითხულობენ ბავშვები, მასწავლებელი წაიკითხავს მომდევნო ორ სტრიქონს, იმავეს წაიკითხავენ ბავშვები).

შენიშვნა: საჭიროების შემთხვევაში, იმუშავეთ ლ ბგერის წარმოთქმაზე. აუხსენით მოსწავლეებს, რომ ამ ბგერის წარმოთქმისას ენის წვერი შიგნიდან ზედა კბილებს უნდა მიებჯინოს.

დასვით შეკითხვები:

– შეგიძლიათ, წიგნში, ნახატზე მიჩვენოთ ჩონგურის სიმები და მოსამართავი?

– რომელი სიტყვებით გამოხატა პოეტმა, რომ ჩონგურის სიმები კარგად მოუმართავს? (შევუხმატკბილე ერთმანეთს).

– ქართული სიმღერების რომელი მისამღერია ჩართული ამ ლექსში? (ოდელა-დელა-დელაო).

გ) განაგრძეთ მეორე სტროფის კითხვა – წაიკითხეთ ისევე როგორც პირველი.

დასვით შეკითხვები:

– როგორ არის განმარტებული სიტყვა „ჰანგი“ ჩვენს წიგნში, უცნობი სიტყვების პატარა ფურცელზე?

– რის შესახებ ამბობს პოეტი, „წკრიალებს ერთად ყველაო“? (ჩონგურის სიმების)

– უშლიან თუ არა ხელს ერთმანეთს სიმები იმით, რომ თითოეულს თავისი ჰანგი აქვს, თავისი განსაკუთრებული ხმა აქვს?

– როგორ ახსნით მესამე სტრიქონს, რას ნიშნავს სიტყვები: „ერთი-მეორის თანხმობით“?

დ) განაგრძეთ მესამე სტროფის კითხვა.

დასვით შეკითხვა:

– თუ ერთი რომელიმე სიმი გაწყდება, რა საშიშროება ელის ჩონგურს?

ე) განაგრძეთ მეოთხე სტროფის კითხვა.

დასვით შეკითხვები წაკითხულის გასააზრებლად, ლექსის იდეის ამოსაცნობად:

– პოეტმა მთელი საქართველო ჩონგურს შეადარა. რას შეადარა მან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ადამიანები?

– ამ ლექსის მიხედვით, რა უნდა ქნან დანარჩენებმა, თუ ერთი რომელიმე კუთხე გასაჭირში აღმოჩნდება?

– შემახსენეთ, რა არის წიგნის ამ თავის სათაური? (ძალა ერთობაშია)
– თქვენი აზრით, რატომ შეიტანეს ეს ლექსი სწორედ ამ თავში?

აქტივობა 3. *კითხვა*
ა) მასწავლებლის შეკითხვები ყველას:
– დააკვირდით, რომელი სტრიქონი მეორდება ლექსში ოთხჯერ? (ოდელა-დელა-დელაო).
– რომელ სტროფში ადარებს აკაკი წერეთელი ჩონგურს საქართველოს?
აუხსენით მოსწავლეებს, რომ პოეტები ხშირად მიმართავენ ამ ხერხს – შედარებას. რაც უფრო მოულოდნელია შედარება, მით უფრო საინტერესოა ლექსი.

ბ) შემდეგ გამოიყენეთ ჯგუფურად ხმამაღლა კითხვის სტრატეგია და ბავშვებს ერთხმად ლექსი თავიდან ბოლომდე წააკითხეთ. შეადარეთ მათი გაძლიერებული ხმა ჩონგურს, – თითოეულს თავისი ხმა აქვს, მაგრამ მათი „ერთი-მეორის თანხმობით“ შეერთებული ხმები გაცილებით ძლიერად ისმის.

გ) პირველი სტროფის მაგალითზე, კიდევ ერთხელ აუხსენით მოსწავლეებს, ლექსი ზეპირად სახლში როგორ დაისწავლონ: ჯერ პირველი ორი სტრიქონი წაიკითხონ და გაიზეპირონ, შემდეგ – მომდევნო ორი. ბოლოს კი გაამთლიანონ სტროფი, თავიდან ბოლომდე წაიკითხონ და ზეპირად თქმა სცადონ...

აქტივობა 4. *წერა*
მოსწავლეებმა უნდა შეასრულონ სავარჯიშოების ნაწილის (მოსწ. წიგნი, გვ. 63) მე-4 და მე-5 წერითი დავალებები (1. ნელაო – დელაო, ყველაო – დელაო, შველაო – დელაო, ყველაო – დელაო. 2. რა? სიმები. ვინ? მცხოვრები.)

საშინაო დავალება

გაკვეთილის დასასრულს ჩაანიშნინეთ მოსწავლეებს წიგნში მოცემული მესამე წერითი დავალება სახლში შესასრულებლად (ლექსის პირველი ორი სტროფის გადაწერა).

შეფასება

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, თუ რამდენად შეძლეს ტექსტის ხმამაღლა, თავისუფლად, სწორი ინტონაციით წაკითხვა, პაუზის დაცვა სასვენ ნიშნებთან; თხრობითი ტექსტისაგან განსხვავებული სახის მქონე ნაწარმოების (ლექსის) თავისებურების გააზრება; წაკითხულის შინაარსის გააზრება და საკუთარი სიტყვებით გადმოცემა.

ნადირთა ძმობა

დათვი, მგელი და მელა შეხვდნენ და ერთმანეთს შესჩივლეს: რადგან ხშირად დიდი ხნობით შიმშილით კუჭი გვიხმება, მოდი, დავძმობილდეთ და ამიერიდან რასაც მოვინადირებთ, ძმურად გავიყოთ ხოლმეო. დაძმობილდნენ და შეჰფიცეს, ერთმანეთისთვის არ ეღალატნათ.

წავიდნენ სამივენი სანადიროდ. ბედად გზად მკვდარი ძროხა იპოვეს, მწვანეზე დასხდნენ და გაყოფას შეუდგნენ. დათვმა შეხედა შიმშილით კბილებაკაწკაწებულ მგელს და უბრძანა:

– აბა, გაჰყავიო!

მგელმა თქვა:

– თავი შენ, როგორც ჩვენს ბატონსა და მეთაურს, შუა ტანი მე, ფეხები კი მელას, რომელსაც ცუნცული უყვარსო.

ეს უკანასკნელი სიტყვები ჯერ არც კი გაეთავებინა მგელს, რომ დათვმა ისე ღონივრად ჩაჰკრა თავში თათი, მთებმა ბანი მისცეს. მგელი ღმუილით გავარდა განზე.

დათვი ახლა მელას მიუბრუნდა და უთხრა:

– ჩემო მელავ, შენ გაჰყავიო!

ცბიერმა მელამ მოწიწებით წარმოთქვა:

– თავი შენ, ვითარცა ჩვენს მეფეს, შუა ტანი შენ, რადგანაც ჩვენზე მუდამ მამობრივადა ზრუნავ, და ფეხებიც შენ, ვინაიდან ჩვენდა საკეთილდღეოდ დადიხარ ყველგანაო!

– ბარაქალა, ჩემო მელა, ვინ გასწავლა ეგეთი ჭკვიანური გაყოფაო? – ჰკითხა მას დათვმა.

– შენ რომ წეღან მგელს თავში ჩაარტყი, ჭკუას როგორ ვერ ვისწავლიდიო? – მიუგო მელამ.

ასე დასრულდა ნადირთა დაძმობილება. მტაცებლების ერთობა ზღაპრადაც არ თქმულა.

ქართული ხალხური ზღაპარი

თავი IV – თქმულებები და მითები

გრამატიკა – არსებითი სახელის ბრუნება

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები (სტანდარტის მიხედვით):

მოსწავლემ შეძლოს ძირითადი ენობრივ-გრამატიკული საშუალებების სათანადოდ გამოყენება.

მოსწავლემ უნდა გაიგოს, რომ არსებითი სახელი დაბოლოებას იცვლის – იბრუნვის.

სტრატეგია: სიტყვის ფორმაცვალების აღქმა წინადადების მთლიანი შინაარსის დახმარებით.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან:

ქართ.დაწყ.(I).1. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სამეტყველო ქცევის გამოვლენა ნაცნობ საკომუნიკაციო სიტუაციაში.

- ადეკვატურად რეაგირებს ნაცნობ სამეტყველო სიტუაციაში;
- ადეკვატურად აღიქვამს ინფორმაციას;

ქართ.დაწყ.(I).8. მოსწავლემ უნდა შეძლოს მცირე ზომის მხატვრული ტექსტების ინტერპრეტირება ვერბალური და არავერბალური გზით; ვერბალური ინფორმაციის ვიზუალურად გარდაქმნა და/ან პირიქით.

- აფასებს სხვების მიერ შექმნილ ილუსტრაციებს (რამდენად ასახავს ილუსტრაცია ტექსტის შინაარსს).

გაკვეთილის ეტაპები

აქტივობა 1. *კითხვა*

სთხოვეთ მოსწავლეებს, გადაშალონ წიგნები 69-ე ე გვერდზე და ნახატებსა და ტექსტებს დააკვირდნენ. დასვით შეკითხვები და გამოიყენეთ ამორჩევით კითხვის სტრატეგია, პასუხი მოაძებნინეთ და წააკითხეთ სხვადასხვა მოსწავლეს.

ა) მასწავლებლის შეკითხვები:

– სულ რამდენი პატარა ტექსტია? (შვიდი)

– რას ამბობს დევი? (მოსწავლის პასუხი დაფაზეც დაწერეთ: მე დევი ვარ!)

– ყვავი რას ნატრობს? (დაფაზეც დაწერეთ: ნეტავ, დევმა გაიმარჯვოს!)

– რა იკითხა ბავშვმა პირველად? (დაფაზეც დაწერეთ: კოპალა დევს დაამარცხებს?)

– რა უპასუხა მას დედამ? (დაფაზეც დაწერეთ: დევის დამარცხება ძნელია!)

– რას ამბობს გაოცებული კაცი, რომელიც დევისა და კოპალას ორთაბრძოლას უყურებს? (დაფაზეც დაწერეთ: დევით შეშინებულ ხალხს კოპალა ეხმარება!)

– ბავშვს რა აზრი აწუხებს? (დაფაზეც დაწერეთ: კოპალამ რომ წააგოს, დევად გადაიქცევა?)

– რას ეუბნება დევს კოპალა? (დაფაზეც დაწერეთ: დევო, მიფრთხილდი!)

ბ) დანომრეთ დაფაზე ჩამოწერილი 7 წინადადება; შეარჩიეთ ერთ-ერთი მოსწავლე და სთხოვეთ, შვიდივე წინადადებაში იპოვოს და გახაზოს არსებითი სახელი – დევი.

შეარჩიეთ სხვა მოსწავლე და სთხოვეთ, ყველა ხაზგასმული სიტყვა თანამიმდევრობით წაიკითხოს. (დევი, დევმა, დევს, დევის, დევით, დევად, დევო).

აქტივობა 2. *მოსმენა, კითხვა*

ა) მასწავლებელი:

– თქვენ შენიშნეთ, რომ ამ წინადადებებში არსებითი სახელი „დევი“ დაბოლოებას იცვლის (შემოხაზეთ შვიდივე ფორმის დაბოლოება). სახელის ამგვარ ცვლილებას ენის შემსწავლელებმა ბრუნება უწოდეს. არსებითი სახელი იბრუნვის. როგორც ხედავთ, ქართულში შვიდი ბრუნვაა. შესაძლებელია, რომ ბრუნვების რაოდენობა სხვადასხვა ენაში სხვადასხა იყოს. მაგალითად: გერმანულ ენაში არის ოთხი ბრუნვა, რუსულში – ექვსი, ქართულში კი შვიდია.

კიდევ ერთხელ დააკვირდით (გაასუფთავეთ დაფა და ახლა ეს ნიმუში დაწერეთ):

1. დევი შეშინდა.
2. დევმა უკან დაიხია.
3. დევს ამირანი დაედევნა.
4. დევის გაქცევამ ძმები გაახარა.
5. დევით ვერავის შეაშინებენ!
6. დევად გადაქცევას ვინ ინატრებს?
7. დევო, ახია შენზე!

ბ) მონაცვლეობით წააკითხეთ 7 მოსწავლეს წინადადებები. შემდეგ კი დასვით შეკითხვები:

– რამდენჯერ აბრუნებ არსებით სახელს ქართულ ენაში?

– რომელ რიცხვშია არსებითი სახელი „დევი“ ამ წინადადებებში?

აქტივობა 3. *წერა, კითხვა*

სთხოვეთ მოსწავლეებს, იპოვონ წიგნში პირველი სავარჯიშო; დასვით შეკითხვა:

– არსებითი სახელი დევი რომ მრავლობითში ჩავსვათ, რა შეიცვლება?

დაავალეთ მოსწავლეებს, გადაშალონ რვეულები და წიგნის წერითი დავალება შეასრულონ – წინადადებებში სწორად გაანაწილონ:

დევები, დევებმა, დევებს, დევების, დევებით, დევებად, დევებო.

შენიშვნა: წინადადებები ისეა შედგენილი, რომ არსებითი სახელის ბრუნების ფორმალური თანამიმდევრობა დაცულია. ამ ეტაპზე ჩვენ მიზნად არ ვისახავთ ბრუნვათა დასახელებების შესწავლას; ჩვენი მიზანია, მესამეკლასელი მოსწავლე პრაქტიკულად დაეუფლოს ბრუნების სისტემას – შეძლოს კონკრეტული სახელის ყველა ბრუნვაში ჩასმა.

1. დევები შეშინდნენ. 2. დევებმა უკან დაიხიეს. 3. დევებს ამირანი დაედევნა. 4. დევების გაქცევამ ძმები გაახარა. 5. დევებით ვერავის შეაშინებენ. 6. დევებად გადაქცევა ჭიების ნატვრა იყო. 7. დევებო, ახია თქვენზე!

შეარჩიეთ შვიდი მოსწავლე და წინადადებები მონაცვლეობით წააკითხეთ.

რჩევა: მიაქციეთ ყურადღება იმასაც, რომ წიგნში წინადადებების ჩამოთვლისას რიცხვების ნაცვლად გამოყენებულია ასოები ქართული ანბანის შესაბამისი თანამიმდევრობით.

აქტივობა 4. *წერა*

შეასრულებინეთ მოსწავლეებს დამოუკიდებელი სამუშაო:

ა) სთხოვეთ ბავშვებს, მოიფიქრონ კომიქსის სათაური და რვეულში ჩაწერონ; ისარგებლეთ დროის ამ მონაკვეთით და დაფაზე დაწერეთ 7 წინადადება, ისე რომ არსებითი სახელი მზე ყველგან გამოტოვებული იყოს. სათაურის ვერსიების გამოკითხვის შემდეგ კი სთხოვეთ ბავშვებს, გამოიცნონ, როგორ უნდა ჩაემატოს სიტყვა „მზე“ დაფაზე ჩამოწერილ წინადადებებში და სწორად შევსებული წინადადებები რვეულში ჩაწერონ.

მასწავლებელი: – ამ წინადადებებში გამოტოვებულია არსებითი სახელი მზე; წაიკითხეთ და გამოიცანით, როგორი დაბოლოება უნდა ჰქონდეს ამ სიტყვას თითოეულ წინადადებაში?

1. – ამოვიდა.
2. – ქვეყანა გაანათა.
3. – ღრუბელი გადაეფარა.
4. – სხივმა ღრუბლიდან გამოანათა.
5. – გამთბარ წყალში ვიბანავეთ.
6. – ყოფნას მთვარეც ნატრობდა!
7. –, ამოდი!

შენიშვნა: 8-9 წლის ბავშვი უკვე ფლობს მშობლიური ენის სისტემას; ამიტომაც კვეცადი არსებითი სახელის (მზის, მზით) ფორმები მას სირთულეს არ შეუქმნის; სიტყვის სწორი ფორმის ამოცნობას ბავშვის ბუნებრივი ცოდნა განაპირობებს.

ბ) შეარჩიეთ 7 მოსწავლე და თითო-თითო წინადადება წააკითხეთ:

1. მზე ამოვიდა. 2. მზემ ქვეყანა გაანათა. 3. მზეს ღრუბელი გადაეფარა. 4. მზის სხივმა ღრუბლიდან გამოანათა. 5. მზით გამთბარ წყალში ვიბანავეთ. 6. მზედ ყოფნას მთვარეც ნატრობდა! 7. მზეო, ამოდი!

აქტივობა 5. *კითხვა*

ა) სთხოვეთ მოსწავლეებს, ჩაიხედონ წიგნში და მოძებნონ, რა წერია კომიქსის ქვეშ. გამოიყენეთ ჩუმი კითხვის სტრატეგია და ბავშვებს ტექსტი წააკითხეთ.

ბ) დასვით შეკითხვა:

– რა ეცვლება ბრუნებისას არსებით სახელს? (დაბოლოება)

დაწერეთ დაფაზე გაკვეთილის თემის შესაბამისი წინადადებები და სთხოვეთ მოსწავლეებს, გამოიცნონ დაუსრულებელი სიტყვის დაბოლოება:

სახელ- იბრუნვის.

სახელ- დაბოლოება შეიცვალა.

სახელ- ვაბრუნებ.

სახელ- ბრუნება შემიძლია.

გაკვეთილის დასარულს ჩაანიშნინეთ მოსწავლეებს წიგნში მოცემული წერითი დავალება სახლში შესასრულებლად (4 წინადადების შედგენა სიტყვებით: გმირი, გმირმა, გმირს, გმირის).

რჩევა: კომიქსი ასევე წინ უძღვის იგავ-არაკს „დათვის წვეულება“. იგავ-არაკის წაკითხვამდე კომიქსის მიხედვით მოათხრობინეთ ამბავი მოსწავლეებს, შეარჩევინეთ სათაური; შემდეგ კი შეადარებინეთ თავიანთი ვერსია „დათვის წვეულების“ შინაარსთან.

შეფასება

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, თუ რამდენად შეძლეს ძირითადი ენობრივ-გრამატიკული საშუალებების სათანადოდ გამოყენება.

დავითი და გოლიათი

ერთხელ ფილისტიმელებმა ლაშქარი შეკრიბეს ებრაელთა წინააღმდეგ საომრად. ისრაელის მკვიდრნი მოემზადნენ ბრძოლისათვის მეფის წინამძღოლობით და მოწინააღმდეგეების პირისპირ განლაგდნენ მთაზე.

დავითის სამი უფროსი ძმა მეფის ჯარს გაჰყვა საბრძოლველად. რამდენიმე დღის შემდეგ მამამ დავითი გაგზავნა ძმების ამბის გასაგებად. როცა დავითმა ძმებთან მიაღწია, დაინახა, რომ ერთი უზარმაზარი ფილისტიმელი კაცი, სახელად გოლიათი, რომელსაც ტანზე რკინის ჯავშანი ეცვა, თავზე მუზარადი ეხურა და ხელთ დიდი ფარი და შუბი ეპყრა, ებრაელებს დასცინოდა, მათ ღმერთს აგინებდა, მოწინააღმდეგეს ორთაბრძოლაში იწვევდა და ამბობდა, თუ ვინმე მომერევა, ფილისტიმელები ებრაელთა მონები გახდებიანო. მაგრამ გოლიათის გარეგნობით დამფრთხალი მეომრები ვერ ბედავდნენ მასთან შებმას.

დავითი მეფესთან მივიდა და სთხოვა, ნება მომეცი, მე შევებრძოლო გოლიათსო. მეფე საულმა მიუგო: შენ ყმაწვილი ხარ, ის კი გამოცდილი მებრძოლია, იოლად დაგამარცხებსო. მაშინ დავითი მოუყვა მეფეს, როგორ ეხმარებოდა მას ღმერთი ლომებთან და დათვებთან ჭიდილში, როცა ცხვარს მწყემსავდა. საულმა ეს რომ მოისმინა, დავითს ბრძოლის ნება დართო, ჯავშანი ჩააცვა და მუზარადი დაახურა. მაგრამ დავითი არ იყო მიჩვეული ამგვარ აბჯარს. ამიტომ ჯავშანი გაიხადა, ხელში თავისი კომბალი აიღო, მერე ნაკადულიდან ხუთი სიპი ქვა ამოიღო, მეცხვარის გუდაში ჩაყარა და შურდულით ხელში ფილისტიმელთან საომრად გავიდა.

გოლიათმა რომ მისკენ მომავალი დავითი დაინახა, სიცილი დააყარა და უყვირა: ძაღლი ხომ არა ვარ, ჯოხით რომ გამოდიხარ ჩემთანო! დავითმა გასძახა: შენ ხმლით, შუბითა და ფარით გამოდიხარ ჩემთან, მე კი უფალი ღმერთის სახელით გამოვდივარ და იოლადაც მოგერევიო! მერე გუდიდან ამოიღო ქვა, შურდულში ჩადო და ისეთი ძალით სტყორცნა გოლიათს, რომ შუბლი შეუნგრია და უსულოდ დასცა მიწაზე.

ფილისტიმელებმა რომ გოლიათის სიკვდილი დაინახეს, შეეშინდათ და ბრძოლის ველიდან გაიქცნენ. ისრაელის მხედრობა უკან დაედევნა მტერს, დახოცა და დიდი გამარჯვება მოიპოვა.

ბიბლიური ამბავი

თავი V – ჩვენ და ბუნება

ტყე და მისი დიდი მნიშვნელობა

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები (სტანდარტის მიხედვით)

მოსწავლე დაეუფლოს კითხვის ტექნიკას და შეძლოს წაკითხულის გააზრება: მოსწავლემ უნდა შეძლოს ტექსტში კონკრეტული ინფორმაციის პოვნა; ტექსტში მოცემულ სხვადასხვა ინფორმაციას შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ამოცნობა, დასკვნის გამოტანა; ტექსტში მოცემული ინფორმაციის დაკავშირება პირად გამოცდილებასთან.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დაწყ.(I).6. მოსწავლემ უნდა შეძლოს გაწაფულად კითხვა.

- ხმამაღლა, თავისუფლად კითხულობს მასწავლებლის მიერ მითითებულ ეპიზოდს, მცირე ზომის ტექსტებს;

ქართ.დაწყ.(I).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთდაკავშირება.

- ამოიცნობს ტექსტში მოცემულ სხვადასხვა ინფორმაციას შორის არსებულ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს, გამოაქვს სათანადო დასკვნა;

ქართ.დაწყ.(I).9. მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; ტექსტის თემის და/ან მასში განხილული კონკრეტული საკითხების შეფასება.

- ასახელებს ნაწარმოების გმირების მოქმედების მოტივს (რატომ მოიქცა ასე) და აფასებს მათ საქციელს.

გაკვეთილის ეტაპები

აქტივობა 1. *კითხვა, მეტყველება*

ა) მოსწავლეებისთვის განწყობის შესაქმნელად ყურადღება მიაქციეთ ნახატს, რომელიც ამ გვერდზე, სათაურის თავზეა. ჰკითხეთ ბავშვებს, რას ხედავენ ამ ნახატზე. მიეცით გეზი, შეამჩნიონ, რომ ზოგ ხეს ფოთოლი აქვს, ზოგსაც – წიწვი.

ჰკითხეთ მათ: რომელი წიწვოვანი ხეები შეიძლება იყოს ტყეში? (ნაძვი, ფიჭვი) ტყის რომელ ხეებს აქვს ფოთოლი? (მუხა, წიფელი და სხვა.) მოსალოდნელია, რომ ამ თემაზე საუბრისას ბავშვები ბუნების გაკვეთილებზე შეძენილ ცოდნას გამოიყენებენ.

ბ) შემდეგ წაუკითხეთ მათ ახალი გაკვეთილის სათაური და ტექსტის კითხვა დააწყებინეთ:

გამოიყენეთ გაგრძელებებით კითხვის სტრატეგია. კითხვაში ჩართეთ რაც შეიძლება მეტი მოსწავლე (პირველი და მეორე აბზაცები დიდია და ორ-ორად დაიყოფა, მესამე აბზაცი ერთმა წაიკითხოს, მეოთხე ორად გაიყოფა, ბოლო კი ერთმა წაიკითხოს). როცა ერთი კითხულობს, დანარჩენებმა ნაწერს თვალი

უნდა გაადევნონ და გასაგრძელებლად მზად იყვნენ.

მიეცით მოსწავლეებს უფლება, კითხვისას უცნობი სიტყვა ფანქრით აღნიშნონ (ქვეშ პატარა ხაზი გაუსვან). ნაწყვეტის / აბზაცის წაკითხვის შემდეგ კი თქვან, რომელი სიტყვის მნიშვნელობა იყო მათთვის გაუგებარი.

შეახსენეთ ბავშვებს, რომ არაფერია სათაკილო იმაში, თუ რაიმე არ იცი, არ გესმის და იკითხავ, რას ნიშნავს. გარდა ამისა, ამგვარი დავალებებით მოსწავლეები შეკითხვის დასმაშიც გავარჯიშდებიან. მაგალითად: რას ნიშნავს გვალვა? რა მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას/გამოთქმას? და ა.შ.

ყოველი უცნობი სიტყვის განმარტებისას კონტექსტი დაიხმარეთ.

ზემოთ აღნიშნულ მაგალითს – გვალვას – ტექსტში ახსნაც თან ერთვის – სიტყვა უწვიმობა. ტექსტიდან კარგად ჩანს, რა არის მოსავალი. ასევე არ უნდა გაჭირდეს დაზოგვის განმარტებაც: ტექსტის მიხედვით, როცა ადამიანი წესს არ იცავს და ძალიან ბევრ ხეს ჭრის, ეს ნიშნავს, რომ ტყეს დაუზოგავად ჩეხს...

მიაქციეთ ყურადღება შინაარსით ახლოს მდგომ სიტყვებს: ჯანმრთელი – ჯანსაღი, ასნეულებდა – აავადებდა / ავად ხდიდა, კულტურის მქონე – განათლებული, შემცირდება – მოიკლებს;

შინაარსით საპირისპირო სიტყვებს: ცოტა – უხვად, უმადური – მადლიერი, უგუნურება – გონიერება, (ხეებს) რგავს – ჩეხავს.

გ) როგორც წესი, ყველა ბავშვს სურს ხოლმე კითხვაში მონაწილეობის მიღება და ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია. ამიტომ შეარჩიეთ ისინი, ვისაც ჯერ არ წაუკითხავს და ყველას ტექსტი ერთხელ კიდევ წააკითხეთ. ამ ნაწარმოების შემთხვევაში ხელმეორედ წაკითხვის აუცილებლობა ტექსტის სირთულის გამოც ჩნდება.

აქტივობა 2. *მოსმენა, კითხვა, მეტყველება*

ა) მასწავლებლის შეკითხვები კლასს:

I. – ვინ არის ამ ტექსტის ავტორი? (იაკობ გოგებაშვილი)

II. – რა აქვს ტექსტს სათაურად? (ტყე და მისი დიდი მნიშვნელობა)

III. შემდეგ ამ საინფორმაციო ტექსტის სპეციფიკის აღსაქმელად და მთლიანობაში გასააზრებლად დასვით შეკითხვა და ასარჩევი პასუხები დაფაზე დაწერეთ:

– რა არის ავტორის ძირითადი მიზანი?

ა. მკითხველი გაართოს.

ბ. მკითხველს ცოდნა შესძინოს.

გ. უგუნური ადამიანები გაკიცხოს.

შეახსენეთ მოსწავლეებს, აუცილებლად წაიკითხონ სამივე და მხოლოდ შემდეგ გადაწყვიტონ, რომელია სწორი პასუხი. გამოავლინეთ, ვინ რომელს ირჩევს.

მოსალოდნელია, რომ ყველა ბავშვი შეძლებს, როგორც მკითხველმა, გამოიყენოს საკუთარი გამოცდილება, ცოდნა: ა) ვარიანტი ადვილად გამორიცხოს. გ) ვარიანტი მართლაც მიმზიდველია;

ამიტომ საგანგებოდ აუხსენით მოსწავლეებს, რატომ არ არის ის სწორი პასუხი:

ამ საკითხს ტექსტში მხოლოდ ორი წინადადება ეთმობა, ტექსტი კი ძალიან დიდია. ეს ერთ-ერთი მიზანი მართლაც არის, მაგრამ – არა ძირითადი. გარდა ამისა, ავტორის ძირითადი მიზნის გამოცნობაში სათაურიც უნდა დაგვეხმაროს. სათაურში კი აღნიშნულია ტყის დიდი მნიშვნელობა. ამიტომ ტყის მნიშვნელობის ახსნა უფრო მთავარი მიზანია. ყველა აბზაციდან ტყის შესახებ ცოდნას ვიძენთ...

რომელიმე (ან რამდენიმე) მოსწავლეს, რომელმაც სწორი პასუხი (ბ) ვარიანტი) შეარჩია, სთხოვეთ, ახსნას, რატომ არის ბ) სწორი.

IV. დაუსვით კლასს შეკითხვა:

– რა სიკეთე მოაქვს ტყესთან ახლოს ყოფნას ადამიანებისთვის?

ჯერ მოუსმინეთ ბავშვებს. მოსალოდნელია, რომ ისინი ძირითადად გაიხსენებენ ტექსტის I, II, III აბზაცებში ჩამოთვლილს. თუ მათ რაიმე გამორჩებათ, ამოწურეთ შესაძლებელი პასუხები და ჩამოაყალიბეთ:

1. ტყესთან წყალიც ბევრია/უხვად არის; ამიტომ მოსავალი (ხილი, ბოსტნეული) უკეთ იზრდება/არ ნადგურდება. 2. ტყესთან ახლოს ჰაერი უფრო ჯანსაღია, დაავადებებიავადმყოფობები ნაკლებად ჩნდება და ადამიანი უფრო ჯანმრთელია. 3. ტყეში შესაძლებელია ზამთრისთვის შეშის შეგროვება; ხის მასალის მოპოვება მშენებლობისთვის, ავეჯისა და ჭურჭლის დასამზადებლად.

ბოლოს კი გამოიტანეთ ზოგადი დასკვნა და დაფაზე დაწერეთ: ტყის წყალობით გვაქვს საკმარისი წყალი, ჰაერი და ხე.

ბ) ისევ მიუბრუნდით უშუალოდ ტექსტს; გამოიყენეთ ამორჩევით კითხვის სტრატეგია (ტექსტის ერთი რომელიმე ფრაგმენტის მოძებნა და წაკითხვა). დავალებას სისწრაფეში შეჯიბრის სახე მიეცით:

სთხოვეთ მოსწავლეებს, სწრაფად იპოვონ ტექსტში ის ადგილი, რომელშიც ავტორი გვიხსნის, თუ როგორ ამრავლებენ ტყეს.

გ) მოსწავლის წიგნში ტექსტს ერთვის ისეთი სავარჯიშოები, რომელთა შესრულება ეფექტიანი იქნება ჯგუფური მუშაობის მეთოდით. ამ მიზნით დაყავით კლასი ოთხ ჯგუფად და დავალებები გაანაწილეთ:

1. რა თვისება აქვს ტყის ფოთოლსაც და წიწვსაც? რომელ აბზაცშია ამ კითხვაზე პასუხი?

2. რა არის მოსალოდნელი, თუ ტყე განადგურდება? დაასახელე ორი მთავარი საშიშროება.

3. რატომ არის უხვად წყალი იქ, სადაც ბევრი ტყეა? რომელ აბზაცშია ამ კითხვაზე პასუხი?

4. შენი აზრით, ტყის ბევრი სიკეთიდან რომელია ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი? ახსენი, რატომ ფიქრობ ასე.

ჯგუფში მოახვედრეთ სხვადასხვა შესაძლებლობის მოსწავლეები. სასურველია, მათ, ვინც ნაკლებად გაწაფულია, ერთად მუშაობისას გამოცდილება შეიძინონ. თითოეულ ჯგუფს წიგნში მოანიშნინეთ მათთვის განკუთვნილი დავალების ნომერი. შეახსენეთ ყველას, რომ პასუხი აუცილებლად ტექსტის მიხედვით უნდა მოამზადონ, ერთად ჩამოაყალიბონ, შემდეგ შეარჩიონ ერთ-ერთი წევრი და კლასის წინაშე გამოსასვლელად გაავარჯიშონ.

მოსალოდნელი პასუხები:

1. რა თვისება აქვს ტყის ფოთოლსაც და წიწვსაც? რომელ აბზაცშია ამ კითხვაზე პასუხი? ამ შეკითხვის პასუხი II აბზაცში წერია. ტყის ფოთოლი თუ წიწვი ჰაერს წმენდს, აჯანსაღებს.

2. რა არის მოსალოდნელი, თუ ტყე განადგურდება? დაასახელე ორი მთავარი საშიშროება. V აბზაცში ავტორი ამბობს, რომ თუ ტყე განადგურდება, წყალი მოიკლებს, ყოველგვარი მოსავალი შემცირდება და სხვადასხვა დაავადება გაძლიერდება.

მოსწავლეებმა ამ სამიდან ორი მაინც უნდა დაასახელონ.

3. რატომ არის უხვად წყალი იქ, სადაც ბევრი ტყეა? რომელ აბზაცშია ამ კითხვაზე პასუხი? ამ შეკითხვის პასუხი I აბზაცშია: რადგან ტყე წვიმის წყალს ქარისა და მზისაგან იფარავს, წვიმის წყალი მიწაში ჩადის და გროვდება. საბოლოოდ კი წყაროები ჩნდება.

4. შენი აზრით, ტყის ბევრი სიკეთიდან რომელია ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი? ახსენი, რატომ ფიქრობ ასე.

სხვა შეკითხვებისაგან განსხვავებით, მე-4 შეკითხვა შედარებით რთულია, რადგან მოსწავლეებმა ტექსტის სამი აბზაცის შეფასება უნდა შეძლონ. თუმცა, მათ, სხვა ჯგუფების წევრებთან შედარებით,

შეკითხვის პასუხის არჩევანში მეტი თავისუფლება აქვთ; გარდა ამისა, ჯგუფური მუშაობის დაწყებამდე ხომ თქვენ შესაძლებელი პასუხები მათთან ერთად უკვე ჩამოაყალიბეთ და დასკვნა დაფაზეც დაწერეთ. ამიტომ ამჯერად უმთავრესი ყურადღება ამათგან ყველაზე მნიშვნელოვნის გამოყოფასა და, განსაკუთრებით კი, ახსნას უნდა მიექცეს.

ფაქტობრივად, მოსწავლეებმა არჩევანი უნდა გააკეთონ სამ შესაძლებელ პასუხს შორის. ამათგან ორი უფრო მნიშვნელოვანია: ესაა წყალი, რომელიც ადამიანს და მოსავალსაც აუცილებლად სჭირდება და ჯანსაღი ჰაერი, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობისთვის აუცილებელია. მოსალოდნელია, რომ ისინი ხით სარგებლობას არ დააყენებენ პირველსა და მეორეზე წინ; ალღოს აუღებენ, შენიშნავენ იმას, რომ წიგნშიც ტყის მნიშვნელობის ჩამოთვლისას ავტორისეული თანამიმდევრობა სწორედ ასეთია (წყალი, ჰაერი, ხე).

მასწავლებელმა მისაღებ პასუხად უნდა მიიჩნიოს როგორც წყლის, ისე ჰაერის შესახებ ჩამოყალიბებული აზრი.

საშინაო დავალება

გაკვეთილის დასასრულს ჩაანიშნინეთ მოსწავლეებს წიგნში მოცემული წერითი დავალებები სახლში შესასრულებლად (სავარჯიშოების ნაწილის ბოლო ორი დავალება – მოსწ. წიგნი, გვ. 79).

ასევე, დაავალეთ მათ, ივარჯიშონ ტექსტის თავისუფლად კითხვაში.

შეფასება

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, თუ რამდენად შეძლეს ტექსტში კონკრეტული ინფორმაციის პოვნა; ტექსტში მოცემულ სხვადასხვა ინფორმაციას შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ამოცნობა, დასკვნის გამოტანა; ტექსტში მოცემული ინფორმაციის დაკავშირება პირად გამოცდილებასთან.

ტყის მცველი ფრინველები

თუ ადამიანები ტყეს სათანადოდ არ უფრთხილდებიან, სამაგიეროდ, ფრინველები უწევენ მას დიდ სამსახურს. ისინი ტყის მტრებს ჟლეტენ. ტყის მტერია ის სხვადასხვა მატლი და ჭია, რომელიც ღრღნის, აფუტუროებს და ახმობს ხეებს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან კოდალა და გუგული.

კოდალა თავის დიდ ნისკარტს უკაკუნებს ხეს და შიგ მყოფ მატლებს აფრთხობს. დაფეთებული მატლები გარეთ გამორბიან და კოდალას ნისკარტის მსხვერპლნი ხდებიან.

კიდევ უფრო დიდ სიკეთეს უშვრება ტყეს გუგული. ტყეში იცის ერთგვარი შხამიანი მატლი, რომელიც ძლიერ ვნებს ხეებს და ახმობს. ამ მატლს საზოგადოდ ფრინველები ვერ ეკარებიან, რადგანაც მატლი წამლავს მათ თავისი შხამით და ხოცავს. მხოლოდ ერთადერთ ფრინველზე – გუგულზე – არ მოქმედებს ამ მატლის შხამი. ამის გამო გუგული უშიშრად იჭერს მათ და ამით ხეებსაც იცავს გახმობისაგან.

იაკობ გოგებაშვილი

უპასუხე კითხვებს

1. მონიშნე, რას უწოდა ავტორმა „ტყის მტერი“:
   ☐ **ადამიანს;** ☐ **ჭია-მატლს;** ☐ **კოდალას.**
2. რა სარგებლობა მოაქვთ ფრინველებს ტყისთვის?
3. რითი არის გუგული სხვებისგან გამორჩეული ფრინველი?
4. კოდალა როგორ იჭერს მატლებს?

იმსჯელე

5. შენი აზრით, რა არის ავტორის მიზანი?

დაწერე

6. იპოვე ტექსტში და ამოიწერე სამი უსულო არსებითი სახელი.
7. ამოიწერე ორი წინადადება, რომელიც მრავლობით რიცხვშია.
8. ამ სიტყვებით შეადგინე წინადადებები: **ტყის, ხის, კოდალას.**
9. დაწერე პატარა თხზულება „ტყე და გუგული“. გამოიყენე სიტყვა **ვნებს**.

კომეტები

ზოგჯერ ცის თაღზე ჩნდება უცნაური კუდიანი ვარსკვლავები, რომლებსაც ასტრონომები კომეტებს უწოდებენ. ძველად კუდიანი ვარსკვლავების გამოჩენა თავზარს სცემდა ადამიანებს. მიიჩნევდნენ, რომ თუ ცაზე კუდიანი ვარსკვლავი გამოჩნდებოდა, უბედურება იყო მოსალოდნელი.

ახლა კუდიანი ვარსკვლავების აღარავის ეშინია. პირიქით, ასტრონომები მოუთმენლად ელიან მათ გამოჩენას, რათა მოასწრონ და ტელესკოპით დააკვირდნენ ამ საკვირველ მოვლენას. კომეტები ხომ მზის სისტემის ხანმოკლე სტუმრები არიან. ქართველი მეცნიერები კომეტებსა და სხვა ციურ სხეულებს აბასთუმნის ობსერვატორიაში აკვირდებიან და შეისწავლიან.

კომეტების შესწავლის შედეგად მეცნიერებმა მათი შედგენილობაც გაარკვიეს: კომეტა ყინულის, კოსმოსური მტვრისა და კლდის ნამტვრევების უზარმაზარ ბურთს წარმოადგენს.

მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ 65 მილიონი წლის წინ დინოზავრების გადაშენების მიზეზი დედამიწაზე კომეტის ჩამოვარდნა იყო.

მომდევნო გვერდზე მოცემული ტესტის შეფასების სქემა

1. (82) კომეტებს ----------1 ქულა
2. (70) უბედურებას ----------1 ქულა
3. (34) კომეტები მზის სისტემის ხანმოკლე სტუმრები არიან (ასევე სწორ
პასუხად ჩაითვლება საკუთარი სიტყვებით გადმოცემული იგივე აზრი) ----------1 ქულა
4. (63) ტელესკოპის საშუალებით ----------1 ქულა
5. (50) ა. ----------1 ქულა
6. (45) გ. ----------1 ქულა
7. (55) გ. ----------1 ქულა
8. (59) ა. ----------1 ქულა

ტესტი ტექსტისთვის „კომეტები“

1. რას უწოდებენ ასტრონომები კუდიან ვარსკვლავებს?

_____

2. რას უკავშირებდნენ ძველად ადამიანები ცაზე კუდიანი ვარსკვლავების გამოჩენას?

_____

3. რატომ უნდა იჩქარონ და მოასწრონ ასტრონომებმა კომეტის ცაზე გამოჩენისთანავე მასზე დაკვირვება?

_____

4. რისი საშუალებით აკვირდებიან ქართველი მეცნიერები აბასთუმნის ობსერვატორიაში კომეტებს?

_____

5. ვინ ფიქრობს, რომ დინოზავრების გადაშენების მიზეზი დედამიწაზე კომეტის ჩამოვარდნა უნდა ყოფილიყო?

ა. ზოგი მეცნიერი;

ბ. მეცნიერთა უმეტესობა;

გ. ყველა მეცნიერი.

6. დინოზავრების გადაშენების მიზეზი ნამდვილად დედამიწაზე კომეტის ჩამოვარდნა იყო?

ა. არა;

ბ. დიახ;

გ. შესაძლოა.

7. რა არის ამ ტექსტის ძირითადი შინაარსი?

ა. ასტრონომების საქმიანობის აღწერა;

ბ. დინოზავრების გადაშენების ამბავი;

გ. ცნობები კომეტების შესახებ.

8. რა არის აღწერილი ამ ტექსტში?

ა. ბუნების მოვლენა;

ბ. ისტორიული ამბავი;

გ. ზღაპრული ამბავი.

რატომ ცივა მთაში და რატომ თბილა ბარში

ზაფხულის ცხელი დღე იდგა. ბიჭს ძალიან სცხელოდა და სახეზე ოფლი ჩამოსდიოდა. უცებ მან ჩრდილოეთისკენ გაიხედა და კავკასიონის ქედზე თოვლის გრძელი ზოლი დაინახა. „ნეტავ ის თოვლი ახლოს ყოფილიყო, რომ გავეგრილებინე“, – ინატრა მან. მერე ჩაფიქრდა ამ მოვლენის გამო და თავის თავს ჰკითხა: „სითბო ხომ მზიდან მოდის, მაღალი მთების წვერები კი უფრო ახლოა მზესთან, ვიდრე მიწა. იქ უფრო უნდა ცხელოდეს, აქ კი უნდა გრილოდეს. მაგრამ სინამდვილეში აქ, ბარში, ცხელა, მთებში კი გრილა და ცივა. საოცარი და გაუგებარია ეს“, – დაასკვნა ჭკვიანმა ბიჭმა.

აქ გაუგებარი არაფერია. ამ მოვლენას თავისი მიზეზი აქვს:

დედამიწას გარს ახვევია ჰაერი. როცა მზის სხივები ზევიდან ქვემოთ ეცემა, ჯერ ჰაერში უნდა გამოიაროს და მერე დაეცეს დედამიწაზე. ასეც ხდება, მაგრამ მზის სინათლე ჰაერს ისე გამოივლის ხოლმე, რომ მის

სითბოს ჰაერი ვერ ითვისებს. ასეთია ჰაერის თვისება. სამაგიეროდ, როცა მიწაზე ეცემა მზის სინათლე, დიდ სითბოს აძლევს მას. მერე კი მიწის სითბო მაღლა ადის და ჰაერსაც ათბობს. ასე რომ, ჰაერი სითბოს მზიდან კი არა, დედამიწიდან იღებს. რამდენადაც უფრო ახლოა ჰაერი მიწასთან, იმდენად უფრო თბილია ის. სამაგიეროდ, რაც უფრო დაშორებულია ჰაერი დედამიწისაგან და ახლოა მზესთან, მით უფრო გრილია და ცივი. მთები ხომ მაღლა, ცაშია ატყორცნილი და დიდად დაშორებულია დედამიწის ზედაპირს, ამიტომაც იქ ცხელ ზაფხულშიც კი თოვლი დევს და ცივა.

იაკობ გოგებაშვილი

უპასუხე კითხვებს

1. რა მოვლენა აგვიხსნა ავტორმა? (პასუხის გასაცემად სათაური დაიხმარე)

2. რას ათბობს მზის სხივები?

ა) ჰაერს; ბ) მიწის ზედაპირს; გ) მაღალი მთების წვერებს.

3. სად უფრო ცივა, მთაში თუ ბარში?

4. რატომ ცხელა ბარში უფრო მეტად?

5. როგორ წიგნში შეიძლება შეგვხვდეს ასეთი ტექსტი?

ა) იგავების კრებულში ბ) ზღაპრების კრებულში

გ) მოსწავლის სახელმძღვანელოში დ) ლექსიკონში.

დაწერე

6. გადაიხაზე და შეავსე ცხრილი ტექსტის მიხედვით:

უსულო არსებითი სახელი	სულიერი არსებითი სახელი	ზმნა მხოლობით რიცხვში
1. 2. 3.	1.	1. 2. 3. 4.

7. დაიხმარე შეკითხვა: **რისი?** და იპოვე არსებითი სახელები, რომლებიც იკვეცება:

სითბო, მთა, დრო, მზე, მიწა, დღე, რკო, ცა, სიმღერა, სამყარო.





ჰაერი და მისი მოძრაობა

ბიჭმა ფანჯარა გამოაღო და მიდამო შეათვალიერა. უეცრად მან შეიგრძნო, რომ წელი გაუცივდა, ხოლო თავს კი ისევ სითბოში გრძნობდა. როცა უფრო კარგად დააკვირდა ამ მოვლენას, აშკარად შეამჩნია, რომ ფანჯრის ზემო ნაწილიდან თბილი ჰაერი გარეთ გადიოდა, ქვემო ნაწილიდან კი ოთახში ცივი ჰაერი შემოქროდა. სრულიად რომ დარწმუნებულიყო ამაში, დაკვირვებულმა ბავშვმა ასეთი ცდა ჩაატარა:

აიღო ანთებული სანთელი და ღია ფანჯრის რაფაზე დადგა. სანთლის ალი მაშინვე ოთახისკენ გადმოიხარა. მერე სანთელი მაღლა ასწია და ფანჯრის თავში გააჩერა. ახლა ალი გარეთ გადაიხარა. ამ ცდამ დაარწმუნა ბიჭი, რომ ფანჯარაში და ოთახში ჰაერის ორგვარი დენა იყო: ქვემოდან ცივი ჰაერი შემოდიოდა, ზევიდან თბილი ჰაერის ნაკადი გაედინებოდა.

ეს მართლაც ასეა. უფრო მეტიც. რაც ოთახში ხდება, იმასვე ვხედავთ ოთახის გარეთაც, ბუნებაში. მაგალითად, მთაში ცივი ჰაერი ტრიალებს, ხოლო დაბლობში, ბარში – თბილი. მთის ჰაერი მირბის ბარისკენ, აქაურ თბილსა და მსუბუქ ჰაერს ზევით აატივტივებს და მის ადგილს იჭერს. აი, სწორედ მაშინ ვამბობთ, ცივი ქარი ქრისო.

საკვირველი ნივთიერებაა ჰაერი, სწორედ რომ უჩინმაჩინის ქუდს ჰგავს. ჩვენ ის ყოველთვის გარშემო გვახვევია, ვსუნთქავთ მას და მასში ისე ვცხოვრობთ, როგორც თევზი – წყალში. მაგრამ ჰაერს ვერ ვხედავთ. მის არსებობას მხოლოდ მაშინ ვგრძნობთ, როცა ის მოძრაობს და ნიავს ან ქარს აჩენს.

იაკობ გოგებაშვილი

უპასუხე კითხვებს

1. რა იგრძნო ბიჭმა, როცა ფანჯარა გამოაღო?
2. რატომ ჩაატარა ბავშვმა ცდა? რა გამოიყენა მან?
3. რომელია სწორი აზრი?

   ა) ცივი ჰაერის ნაკადი უფრო მძიმეა, ვიდრე – თბილი ჰაერის.

   ბ) თბილი ჰაერის ნაკადი უფრო მძიმეა, ვიდრე – ცივი ჰაერის.
4. იპოვე ტექსტში წინადადება, რომლითაც მესამე შეკითხვის პასუხს დაასაბუთებ.
5. რატომ შეადარა ტექსტის ავტორმა ჰაერი უჩინმაჩინის ქუდს?

იმსჯელე

6. რა ამტკიცებს იმას, რომ ბავშვი მართლაც დაკვირვებული და მიხ-ვედრილი იყო?
7. როგორია ეს ტექსტი – მხატვრული გამონაგონია თუ სინამდვილის ამსახველია?

დაწერე

8. დაალაგე სიძლიერის მიხედვით და გადაიწერე:

   ქარი, ნიავი, ქარიშხალი, სიო, გრიგალი.
9. ტექსტის ბოლო აბზაცი რვეულში გადაიწერე და შეურჩიე სათაური.

ნოეს კიდობანი

მას შემდეგ, რაც ღმერთმა სამყარო შექმნა, გაიარა მრავალმა საუკუნემ და ქვეყანაზე უამრავი ხალხი გაჩნდა – ადამ და ევას შთამომავალნი. თვდაპირველად ბევრს ეშინოდა ღმერთისა და ემსახურებოდა მას, მაგრამ შემდეგ ყველა მისი ნების წინააღმდეგი გახდა. მხოლოდ ნოე დარჩა თავისი შემოქმედის ერთგული და მის ნებას ძველებურად აღასრულებდა.

ერთხელაც უფალმა დაინახა, რომ ხალხი გადაგვარდა და მათ გულში ბოროტებამ და შურმა იმატა. მაშინ ღმერთმა გაიფიქრა: გავანადგურებ კაცობრიობას, რომელიც მე თვითონ შევქმენი ადამიანიდან პირუტყვამდე, ქვეწარმავლამდე და ფრინველამდე, რადგან ახლა ვნანობ მათ შექმნასო.

მხოლოდ ნოე შეიწყალა ღმერთმა და უთხრა მას: „ყოველი ხორციელის აღსასრულის ჟამმა მოაწია, იმიტომ რომ ქვეყანა ძალადობით აღივსო; შენ გააკეთე წებოვანი ხისაგან დიდი კიდობანი, ფისით დაფარე იგი შიგნიდან და გარედან, შედით შიგნით შენ და მთელი შენი ოჯახი: შენი ძეები, შენი ცოლი და შენი შვილების ცოლები... ამის შემდეგ მე მოვავლენ წყალდიდობას მიწაზე და რაც კი ქვეყანაზე სულიერია, დაიღუპება“.

ღმერთის ეს ბრძანება რომ მოისმინა, ნოემ მაშინვე კიდობნის ანუ დიდი გემის მშენებლობა დაიწყო. ის ხშირად ეუბნებოდა მეზობლებს, რომ მალე წარღვნა მოხდებოდა და მთელ ქვეყანას მოსპობდა. ამიტომაც ყველას ურჩევდა, მოენანიებინათ ცოდვები, ბოროტ საქმეებზე ხელი აეღოთ და ღვთისაკენ მოქცეულიყვნენ, მაგრამ არავინ უსმენდა.

ნოე დიდხანს აშენებდა კიდობანს და, როცა მშენებლობას მორჩა, უფალმა უბრძანა მას: „შედი კიდობანში მთელი შენი ოჯახით, თან შეიყვანე ყველა ცხოველი და ფრინველი – შვიდ-შვიდი ძუ და შვიდ-შვიდი ხვადი, რათა წარღვნის შემდეგაც გამრავლდნენ მათი ნაშიერნი. შვიდი დღის შემდეგ წვიმა წამოვა და იწვიმებს ორმოც დღესა და ორმოც ღამეს, მთელი დედამიწა დაიტბორება და დაიხოცება ყველა, რაც კი შემიქმნია“.

ნოე ისე მოიქცა, როგორც უფალმა უბრძანა. შევიდნენ კიდობანში ნოე და მისი ვაჟები: სემი, ქამი და იაფეთი; ასევე ნოეს ცოლი და მისი ვაჟებ-ის ცოლები. თან შეიყვანეს შვიდ-შვიდი წყვილი ცხოველი და ფრინველი. როცა ყველა შევიდა, თვით უფალმა დახურა კიდობნის კარი.

შვიდი დღის შემდეგ დაიწყო წარღვნა და არ შეწყვეტილა ორმოც დღესა და ორმოც ღამეს. წყალმა იმატა და კიდობანმა მის ზედაპირზე დაიწყო ცურვა. წყალდიდობა ისეთი ძლიერი იყო, რომ ყველა მაღალი მთა დაი-ფარა და ყოველი სულდგმული დაიღუპა ხმელეთზე. გადარჩნენ მხოლოდ ნოე და მის კიდობანში მყოფნი.

150 დღის შემდეგ შეწყდა წარღვნა და წყალმა თანდათანობით იკლო. კიდობანი არარატის მთაზე გაჩერდა. ნოემ გამოაღო კიდობნის სარკმელი და ყორანი გაუშვა, რათა გაეგო, დაშრა თუ არა წყალი. ყორანი გაფრინდა და მალევე უკან მოფრინდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ნოემ მტრედი გაუშვა, მაგრამ მტრედმა დასაჯდომი ადგილი ვერ იპოვა, რადგანაც ჯერ კიდევ იდგა წყალი მიწის ზედაპირზე და ისიც უკან დაბრუნდა კიდობანში. შვიდი დღის შემდეგ კვლავ გაუშვა ნოემ მტრედი კიდობნიდან. მტრედი საღამოს მობრუნდა და პირით ზეთისხილის ნედლი რტო მოიტანა. ნოე ამით მიხვდა, რომ წყა-ლი დაშრა მიწაზე.

კიდევ შვიდი დღე შეიცადა ნოემ და კვლავ გაუშვა მტრედი. იგი უკან აღარ მოფრენილა. მაშინ ახადა ნოემ კიდობანს სარქველი და დაინახა, რომ მიწის ზედაპირი მშრალი იყო. უთხრა ღმერთმა ნოეს: გამოდით კიდობნიდან შენ და შენი ოჯახი. გამოუშვი ყველა ცხოველი, რომელიც თქვენთან ერთად იყო კიდობანში... დასახლდით მიწაზე და ხელახლა გამ-რავლდითო.

ბიბლიური ამბავი

თავი VI – სამშობლო

გრამატიკა – ზედსართავი სახელი

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები (სტანდარტის მიხედვით)

მოსწავლეებმა შეძლონ ზედსართავი სახელის რაობის გაგება-გააზრება, მისი ამოცნობა და მართებულად გამოყენება.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დაწყ.(I).11. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკურ და სემანტიკურ მხარეზე, ენობრივ ფორმებზე დაკვირვება.

- კითხვების (რა? ვინ? როგორი? რამდენი? რას აკეთებს?) გამოყენებით განასხვავებს შესაბამის მეტყველების ნაწილებს.

წინარე ცოდნა:

მოსწავლეებმა იციან არსებითი სახელი, აქვთ პერსონაჟის დახასიათების ელემენტარული უნარები. შეუძლიათ მასწავლებლის მიცემული ინსტრუქციების შესრულება, აქვთ ჯგუფური მუშაობის უნარები.

გაკვეთილის მსვლელობა

ორგანიზების ფორმები: საერთო საკლასო, ჯგუფური, წყვილური, ინდივიდუალური.

აქტივობა 1. *წინარე ცოდნის გააქტიურება*

მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს არსებითი სახელის გახსენებით: დაფაზე წერს სამ წინადადება სახელმძღვანელოდან: „მცხუნვარე მზე კაშკაშებს“; „დიდი გემი მოცურავს“; თეთრი თოლია მოფრინდა“. და სთხოვს მოსწავლეებს ა) დაასახელონ რომელია არსებითი სახელი; ბ) გაიხსენონ, რა იციან არსებითი სახელის შესახებ: განმარტება, კითხვები...

აქტივობა 2. *არსებითი სახელების ფოტოებზე მუშაობა*

მასწავლებელი სვამს მოსწავლეებს მცირე ჯგუფებად და ურიგებს თაბახზე ამობეჭდილ სურათებს ან უგზავნის ამ სურათებს ბუკის საშუალებით. შეუძლია, დააწყვილოს მოსწავლეები, თუ კონტინგენტი მცირეა, ინდივიდუალურად დაარიგოს. სურათებზე გამოსახული უნდა იყოს მარტივად დასახასიათებელი არსებითი სახელები: ბიჭი, გოგო, ყვავილი, ხე, ძაღლი, თევზი, ჩიტი და ა. შ. მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, ჩამოწერონ 8-10 სიტყვა, რომლებითაც დაახასიათებენ გამოსახულებებს.

აქტივობა 3. *პრეზენტაცია*

მოსწავლეები წარადგენენ ნამუშევრებს.

აქტივობა 4. *მინილექცია*

მასწავლებელი მინილექციის მეშვეობით უხსნის მოსწავლეებს ზედსართავი სახელის რაობას – ის ახლავს არსებით სახელს, ახასიათებს მას და დაესმის კითხვა „როგორი“.

აქტივობა 5. *მუშაობა სახელმძღვანელოსთან*

მასწავლებელი მოსწავლეებს ინდივიდუალურად აძლევს დავალებად სახელმძღვანელოში მოცემულ სავარჯიშოს (საჭიროების მიხედვით, ორივეს ან ერთ-ერთს). მოსწავლეები წარმოადგენენ შესრულებულ დავალებებს.

აქტივობა 6. *პრაქტიკული სავარჯიშოები*

მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს 3-4 წინადადებისგან შედგენილ ტექსტს.

მაგალითად:

„...ქალაქში ცხოვრობდა ...ბიჭი. ამ ... ბიჭს ჰყავდა ... ძაღლი. ...ძაღლის შიშით ... ბიჭს ვერც ერთი ... არსება ვერაფერს უბედავდა. და ცხოვრობდნენ ასე მეგობრულად ... ბიჭი და .... ძაღლი ძალიან დიდხანს“.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, იმუშაონ წყვილებად და მრავალწერტილების ადგილას ჩასვან სათანადო ზედსართავი სახელები.

აქტივობა 7. *წარდგენა*

რამდენიმე მოსწავლე წარადგენენ ნამუშევრებს. სავარაუდოდ,ზედსართავები იქნება განსხვავებული. მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად განიხილავს თითოეულს და მსჯელობს ზედსართავი სახელის მნიშვნელობაზე.

საშინაო დავალება

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებად, გაიხსენონ მათი საყვარელი პერსონაჟი და რამდენიმე ზედსართავი სახელით დაახასიათონ ის.

შეფასება

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, რამდენად გაიაზრეს ზედსართავი სახელის მნიშვნელობა და ფუნქცია, რამდენად მართებულად შეუსაბამეს ზედსართავი სახელი არსებითს, რამდენად სწრაფად და ლოგიკურად შეასრულეს დავალებები, როგორ იაქტიურეს.

სამასი თავდადებული გლეხი

ორასი წლის წინათ საქართველოში მეფობდა მეფე ერეკლე. სპარსეთის ხელმწიფემ მოსთხოვა მას, ეცნო იგი მეფეთა-მეფედ და ხარკი ანუ გადასახადი ეძლია. მეფე ერეკლემ ცივი უარი შეუთვალა. მაშინ სპარსეთის ხელმწიფემ შეკრიბა დიდძალი ჯარი და სწრაფად მოადგა თბილისს. მეფე ერეკლემ მხოლოდ მცირეოდენი ჯარის მოგროვება მოასწრო. სპარსელები ერთი ოცად მეტნი იყვნენ ქართველებზე. ქართველ ჯარში ერია ერთი რაზმი, რომელიც შესდგებოდა სამასი ფშავ-ხევსურის და არაგვისპირელი გლეხისაგან.

ომის დაწყების წინ ამ რაზმის მეომართ შეჰფიცეს ერთმანეთს: „თუ ბედმა გვიღალატა და ვერ დავძლიეთ მტრის ძალა, შერცხვენილი იყოს, ვინც ჩვენგანი ცოცხალი თავით შინ დაბრუნდესო; ან გამარჯვება მტერზე და ან სიკვდილი ბრძოლის ველზეო“. ეს ვაჟკაცური ფიცი ვაჟკაცურადვე შეასრულეს ჩვენმა რაზმელებმა. როცა აუარება სპარსელმა სძლია პატარა ქართველ ჯარს, არც ერთმა რაზმელმა მტერს ზურგი არ უჩვენა, არც ერთი არ შეუშინდა სიკვდილს, ყველანი ებრძოდნენ მტერს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე და თავისი გმირული სული ყველამ ბრძოლის ველზე დალია. ეს თავგანწირული ბრძოლა თბილისის ქვემოთ, კრწანისის ველზე გაიმართა.

იაკობ გოგებაშვილი

თავი VII – კარგი და ცუდი

ორი ამხანაგი

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები (სტანდარტის მიხედვით)

მოსწავლემ შეძლოს ტექსტის შინაარსის გაგება-გააზრება, პერსონაჟის ქცევის მოტივის შეფასება.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დაწყ.(I).2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება-გააზრება და გადმოცემა.

- ამოიცნობს ტექსტის თემას;

ქართ.დაწყ.(I).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს პირადი დამოკიდებულების გამოხატვა ტექსტის თემის, მასში განხილული საკითხების მიმართ; მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟ(ებ)ის, მისი/მათი ქცევის შეფასება დასაკუთარი თვალსაზრისის ახსნა.

- მარტივი გამოთქმებით („მომწონს/არ მომწონს“, „საინტერესოა/უინტერესოა“, „ვეთანხმები/არ ვეთანხმები“, „ერთგულია/მოღალატეა“, „მამაცია/მხდალია“ და ა. შ.) აფასებს ნაწარმოებს, პერსონაჟებს, მათ საქციელს და ცდილობს საკუთარი მოსაზრების ახსნას („არ ვეთანხმები იმიტომ, რომ...“, „საინტერესოა იმით, რომ...“ და ა. შ.).

წინარე ცოდნა

მოსწავლეები იცნობენ იგავ-არაკული ჟანრის ნაწარმოებებს, შეუძლიათ ტექსტის მოსმენა-გააზრება, კითხვებზე პასუხის გაცემა.

გაკვეთილის მსვლელობა

ორგანიზების ფორმები: საერთო საკლასო, ჯგუფური/წყვილური, ინდივიდუალური.

აქტივობა 1. *მოტივაცია*

მასწავლებელი თემისა და მიზნის გაცნობის შემდეგ მოსწავლეებს თავის სათაურის გააზრებას სთხოვს: აჩვენებს ცნობილი პერსონაჟების, მაგალითად, კვაზიმოდოს, ფებუსის, ურჩხულის („მზეთუნახავი და ურჩხული“), ფოტოებს (თუ ბავშვები ვერ ცნობენ პერსონაჟებს, უჩვენებს ნაწყვეტებს კინო ან ანიმაციური ფილმიდან, ან ესაუბრება მათზე მოკლედ) და სთხოვს უპასუხონ კითხვებს: რომელია კარგი და რომელი – ცუდი? რა განსაზღვრავს სიცუდესა და სიკარგეს?

– საერთოდ, თქვენი აზრით, რა არის კარგი და რა – ცუდი?

(შენიშვნა: მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა გაააზრებინოს , რომ ზოგჯერ ის, რაც შეიძლება გვეჩვენებოდეს გარეგნულად ძალიან კარგი, სინამდვილეში ასეთი სულაც არ იყოს.)

მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს და თუ ბოლო, ზოგად კითხვაზე პასუხისას ადა-

მიანურ ურთიერთობებს არ გაიხსენებენ, მასწავლებელი თვითონ გაამახვილებინებს ამ საკითხზე ყურადღებას: კარგია ურთიერთგატანა, ერთგულება, ნდობა, სიყვარული...

შემდეგ გადადის გაკვეთილის თემაზე („ორი ამხანაგი“) და უხსნის მათ, რომ მოუწევთ ამ თვალსაზრისით შეაფასონ პერსონაჟების საქციელი.

აქტივობა 2. *ტექსტის წაკითხვა*

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ჩუმად წაიკითხონ ტექსტი, მოინიშნონ გაუგებარი სიტყვები ან მონაკვეთები და გახაზონ ან ამოწერონ ის მონაკვეთი, რომელშიც ჩანს ტექსტის მორალი.

აქტივობა 3. *ბუნდოვანი მონაკვეთების განმარტება*

მასწავლებელი განმარტავს ბუნდოვან მონაკვეთებს (მაგალითად, ბავშვებმა შეიძლება ის მონაკვეთი მონიშნონ, რომელშიც აღწერილია, რომ დათვმა არაფერი არ დაუშავა ძირს გაწოლილ ადამიანს. მასწავლებელმა ბავშვებს უნდა აუხსნას, რომ დათვს, სხვა ცხოველებისაგან განსხვავებით, აქვს ერთი უცნაური თვისება: არ ჭამს მკვდარ არსებას) უსვამს კითხვებს მოსწავლეებს იმის გასაანალიზებლად, თუ როგორ გაიგეს მოსწავლეებმა ტექსტი (შეუძლია დაიხმაროს სახელმძღვანელოში მოცემული კითხვებიც). აუცილებლად გამოიკითხავს, რომელი მონაკვეთი მონიშნეს ტექსტში, როგორც იგავის მორალი და ავალებს სახელმძღვანელოში მოცემულ 4 სავარჯიშოს შესრულებას (გადაწერე ანდაზა, რომელშიც იგავის მორალია მოცემული).

აქტივობა 4. *პერსონაჟთა ქცევის შეფასება (მცირე ჯგუფებად ან წყვილებად)*

მასწავლებელი აჯგუფებს მოსწავლეებს, სთხოვს შეაფასონ მეგობრის საქციელი და მისცენ მას რჩევა: როგორ უნდა მოქცეულიყო ის იმ კონკრეტულ შემთხვევაში?

მუშაობის დასრულების შემდეგ მოსწავლეები წარადგენენ ნამუშევრებს.

აქტივობა 5. *შეჯამება*

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაასახელონ „ერთი რამ, რაც ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანია ჩემთვის დღევანდელი გაკვეთილიდან“. მოსწავლეები ასახელებენ.

საშინაო დავალება

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებად, დაწერონ სახელმძღვანელოდან მე-5 სავარჯიშო (მოსწ. წიგნი, გვ. 108).

შეფასება

მოსწავლე შეფასდება იმის მიხედვით, რამდენად შეუძლია ტექსტის შინაარსის გაგება-გააზრება, მორალის ამოცნობა, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, აზრის ნათლად ჩამოყალიბება.

რესურსები

სურათები (ან სლაიდები, პროექტორი), სახელმძღვანელო.

სოლომონ ბრძენი

სოლომონი ისრაელის სახელგანთქმული მეფის, დავითის, ვაჟი იყო. დავით მეფის გარდაცვალების შემდეგ სამეფოს სწორედ სოლომონი მართავდა. ერთხელ მას ძილში ღმერთი გამოეცხადა და უთხრა: „მთხოვე, რაც გინდა, რომ მოგცე.“ სოლომონმა იცოდა, თუ რა ძნელია, იყო კეთილი და სამართლიანი მეფე და ღმერთს სიბრძნის მოცემა სთხოვა. ღმერთმა მართლაც მიანიჭა მას სიბრძნე.

ერთხელ მეფე სოლომონთან ორი ქალი მივიდა და ერთი პატარა ბავშვი მიუყვანა, რომელსაც ორივე იჩემებდა: არა ჩემია, არა ჩემიო. იმისთვის, რომ გაეგო, რომელი მართალი იყო და რომელი მტყუანი, სოლომონმა გასაოცარი რამ ბრძანა:

– გაჭერით ბავშვი შუაზე და ნახევარი ერთ მოდავეს მიეცით, ნახევარი – მეორესო.

რა თქმა უნდა, მას არც უფიქრია ბავშვის მოკვლა. მხოლოდ მოდავე ქალების გამოსაცდელად გასცა ასეთი ბრძანება.

მაშინ ერთმა ქალმა თქვა:

– ნურც მე მერგება, ნურც მას, გაჭერით!

მეორე ქალმა კი შეჰკივლა:

– ოღონდ ნუ მოკლავთ და მას მიეცით ბავშვი!

ამით მიხვდა სოლომონი, რომ ბავშვის ნამდვილი დედა სწორედ ეს ქალი იყო, რადგან დედა სხვისთვის მისაცემად უფრო შეელევა შვილს, ვიდრე იმას შეეგუება, რომ მოუკლან.



უპასუხე კითხვებს

1. ვინ იყო სოლომონი?
2. რა სთხოვა ღმერთს სოლომონმა?
3. როგორ გამოავლინა მეფე სოლომონმა, მოდავე ქალებს შორის ვინ იყო ნამდვილი დედა?

მოძებნე

4. იპოვე პირველ აბზაცში ის ადგილი, რომელშიც ჩანს მიზეზი, თუ რატომ სთხოვა სოლომონმა ღმერთს სიბრძნის მოცემა.
5. იპოვე ტექსტში ის სამი თვისება, რომლებიც საუკეთესო მეფეს უნდა ჰქონდეს.

დაწერე

6. პირველი და მეორე შეკითხვების პასუხები მიმდევრობით ჩაწერე რვეულში.
7. ტექსტის სამივე აბზაცს შეურჩიე სათაური და დაწერე ამ მოთხრობის გეგმა.

ტყის დღე

კვირა დღე იყო. სკოლის ავტობუსმა ბავშვები დანიშნულ ადგილზე მიიყვანა. იქ უკვე გამზადებული იყო მიწა ფიჭვების ჩასარგავად და დასათესად.

მეტყევემ, ძია სერგომ, განუმარტა ბავშვებს, როგორ უნდა დათესვა და დარგვა. ზოგს თესლით სავსე პარკი მისცეს, ზოგს – ნერგი... ყველანი გულმოდგინედ შეუდგნენ მუშაობას. თესლს კვალში ყრიდნენ. ნერგებისთვის კი ორმოები წინასწარ იყო ამოთხრილი.

მხოლოდ პატარა შოთა იჯდა ჩაფიქრებული.

– რა დაგემართა, შოთა? – შეეკითხა მეტყევე.

– ძია სერგო, იცი რა, მე არ მინდა დათესვა, იქნებ არ ამოვიდეს. გაზრდილი ნერგი მირჩევნია, – უპასუხა დინჯად შოთამ.

სერგოს გაეცინა. აურჩია ნერგი და ბავშვს მიაწოდა.

შოთას თვალები გაუბრწყინდა. წამოხტა და ნერგი გამოართვა.

– როცა გვალვა იქნება, მე თვითონ ამოვუტან წყალს და მოვრწყავ, ოღონდ გაიზარდოს! – დაჰპირდა შოთა მეტყევეს.

მარიჯანი (მარიამ ალექსიძე)

რჩევა: გირჩევთ, უფროსების დახმარებით, თქვენც დააწესოთ ხეების დარგვის დღე.

თავი VIII – სახალისო ამბები

გრამატიკა – ზმნა და დრო

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები (სტანდარტის მიხედვით)

მოსწავლეებმა შეძლონ ზმნის დროის რაობის გაგება-გააზრება, მისი მართებულად გამოყენება.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დაწყ.(I).4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკისა და ენობრივ-სინტაქსური კონ-სტრუქციების სათანადოდ გამოყენება; მართლმეტყველებისა და სამეტყველო ეტიკეტის საბაზისო ნორმების დაცვა.

- მართებულად სვამს კითხვებს (ვინ...? რა...? როგორი...? რომელი...? რამდენი...?) და კითხვით წინადადებაში მახვილს სვამს კითხვით სიტყვებზე;
- სწორად უხამებს ზმნას სახელს პირსა და რიცხვში;

ქართ.დაწყ.(I).11. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკურ და სემანტიკურ მხარეზე, ენობრივ ფორმებზე დაკვირვება.

- კითხვების (რა? ვინ? როგორი? რამდენი? რას აკეთებს?) გამოყენებით განასხვავებს შესაბამის მეტყველების ნაწილებს.

წინარე ცოდნა

მოსწავლეებმა იციან ზმნის რაობა, აქვთ დროის გაგების ელემენტარული უნარ-ჩვევები.

გაკვეთილის მსვლელობა

ორგანიზების ფორმები: საერთო საკლასო, ინდივიდუალური.

აქტივობა 1. *წინარე ცოდნის გააქტიურება*

მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს ზმნის რაობის გახსენებით: მოსწავლეები ასახელებენ ზმნებს და პარალელურად იხსენებენ, თუ რა იციან ზმნის შესახებ.

მასწავლებელი აჯამებს მოსწავლეების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს – ზმნა გამოხატავს მოქმედე-ბას და დაამატებს, რომ ამავდროულად ის გვიჩვენებს, როდის ხდება მოქმედება.

აქტივობა 2. *მოქმედება და დრო*

მასწავლებელი მოსწავლეებს რიგის მიხედვით სთხოვს, რამდენიმე წინადადებით აღწერონ: ა) რა გავაკეთე გუშინ? ბ) რას ვაკეთებ ახლა? გ) რას გავაკეთებ ხვალ?

მასწავლებელი რამდენიმე მოსწავლეს სთხოვს, წარადგინონ კითხვებზე პასუხები. დაფაზე წინასწარ გამზადებულ სამსვეტიან ცხრილში (წარსული, აწმყო, მომავალი) მასწავლებელი წერს ბავშვების მიერ დასახელებული წინადადებებიდან შესაბამის ზმნებს.

აქტივობა 3. *მინილექცია*

მასწავლებელი მოსწავლეებს მინილექციის საშუალებით უხსნის ზმნის დროს.

აქტივობა 4. *გუშინ, დღეს, ხვალ – ვთამაშობთ ზმნებით*

მასწავლებელი კლასს ყოფს ორ ნაწილად. ერთს ჰქვია „გუშინ“ (წარსული) მეორეს – „ხვალ“ (მომავალი). მასწავლებელი წარმოადგენს აწმყო დროს („დღეს“). იგი ასახელებს ზმნებს აწმყო დროში და მოსწავლეებს შესაბამისად გადაჰყავთ ისინი მომავალსა და წარსულში და იწერენ რვეულში. 5-6 ზმნის დასახელების მერე მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შეადგინონ წინადადებები რვეულში ჩაწერილი სიტყვების გამოყენებით. მოსწავლეები მონაცვლეობით კითხულობენ შესრულებულ სამუშაოს.

საშინაო დავალება

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებად, განვლილი მასალიდან რომელიმე ტექსტის ერთ აბზაცში ზმნებს შეუცვალონ დროის ფორმა.

შეფასება

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, შეუძლიათ თუ არა ზმნის წარსული, აწმყო და მომავალი დროის ფორმების მართებულად გამოყენება.

მელიას კუდი მოწმედ

მელა ერთ საქათმეს შეეჩვია და ქათმებს სულ მუსრი გაავლო. ბოლოს საქათმის პატრონმა მახე დაუგო, დაიჭირა და მოკვლა დაუპირა. მელამ უთხრა:

– ტყუილად მკლავ, თავი არ მომიკვდება. მე ამ საქმეში უდანაშაულო ვარ, საქათმისთვის ერთი ვარიაც არ მომიკლია და ფეხიც არ შემომიდ-გამს აქაო; მხოლოდ წუხელის გამიწყრა ღმერთი, ბნელაში გზა დავკარგე და უნებლიეთ აქ მოვეხეტეო.

– მერე მაგისი მოწმე გყავს ვინმეო? – ჰკითხა საქათმის პატრონმა.

– როგორ არაო! – უპასუხა მელამ, – ერთი ისეთი მოწმე მყავს, რომ ათზე უფრო სარწმუნოაო.

– ვინ არის ეგ მოწმეო?

– ეს ჩემი პატიოსანი კუდიო, – არხეინად მიუგო მელამ.

თავი IX – საქმე

ერთი მანეთის შოვნა

შენიშვნა: რეკომენდებულია, მასწავლებელმა ჩაატაროს წყვილი გაკვეთილი ან გაანაწილოს ორ სასწავლო დღეზე. ვინაიდან ტექსტის შესასწავლად შემოთავაზებული აქტივობა გახლავთ „ცხელი სკამი“, მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს კარგად ჰქონდეთ გააზრებული ნაწარმოების შინაარსი. ამ აქტივობის გამოყენება ეფექტურია, რადგან სამივე პერსონაჟი საკმაოდ სახასიათოა. „ცხელი სკამი“ გაუმარტივებს მათ საშინაო დავალების შესრულებას – პერსონაჟის დახასიათების დაწერას.

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები (სტანდარტის მიხედვით)

მოსწავლემ შეძლოს ტექსტის შინაარსის გაგება-გააზრება, პერსონაჟის დახასიათება; განუვითარდება ინტერპრეტაციის უნარი.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დაწყ.(I).2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება-გააზრება და გადმოცემა.

- ასახელებს მოსმენილ ტექსტში ასახულ ფაქტებს, პერსონაჟებს;

ქართ.დაწყ.(I).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს პირადი დამოკიდებულების გამოხატვა ტექსტის თემის, მასში განხილული საკითხების მიმართ; მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟ(ებ)ის, მისი/მათი ქცევის შეფასება და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა.

- აღწერს და ახასიათებს პერსონაჟებს თვალსაჩინო ნიშნების მიხედვით;
- ავლებს პარალელს მოსმენილ ტექსტში ასახულ ამბავსა და პირად/ლიტერატურულ გამოცდილებას შორის;

ქართ.დაწყ.(I).9.მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; ტექსტის თემის და/ან მასში განხილული კონკრეტული საკითხების შეფასება.

- ასახელებს ნაწარმოების გმირების მოქმედების მოტივს (რატომ მოიქცა ასე) და აფასებს მათ საქციელს.

წინარე ცოდნა

მოსწავლეებს გააჩნიათ ტექსტის მოსმენა-გააზრების, პერსონაჟის დახასიათებისა და კითხვების დასმის ელემენტარული უნარები.

გაკვეთილის მსვლელობა

ორგანიზების ფორმები: საერთო საკლასო, ინდივიდუალური

აქტივობა 1. *მოტივაცია*

თემისა და მიზნის გაცნობის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს სათაურის განმარტებას.

აქტივობა 2. *ტექსტის წაკითხვა*

მასწავლებელი კითხულობს ზღაპრის „ერთი მანეთის შოვნა“ პირველ თავს მონაკვეთებად:

1. „ერთ კაცს... – ...მამაშენს უთხარი მე ვიშოვე-თქო“.
2. „ბიჭი ასეც მოიქცა... – ... დედას ეს ამბავი ძალიან ეწყინა“.
3. „მეორე დღეს ხელახლა... – ...თავისი შრომით ნაშოვნი მანეთი მოუტანა.“

თითოეული ეპიზოდის წაკითხვის შემდეგ სვამს კითხვებს იმის შესამოწმებლად, რამდენად გაიგეს ბავშვებმა ტექსტში ზედაპირულად, ექსპლიციტურად მოცემული ინფორმაცია. მაგ.: რატომ გაუჭირდა ოჯახის შენახვა მამას? რა გადაწყვიტა მან? და ა.შ. მასწავლებელს ასევე შეუძლია გამოიყენოს სახელმძღვანელოს პირველი თავის ბოლოს დართული კითხვები და სავარჯიშოები.

აქტივობა 3.

მეორე თავს მოსწავლეები კითხულობენ ჩუმად, ინდივიდუალურად. მონიშნავენ ბუნდოვან ადგილებს და მათთვის საინტერესო ეპიზოდებს. იმსჯელებენ, გამართლდა თუ არა მათი მოლოდინი. პასუხობენ მასწავლებლის კითხვებს. მასწავლებელს ამჯერადაც შეუძლია გამოიყენოს ტექსტისთვის დართული კითხვები.

აქტივობა 4.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაწერონ ნაწარმოების ეპიზოდური გეგმა (გეგმის შედგენა მათ უკვე ნასწავლი აქვთ).

აქტივობა 5. *(მეორე გაკვეთილი)*

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ჩამოთვალონ პერსონაჟები და რამდენიმე სიტყვით დაახასიათონ ისინი.

აქტივობა 6. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოიფიქრონ რამდენიმე შეკითხვა, რომლებსაც დაუსვამდნენ თიითოეულ პერსონაჟს.

აქტივობა 7. კენჭისყრის მიხედვით, ან მასწავლებლის ან მოსწავლეების გადაწყვეტილებით, ირჩევა ის, ვინც დაჯდება ცხელ სკამზე და უპასუხებს შეკითხვებს ერთ-ერთი პერსონაჟის ნაცვლად.

აქტივობა 8. ყველაზე ორიგინალური კითხვის ავტორი შეიძლება დაჯდეს მორიგი პერსონაჟის ამპლუაში ცხელ სკამზე და ა. შ.

აქტივობა 9. *შეჯამება*

გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები მსჯელობენ, რომელი პასუხი დაამახსოვრდათ ყველაზე მეტად, რომელი კითხვა მოეწონათ, რომელი წაკითხული ტექსტის განხილვისას გამოიყენებდნენ ამ აქტივობას და რატომ. რამდენად მოეწონათ ეს აქტივობა.

საშინაო დავალება

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებად, დაწერონ ერთ-ერთი პერსონაჟის დახასიათება.

შეფასება

მოსწავლე შეფასდება იმის მიხედვით, რამდენად შეუძლია ტექსტის შინაარსის გაგება-გააზრება, რამდენად ლოგიკური და შემოქმედეითია მოსწავლის კითხვები და პასუხები.

ორი სახნისი

ერთი სამჭედლოდან ორი ერთნაირი სახნისი გამოვიდა. ერთი სულ მიწას ხნავდა. მეორე კი უქმად ეგდო ფარდულის კუთხეში. კარგა ხნის შემდეგ სახნისები ერთმანეთს შეხვდნენ. ერთს ლაპლაპი გაჰქონდა. მეორეს კი ჟანგი მოსდებოდა.

ჟანგიანმა ჰკითხა:

– მეგობარო, ეგრე რამ გაგამშვენიერაო?

– შრომამო, – მიუგო ლაპლაპამ.

იაკობ გოგებაშვილის „დედაენიდან“

უპასუხე კითხვებს

1. რას გვასწავლის სახნისების მაგალითით მწერალი?
2. შენი აზრით, რა არის „სამჭედლო“?

დაწერე

3. გამოიცანი სიტყვები და გადაიწერე წინადადებები:

   ა. ერთი სახნისი სულ მიწას _____.

   ბ. კარგა ხნის შემდეგ _____ ერთმანეთს შეხვდნენ.

   გ. ჟანგიანმა სახნისმა ლაპლაპა _____ ჰკითხა: ეგრე რამ დაგამშვენაო?

   დ. ლაპლაპა სახნისი _____ დაამშვენა.
4. ყურადღებით წაიკითხე მოთხრობა და დაწერე შინაარსი.

★

ლაპლაპი გაჰქონდა

ბრჭყვინავდა.

★

ფარდული

ხელსაწყოების შესანახი პატარა შენობა

ვინც საქმე გააკეთა, პურიც იმანა ჭამოს

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი ბიჭი, ჰყავდა დედა და ერთი ხარი. ხვნის დროს ხართან უღელში ხან შვილი, ხან დედა შეებმებოდნენ ხოლმე. ერთხელ ხართან უღელში დედა იყო შებმული. ამ დროს ხელმწიფემ გამოიარა.

– ბიჭო, რას შვრები მაგას, რა გიქნია საცოდავი დედაკაცისათვის?!

– რა ვქნა, შენი ჭირიმე, ერთი ხარის მეტი არა გვყავს და მეტი ღონე არა გვაქვს, ასე ვშველით ხარს უღლის გაწევაში!

– მაშ, თუ აგრეა, წამოდი ჩემთან და მე მოგცემ ერთ ხარს, – უთხრა ხელმწიფემ.

ბიჭს გაუხარდა და გაჰყვა.

თურმე ხელმწიფეს ჰყავდა ერთი ისეთი გიჟი ხარი, რომ ახლოს არავის იკარებდა. დაახვია ხელმწიფემ ამ ხარს თავისი ჯარი და რის ვაი-ვაგლახით შეაგდეს ბაკში. ბიჭმა უთხრა: რამდენიმე დღეს ნურაფერს აჭმევთო. კარგა ხნის შემდეგ ბიჭი მიუახლოვდა ნაშიმშილევ ხარს და ცოტა თივა შეაჭამა, მერე გამოაბა ხარს თოკი, იღლიაში თივა ამოიდო და სახლისაკენ წავიდა. ხარი უკან გაჰყვა. მიიყვანა ბიჭმა შინ, შეაგდო ბოსელში და კიდევ ოთხ დღეს არაფერი აჭამა. მეხუთე დღეს გამოიყვანა, შეაბა კევრში თავის ხართან ერთად, დედა კევრზე დასვა, თვითონ თივა აიკიდა და წავიდა წინ. მიჰყვა მშიერი ხარი უკან. ერთი სიტყვით, მალე ისე მოარჯულა ეს ხარი, რომ საუკეთესო გახდა.

ერთხელ ბიჭი თავის ხარებს კალოზე დააქროლებდა. ამ დროს ხელმ-წიფემ გამოიარა და ბიჭს ჰკითხა:

– ვისია ეგ ხარი?

– ჩემია, შენი ჭირიმე, თქვენ რომ მაჩუქეთ, ის ხარია, – მიუგო ბიჭმა.

მეფეს გაუკვირდა, ასე როგორ მოგირჯულებიაო, და ბიჭს უთხრა:

– წამოდი ჩემთან, ერთი ქალი მყავს და შენ უნდა მოგათხოვოო.

– რასა ბრძანებ, შენი ჭირიმე, მე რა თქვენი ქალის ღირსი ვარ!

– მე შენ გიბრძანებ, წამოდი და ჩემი ქალიშვილი შეირთეო! – უთხრა ხელმწიფემ.

ბიჭი კიდევ შეეხვეწა, თავი გამანებეო, მაგრამ ბოლოს სხვა გზა აღარ ჰქონდა, ადგა და გაჰყვა ხელმწიფეს.

თურმე ამ ხელმწიფეს ერთი ისეთი ზარმაცი ქალი ჰყოლია, რომ, რაც დაბადებულა, ლოგინიდან არ ამდგარა, მოახლეები ლოგინში აცმევდნენ, იქვე აჭმევდნენ და ასმევდნენ.

მივიდნენ მეფე და ბიჭი სასახლეში. ბიჭმა მეფის ასული რომ დაინახა, ერთხელ კიდევ შეემუდარა ხელმწიფეს:

– კარგი, შენი ჭირიმე, რაკი აღარ მეშვებით, მაშ, ერთი ჟანგიანი ხმალი მომეცით, ერთი ქეციანი ძაღლი და ერთიც გაძვალტყავებული ცხენი – ისეთები, უკვე სიკვდილის პირას რომ არიანო!

ამაზე უარს ვინ ეტყოდა? მისცეს, რაც ითხოვა. ბიჭმა ჩამოიკიდა დაჟანგული ხმალი და წამოიყვანა ხელმწიფის ქალი, ქეციანი ძაღლი და გაძვალტყავებული ცხენი. მოდის ბიჭი და ზარმაცად, ზლაზვნით მისდევენ ყველანი უკან. მიუბრუნდა ბიჭი ძაღლს და ეუბნება:

– ძაღლო, ჩემს ნაფეხურებზე დაადგი ფეხი, თორემ ამ ხმალს ხომ ხედავ, სიკვდილი არ აგცდება!

რასაკვირველია, ძაღლი ვერ აუსრულებდა ბრძანებას. მოუბრუნდა ბიჭი ძაღლს და მოუქნია ხმალი. მომაკვდავმა ძაღლმა სული განუტევა. ბიჭმა ახლა ცხენს უთხრა:

– ცხენო, ჩქარა იარე, ფეხი ჩემს ნაფეხურებზე დაადგი, აქეთ-იქით ნუ გადაუხვევ, თორემ ამ ხმალს ხომ ხედავ, სიკვდილი არ აგცდება!

ცხენს რა გაეგებოდა ბიჭის ლაპარაკი, როგორ აასრულებდა მის ბრძანებას! მიუბრუნდა ბიჭი, მოუქნია იმასაც ხმალი და მომაკვდავი ცხენი სიცოცხლეს გამოესალმა.

მერე ქალს უთხრა:

– ქალო, ხომ ხედავ ამ ხმალს, ჩქარა იარე, ფეხი ჩემს ნაფეხურებზე დაადგი, თორემ შენც ისე დაგსჯი, როგორც სხვებსა!

მიდის ბიჭი, მისდევს ქალი, ეშინია, არ ჩამორჩეს. როგორც იყო და არ იყო, მივიდნენ შინ. გაუშალეს ლოგინი, ჩაწვა შიგ ეს ქალი და არც იქით იძვრის და არც აქეთ.

მეორე დღეს დედა და შვილი სამუშაოდ წავიდნენ კალოზე. მთელ დღეს იმუშავეს და საღამოთი შინ დაბრუნდნენ. დედამ დაუძახა შვილს:

– შვილო! საქმე ვინ გააკეთა?

– მე და შენა, – მიუგო შვილმა.

– პური ვინა ჭამოს?

– მე და შენა.

ჭამა დედა-შვილმა პური, ქალი კი შორიდან უყურებს მშიერ-მწყურვალი. დაწვნენ და დაიძინეს. მეორე დღეს ისევ სამუშაოდ წავიდნენ. ასე გაატარეს ოთხი დღე, ქალს მეხუთე დღეს ისე მოშივდა, რომ სულ კუჭი ეწვოდა შიმშილით. თუ არა გავაკეთე რა, ეს ხალხი მშიერს მომკლავსო, – გაიფიქრა ქალმა, მისწვდა ლოგინიდან ცოცხს და რასაც ლოგინიდან მისწვდებოდა, შემოიგავა გარშემო. დედა და შვილი საღამოს დაბრუნდნენ.

– შვილო! საქმე ვინ გააკეთა? – ჰკითხა ისევ დედამ.

– მე და შენა, – მიუგო შვილმა.

– პური ვინა ჭამოს?

– მე და შენა.

დასხდნენ დედა-შვილი და ჭამეს პური.

უცებ დედამ შვილს უთხრა:

– ცოტა პური ამასაც მოვუტეხოთ, თავის გარშემო შემოუგვიაო.

მოუტეხეს ერთი ხელისგულისოდენა პური. ცოტა პურმა ქალს უფრო გაუღვიძა მადა. მეორე დილით, დედა და შვილი სამუშაოზე რომ წავიდნენ, შიმშილმა ისე შეაწუხა ეს ქალი, რომ ადგა, აიღო ცოცხი და ნახევარი დარბაზი შემოგავა, მერე მივიდა და ისევ ლოგინში ჩაწვა. მოვიდა დედა-შვილი, ჭამეს პური და ნახევარი პური ქალსაც მოუტეხეს დარბაზის დაგვისათვის.

მესამე დილით დედა-შვილი ისევ სამუშაოზე რომ წავიდა, ქალი ადგა, მთელი სახლი დაალაგა, ლოგინი დაბერტყა, დააგო და ისევ შიგ ჩაწვა. საღამოს დედამ და შვილმა ჭამეს პური და ქალსაც ერთი პური მიუტანეს.

გათენდა თუ არა, დედა-შვილი ჩვეულებრივ სამუშაოზე გაეშურა. ქალმა იფიქრა: ეს კარგი, ერთი პური დღესა და ხვალ მეყოს, მერე? თუ არა გავაკეთე რა, ეს ხალხი შიმშილით მომკლავსო. ადგა, აილაგა ლოგინი, დაიბანა პირი, დაგავა, დაასუფთავა სახლი, ჯამ-ჭურჭელი დარეცხა, დააკრიალა, ცეცხლზე შემოდგა შეჭამანდი, მოირთო და ისე დახვდა დედამთილსა და ქმარს. დედა-შვილს გაუხარდა, გადაეხვივნენ და გადა-

კოცნეს. ამის შემდეგ ისე მორჯულდა ეს ქალი, რომ ბადალი არა ჰყავდა.

ერთხელ ხელმწიფემ თქვა: მოდი, წავალ, გავიგებ, როგორაა ჩემი ქალიო. მივიდა მეფე ბიჭის სახლში. ბიჭი და დედამისი სამუშაოდ იყვნენ წასულები, ქალი კი დერეფანში იჯდა და ლობიოს არჩევდა. დაინახა ქალმა მამა, გაექანა და გადაეხვია. მეფეს ძალიან გაუხარდა, თავისი ქალი ასე გაყოჩაღებული რომ ნახა. ქალმა უთხრა მამას:

– ჩემი ქმარი, ვინც საქმეს არ გააკეთებს, იმას პურს არ აჭმევს. აბრძანდით ბანზე ვეზირებთან ერთად და ბანი დატკეპნეთო!

იმ ქალის ქმარს ის-ის იყო ახალი ქვითკირის სახლი გაეკეთებინა და ბანზე მიწა იყო დაყრილი. გახარებული მეფე ვეზირებთან ერთად ავიდა ბანზე და კარგად დაუტკეპნა ბანი. ამ დროს დედა-შვილიც მოვიდა, გამართეს ლხინი. მეფემ დაასაჩუქრა თავისი სიძე და ქალი და დაიწყეს ტკბილი ცხოვრება.

ქართული ხალხური ზღაპარი

თავი X – ოჯახი

ჩხიკვთა ქორწილი

შენიშვნა: რეკომენდებულია, მოსწავლეებს კარგად ჰქონდეთ გააზრებული ნაწარმოების შინაარსი. ამ აქტივობის გამოყენება ეფექტურია პერსონაჟთა მხატვრული სახის გასააზრებლად.

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები (სტანდარტის მიხედვით)

მოსწავლემ შეძლოს ტექსტის შინაარსის გაგება-გააზრება, პერსონაჟის დახასიათება; განუვითარდება ინტერპრეტაციის უნარი.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დაწყ.(I).1. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სამეტყველო ქცევის გამოვლენა ნაცნობ საკომუნიკაციო სიტუაციაში.

- მიზნისა და სამეტყველო სიტუაციის ადრესატის გათვალისწინებით ირჩევს შესაბამის არავერბალურ საშუალებებს (ჟესტს, მიმიკას, ინტონაციას);

ქართ.დაწყ.(I).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს პირადი დამოკიდებულების გამოხატვა ტექსტის თემის, მასში განხილული საკითხების მიმართ; მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟ(ებ)ის, მისი/მათი ქცევის შეფასება დასაკუთარი თვალსაზრისის ახსნა.

- აღწერს და ახასიათებს პერსონაჟებს თვალსაჩინო ნიშნების მიხედვით;

ქართ.დაწყ.(I).4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკისა და ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციების სათანადოდ გამოყენება; მართლმეტყველებისა და სამეტყველო ეტიკეტის საბაზისო ნორმების დაცვა.

- მიზნისა და სამეტყველო სიტუაციის ადრესატის გათვალისწინებით ირჩევს შესაბამის სამეტყველო სტილს;

ქართ.დაწყ.(I).7.მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთდაკავშირება.

- ამოიცნობს პერსონაჟების მოქმედებებს, გრძნობებს, ემოციებს;
- ამოიცნობს, რა ტიპის ურთიერთობა აქვთ პერსონაჟებს ერთმანეთთან (ნათესაური, მტრული, მეგობრული და სხვ.);

ქართ.დაწყ.(I).9.მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; ტექსტის თემის და/ან მასში განხილული კონკრეტული საკითხების შეფასება.

- ასახელებს ნაწარმოების გმირების მოქმედების მოტივს (რატომ მოიქცა ასე) და აფასებს მათ საქციელს;

წინარე ცოდნა

მოსწავლეებმა უკვე ისწავლეს აქვთ ვაჟა-ფშაველას „ჩხიკვთა ქორწილი“, აქვთ შინაარსის დაწერისა და პერსონაჟის დახასიათების ელემენტარული უნარები.

გაკვეთილის მსვლელობა

ორგანიზების ფორმები: საერთო საკლასო, ჯგუფური/ინდივიდუალური.

აქტივობა 1. *მოტივაცია*

მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს კითხვებს წაკითხული ტექსტის შესახებ (შესაძლოა, გამოიყენოს სახელმძღვანელოში დასმული კითხვები), რათა დარწმუნდეს, რომ ბავშვებმა კარგად იციან ნაწარმოების შინაარსი.

აქტივობა 2. *კითხვა-პასუხი*

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაასახელონ მთავარი პერსონაჟები „ჩხიკვთა ქორწილიდან“. მოსწავლეების პასუხებს მასწავლებელი ჩამოწერს დაფაზე.

აქტივობა 3. *პერსონაჟების დახასიათება*

მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს მცირე ჯგუფებად, უნაწილებს პერსონაჟებს (შემთხვევითი შერჩევის პრინციპით: პერსონაჟთა სახელები ჩამოწერილი აქვს ბარათებზე), სთხოვს, მოძებნონ ტექსტში ამ პერსონაჟის მახასიათებელი ეპიზოდები და შეავსონ მასწავლებლის მიერ წინასწარ გამზადებული ცხრილი (პერსონაჟის რუკა). მასწავლებელმა, შესაძლოა, ცხრილი გაუგზავნოს ბუკის მეშვეობით ან დაურიგოს წინასწარ გამზადებული ფურცლები.

პერსონაჟის სახელი	
რას ფიქრობს?	როგორია?
რას ამბობს?	როგორია?
რას აკეთებს?	როგორია?

– მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, დაახასიათონ პერსონაჟი.

ერთ ჯგუფს ავალებს ასე იმუშაოს ზაქარას მხატვრულ სახეზე; მეორეს – ქეთევანზე; მესამეს – არწივზე; მეოთხეს – წრუწუნაზე; მეხუთეს – ყვავზე.

აქტივობა 4.

მასწავლებელი მოსწავლეთა მიერ შევსებულ ცხრილს გამოაკრავს თვალსაჩინო ადგილას; მოსწავლეები ასაუბრობენ თავიანთ ნამუშევრებზე. დანარჩენი მოსწავლეები და მასწავლებელი ავსებენ მათ ნათქვამს.

აქტივობა 5. მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს პერსონაჟის თვისებების ცოდნას იმის გასაგებად, რატომ იქცევა ის ასე; და პირიქით, ქცევით ამოვიცნობთ მის თვისებებს.

აქტივობა 6.

მასწავლებელი იმავე ჯგუფებს სთხოვს (მოსწავლეთა შესაძლებლობის მიხედვით, მასწავლებელს შეუძლია ეს დავალება ინდივიდუალურად მისცეს ბავშვებს), პერსონაჟის რუკისა და გეგმის დახმარებით დაწერონ ამბის მოკლე შინაარსი იმ პერსონაჟის პირით, რომლის დახასიათებაც ჰქონდათ დავალებული, და ასევე სთხოვოს, ყურადღება გაამახვილონ პერსონაჟის ქცევის მოტივზე მათ მიერ აღწერილ თითოეულ ეპიზოდში.

აქტივობა7.

მოსწავლეები წარადგენენ ნამუშევრებს.

საშინაო დავალება

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებად, მოიძიონ ინფორმაცია იმ ცხოველის ან ფრინველის შესახებ, რომლის მხატვრულ სახეზეც გაკვეთილის დროს იმუშავა.

შეფასება

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, რამდენად შეძლეს პერსონაჟის დახასიათება, ტექსტის ინტერპრეტირება.

ვანო

ვანო საბავშვო ბაღის შესასვლელში, გრძელ სკამზე იჯდა და თავის ბიჭუნას ელოდა. ხელები საწვიმრის ჯიბეებში ჩაეწყო და სკამის საზურგეს მისწოლოდა.

უცებ მეორე სართულიდან სკუპ-სკუპით ჩამოვიდა მსუქანი, პეპელასავით მორთული პატარა გოგონა, ჯერ შორიდან უყურებდა ვანოს, მერე ბალერინას პატარა ნაბიჯებით მიირბინა, წინ გაუჩერდა და კეკლუცად ჰკითხა:

– ვინ გნებავთ?

– მიხო, – მიუგო ვანომ.

– ვინ მიხო?

– ჩემი ბიჭი.

– რა გვარია?

– ბუჭყიაშვილი.

– ბუჭყიაშვილი? – გაეცინა გოგონას, – ეგ გვარი არც კი გამიგონია.

– თვითონ რა გვარი ხარ?

– გა-გუ-ა.

– გაგუა სჯობია ბუჭყიაშვილს?

– კი. მსახიობი გაგუა ჩემი ბიძიაა. ელენე გაგუა ჩემი მამიდაა, აბესალომ გაგუაც ჩემი ბიძიაა. ჩემი დედიკო მუსიკის მასწავლებელია, ჩემი ბებია – ცირკის უფროსი, ჩემი მამიდა – ტელევიზორების უფროსი, აბესალომ გაგუა – უნივერმაღის უფროსი. ჩვენ სულ უფროსი ნათესავები გვყავს. ჩვენ ყველაფერი ბევრი გვაქვს.

– რა ყველაფერი გაქვთ ბევრი?

– ავეჯი, ტანსაცმელი, ჭურჭელი...

– რად გინდათ ბევრი ავეჯი და ბევრი ჭურჭელი?

– აბა, სტუმარი რომ მოგვივა?

– მერე რა, მოვიდეს რა!

– აბა, თქვენ როგორ ცხოვრობთ?

– ისე, უბრალოდ. ერთი დიდი ფარდაგი გვაქვს, გავშლით ძირს და ვკოტრიალობთ ყველანი – მეც, მიხოც, მამუკაც, ჩვენი დედიკოც და, თუ სტუმარი მოგვივა, ისიც. ჩვენ ხის ჯამები გვაქვს, ხის კოვზები – კაკ-კუკ! კაკ-კუკ!

– ავეჯი სულ არა გაქვთ?

– სულ არა გვაქვს. ავეჯი რომ გვქონდეს, როგორღა ვითამაშებდით?!

– რას ვეღარ ითამაშებდით?

– ფრენბურთს, დაჭერობანას...

გოგონამ ფუნჩულა ხელით ქვედა ტუჩის სრესა დაიწყო, ვანო კი განაგრძობდა:

– ჩვენ ტანსაცმელიც ისეთი გვაქვს, სადაც გინდა ჩაჯექი, აი, ნახე!

ვანო იატაკზე ჩაჯდა, გოგონას გაუცინა და ისევ სკამს დაუბრუნდა.

– ხომ კარგია?

– დიახ, – დაუქნია გოგონამ თავი და ოდნავი შეყოვნების შემდეგ მორიდებით იკითხა:

– არც მანქანა გყავთ?

– მანქანა რად გვინდა, ჩვენ სულ ფეხით დავდივართ. დავმწკრივდებით და მივდივართ მინდორ-მინდორ, ტყე-ტყე, მთა-მთა. მანქანაში რომ ზიხარ, რა უნდა დაინახო? ბალახებში ჩამალულ თვალებდაკუსულ კალიას დაინახავ? ვარდისფერცხვირიანი პატარა თაგუნიების ჭიდაობას დაინახავ? პირდაღებულ, კისერგაღანღალებულ მწყრის ბარტყებს დაინახავ? ბალახის ყურში ჩაძინებულ წვიმის წვეთს დაინახავ?

– ჩქარა რომ მიდიხარ?

– ჩვენ არსად არ გვეჩქარება, ჩვენ ისეთი ხალხი ვართ, არსად არ გვეჩქარება.

გოგონა მთლად გაშტერდა, ცოტაც და, მოიგლეჯდა ქვედა ტუჩს. ვანომ პაწია ხელში ხელი მოჰკიდა და ჩამოაღებინა:

– რა გინდა, რატომ აწვალებ მაგ ტუჩს? რამე დაგიშავა?

ამ დროს მიხო გამოვარდა და შორიდანვე დაიძახა:

– წავიდეთ, მამაჩემო?

– წავიდეთ.

ვანო წამოდგა. გოგონა ახლა უკვე ქვემოდან შესცქეროდა, თვალები სევდით ჰქონდა სავსე.

– წამიყვანთ თქვენთან?

– კი, როგორ არ წაგიყვანთ, – მიუგო ვანომ, – ახლა მაღლა ადი, ხვალ კი უსათუოდ წაგიყვანთ.

*

გოგონა დიდხანს გასცქეროდა გვერდიგვერდ მიმავალ მამა-შვილს. მამას მოკლე, გახუნებული, ბოლოშემოჭმუჭნული საწვიმარი ეცვა. მაღალი იყო, დიდი, განიერი ბეჭებით უძრავად მიჰქონდა ლამაზი თავი. შვილი თეძომდეც კი ვერ სწვდებოდა. მიდიოდნენ და მილაპარაკობდნენ.

რევაზ ინანიშვილი

თავი XI – ერთი კაცის თავგადასავალი

ცოტნე დადიანი

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები (სტანდარტის მიხედვით)

მოსწავლეებმა შეძლონ ტექსტის დამოუკიდებლად წაკითხვა-გაზრება, ადეკვატური კითხვების მოფიქრება.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დაწყ.(I).4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკისა და ენობრივ-სინტაქსური კონ-სტრუქციების სათანადოდ გამოყენება; მართლმეტყველებისა და სამეტყველო ეტიკეტის საბაზისო ნორმების დაცვა.

- მართებულად სვამს კითხვებს (ვინ...? რა...? როგორი...? რომელი...? რამდენი...?) და კითხვით წინადადებაში მახვილს სვამს კითხვით სიტყვებზე;

ქართ.დაწყ.(I).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება;

- ტექსტში ეძებს და პოულობს კონკრეტულ ინფორმაციას (როდის, სად, რამდენი, როგორი, რამდენ ხანს, რამდენჯერ და სხვ.);

წინარე ცოდნა

მოსწავლეები იცნობენ კითხვის სხვადასხვა სტრატეგიას, აქვთ წაკითხულის გააზრებისა და კითხვების დასმის ელემენტარული უნარ-ჩვევები.

გაკვეთილის მსვლელობა

ორგანიზების ფორმები: ინდივიდუალური, წყვილური.

აქტივობა 1. *მოტივაცია*

მასწავლებელი თემისა და მიზნის გაცნობის შემდეგ მოსწავლეებს ეკითხება:

როგორ ესმით სიტყვა „გმირის“ მნიშვნელობა? ვინ არის მათთვის გმირი? რა თვისებები უნდა ჰქონდეს მას? სმენიათ თუ არა ცოტნე დადიანზე?შემდეგ გადადის გაკვეთილის თემაზე „ცოტნე დადიანი (ისტო-რიული ამბავი)“.

აქტივობა 2. *მინილექცია*

მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, რომ ამ ტექსტს საფუძვლად უდევს ნამდვილად მომხდარი ამბავი, რომელიც განვითარდა მე-13 საუკუნეში. ესაუბრება მონღოლებზე (ყურადღებას ამახვილებს

მონღოლების თვისებებზე, იმაზე, რომ მონღოლებმა დაიპყრეს თითქმის მთელი მაშინდელი ცივილიზებული სამყარო, თუმცა განვითარებით თვითონ ბევრად ჩამორჩებოდნენ მას; შესაძლოა, ესაუბროს დღევანდელ მონღოლეთზეც, რომ მაშინდელი უზარმაზარი იმპერიიდან თითქმის აღარაფერი დარჩა. ასევე, ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ მოქმედება ვითარდება მესხეთში. მიმოიხილავს ამ კუთხის გეოგრაფიულ მდებარეობასა და ისტორიას). შესაძლებლობის მიხედვით, აჩვენებს ფოტო ან ვიდეო მასალას თემის შესახებ და პასუხობს მოსწავლეთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

აქტივობა 3. *ტექსტის წაკითხვა-გააზრება კითხვების დასმის მეთოდის გამოყენებით*

მასწავლებელი დაფაზე წერს კითხვებს:
ვინ?
რა?
სად?
როდის?
რატომ?
სთხოვს მოსწავლეებს, ჯერ ინდივიდუალურად წაიკითხონ ტექსტი და შემდეგ წყვილებად მოიფიქრონ კითხვები, რომლებიც იწყება მოცემულ კითხვით სიტყვებზე.

მასწავლებელი სთხოვს, რომ დასვან რაც შეიძლება ბევრი კითხვა; გამარჯვებულად გამოცხადდება ის წყვილი, რომელიც ყველაზე მეტ კითხვას დასვამს.

აქტივობა 4. *წარდგენა*

რამდენიმე წყვილი წარმოადგენს თავის კითხვებს, დანარჩენები ავსებენ. მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად აფასებს რამდენად ლოგიკური და ადეკვატურია კითხვა. საინტერესო კითხვები იწერება დაფაზე.

აქტივობა 5. *კითხვებზე პასუხის გაცემა*

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს წერილობით ან ზეპირად გასცენ კითხვებზე პასუხი.

კითხვებს, რომლებიც მოითხოვს კლასგარეშე ცოდნას, მასწავლებელი თავად სცემს პასუხს; ან მოუნიშნავს, როგორც დავალებას, მაგ., სად მდებარეობს ახალციხე, რატომ წაასხეს ტყვეები სომხეთში...

საშინაო დავალება

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებად, დაწერონ სახელმძღვანელოში მოცემული მე-7 დამე- 8 დავალება (მოსწ. წიგნი, გვ. 180).

შეფასება

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, რამდენად შეძლეს ტექსტის გაგება-გააზრება, მთავარი ინფორმაციის ამოკრება, მართული კითხვების მოფიქრება.

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები (სტანდარტის მიხედვით)

მოსწავლეებმა შეძლონ ტექსტის გაგება-გააზრება, ანალიზი; არგუმენტირებული მსჯელობა; საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დაწყ.(I).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება;

- აჯგუფებს ინფორმაციას კონკრეტული (მაგ., მსგავსება-განსხვავების) ნიშნით;
- ამოიცნობს პერსონაჟების მოქმედებებს, გრძნობებს, ემოციებს;
- ამოიცნობს, რა ტიპის ურთიერთობა აქვთ პერსონაჟებს ერთმანეთთან (ნათესაური, მტრული, მეგობრული და სხვ.);

ქართ.დაწყ.(I).9. მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; ტექსტის თემის და/ან მასში განხილული კონკრეტული საკითხების შეფასება.

- გამოხატავს წაკითხული ტექსტით აღძრულ ემოციებს, განცდებს;
- ტექსტში მოცემულ ინფორმაციას აკავშირებს პირად გამოცდილებასთან და გამოაქვს დასკვნა;
- ასახელებს საყვარელ პერსონაჟს და ხსნის საკუთარ არჩევანს;
- ასახელებს ნაწარმოების გმირების მოქმედების მოტივს (რატომ მოიქცა ასე) და აფასებს მათ საქციელს;
- ასახელებს მულტფილმებს, ფოტოსურათებს, ნახატებს, მოსმენილ და წაკითხულ ნაწარმოებებს, რომლებიც გაახსენდა ტექსტის კითხვის დროს; მსჯელობს მათ შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებაზე.

წინარე ცოდნა

მოსწავლეებმა იციან ცოტნე დადიანის 1-ლი თავი.

გაკვეთილის მსვლელობა

ორგანიზების ფორმები: ინდივიდუალური, წყვილური.

აქტივობა 1. *საშინაო დავალების გამოკითხვა*

გაკვეთილის თემისა და მიზნის გაცნობის შემდეგ მასწავლებელი გამოიკითხავს საშინაო დავალებას, რამდენიმე მოსწავლე კითხულობს აბზაცის დასათაურებებს. მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად გამოავლენს საუკეთესოებს.

აქტივობა 2. *ტექსტის წაკითხვა და ანალიზი*

მასწავლებელი აჯგუფებს მოსწავლეებს და თითოეულ ჯგუფს ურიგებს ბარათებს შესაბამისი დავალებებით: 1. დაახასიათე (მოსწავლეები ახასიათებენ პერსონაჟებს); 2. შეაფასე (აფასებენ ტექსტში განვითარებულ მოვლენებს); 3. გაიხსენე (ავლებენ პარალელებს); 4. შეადარე (ადარებენ ერთმანეთს მოვლენებსა

თუ პესონაჟებს). 5. გამოიყენე (რა დასკვნა გამოიტანეს ტექსტიდან, რას გამოიყენებენ მომავალში).

აქტივობა. 3. წარდგენა

მასწავლებელი სთხოვს ჯგუფებს, ყურადღებით მოუსმინონ ერთმანეთს, ჩაინიშნონ კითხვები, კომენტარები და ბოლოს შეაფასონ თანაკლასელების ნამუშევრები, გაამახვილონ ყურადღება რამდენად ლოგიკური, არგუმენტირებული და ამომწურავი იყო თითოეულის ნამუშევარი.

ხუთივე ჯგუფი აკეთებს აკეთებს პრეზენტაციას, თითოეულის შემდეგ მასწავლებელი სხვა ჯგუფებს აძლევს საშუალებას, დასვან კითხვები.

აქტივობა 4. *ურთიერთშეფასება*

მასწავლებელი აძლევს დროს ჯგუფებს და სთხოვს, თითოეული ჯგუფიდან ერთმა წევრმა წარადგინოს ჯგუფის მიერ სხვა ჯგუფების შეფასება.

საშინაო დავალება

მასწავლებელი შემაჯამებელი კომენტარის შემდეგ ავალებს მოსწავლეებს, შეასრულონ სახელმძღვანელოში მოცემული მე-7 დავალება (მოსწ. წიგნი, გვ. 181).

შეფასება

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, რამდენად შეძლეს ტექსტის გაგება-გააზრება, მთავარი ინფორმაციის ამოკრება, არგუმენტირებული მსჯელობა.

ხუთკუნჭულა

(ზღაპარი ორ ნაწილად)

ნაწილი პირველი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ცხრა ძმა. ძმები ისეთი ღარიბები იყვნენ, ხშირად ლუკმაპურიც კი ენატრებოდათ. ძალიან რომ გაუჭირდათ, უმცროსმა ძმამ, რომელსაც მეტისმეტი ეშმაკობისათვის ხუთკუნჭულას ეძახდნენ, ძმებს უთხრა, მოდი, წავიდეთ და ვინმეს მოჯამაგირეებად დავუდგეთ, იქნებ ასე მაინც ვიშოვოთ ლუკმაპურიო. დაუჯერეს ძმებმა ხუთკუნჭულას და გაუდგნენ გზას.

ბევრი იარეს თუ ცოტა, ერთ უცხო ქვეყანას მიადგნენ. გზაზე დევი შემოხვდათ. დევი მიესალმა ძმებს და ჰკითხა:

– რატომ აყრილხართ ასე დედაბუდიანად, ან სად მიდიხართო?

– სამუშაოს ვეძებთ, გვინდა ვინმეს მოჯამაგირეებად დავუდგეთ და თავი შევინახოთო.

– მე დამიდექითო, – უთხრა დევმა.

– კარგიო, – დათანხმდნენ ძმები.

წაიყვანა დევმა ძმები და თავის უზარმაზარ სასახლეში მიიყვანა, სადაც აუარებელი საქონელი და ცხრა მზეთუნახავი ქალი ჰყავდა.

იმ ღამეს დევმა ძმებს გემრიელი ვახშამი გაუშალა. ხუთკუნჭულამ სასწრაფოდ შეჭამა საჭმელი, სუფრიდან წამოდგა და სასახლის ყველა კუთხე-კუნჭული დაათვალიერა. ბოლოს დევის უმცროსი ქალის ოთახშიც შეიჭყიტა. დევის ქალს ადამიანის დანახვა ეუცხოვა და ჰკითხა:

– ვინა ხარ, რა სულიერი ხარო?

– ვინა ვარ და ადამიანი, ხუთკუნჭულას მეძახიან, ცხრა ძმაში მე ყველაზე უმცროსი ვარო.

– აქ საიდან გაჩნდი, ან რისთვის მოსულხარო?

– ძმები სამუშაოს საძებნელად წამოვედით, გზაში მამაშენი შეგვხვდა და მოჯამაგირეებად დაგვიყენაო.

– კაი მოჯამაგირეებად კი დაუყენებიხართო, – უთხრა ქალმა.

– ვითომ რატომ არაო?! – გაუკვირდა ხუთკუნჭულას.

დევის ქალს ძალიან მოეწონა ხუთკუნჭულა და უთხრა:

– თუ ცოლად მითხოვ, გეტყვიო.

– გითხოვო, – შეჰპირდა ხუთკუნჭულა.

– მაშ, იცოდე, – უთხრა დევის ქალმა, – მამაჩემმა თქვენ შესაჭმელად მოგიყვანათ. როცა დაგეძინებათ, ცხრავეს შეგჭამთ, მაგრამ თუ იფხიზლებ და არ დაიძინებ, თავსაც იხსნი და ძმებსაცო.

– სიკვდილის მოლოდინში რა დამაძინებსო, – თქვა ხუთკუნჭულამ და ქალს სთხოვა, მითხარი, როგორ მოვიქცეო.

ქალმა დაარიგა, როგორ უნდა მოქცეულიყო და გამოისტუმრა ხუთკუნჭულა. ვახშმის შემდეგ დევმა ძმები დარბაზში გაიყვანა დასაძინებლად და თვითონ კარებში დაწვა. ძმებმა მაშინვე ხვრინვა ამოუშვეს, ხუთკუნჭულას კი რა დააძინებდა, საბნიდან ცალი თვალით იჭყიტებოდა და დევს სდარაჯობდა.

ცოტა ხანი რომ გავიდა, დევი წამოიწია და შესძახა:

– ძმებო, გძინავთ თუ გღვიძავთო?

– მღვიძავსო, – უპასუხა ხუთკუნჭულამ.

– რა არ გაძინებსო? – ჰკითხა დევმა.

– შენი ბატების ყიყინიო! – მიუგო ხუთკუნჭულამ, როგორც ქალისაგან იყო დარიგებული.

დევი წამოხტა და ბატები ერთიანად გადაყლაპა. მერე თავის ადგილზე დაწვა და ცოტა ხნის შემდეგ ისევ შესძახა:

– ძმებო, გძინავთ თუ გღვიძავთო?

– მღვიძავსო, – გამოსძახა ხუთკუნჭულამ.

– რა არ გაძინებსო?

– შენი ძროხების ფშვინვაო.

წამოვარდა ისევ დევი, დაერია ძროხებს და სულ სათითაოდ გადაყლაპა. მერე თავის ადგილას დაწვა და ცოტა ხნის შემდეგ ისევ იკითხა:

– ძმებო, გძინავთ თუ გღვიძავთო?

– მღვიძავსო, – უპასუხა ხუთკუნჭულამ.

– ახლა რაღა არ გაძინებსო? – გაჯავრდა დევი.

– მინდვრიდან შენი ცხენების ჭიხვინი მესმის და ის არ მაძინებსო, – მიუგო ხუთკუნჭულამ.

წამოვარდა დევი და ცხენების შესაჭმელად მინდორში გაიქცა. ხუთკუნჭულამ კი დრო იხელთა და დევის უმცროს ქალთან შევარდა. ქალმა ხუთკუნჭულას თავისი ტანისამოსი ჩააცვა, ძმებისთვის დების ტანსაცმელი მისცა და დევის დაბრუნებამდე სასახლიდან ყველა გააპარა.

დაბრუნდა დევი და ძმები რომ აღარ დახვდნენ, მთლად გაცეცხლდა. გა-

მოვარდა გარეთ და გამოედევნა. ირბინა, ირბინა და ხიდს მიადგა. ნახა, რომ ძმები წყალგაღმა იყვნენ გასულები და უარესად გადაირია. ხიდი სასაზღვრო მდინარეზე იდო, იმის იქით სხვა ხელმწიფის სამფლობელო იწყებოდა და დევი იქ ვერ გადავიდოდა.

– ხუთკუნჭულავ, გადამასწარ ხიდსაო? – დაუძახა კბილების კრაჭუნით.

– გადაგასწარ და თვალებიც მოგთხარეო! – გამოსძახა ხუთკუნჭულამ.

რაღას იზამდა დევი, დაბრუნდა შინ გაწბილებული. ხუთკუნჭულა და იმისი ძმები კი დევის მეზობელ ხელმწიფეს დაუდგნენ მოჯამაგირეებად.

ნაწილი მეორე

ხუთკუნჭულამ დიდი სიბეჯითე და გულმოდგინება გამოიჩინა. ხელმწიფე ხშირად ასაჩუქრებდა. ნაზირ-ვეზირებს, რა თქმა უნდა, არ მოსწონდათ ხელმწიფესთან ხუთკუნჭულას ასეთი დაახლოება და მისი თავიდან მოშორება მოინდომეს. ერთ დღეს მივიდნენ და ხელმწიფეს მოახსენეს:

– დიდებულო ხელმწიფევ, შენი სასახლე და სახელმწიფო ყველაფრით სრულია, მაგრამ ჩვენს მეზობელ დევს რომ ერთი გულთმისანი თხა ჰყავს, ისიც რომ შენი იყოს, უფრო მდიდარი იქნებიო.

– მერე, ვინ მოიყვანს იმ თხასო?

– ვინა და, რაღა თქმა უნდა, თქვენი მოჯამაგირე ხუთკუნჭულაო.

დაიბარა ხელმწიფემ ხუთკუნჭულა და უბრძანა:

– წადი და ჩვენს მეზობელ დევს რომ გულთმისანი თხა ჰყავს, ის მომიყვანე, თორემ ცოცხალი ვერ გადამირჩებიო.

რაღას იზამდა ხუთკუნჭულა, ადგა და წავიდა. მივიდა ჩუმად დევის სასახლეში და შეიპარა უმცროს ქალთან. ქალმა ჰკითხა:

– მითხარი, რა გაგჭირვებიაო?

ხუთკუნჭულამ უთხრა თავისი გასაჭირი.

– ეგ ადვილი საქმეაო, – დაამშვიდა ქალმა და საღამომდე თავის ოთახში დამალა. თან ისიც ასწავლა, როგორ ჩაეგდო ხელში გულთმისანი თხა.

საღამოს დევმა მორეკა ცხვარი და შერეკა გომურში. ხუთკუნჭულამ, როგორც დევის ქალისაგან იყო დარიგებული, თავი გამოყო და გულთმისან თხას დაენახვა.

– ხუთკუნჭულა, ხუთკუნჭულაო! – ატეხა თხამ კიკინი.

წამოვარდა დევი და მთელი სასახლე გადაჩხრიკა, მაგრამ ხუთკუნჭულა ვერსად იპოვა. რას იფიქრებდა, თუ მისივე ქალის ოთახში იმალებოდა. გა-

ბრაზდა დევი, მე შენ გიჩვენებ ხუთკუნჭულასო, დაუყვირა თხას და გარეთ გამოაგდო.

ხუთკუნჭულასაც ეს უნდოდა, გამოვიდა ჩუმად ქალის ოთახიდან, წამოიყვანა თხა და მოკურცხლა ხელმწიფის სასახლისაკენ.

შურიანი ნაზირ-ვეზირები ცოტა ხანში ისევ შეუჩნდნენ ხელმწიფეს:

– იმ დევს ერთი ჯადოსნური ხალიჩა აქვს და ხუთკუნჭულამ ისიც მოიტანოს, ასეთი ძვირფასი ნივთი სწორედ შენი საკადრისიაო.

დაიბარა ხელმწიფემ ხუთკუნჭულა და უბრძანა:

– წადი და იმ დევს რომ ჯადოსნური ხალიჩა აქვს, ის მომიტანეო.

– ბატონი ბრძანდებიო, – უთხრა ხუთკუნჭულამ და წავიდა. მივიდა დევის სახლთან, შეიპარა ისევ უმცროსი ქალის ოთახში და თავისი გასაჭირი მოახსენა. ქალმა ერთი მუჭა ნემს-მახათი მისცა და დაარიგა:

– შედი მამაჩემის საწოლ ოთახში და ეს ნემსები ხალიჩას ქვეშიდან გაუყარეო.

შევიდა ხუთკუნჭულა და ის ხალიჩა სულ ნემს-მახათით გაავსო. მოვიდა საღამოს დევი და დაჯდა ხალიჩაზე. დაჯდა და შეერჭო ნემსები, იქით გაიწია – იქითაც შეერჭო, აქეთ გამოიწია და კიდევ უარესი დაემართა. გაბრაზდა დევი, დაავლო ხელი ხალიჩას და ფანჯრიდან გადაუძახა.

დასტაცა ხალიჩას ხელი ხუთკუნჭულამ და ხელმწიფეს მიურბენინა.

ნაზირ-ვეზირები მთლად გულზე დასკდნენ. იფიქრეს, რაღაც ხერხი თუ არ ვიხმარეთ, ამას თავიდან ვერ მოვიშორებთო, და ხელმწიფეს მოახსენეს:

– დიდებულო ხელმწიფევ, მაგ თხისა და ხალიჩის პატრონიც რომ აქ მოიყვანო და მსახურად დაიყენო, ყველაფერს ის აჯობებსო.

– მერე, ვინ მოიყვანსო? – იკითხა ხელმწიფემ.

– ვინ და, რა თქმა უნდა, ხუთკუნჭულაო. რაკი თხა და ხალიჩა მოიტანა, არც პატრონის მოყვანა გაუჭირდებაო.

ხელმწიფემ ისევ დაიბარა ხუთკუნჭულა და უბრძანა:

– უნდა წახვიდე და თხისა და ხალიჩის პატრონიც მომგვაროო.

დაღონდა ხუთკუნჭულა, ვაითუ, ამაზე დევის ქალი გამიწყრეს და ცოცხალი ვეღარ დავბრუნდეო, მაგრამ მეტი რა გზა ჰქონდა, ადგა და წავიდა. შევიდა დევის ქალთან. ქალმა დაღონება შეატყო და ჰკითხა:

– რა იყო, ისეთი რა დაგავალა შენმა ხელმწიფემ, რომ თავ-პირი ჩამოგტირისო?

ხუთკუნჭულამ უთხრა, რაც აწუხებდა.

– ჰო, ეგ კი ძნელი საქმე დაუვალებია, – უთხრა ქალმა, – მაგრამ ნუ

გეშინია, მაგასაც მოევლება, – თქვა ქალმა და ხუთკუნჭულას ერთი ხელი იმერული ტანსაცმელი და სადურგლო იარაღები გამოუტანა. თან დაარიგა, როგორ უნდა მოქცეულიყო. ხუთკუნჭულამ ჩაიცვა იმერული ტანისამოსი, დაიჭირა ხელში იარაღები და, როგორც ქალმა უთხრა, დევს ტყეში დაუხვდა.

– ვინა ხარ და ამ ჩემს ტყეში რას აკეთებო? – დასჭყივლა დევმა.

– იმერელი დურგალი ვარ და ტყეს ვათვალიერებო! – მიუგო ხუთკუნჭულამ.

– თუ მართლა იმერელი ხარ, კარგი ხელობა გეცოდინება, რას გააკეთებ საკვირველსო? – ჰკითხა დევმა.

– ისეთ კიდობანს გავაკეთებ, რომ შიგ ჩაჯდე და ფიცარიც ვერ გააგდებინოო, – უთხრა ხუთკუნჭულამ.

– აბა, გააკეთეო, – უბრძანა დევმა.

ხუთკუნჭულამ საჩქაროდ გააკეთა კიდობანი და დევს უთხრა:

– აბა, ჩაჯექი და სცადე, ფიცარს თუ გააგდებინებო.

დევი ჩახტა კიდობანში და ხან ერთ ფიცარს მიაჭირა ფეხი, ხან – მეორეს, მაგრამ ძვრაც ვერ უყო. ამასობაში ხუთკუნჭულამ კიდობანს თავი დაახურა და დალურსმა.

– რასა შვრებიო? – გამოსძახა დევმა შიგნიდან, – თავზე რად მაფარებო?

– ბარემ ზურგზე აგიკიდებ და შინამდე მიგიყვან, – უთხრა ხუთკუნჭულამ, – თავიც სწორედ იმიტომ დავლურსმე, რომ გზაზე არ გადმოვარდეო.

დევს გაუხარდა, რომ შინამდე ფეხით აღარ მოუწევდა მისვლა და აღარაფერი თქვა, ხუთკუნჭულამ კი წამოიკიდა კიდობანი და პირდაპირ ხელმწიფის ეზოში შეიტანა.

გამობრძანდა ხელმწიფე თავისი ნაზირ-ვეზირებით, მაგრამ სანამ კიდობანს გახსნიდნენ, ხუთკუნჭულა ჩუმად გაიპარა, აიღო უშველებელი მარილის ქვა და ერთ მაღალ ხეზე ავიდა.

ახადეს თავი კიდობანს. ამოვარდა განრისხებული დევი და ხელმწიფე თავის ნაზირ-ვეზირებიანად გადასანსლა. მერე ხუთკუნჭულას დაუწყო ძებნა, მიხვდა, რომ ეს მისი ოინი იყო და პირიდან სულ ცეცხლს ყრიდა. ბოლოს დაინახა ხის კენწეროზე შემომჯდარი და შესძახა:

– ხუთკუნჭულავ, მასწავლე, მანდ როგორ ახვედიო.

– აი, ეს მარილის ლოდი დავიდე გულზე და ამოვფრინდიო.

– მერე, მე სად ვიშოვო მაგისთანა ქვაო? – ჰკითხა დევმა.

– რა შოვნა გინდა, შენ გულაღმა დაწექი, მე ჩამოვუშვებ, დაგეცემა გულ-

ზე და ამოხტებიო, – ჩამოსძახა ხუთკუნჭულამ.

დაწვა დევი გულაღმა. ჩამოაგდო ხუთკუნჭულამ მარილის ქვა, დასცა დევს გულზე და სული გააფრთხობინა.

ჩამოვიდა ხუთკუნჭულა ხიდან და დაეპატრონა მეფის სასახლეს. დედოფლად დევის უმცროსი ქალი მოიყვანა. სხვა ქალები თავის ძმებს შერთო, ძმები ნაზირ-ვეზირებად დააყენა. დევის მთელი სიმდიდრეც მათ გაუნაწილა და დაიწყეს ბედნიერად ცხოვრება.

ქართული ხალხური ზღაპარი

განმარტებითი ლექსიკონი

ა

აბლაბუდა – ობობას მიერ მცენარის ტოტებზე ან ოთახის კუთხეებში გაბმული წვრილი ძაფები, ობობას ქსელი

აბჯარი – იარაღი, აღჭურვილობა, რომელიც მეომარს ბრძოლაში დააქვს.

ავტორი – ლათინური სიტყვაა და რაიმე ნაწარმოების შემქმნელს ნიშნავს.

ალმასი – უფერო, გამჭვირვალე ძვირფასი ქვა, რომლითაც სამკაულებს ამზადებენ.

ამაგი – ზრუნვა და დამსახურება, ვინმესთვის ან რამესთვის გაწეული შრომა, მზრუნველობა, დახმარება.

ამალა – თანმხლები ადამიანები, ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ვინმესთან ერთადაა, ვინმეს მიჰყვება, ახლავს.

ამყრალებული – ძალიან ცუდი სუნის მქონე

არაქათი გამოეცალა – ძალიან დაიღალა. ენერგია, ძალ-ღონე წაერთვა.

არხეინად – უდარდელად, ლაღად, ფიქრისა და წუხილის გარეშე, აუღელვებლად.

ასკილი – ეკლებიანი მცენარე, რომელიც ბუჩქად იზრდება და ისხამს მოწითალო ნაყოფს. ამ ნაყოფსაც ასკილი ჰქვია.

აუარებელი – ძალიან ბევრი, უთვალავი

აქეზებდა – აგულიანებდა, რაიმეს გაკეთებისკენ უბიძგებდა; ურჩევდა, ასე მოქცეულიყო.

აფუტუროებს – გულს აცლის, ღრღნის.

აღვირი – ცხენისთვის პირში ამოსადებად გაკეთებული მოწყობილობა, რომელიც მხედარს უჭირავს და მისი საშუალებით იმორჩილებს ბედაურს.

ბ

ბარდი – ეკლიანი ბუჩქების ან ბალახეული მცენარეების ერთმანეთში გადახლართული ღეროები.

ბაწარი – მსხვილი ძაფით მოქსოვილი ან დაწნული თოკი.

ბუცეფალი – ალექსანდრე მაკედონელის ცხენის სახელი. გვხვდება ბუკეფალის სახელითაც.

გ

გავარვარებული – ძალიან ცხელი, მხურვალე, ძალიან გახურებული

განცვიფრდა – გაოცდა, ძალიან გაუკვირდა.

განწირული – ვინც გაიმეტეს, მიატოვეს, ვისაც არ დაეხმარნენ.

განჯინა – კედელში შეწეული თარო, კედელში დატანებული კარადა

გაჩირაღდნებული – ყოველი მხრიდან ძლიერი შუქით განათებული

გიორგობისთვე – ნოემბრის ძველი ქართული სახელწოდება

გოგდება – მიჯირითობს, ცხენი გამალებით მიჰყავს, მიაჭენებს.

გული დაეწვა – დაენანა, რაღაცა ეწყინა, რაღაცის გამო ძალიან დამწუხრდა.

გული მოუვიდა – გაბრაზდა, განაწყენდა.

გული მოუკვდა – ეწყინა, ძალიან შეწუხდა რაიმეს გამო.

დ

დავლური – ცეკვა

დარი – ამინდი

დაფრაშფრაშობდნენ – ლაღად დაფრინავდნენ, ჰაერში დანავარდობდნენ.

დაყვედრება – გაკეთებული სიკეთის, გაწეული დახმარების შეხსენება, საყ-

ვედურის ტონით თქმა

დოლაბი – წყლის წისქვილის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, ფართო, ბრტყე-ლი და მრგვალი ქვა, რომელ-იც მარცვლეულს აქუცმაცებს.

ე, ვ

ენოტი – გარეული მტაცებელი ცხოველი, ჭამს როგორც ცხოველებს, ასევე მცენარეებს.

ეწადა – უნდოდა, დიდი სურვილი ჰქონდა.

ვნებს – ვინმეს რაიმეს უშავებს, ზიანს აყენებს.

თ

თავზარდაცემული – ძალიან შეშინებული, დამფრთხალი

თანამოძმეები – ნათესავები, მეგობრები, მოკეთეები

თორო – თორემ (ფშაურ კილოზე)

თუმანი – ძველებური ფული (ათი ლარი)

ი, კ

იმსხვერპლებს – მოკლავს, დაღუპავს.

იფანი – ხის ერთ-ერთი ჯიში

იშვიათი – ძნელად მოსაპოვებელი; ის, რაც ხშირი არ არის, ხშირად არ ხდე-ბა.

კაკაბი – ქათმის მსგავსი გარეული ფრინ-ველი

კარისკაცი – ადამიანი, რომელიც დგას რომელიმე დაწესებულების შესას-ვლელში და თვალყურს ადევნებს შემსვლელ-გამსვლელებს.

კეცი – ცეცხლგამძლე თიხის ტაფა, რომელშიც მჭადსა და პურს აცხობენ.

კუნელი – საშუალო სიმაღლის ეკლიანი ხე ან ბუჩქი, რომლსაც აქვს მრგვალი, პატარა შავი ან წითელი ნაყოფი.

ლ

ლაგამი – რკინის ნაჭერი, რომელსაც ცხენს ხახაში ამოსდებენ, რათა ადვილად დაიმორჩილონ.

ლამბავს – ნემსით ქსოვილში ძაფს ატარებს, რათა შემდეგ ის ადგილი გაკეროს.

ლაპლაპი გაჰქონდა – ძალიან ბრჭყვინავ-და, ელვარებდა.

ლაჩარი – მხდალი, ძალიან მშიშარა ადამი-ანი, ვისაც არაფრის გაბედვა არ შეუ-ძლია.

მ

მანეთი – ძველებური ქაღალდის ფული, დაახლოებით ერთი ლარი

მახათი – მსხვილი ნემსი, რომლითაც სქელ ქსოვილებს, ტყავეულს კერავენ.

მიუკერძოებელი – გულწრფელი, სამარ-თლიანი

მოლაპლაპე – ბრჭყვიალა, ბრწყინვალე, პრიალა, ელვარე რამ

მოცვი – დაბალი ბუჩქი, რომელიც ისხამს შავ, მოტკბო კენკროვან ნაყოფს.

მოცხარი – დაბალი ბუჩქი, რომელიც ისხ-ამს წვრილ, მრგვალ, წვნიან კენკ-როვან ნაყოფს.

მოძღვარი – მღვდელი, სასულიერო პირი

მუხლმაგარი – სიარულსა და სირბილში დაუღლელი, ძლიერი, ჯანიანი

მფარველი – დამცველი, ვინმეს სიკეთისთ-ვის მზრუნველი, მფარველობის გამ-წევი, გასაჭირში მშველელი

მცხუნვარე – ძალიან ცხელი, გავარვარე-ბული

მხდალი – ვისაც ყველაფრის ეშინია, გაუბედავი

მხიარული ყიჟინა დასცა – სიხარულისა-გან, აღტაცებისაგან ყვირილი დაი-წყო, თავისი აღფრთოვანება ხმამაღალი შეძახილებით გამოხატა.

ნ

ნამეტანს ნუ გაიბღინძებით – ძალიან ნუ გაყოყოჩდებით, გამეტიჩრდებით. ნუ იამაყებთ, საკუთარ თავზე დიდი წარ-მოდგენას ნუ შეიქმნით.

ნამქერი – ქარისგან ჰაერში ატანილი და შემდეგ ერთ ადგილას მიყრილი თოვლი

ნაღვერდალი – ერთად შეგროვებული ბევრი ნაკვერჩხალი

ნერგი – დასარგავად განკუთვნილი ნორჩი მცენარე ან მისი ტოტი, რომლისგანაც იზრდება ხე.

ო

ობოლი – უდედმამო. ზოგ შემთხვევაში მარტოდმარტოს, ერთადერთს ნიშნავს.

ოხშივარი – ძლიერი გახურების, გაცხელების შედეგად წარმოქმნილი ორთქლი

პ, რ

პირკატანაცემი – გაოცებული, შეცბუნებული, გაწბილებული

რაც დღე დაადგა – რა გასაჭირშიც აღმოჩნდა, რა სიძნელეც შეხვდა.

რაღაც უნდა ვიღონო – რამე უნდა გავაკეთო, მოვახერხო, გამოსავალი ვიპოვო.

რაში – 1. ზღაპრული ცხენი, – მერანი. 2. გადატ. მეტად მალი ცხენი, – ბედაური.

ს

საბრალობელი – შესაბრალებელი, საწყალი, საცოდავი

საგონებელში ჩავარდა – არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, რა გზა გამოენახა.

სადგისი – ხისტარიანი წაწვეტებული ლითონის ჩხირი ტყავის დასახვრეტად

სამსახურის გაწევა – ვინმესთვის რაიმეს გაკეთება, ვინმეს დახმარება

სანატორია – იგივე სანატორიუმი, სამკურნალო და დასასვენებელი სახლი

სიტურფე – გარეგნული სილამაზე, სიკოხტავე, მომხიბვლელობა

სიხარულით ცას ეწია – მეტისმეტად გაუხარდა.

სიხარულისგან ფრთაშესხმული – ძალიან გახარებული, ბედნიერი

სტვირი მზადდება მცენარის ღეროსაგან, რომელსაც შუაში ცარიელი ღრუ აქვს. ღეროში ჩაბერილი ჰაერი სტვირს აჟღერებს. ზოგჯერ ღეროს მიმაგრებული აქვს გასაბერი გუდაც, რათა მესტვირემ გუდიდან გამოსული ჰაერით დაუკრას და თან დაამღეროს. ასეთ სტვირს გუდა-სტვირსაც უწოდებენ.

სული დალია – მოკვდა, გარდაიცვალა.

სულის მოსათქმელად შეჩერდა – გაჩერდა, რათა დაესვენებინა.

სუფრული შემოსძახეს – საქეიფო სიმღერა დაიწყეს.

უ

უგუნურება – სიბრიყვე, სისულელე, უჭკუობა

ულაყი – მამალი ცხენი. დედალ ცხენს **ფაშატი** ჰქვია

ურჩი – ვინც არავის ემორჩილება, არ უჯერებს. დაუმორჩილებელი, თავნება.

უფლისციხე – კლდეში ნაკვეთი ქალაქი შიდა ქართლში

უჩვეულო – უცნაური, არაჩვეულებრივი, რომლის მსგავსიც არ არსებობს.

უძლურება – ძალის, შესაძლებლობის უქონლობა, უღონობა, სისუსტე

ფ

ფარდული – ხელსაწყოების შესანახად ან რაიმეს გასაშრობად მოწყობილი პატარა შენობა

ფარულად – ჩუმად, მალულად, ისე, რომ არავინ დაინახოს ან გაიგოს.

ფაცაფუცი – ჩქარა, გამალებით საქმიანობა, რაიმეს მალე გაკეთების მცდელობა

ფაცხაფუცხი – იგივეა, რაც ფაცაფუცი.

ფერდობი – მთის, გორის გვერდი, რომელიც დაბლობისაკენ ეშვება.

ფილთაქვა – იგივე ქვასანაყი; ქვა, რომლითაც როდინში საკმაზს ნაყავენ.

ფინიკი – ტროპიკული მარადმწვანე ხე, რომელიც ტკბილ ნაყოფს ისხამს.

ფიცხი – ბრაზიანი, მოუსვენარი, ვინც ადვილად ბრაზდება

ფუნჩულა – მსუქანი, პუტკუნა

ფუტურო – დამპალი, გულგამოცლილი ხე

ფულურო – ხის ტანზე გაჩენილი შეღრმავება, სიცარიელე

ღ, ყ

ღაწვი – ლოყა

ღვინო მოეკიდა – დათვრა.

ყარს – ძალიან ცუდი სუნი აქვს.

ყოვებო – ყვავებო (ფშაურ კილოზე)

ყური ათხოვა – მოუსმინა.

შ

შიშის ზარს სცემს – ყველას აშინებს.

შიშმა აიტანა – ძალიან შეეშინდა, შეძრწუნდა.

შურდული – ქვის სასროლი იარაღი — ორად მოკეცილი ბაწარი, რომელსაც შუაში ბრტყელი ნაწილი აქვს ქვის ჩასადებად და სასროლად

შურთხი – გარეული ფრინველი, ბინადრობს მაღალ მთიან ადგილებში.

ჩ

ჩაგიგდავთ – ჩაგიგდიათ.

ჩინებული მხედარი – კარგი, ცნობილი, სხვებში გამორჩეული ცხენოსანი

ჩიფჩიფი – ხმადაბალი, გაურკვეველი, ასო-ბგერების დამახინჯებით ლაპარაკი

ჩოჩქოლი – ხმაური, მღელვარება, აურზაური, ალიაქოთი

ძ

ძმობილი – ძმასავით ახლობელი მეგობარი

ძუნწი – ადამიანი, რომელიც ყველაფერს ინახავს და ვინმესთვის მისაცემად არაფერს იმეტებს, არავის არაფერს აძლევს, არავის არაფრით ეხმარება.

ძღვენი – საჩუქარი, პატივისცემის ნიშნად მირთმეული რამ

წ, ჭ

წმინდა ძაფი – ძალიან წვრილი ძაფი, რომლითაც რამეს კერავენ, ქარგავენ ან ქსოვენ.

ჭალა – მდინარის პირას ხეებით დაფარული ადგილი

ჭვრეტდა – ხედავდა, მოფარებული ადგილიდან უყურებდა.

ჭიგო – სწორი, მოგრძო ტოტი, რომელსაც ვაზისა და ზოგიერთი ბოსტნეული მცენარის ახლოს ასობენ, რათა ეს მცენარე მას შემოეხვიოს.

ჭიხვინი – ცხენის მრისხანების ხმა, – განმარტებულია „სიტყვის კონაში“.

ხ

ხაფანგის გამართვა – ხაფანგის გაკეთება, დაგება.

ხელადა – თიხის ვიწროყელიანი, მრგვალმუცლიანი ჭურჭელი, დოქი.

ხერხი იხმარა – ეშმაკობა მოიფიქრა, კარგი გამოსავალი მოძებნა.

ხმიადი – ბრტყელი, საფუარის გარეშე გამომცხვარი პური.

ჰ

ჰანგი – ხმა, მელოდია, რაიმე საკრავის ჰარმონიული ჟღერადობა

ჰიპოპოტამი – იგივე ბეჰემოთი

ჰომეროსი – ძველი ბერძენი მწერალი

7.1. შემაჯამებელი სავარჯიშოები

ყოველი თავის შესწავლის დასრულების შემდეგ მოსწავლეებს შეასრულებინეთ შემაჯამებელი სავარჯიშოები:

თავი 1 – სთხოვთ მოსწავლეებს, აირჩიონ ერთი ნაწარმოები და გაუზიარონ შთაბეჭდილებები კლასს.

თავი 2 – დააწერინეთ თხზულება (მოსწ. წიგნი, გვ 44, მე-3 სავარჯიშო).

თავი 3 – დაავალეთ: დაწერე პატარა თხზულება სათაურით „ძალა ერთობაშია“.

თავი 4 – დაავალეთ: ამოირჩიე პერსონაჟი, რომელმაც ყველაზე მეტად დაგაინტერესა და მისწერე წერილი.

თავი 5 – შეასრულებინეთ დავალება სახელმძღვანელოდან (მოსწ. წიგნი, გვ. 93, მე-14 სავარჯიშო)

თავი 6 – დახატინეთ ამ თავში შესწავლილი რომელიმე ტექსტის ილუსტრაცია.

თავი 7 – დაავალეთ: ამოირჩიე, რომელი ამბავი ან პერსონაჟი შეგიძლია დაახასიათო ამ თავიდან როგორც ყველაზე ცუდი ან კარგი და გაუზიარე შენი მოსაზრება თანაკლასელებს, რატომ ფიქრობ ასე?

თავი 8 – დაავალეთ: 134-ე გვერდზე მოცემული ილუსტრაციების მიხედვით შეადგინე პატარა მოთხრობა და წაუკითხე თანაკლასელებს

თავი 9 – შეასრულებინეთ დავალება სახელმძღვანელოდან (მოსწ. წიგნი, გვ. 152, მე-5 სავარჯიშო)

თავი 10 – დააწერინეთ „ჩხიკვთა ქორწილის“ მოკლე შინაარსი რომელიმე პერსონაჟის პირით.

თავი 11 – „ცოტნე დადიანის“ შესწავლის შემდეგ დაყავით მოსწავლეები მცირე ჯგუფებად, თითოეულ ჯგუფს დაურიგეთ ბარათები შესაბამისი დავალებებით: 1.დაახასიათე (მოსწავლეები ახასიათებენ „ცოტნე დადიანის“ პერსონაჟებს); 2. შეაფასე (აფასებენ ტექსტში განვითარებულ მოვლენებს); 3. გაიხსენე (ავლებენ პარალელებს); 4. შეადარე (უდარებენ ერთმანეთს მოვლენებსა თუ პესონაჟებს). 5. გამოიყენე (რა დასკვნა გამოიტანეს ტექსტიდან, რას გამოიყენებენ მომავალში).

8. დამატებითი რეკომენდაციები

კითხვის ხელშეწყობის სტრატეგიები

კვლევებმა დაადასტურა, რომ კითხვა ინტერაქტიული და სოციალური პროცესია. კითხვისას პარტნიორის არსებობა სასარგებლოა მოსწავლის კითხვის უნარის განვითარებისათვის. ამიტომაც კითხვის სწავლების პროცესში ხშირად იყენებენ ხმამაღლა წაკითხვის ტექნიკას, ამბის მოყოლის ტექნიკას.

კითხვის ხელშეწყობის სტრატეგიების მოკლე აღწერა:

1. ხმამაღლა წაკითხვა (ამბის მოყოლა)

მიზანი: ტექსტის შესწავლის გარეშე ამბის მოსმენისაგან სიამოვნების მიღება. ხელს უწყობს ენის სტრუქტურისა და კითხვის პროცესის გააზრებას.

პროცედურა: მასწავლებლის მიერ კლასის შეკრება და ხმამაღლა წაკითხვა.

2. „ძვირფასი დრო“ (ანუ „მიატოვე ყველაფერი და იკითხე“)

მიზანი: გაკვეთილზე მოსწავლეებს ეძლევათ დრო, იკითხონ მათ მიერ შერჩეული ტექსტები.

პროცედურა:

ა. ყველა, მასწავლებლის ჩათვლით, კითხულობს;

ბ. არავითარი ჩარევა!

სუსტი მხარეები: „ძვირფასი დროის“ დადგომამდე საჭიროა დროის გამონახვა იმისათვის, რომ შეირჩეს წიგნები (საკლასო ბიბლიოთეკის დახმარებით).

3. საკითხავი მასალის განაწილება („დიდი წიგნი“)

მიზანი: კოოპერაციული სწავლება.

პროცედურა:

ა. წიგნის გარშემო შემოკრება (ეკრანზე ჩვენება იმ შემთხვევაში, თუ დიდი წიგნის მოძიება შეუძლებელია);

ბ. ავტორის, წიგნის თავფურცლის, გამომცემლის (საავტორო უფლების) შესახებ საუბარი;

გ. მოსწავლეები ერთობლივად კითხულობენ მოთხრობას;

დ. მსჯელობენ პუნქტუაციასთან დაკავშირებით.

ძლიერი მხარე: კლასი ერთად სწავლობს და იღებს ინფორმაციას წიგნის (წიგნების) შესახებ.

სუსტი მხარე: შეიძლება გართულდეს მოსწავლეთა ქცევის მართვა.

4. წყვილებში კითხვა

მიზანი: გამოცდილი მკითხველის მიერ სუსტი მკითხველისათვის დახმარების გაწევა.

პროცედურა:

ერთდროულად, ხმამაღლა კითხვა;

ან შენაცვლებით კითხვა: პირველი მკითხველი კითხულობს რაიმე ნაწყვეტს, ხოლო მეორე აგრძელებს კითხვას იქიდან, სადაც პირველი მკითხველი გაჩერდა.

ძლიერი მხარე: სოციალიზაცია.

სუსტი მხარე: გამოცდილმა მკითხველმა, შესაძლოა, დაჯაბნოს სუსტი მკითხველი. სასურველია, რადიკალური განსხვავება მათ შორის არ იყოს.

5. მეგობრული კითხვა

მიზანი: ორი, ერთნაირი სიძლიერის მკითხველისთვის უკეთესი შედეგების მიღწევაში ხელშეწყობა.

პროცედურა: იგივე, რაც წყვილებში კითხვის შემთხვევაში.

6. ტექსტის ჩარჩოები

მიზანი: ტექსტის სტრუქტურაზე მუშაობა წაკითხულის გააზრების მიზნით.

დასაბუთება: მოსწავლეები აღიქვამენ ტექსტის სხვადასხვა ნაწილს შორის კავშირს და ხედავენ ტექსტის სტრუქტურას, რის შედეგადაც მათი გააზრების პროცესი უფრო გაუმჯობესებულია და მათ შეუძლიათ გარკვეული დასკვნების გამოტანა.

პროცედურა:

1. დაავალეთ მოსწავლეებს, აიღონ ფურცელი და გაყონ ის სამ ნაწილად;
2. ფურცლის თითოეულ ნაწილში ჩახატონ ნახატები ტექსტის დასაწყისთან, შუა ნაწილსა და ბოლოსთან დაკავშირებით;
3. ამის შემდგომ თითოეული ნახატის შესახებ მათ უნდა მოიფიქრონ და დაწერონ წინადადებები ამ ნახატების ასახსნელად;
4. ბოლოს მოსწავლეები ერთმანეთს გაუზიარებენ აზრს ტექსტის სტრუქტურული ნაწილების შესახებ.

ძლიერი მხარე: მოსწავლეები მეტ პრაქტიკას იღებენ ტექსტის დასაწყისის, შუა ნაწილისა და ბოლოს იდენტიფიცირებაში.

7. მკითხველების თეატრი

მეთოდის/აქტივობის შესახებ

„მკითხველთა თეატრი“ არის მეთოდი, რომელიც გულისხმობს მოსწავლეთა მიერ წინასწარ შერჩეული ტექსტის როლებში წაკითხვას. მეთოდი ძალიან ეფექტური და თანაც ბუნებრივი გზაა გაწაფული კითხვის უნარის დასახვეწად, რადგანაც მოსწავლეები თავიანთ როლებზე მუშაობის პროცესში ვარჯიშობენ კითხვაში. „მკითხველთა თეატრი“ საუკეთესო ეფექტს იძლევა ხშირი გამეორების შემთხვევაში. ამიტომაც სასურველია წლის განმავლობაში მისი არაერთხელ განხორციელება. მეთოდის ხშირად გამოყენება მნიშვნელოვანი უნარების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ესენია:

- გამართულად (გაბმულად, სწრაფად, უშეცდომოდ, ინტონაციით) კითხვის უნარი;
- ყურადღების კონცენტრირების უნარი;
- მოსმენისა და მეტყველების უნარები;
- სოციალური, თანამშრომლობითი და ინტერპერსონალური უნარები;
- თვითშეფასების უნარი.

მუშაობის ფორმა: ჯგუფები.

რესურსი: ტექსტი/წიგნი/ სახელმძღვანელო თითოეული მოსწავლისთვის.

მსვლელობა

- მასწავლებელი შეარჩევს ნაწარმოებს. სასურველია, ეს იყოს ნარატიული/თხრობითი სახის ტექსტი საინტერესო გმირებითა და სიუჟეტით.
- მასწავლებელი ტექსტს დაამუშავებს კლასში სამფაზიანი მოდელის გამოყენებით;
- მას შემდეგ, რაც მოსწავლეები კარგად გაიაზრებენ ნაწარმოებს, მასწავლებელი მოამზადებს ტექსტს „მკითხველთა თეატრის“ დასადგმელად. პირველ რიგში, იგი განსაზღვრავს საჭირო რაოდენო-

ბის როლებს;

შენიშვნა: თუ როლების რაოდენობა ზუსტად არ ემთხვევა მოსწავლეთა რაოდენობას კლასში, შესაძლებელია მთხრობელის ტექსტის დანაწევრება და გადანაწილება მოსწავლეებს შორის.

• მასწავლებელი ტექსტს გადააკეთებს ისე, რომ მითითებული იყოს, ვინ წაიკითხავს ტექსტის თითოეულ მონაკვეთს (პიესის ტექსტის მსგავსად);

• მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს როლებად დანაწევრებულ ტექსტს და ანაწილებს როლებს;

შენიშვნა: სასურველია, თავდაპირველად ვრცელი და უფრო რთული მონაკვეთები შედარებით წარმატებულ მკითხველებს დაურიგდეს.

• მოსწავლეები ინდივიდუალურად, ჩუმად ეცნობიან საკუთარ მონაკვეთებს და ცდილობენ წარმოიდგინონ, როგორ წაიკითხავენ ტექსტს ინტონაციისა და ჟესტების გამოყენებით;

• ინდივიდუალურად მუშაობის შემდეგ მოსწავლეები წყვილში/ჯგუფში არაერთხელ კითხულობენ ტექსტს და ერთმანეთის დახმარებით ცდილობენ, დახვეწონ გამოთქმა, ინტონაცია, ჟესტები და ა.შ.;

შენიშვნა: კარგი იქნება, თუ მოსწავლეები თავადვე იზრუნებენ საკუთარი პერსონაჟისთვის სახასიათო, მარტივი რეკვიზიტის დამზადებაზეც.

• ბოლოს მოსწავლეები წარმოადგენენ „მკითხველთა თეატრს;

• აქტივობის შემდეგ მასწავლებელი გამართავს შემაჯამებელ დისკუსიას. მოსწავლეები ფიქრობენ და მსჯელობენ წარმოდგენის ძლიერ და დასახვეწ ასპექტებზე, საკუთარი როლის შესრულების ეფექტურობაზე. შესაძლებელია, შეჯამება სხვაგვარადაც წარიმართოს.

კერძოდ: 1. მოსწავლეებმა შეავსონ თვითშეფასების რუბრიკა, რომელიც შეიცავს შესატყვის კრიტერიუმებსა და მაჩვენებლებს; (ნიმუში იხ. ქვემოთ) 2. თუ მოსწავლეები მიმოწერის დღიურებს აწარმოებენ (იხ. წერის კომპონენტი), სასურველია, რამდენიმე ჩანაწერი ჩატარებული გაკვეთილის მიმოხილვას მიეძღვნას.

შენიშვნა: მრავალრიცხოვანი კლასის შემთხვევაში შესაძლებელია კლასის ორ თანაბარ ნაწილად გაყოფა. ასეთ დროს პირველი ჯგუფი დადგამს წარმოდგენას, ხოლო მეორე აუდიტორიის/მაყურებლის როლს შეასრულებს. შემდეგ როლები შეიცვლება.

მკითხველთა თეატრის შეფასება

ნაწარმოების წაკითხვის დასრულების შემდეგ მასწავლებელი გამართავს შემაჯამებელ დისკუსიას მოსწავლეთა რეფლექსიაზე ორიენტირებული შეკითხვების დასმით:

• რას გრძნობდით წარმოდგენის მსვლელობისას?

• მოგეწონათ თუ არა ჩვენი წამოდგენა?

• რა მოგეწონათ ყველაზე მეტად?

• რის გაუმჯობესება შეიძლება შემდგომი წარმოდგენისათვის?

სასურველია, მასწავლებელმა შეიმუშაოს რუბრიკა შესატყვისი კრიტერიუმებით და მაჩვენებლებით. პირველი წარმოდგენის შემდეგ მოსწავლეები გაეცნობიან რუბრიკას და იმსჯელებენ იმის შესახებ, თუ რამდენად შეესაბამებოდა წარმოდგენა ამა თუ იმ კრიტერიუმს.

შესაძლოა, დისკუსიის ან ჩანაწერების გაცნობის შედეგად რუბრიკა შეივსოს/ჩასწორდეს.

ქვემოთ მოცემულია რუბრიკის ნიმუში. იგი გამოდგება როგორც ცალკეული მოსწავლის შესაფასებლად, ისე მთლიანი პროცესის შესაჯამებლად. როგორც უკვე აღინიშნა, მასწავლებელს შეუძლია გადააკეთოს ან დაამატოს ესა თუ ის კრიტერიუმი და შესაბამისი ინდიკატორი/მაჩვენებლები:

	გასაუმჯობესებელი	დამაკმაყოფილებელი	საუკეთესო
უშეცდომოდ წაკითხვა	შეცდომით წაკითხული სიტყვების რაოდენობა დიდია	შეცდომით წაკითხული სიტყვების რაოდენობა უმნიშვნელოა	შეცდომით წაკითხული წიგნები არ არის
გამომეტყველებით კითხვა	ხმის ტემბრი მონოტონური და ერთგვაროვანია არ იყენებს მახვილებსა და პაუზებს	ზოგჯერ ცვლის ხმის ტონალობას.ზოგჯერ არ იყენებს მახვილებსა და პაუზებს.	ხშირად ცვლის ხმის ტონალობას.იყენებს მახვილებსა და პაუზებს.
მიმიკისა და ჟესტების გამოყენება	სახის გამომეტყველება და სხეულის მოძრაობა უცვლელია.	უმნიშვნელოდ ცვლის სახის გამომეტყველებასა და სხეულის მოძრაობას.	ამდიდრებს გამოთქმულ წინადადებებს ფრაზებს შესატყვისი მიმიკითა და სხეულის მოძრაობით.

ლექსიკურ ერთეულებზე დაყრდნობით ტექსტის (წინადადებების) შედგენა

იმისათვის, რომ წერა სახალისო პროცესად იქცეს, საწერად მოსწავლეთათვის საინტერესო თემა უნდა შეირჩეს. მასწავლებელს შეუძლია წინასწარ შეათანხმოს კლასთან, რა თემაზე სურთ მათ წერა.

წერის პროცესის პირველი ეტაპი საკმაოდ ადრეულ ასაკში იწყება. საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს გამოცდილებას, რომელიც მოსწავლეს უკვე აქვს სკოლაში მისვლამდე. ამიტომ მასწავლებელმა, პირველ რიგში, მოსწავლის წინარე ცოდნა უნდა გააქტიუროს.

ლექსიკურ ერთეულებზე დაყრდნობით ტექსტის (წინადადების) შედგენის მეთოდი ეხმარება მოსწავლეს კონტექსტისათვის ადეკვატური ერთეულების შერჩევისა და გამოყენების უნარის ჩამოყალიბებაში; სპეციფიკური ტერმინოლოგიის შერჩევა-გამოყენებაში; ლექსიკური მარაგის გამდიდრებაში.

ტექსტის შედგენაში იგულისხმება წინადადების შედგენაც.

ამ მეთოდს შეგვიძლია მივმართოთ პირველი კლასის მეორე ნახევრიდან, მას შემდეგ, რაც მოსწავლეს წერა-კითხვა დამოუკიდებლად შეეძლება. მეთოდი ორი სხვადასხვა მიზნით გამოიყენება:

1. ლექსიკური ერთეულების კონტექსტის ადეკვატურად გამოყენება;
2. კონკრეტულ თემასთან დაკავშირებული სიტყვებით მხატვრული ან არამხატვრული ტექსტის შექმნისას.

მეთოდს სამი ვარიანტი აქვს.

ამ მეთოდის სამივე ვარიანტის გამოყენებით მოსწავლეები შეძლებენ:

- წერის პროცესში სათანადოდ გამოიყენონ საგნების, მათი თვისებებისა და მოქმედებების გამომხატველი სიტყვები;
- ააგონ მარტივი წინადადებები მასწავლებლის მიერ მიცემული სიტყვებით;
- დაახასიათონ მათთვის ნაცნობი ადამიანები და მოვლენები;
- დააკვირდნენ სიტყვების მნიშვნელობას და გამოიყენონ კონტექსტის გათვალისწინებით;
- ტექსტის შედგენისას გამოიყენონ ახლად შესწავლილი სიტყვები და ფრაზები;

- თანმიმდევრულად გადმოსცენ ფაქტები და მოვლენები;
- შესაფერისი ლექსიკის გამოყენებით შეადგინონ მარტივი დარგობრივი ტექსტები (კლიმატის აღწერა, გეოგრაფიული გარემოს აღწერა, მათემატიკური ამოცანა და სხვ.);
- ინფორმაციული ტექსტის შედგენისას გამოიყენონ სპეციალური ტერმინოლოგია;
- ამა თუ იმ ჟანრის ტექსტის შექმნისას გამოიყენონ სხვადასხვა მხატვრული ხერხი (ეპითეტი, შედარება და სხვ.);
- სხვადასხვა საგანში შეძენილი ცოდნის საფუძველზე შექმნან მცირე ზომის თხზულება (მაგ., „შემოდგომა“, „შინაური ცხოველები“ და სხვ.).

I ვარიანტი

ლექსიკური ერთეულების გამოყენება კონტექსტის ადეკვატურად

მეთოდის ეს ვარიანტი გულისხმობს, რომ მოსწავლეებმა უნდა შეადგინონ წინადადებები უკვე ნასწავლი და დამუშავებული სიტყვებით, სიტყვათშეთანხმებებით, ფრაზეოლოგიზმებით.

მსვლელობა:

1. მასწავლებელი დაფაზე წერს მოსწავლეებისათვის უკვე ახსნილ, ნასწავლ ლექსიკურ ერთეულებს;
2. მოსწავლეებმა უნდა შეადგინონ წინადადებები დამოუკიდებლად, რისთვისაც ეძლევათ გარკვეული დრო;
3. წერის დასრულების შემდეგ მასწავლებელი წააკითხებს მოსწავლეებს მათ მიერ შედგენილ წინადადებებს;
4. მასწავლებელი გააკეთებს კომენტარებს მოსწავლეების მიერ შესრულებულ სამუშაოზე.

მეთოდის განხორციელებისას გასათვალისწინებელი პირობები:

ამ მეთოდით მუშაობა მიზანშეწონილია პირველკლასელებთანაც, მაგრამ მას შემდეგ, რაც მოსწავლეები დამოუკიდებლად წერა-კითხვას შეძლებენ. აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მათი შესაძლებლობები: დავიწყოთ მარტივი დავალებებით (მაგ., შევადგენინოთ ერთი-ორი წინადადება) და თანდათან გავართულოთ.

II ვარიანტი

კონკრეტულ თემასთან დაკავშირებული სიტყვებით მხატვრული ან არამხატვრული ტექსტის შექმნა

მსვლელობა:

1. წერის დაწყებამდე მოსწავლეები შეარჩევენ თემას და მასწავლებლის დახმარებით ჩამოწერენ დაფაზე ამ თემასთან დაკავშირებულ სიტყვებს (მაგ., მზე – მცხუნვარე, ცხრათვალა, ოქროსფერი...);
2. მოსწავლეები ამ სიტყვების გამოყენებით წერენ მხატვრულ ან ინფორმაციულ ტექსტს.
3. ინფორმაციული ტექსტის შესაქმნელად მასწავლებელი სთხოვს, გაიხსენონ სხვა საგნებში მიღებული ცოდნაც (მაგ. ბუნებისმეტყველება).
4. მხატვრული ტექსტის შექმნისას კი უთითებს მათ, რა ტიპის ტექსტი უნდა შექმნან: თხრობითი, მონოლოგური თუ დიალოგური.

მეთოდის განხორციელებისას გასათვალისწინებელი პირობები:

მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილია მას შემდეგ, რაც მოსწავლეებს ექნებათ პირველი ვარიანტით მუშაობის გამოცდილება. გარდა ამისა, ნასწავლი ექნებათ სხვადასხვა ტიპის ტექსტები; შეეძლებათ ერთმანეთისგან განასხვავონ მხატვრული და არამხატვრული ტექსტები.

III ვარიანტი

ლექსიკურ ერთეულებზე დაყრდნობით ამბის შედგენა

ლექსიკურ ერთეულებზე დაყდნობით ამბის შედგენა მოსწავლეებს უვითარებს ისეთ უნარებს, როგორებიცაა: ფანტაზია, მოცემულ „საკვანძო“ სიტყვებს შორის კავშირების დამყარება და ახალი სიუჟეტის შექმნა, სიტყვებისთვის გრამატიკული ფორმის შეცვლა, სათქმელის გასაგებად და თანმიმდევრულად გადმოცემა, კორექტირება, სხვისი აზრის მოსმენა, ტექსტების შედარება.

მსვლელობა

1. წინასწარ შერჩეული, მოსწავლისათვის უცნობი ტექსტიდან მასწავლებელი დაფაზე წერს 4-5 „საკვანძო“ სიტყვას (მათ შორის შეიძლება იყოს: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, ზმნა და სხვა);
2. მოსწავლეები ამ სიტყვებით შეადგენენ საკუთარ მოთხრობას;
3. აუცილებელია გამოიყენონ „საკვანძო“ სიტყვები. თუმცა, ტექსტის საჭიროებიდან გამომდინარე, მოსწავლეებს შეუძლიათ სიტყვების გრამატიკული ფორმის შეცვლა და სიტყვების დამატება;
4. მოსწავლეები მუშაობენ ინდივიდუალურად;
5. მოსწავლეები წყვილდებიან და უზიარებენ მეწყვილეს „ნაწარმოების“ საკუთარ ვარიანტს;
6. შემდეგ მასწავლებელი კითხულობს თავდაპირველ ტექსტს, საიდანაც არის ამოკრებილი „საკვანძო“ სიტყვები;
7. მოსწავლეები ადარებენ თავიანთ ვარიანტებს უკვე არსებულ მხატვრულ ტექსტს (პოულობენ მსგავსება-განსხვავებას მათ შორის).

მეთოდის განხორციელებისას გასათვალისწინებელი პირობები:

მეთოდის გამოყენება რეკომენდებული არ არის დაწყებითი საფეხურის საწყის ეტაპზე (I–II კლასში);

მასწავლებელმა ყურადღებით უნდა შეარჩიოს საკვანძო სიტყვები, რათა უზრუნველყოს ამბის ერთი ქარგით განვითარება. მეთოდი კომპლექსურია; იგი ავითარებს წერის, კითხვის, მოსმენის, მსჯელობის უნარებს.

წერა მაგიდის ირგვლივ

მეთოდის მიზანია, განუვითაროს მოსწავლეს კრიტიკულად აზროვნების, საკუთარი აზრის ლოგიკურად და თანმიმდევრულად წერილობით გადმოცემის, ასევე თვითშეფასებისა და სხვათა შეფასების უნარი.

მეთოდის მოსალოდნელი შედეგია, რომ მოსწავლემ დამოუკიდებლად შეადგინოს მცირე მოცულობის ტექსტი ნაცნობი ლექსიკით და გასაგებად ჩამოაყალიბოს აზრი; შეეჩვიოს ჯგუფში მუშაობას, აუდიტორიის წინაშე გამოსვლასა და დროის განაწილებას; სხვათა ნააზრევის გაზიარებასა და პატივისცემას.

მსვლელობა:

1. დააჯგუფეთ მოსწავლეები (4-5 მოსწავლე) და გააცანით საწერი თემა. (თემა, სასურველია, შერჩეული იყოს მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე).
2. თითოეულ მოსწავლეს უნდა ჰქონდეს თავისი საწერი ფურცელი.
3. წინასწარ განსაზღვრულ დროში (3-5 წუთი) მოსწავლეებმა უნდა მოასწრონ თავინთი მოსაზრებების დაწერა თემის გარშემო.
4. დროის ამოწურვისთანავე მოსწავლეები ფურცელს, რომელზეც მათი ნააზრევია დაწერილი, გადააწოდებენ მარჯვნივ მჯდომს და თვითონ, შესაბამისად, მიიღებენ ფურცელს მარცხნივ მჯდომისაგან.
5. მოსწავლეები წაიკითხავენ და გააგრძელებენ თანაკლასელის ნააზრევს.
6. ფურცლები წრეში მანამ იტრიალებს, სანამ ჯგუფის ყველა წევრს საკუთარი არ დაუბრუნდება.
7. ნაწერები კლასში განიხილება, საუკეთესო ნაშრომს მასწავლებელი შეარჩევს და სათანადოდ შეაფასებს.

მეთოდის განხორციელებისას გასათვალისწინებელი პირობები:

მეთოდის გამოყენება რეკომენდებულია მესამე კლასიდან. გასათვალისწინებელია კლასში მოსწავლეთა რაოდენობა. მეთოდის გამოყენება განსაკუთრებით ეფექტურია 15-20 ბავშვიან კლასში. ეს მეთოდი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას დაწყებითი საფეხურის ნებისმიერ საგანში.

პირამიდული ისტორია

„პირამიდული ისტორიის“ მეთოდით მუშაობისას მოსწავლეები პატარა მწერლების როლში აღმოჩნდებიან: შექმნიან მცირე მასშტაბის მოთხრობას, შემდეგ კი ერთობლივად შეავსებენ წინასწარ მოცემულ სქემას.

მოსწავლეები ამ სტრატეგიის გამოყენებისას სწავლობენ: სიუჟეტის შედგენას; საკუთარი აზრის გადმოცემას; პრობლემების დანახვასა და გადაჭრის გზების ძიებას; სხვისი აზრის მოსმენასა და პატივისცემას.

„პირამიდული ისტორია“ სამი ეტაპისაგან შედგება:

- პირველი ეტაპი – „პირამიდის“ ჯგუფური შევსება; მონაწილეობს მთელი კლასი;
- მეორე ეტაპი – მოსწავლის ნააზრევის გამოხატვა ინდივიდუალურად;
- მესამე ეტაპი – შედგენილი ტექსტის ერთობლივი განხილვა.

გაკვეთილის დაწყებამდე დაფაზე ან ქაღალდზე მომზადებულია შემდეგი სქემა:

1. ------
2. ----------
3. ----------
4. ----------
5. ----------
6. ----------
7. ----------
8. ----------

მსვლელობა:

1. პირველ ხაზზე იწერება მოთხრობის მთავარი გმირის სახელი. მეორე ხაზზე ვწერთ ორ სიტყვას, რომელიც მთავარ გმირის ხასიათს ან გარეგნობას გამოხატავს.
2. მესამე ხაზზე იწერება სამი სიტყვა, რომლებიც გამოხატავს, სად ხდება მოქმედება (ქვეყანა, ადგილი, მოქმედების გარემო);

3. მეოთხე ხაზზე – ოთხი სიტყვა, რომლებიც აღწერს მოთხრობის მთავარ პრობლემას (ვთქვათ სიღარიბე, გზის დაკარგვა, შეხვედრა და ა. შ);
4. მეხუთე ხაზზე – ხუთი სიტყვა, რომლებიც აღწერს მოთხრობის იმ ეპიზოდს, საიდანაც იწყება პრობლემის გაშლა-განვითარება;
5. მეექვსეზე – ექვსი სიტყვა, რომლებიც ასახავს მოვლენების შემდგომ განვითარებას მოთხრობაში;
6. მეშვიდეზე – შვიდი სიტყვა, რომლებიც აღწერს ახალ მოვლენას, ამბავს, რომელიც სიუჟეტში წამოჭრილი პრობლემის მოგვარებას ემსახურება;
7. მერვე ხაზზე – რვა სიტყვა, რომლებიც გვიჩვენებს პრობლემის საბოლოო გადაჭრას;
8. მოსწავლეები ქმნიან პირამიდის საკუთარ ვარიანტებს;
9. მოსწავლეებთან ერთად მასწავლებელი ირჩევს მოსწავლეთა ნამუშევრებიდან ერთ-ერთ ვარიანტს და გადააქვს დაფაზე (ან დიდი ფორმატის ქაღალდზე);
10. პირამიდის შევსების შემდეგ მოსწავლეებს ვთავაზობთ, ამ სიტყვების გამოყენებით ინდივიდუალურად შეადგინონ მოთხრობის საკუთარი ვარიანტი (აუცილებელია ამ სიტყვების გამოყენება, მაგრამ მოსწავლეებს შეუძლიათ სიტყვების გრამატიკული ფორმის შეცვლა და სხვა სიტყვების დამატება);
11. მოსწავლეები თხზულებაზე 10-15 წუთი მუშაობენ;
12. მსურველები (ავტორები) გააცნობენ საკუთარ თხზულებას აუდიტორიას.

მეთოდის განხორციელებისას გასათვალისწინებელი პირობები:

მეთოდის გამოყენება რეკომენდებული არ არის I-II კლასებში; საჭიროა, რომ „პირამიდული ისტორიის“ წერას წინ უძღოდეს სათანადო ლიტერატურული გამოცდილება, ანუ მოსწავლეებს შესწავლილი ჰქონდეთ ისეთი ნაწარმოები, რომელშიც ნათლად იქნება გამოკვეთილი სიუჟეტური ხაზი: პრობლემის გაჩენა – პრობლემის კულმინაცია – პრობლემის გადაჭრა.

„როლი, აუდიტორია, ფორმა, თემა“

წერა კომუნიკაციის საშუალებაა. ნაწერით ადამიანი სხვებს უზიარებს თავის აზრს, აცნობს ინფორმაციას და ა. შ. ამიტომ ნაწერის ხასიათი დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ წერს, ვისთვის წერს, რა მიზნით წერს. მოსწავლეს ყოველთვის წინასწარ განსაზღვრული უნდა ჰქონდეს რაზე წერს და ვისთვის წერს. იმისათვის, რომ მოსწავლეებს განუვითარდეთ წერითი უნარ-ჩვევები, შემდეგი მნიშვნელოვანი პრინციპები უნდა გაითვალისწინოთ:

- მოსწავლეებს ნაწერში თამამად და თავისუფლად მსჯელობის საშუალება უნდა ჰქონდეთ;
- თავად უნდა აირჩიონ თემა, ფორმა, აუდიტორია;
- უნდა ჰქონდეთ საშუალება თანატოლებთან ერთად განიხილონ საკუთარი ნაწერი;

ამ მეთოდის მიზანია მოსწავლეებმა ისწავლონ სხვადასხვა ფორმატისა და შინაარსის მხატვრული თუ არამხატვრული ტექსტების შექმნა (წერილი, მოხსენება, განცხადება, მისალოცი ბარათი, დღიური, რეფერატი, საკონფერენციო თემა, მოთხრობა, სცენარი, ჩანახატი, ინტერვიუ და სხვა).

მსვლელობა:

1. თავდაპირველად მოსწავლეებთან ერთად განსაზღვრეთ საწერი თემა და დაწერეთ დაფაზე;
2. სთხოვეთ მოსწავლეებს აირჩიონ როლი – ვის როლში ისურვებდნენ ყოფნას? ე. ი. ვინ იქნება წერილის ადრესანტი (ეს შეიძლება იყოს: მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი, მეგობარი, დირექტორი, მინისტრი, პრეზიდენტი, მწერალი, ჟურნალისტი, რედაქტორი ან რომელიმე უსულო საგანი ან სულიერი არსება და სხვა);
3. ჩამოწერეთ მათ მიერ არჩეული როლები დაფაზე;
4. სთხოვეთ შეარჩიონ შესაფერისი აუდიტორია – ვისთვის უნდათ რომ დაწერონ? ე. ი. ვინ იქნება ტექსტის ადრესატი (ეს შეიძლება იყოს: მასწავლებელი, მეგობარი, საკუთარი თავი, ოჯახის წევრები, კლასელები, დირექტორი, პრეზიდენტი, პოპულარული ადამიანი, კედლის გაზეთი, ჟურნალი, ნაწარმოების გმირი, ავტორი და ა.შ.)

5. დაწერეთ მათი პასუხები დაფაზე;
6. სთხოვეთ მოსწავლეებს შეარჩიონ ფორმა – რა ფორმით ისურვებენ წერას? (წერილი, მონოლოგი, პირადი დღიური, მოხსენება, თემა, რეფერატი, კედლის გაზეთი, ჟურნალი, წიგნი, მოთხრობა, ზღაპარი, სცენარი, ლექსი, ჩანახატი, წერილი მომავალში, ინტერვიუ, განცხადება, ღია ბარათი, შეტყობინება, პრეზენტაცია და სხვა);
7. ყოველივე ამის შემდეგ მიეცით მოსწავლეებს დრო, წერონ თავისუფლად;
8. სურვილის მიხედვით გაუზიარონ ერთმანეთს თავიანთი ნაშრომები;
9. ნაშრომის წაკითხვამდე დაასახელონ: **თემა, როლი, აუდიტორია, ფორმა;**
10. თავი შეიკავეთ უარყოფითი კომენტარებისაგან;
11. ვისაც სურვილი აქვს, შეუძლია ნაშრომი კლასის კედელზე გამოაკრას.

მეთოდის განხორციელებისას გასათვალისწინებელია:

მეთოდის გამოყენება რეკომენდებულია მეორე კლასიდან (მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით).

მეთოდი კომპლექსურია; იგი ავითარებს წერის, კითხვისა და ზეპირმეტყველების უნარებს.

თავდაპირველად თავად შეურჩიეთ მოსწავლეებს როლი, აუდიტორია, ფორმა და თემა. შემდეგ, როცა გაიწაფებიან, მოსწავლეები დამოუკიდებლად შეძლებენ შერჩევას.

წერა „ფანტაზია“

მეთოდის მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეებს წარმოსახვისა და ფანტაზიის განვითარებაში, შთაბეჭდილებების გადმოცემაში.

მსვლელობა:

1. წინასწარ მოამზადეთ საკლასო ოთახი ისე, რომ მოსწავლეებს დამოუკიდებლად მუშაობაში, სამუშაოზე კონცენტრაციაში ხელი არ შეეშალოთ.
2. იმ თემის ირგვლივ, რაზეც მოსწავლეებმა უნდა წერონ, რამდენიმე მინიშნება გააკეთეთ. ეს შეიძლება იყოს დაფაზე დაწერილი რამდენიმე სიტყვა, თვალსაჩინოება, მუსიკა ან სხვა.
3. სთხოვეთ მოსწავლეებს, მიცემული მინიშნებებიდან გამომდინარე, ჩაიწერონ თავიანთი აზრები, ემოციები და წარმოდგენები.
4. წერისათვის გამოყავით 15-20 წუთი.
5. მოსწავლეებს მიეცით დრო, რომ თავიანთი ფანტაზიის ნაყოფი მეგობრებსაც გაუზიარონ.
6. შეაგროვეთ მოსწავლეთა ნაწერები.

მეთოდის განხორციელებისას გასათვალისწინებელია:

ამ მეთოდის წარმატებით განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია თემის ირგვლივ მინიშნებების სწორად შერჩევა. დაწყებითი საფეხურის მაღალ კლასებში მინიშნებების გამოყენება შესაძლებელია არც იყოს აუცილებელი და მოსწავლეებს პირდაპირ გარკვეულ თემატიკაზე „თავისუფალი თემის“ დაწერა დაავალოთ. დაწყებითი საფეხურის უფრო დაბალ კლასებში კი მოსწავლის ფანტაზიის გასააქტიურებლად დამატებითი სტიმულატორების გამოყენება ხელს უწყობს მისი მოტივაციის გაზრდას წერითი სამუშაოსადმი.

სწავლა შეცდომების გასწორებით

ეს მეთოდი ეხმარება მოსწავლეებს საკუთარი შეცდომების აღმოჩენასა და ადეკვატურად რეაგირებაში; ხელს უწყობს შეცდომების გასწორების უნარის ჩამოყალიბებას, ზრდის მოტივაციას და ავითარებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს. უყალიბებს შეცდომებისადმი ადეკვატურ დამოკიდებულებას (შეცდომის დაშვება და მისი შესწორება სასწავლო პროცესის თანმდევი ნაწილია). ამ მეთოდის მეშვეობით მოსწავლე სწავლობს აქტიურად, „კეთებით". ამავე დროს, მოსწავლეებს უვითარდებათ სოციალურ-კომუნიკაციური უნარები: ზეპირი და წერითი მეტყველება, თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, თანამშრომლობა.

შეცდომების გასწორება ნებისმიერი წერითი სამუშაოს შემდეგ შეიძლება ჩატარდეს. მთავარია, ზუსტად განსაზღვროთ, რა ტიპის შეცდომებს გაასწორებენ მოსწავლეები.

მსვლელობა:

1. მიეცით ინსტრუქცია მოსწავლეებს: წაიკითხონ მათ მიერ შესრულებული წერითი დავალება; მიაქციონ ყურადღება სასვენ ნიშნებსა და ორთოგრაფიას;
2. წინასწარ განუსაზღვრეთ დრო;
3. წააკითხეთ ხმამაღლა ერთ მოსწავლეს; მოსწავლემ უნდა თქვას, რა შეასწორა და რატომ;
4. იკითხეთ, ჰქონდა თუ არა ვინმეს მსგავსი შეცდომა;
5. ჩართეთ მსჯელობაში მთელი კლასი.

მეთოდის განხორციელებისას გასათვალისწინებელია:

მეთოდი მოითხოვს დიდ დროს; შესაძლებელი უნდა იყოს რაც შეიძლება მეტი მოსწავლის ნამუშევრის განხილვა.

ამ მეთოდის გამოყენება შესაძლებელია დაწყებითი საფეხურის ყველა კლასში.

ამ მეთოდს შეიძლება მთელი გაკვეთილი დასჭირდეს, ამიტომ სასურველია წერა და შეცდომების გასწორება დაწყვილებული გაკვეთილების დროს ჩატარდეს (თუ წერითი სამუშაო მცირე დროს მოითხოვს, შესაძლებელია, შეცდომების გასწორება იმავე გაკვეთილზე მოესწროს).

მოსწავლეებმა ზუსტად უნდა იცოდნენ, რისი გასწორება ევალებათ და როგორ.

შენიშვნებისათვის

8. 3. შეფასების რუბრიკების ნიმუშები

ზეპირმეტყველების შეფასების რუბრიკები

კრიტერიუმები	არა	იშვიათად	ხშირად	ყოველთვის
მიზნისა და სამეტყველო სიტუაციის ადრესატის გათვალისწინებით ირჩევს შესაბამის არავერბალურ საშუალებებს (ჟესტს, მიმიკას, ინტონაციას);				
შესაბამისი ლექსიკის გამოყენებით, თანამიმდევრულობისა და აზრობრივი შესაბამისობის დაცვით გადმოსცემს სათქმელის შინაარსს				
გამოკვეთს მთავარ სათქმელს/ ამახვილებს ყურადღებას ყველა მნიშვნელოვან დეტალზე				
მოჰყავს პარალელები პირადი გამოცდილებიდან, სხვა ტექსტებიდან თუ კინო/ ანიმაციური ფილმებიდან				
იცავს ელემენტარულ ენობრივ ნორმებს				
იყენებს საყრდენებს შესაბამისად				

კრიტერიუმები	არა	იშვიათად	ხშირად	ყოველთვის
პირობასთან შესაბამისობა				
იცავს დროის ლიმიტს				
მიზნის შესაბამისად გადმოსცემს ინფორმაციას				
კომუნიკაციური უნარ–ჩვევები				
გასაგებად აყალიბებს მოსაზრებას				
მოჰყავს შესაბამისი მაგალითები				
ენობრივი უნარ–ჩვევები				
ადეკვატურად იყენებს არავერბალური კომუნიკაციის ელემენტებს (მაგ. ჟესტიკულაციას, მიმიკას...)				

პრეზენტაცია

კრიტერიუმი	დიახ	არა	ნაწილობრივ	რეკომენდაცია
მითითებული გეგმის				
მიხედვით				
წარმოადგენს				
პრეზენტაციას				
ყურადღებას ამახვილებს მთავარ საკითხებზე				
იყენებს არავერბალური კომუნიკაციის ელემენტებს				
საუბრობს				
თავისუფლად, გარკვევით				
იყენებს შესაბამის				
თვალსაჩინოებას (საჭიროების შემთხვევაში)				
პასუხობს თემის				
ირგვლივ დასმულ				
შეკითხვებზე				

დისკუსია

კრიტერიუმი	დიახ	არა	ნაწილობრივ	რეკომენდაცია
აქტიურად მონაწილეობს დისკუსიაში, იცავს მის წესებს				
სწორად, თემის შესაბამისად სვამს კითხვებს				
დასმულ კითხვაზე სცემს გააზრებულ, დასაბუთებულ პასუხს				

გაკვეთილში ჩართულობის შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმები	ყოველთვის	ხშირად	იშვიათად	არ შეესაბამება
ყოველთვის მონაწილეობს და ხშირად წარმართავს კიდეც საკლასო მსჯელობას				
გამართულად მეტყველებს, აქვს მდიდარი ლექსიკა და შემოქმედებითად იყენებს ენობრივ–გამომსახველობით საშუალებებს				
ყოველთვის დამაჯერებლად და არგუმენტირებულად წარმოადგენს თავის მოსაზრებას				
უსმენს სხვებს და საკუთარ მოსაზრებას გამოთქვამს მოსმენილზე დაყრდნობით. კორექტულია და ამჟღავნებს სხვისი აზრის მიმართ პატივისცემას				

ჯგუფურ მუშაობაში მონაწილეობის თვითშეფასების სქემის ნიმუში

კრიტერიუმები	ყოველთვის	ზოგჯერ	არასოდეს
ჩემს აზრს ღიად გამოვთქვამ			
როცა სხვა ლაპარაკობს, ვუსმენ ყურადღებით			
დაკისრებულ მოვალეობას ვასრულებ			
ვიცი, რომ კამათი ჩხუბში არ უნდა გადაიზარდოს			
ვიცავ დროის ლიმიტს			

ჯგუფის წევრების თვითშეფასების რუბრიკა (მეორე ვარიანტი)

კრიტერიუმები	კი	არა
აქტიურად ვიყავი ჩართული ჯგუფის მუშაობაში		
ვიცავდი ჯგუფში მუშაობის წესებს		
ჩემი მოსაზრება იყო მნიშვნელოვანი		
ვუსმენდი სხვების მოსაზრებებს		
ვიცავდი დროის ლიმიტს		

ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკა

კრტერიუმები	არა	იშვიათად	ხშირად	ყოველთვის
ჯგუფის ყველა წევრი ჩართულია				
ჯგუფის წევრები უსმენენ ერთმანეთს				
ჯგუფის წევრები თანამშრომლობენ (აზრის გამოხატვის თანაბარი პირობები)				
ჯგუფის პრეზენტაცია შეესაბამება მოთხოვნებს (პრეზენტაციის შეფასების რუბრიკას)				
ჯგუფი პასუხობს შეკითხვებს				
ჯგუფი იცავს დროის ლიმიტს				

კითხვის შეფასების რუბრიკები
„მკითხველის თეატრის“ შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმები	გასაუმჯობესებელი	დამაკმაყოფილებელი	საუკეთესო
უშეცდომოდ წაკითხვა	შეცდომით წაკითხული სიტყვების რაოდენობა დიდია	შეცდომით წაკითხული სიტყვების რაოდენობა უმნიშვნელოა	უშეცდომოდ კითხულობს ყველა სიტყვას
გამომეტყველებით კითხვა	ხმის ტემბრი მონოტონური და ერთგვაროვანია, არ იყენებს მახვილებსა და პაუზებს	ზოგჯერ ცვლის ხმის ტონალობას. ზოგჯერ არ იყენებს მახვილებსა და პაუზებს.	ხშირად ცვლის ხმის ტონალობას. იყენებს მახვილებსა და პაუზებს.
მიმიკისა და ჟესტების გამოყენება	სახის გამომეტყველება და სხეულის მოძრაობა უცვლელია.	უმნიშვნელოდ ცვლის სახის გამომეტყველებასა და სხეულის მოძრაობას.	ამდიდრებს გამოთქმულ წინადადებებს ფრაზებს შესატყვისი მიმიკითა და სხეულის მოძრაობით.

განაფულად კითხვა

კრიტერიუმები	არა	იშვიათად	ხშირად	ყოველთვის
კითხულობს ხმამაღლა და გარკვევით.				
თავისუფლად კითხულობს ნაცნობ და უცნობ სიტყვებს.				
ხმამაღლა კითხვისას იცავს პაუზას სასვენ ნიშნებთან.				
კითხულობს სათანადო ინტონაციით, იცავს ტემპს.				

წაკითხულის გაგება-გააზრება

კრიტერიუმები	არა	იშვიათად	ხშირად	ყოველთვის
ტექსტში ეძებს და პოულობს კონკრეტულ ინფორმაციას (როდის, სად, რამდენი, როგორი, რამდენ ხანს, რამდენჯერ და სხვ.).				
აჯგუფებს ტექსტში მოცემულ ინფორმაციას კონკრეტული ნიშნების მიხედვით				
ამოიცნობს ტექსტში მოცემულ სხვადასხვა ინფორმაციას შორის არსებულ მიზეზშედეგობრივ კავშირებს, გამოაქვს სათანადო დასკვნა.				
ამოიცნობს პერსონაჟების მოქმედებებს, გრძნობებს, ემოციებს;				
ამოიცნობს, რა ტიპის ურთიერთობა აქვთ პერსონაჟებს ერთმანეთთან (ნათესაური, მტრული, მეგობრული და სხვ.);				
გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ნაწარმოებში გადმოცემული მოვლენისადმი/პერსონაჟისადმი;				
გამოყოფს სიუჟეტის განვითარების საფეხურებს (დასაწყისს, ამბის შუა ნაწილს, დასასრულს);				
საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს ტექსტის შინაარსს, ტექსტის ცალკეული მონაკვეთის არსებით ინფორმაციას				
ამოიცნობს ტექსტის თემას, სწვდება დედააზრს (მთავარ იდეას);				
ტექსტის და გასააზრებლად იყენებს მარტივ გრაფიკულ სქემებს				
მოჰყავს პარალელები პირადი გამოცდილებიდა, სხვა ტექსტებიდან, კინო/ ანიმაციური ფილმებიდან				

წერა

მცირე ზომის მარტივი თხრობითი ტექსტის შედგენა საყრდენების (ილუსტრაციის, მოდელის, მასწავლებლის მითითებების და ა.შ.) გათვალისწინებით

კრიტერიუმები	შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება	განმავითარებელი კომენტარი
საჭიროებისამებრ იყენებს საყრდენებს				
შინაარსი შეესაბამება დავალების პირობას				
ყურადღება გამახვილებულია არსებით დეტალებზე				
აზრები თანმიმდევრულად არის გადმოცემული				
იყენებს შესაბამის ლექსიკას				
იცავს მართლწერის ელემენტარულ ნორმებს				
კითხულობს საკუთარ ნაწერს და ასწორებს შემჩნეულ შეცდომებს				

მოკლე შინაარსი

კრიტერიუმები	შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება	რეკომენდაცია
მოსწავლე თანმიმდევრულობის დაცვით გადმოსცემს ეპიზოდის შინაარსს				
სწორად გამოყოფს აბზაცებს				
ყურადღებას ამახვილებს ყველა მნიშვნელოვან დეტალზე				
ლექსიკა შინაარსის ადეკვატურია იყენებს ახლად შესწავლილ სიტყვებსა და ფრაზებს				
იცავს მართლწერის ელემენტარულ ნორმებს				

წერილის დაწერა

კრიტერიუმები	შეესაბამება	ნაკლებად შეესაბამება	არ შეესაბამება	რეკომენდაცია
ადეკვატურად იყენებს წერილის სტრუქტურულ ელემენტებს (მიმართვა-მისალმება, ძირითადი ნაწილი, დამშვიდობება)				
სათქმელს აყალიბებს გასაგებად და თანმიმდევრულად				
გამოხატავს საკუთარ თვალსაზრისს, დამოკიდებულებას				
იცავს ამ ტიპის ნაწერისთვის დამახასიათებელ ენობრივ სტილს				
იცავს მართლწერის საბაზისო ნორმებს				

თხზულების შეფასების კრიტერიუმები

კრიტერიუმები	შეესაბამება	ნაკლებად შეესაბამება	არ შეესაბამება	რეკომენდაცია
შინაარსი შეესაბამება დავალების პირობას				
აზრები თანმიმდევრულად არის გადმოცემული				
აბზაცები სწორადაა გამოყოფილი				
ყურადღება გამახვილებულია მნიშვნელოვან დეტალებზე				
საკუთარი თვალსაზრისის საილუსტრაციოდ მოსწავლეს მოჰყავს ადეკვატური მაგალითები ტექსტიდან...				
იყენებს შესაბამის ლექსიკას				
იცავს მართლწერის ელემენტარულ ნორმებს				

ინკლუზიური განათლება

ბავშვის უფლებების კონვენციის თანახმად, განათლების მიღება ყველა ბავშვის ფუნდამენტური უფლებაა. კონვენციაში გამოკვეთილი თითოეული უფლება ეხება ყველა ბავშვს ყოველგვარი დისკრიმინაციული გამონაკლისის გარეშე. ბავშვის უფლებათა ამგვარ ფართო აღიარებას მხოლოდ თეორიული საფუძველი არ გააჩნია. მსოფლიოს თითოეულ ქვეყანაში ბავშვის უფლებები განმტკიცებულია კონკრეტული ღონისძიებებით საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და აღმასრულებელ სფეროებში. ბევრი ბავშვი განიცდის სწავლასთან დაკავშირებულ სირთულეებს, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს მოსწავლის ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური თუ სხვა მდგომარეობით. სწავლის პროცესში სირთულეები შეიძლება

შეექმნათ ნიჭიერ ბავშვებსაც, ქუჩის და მომუშავე ბავშვებს, ეთნიკური, კულტურული უმცირესობის და სხვა მარგინალური ჯგუფის წარმომადგენლებს. ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ვალდებულებაა, ყველა ბავშვისთვის მოძებნოს წარმატებით სწავლების გზები.

ინკლუზიური განათლება გულიხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში თანატოლებთან ერთად. ინკლუზიური განათლების მიზანია, ყველა ბავშვს მისცეს თანაბარი შესაძლებლობა თანატოლებთან ერთად სწავლისა და ხარისხიანი განათლების მიღებისა საცხოვრებელ ადგილთან ახლოს.

ინკლუზიური განათლება არ გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის საკლასო ოთახში ყოფნას და თანატოლებთან ერთად გარკვეული დროის გატარებას. ინკლუზიური განათლება მოითხოვს მთლიანად სკოლის დაუღალავ შრომას, რათა გააძლიეროს და განავითაროს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შესაძლებლობები, გააუმჯობესოს მოსწავლის აკადემიური და სოციალური უნარ-ჩვევები, მოამზადოს მოსწავლე დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და აქტიურად შეუწყოს ხელი მოსწავლის საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებას.

ინკლუზიური განათლების საერთაშორისო მოდელის მიხედვით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის და კლასის სრულუფლებიანი წევრია. ის სრულად უნდა მონაწილეობდეს სასკოლო და საკლასო აქტივობებში; სკოლაში მიმდინარე აკადემიურ (მაგ. წერა, კითხვა) და არააკადემიურ (მაგ. დასვენებებზე თანატოლებთან თამაში) პროცესებში.

ინკლუზიური განათლება აღიარებს მრავალფეროვნებას და განსხვავებულობის აუცილებლობას მოსწავლეების სწავლების პროცესში. განსხვავებული საგანმანათლებლო შესაძლებლობის და საჭიროების მქონე მოსწავლეების განათლება, რასაკვირველია, სწავლების განსხვავებული მიდგომების, სტრატეგიებისა და მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. ყველას მიმართ სწავლებისა და ქცევის მართვის ერთნაირი სტრატეგიების გამოყენება უარყოფს ბავშვებს შორის განსხვავებულობას და მათ ინდივიდუალობას. განსხვავებული საგანმანათლებლო შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებთან სწავლების ერთნაირი სტრატეგიების გამოყენება, (მსგავსი ინსტრუქციები მასალის ახსნისას, იდენტური საშინაო დავალებები, თანაბარი დრო დავალების შესასრულებლად) ერთი მხრივ, არაპროფესიონალური მიდგომაა, ხოლო მეორე მხრივ, არ უზრუნველყოფს ერთნაირ სასწავლო შედეგს ყველა მოსწავლისთვის. შესაბამისად, განათლების სისტემაში სკოლა წარმატებულად ითვლება, თუ მას შესწევს უნარი, შესაბამისი განათლებით უზრუნველყოს განურჩევლად ყველა მოსწავლე. სწორად დაგეგმილი ინკლუზიური განათლების პირობებში, ყველა მოსწავლეს

ეძლევა საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზების შესაძლებლობა.

ინკლუზიური განათლების დანერგვა სკოლისგან გარკვეული ამოცანების გადაჭრას მოითხოვს:

- სკოლაში ჩართულმა ყველა ადამიანმა უნდა მიმართოს ერთობლივ ძალისხმევას ინკლუზიური განათლების დასამკვიდრებლად სკოლის სივრცეში, ინკლუზიური განათლების იდეას უნდა იზიარებდეს ყველა სკოლა;
- ინკლუზიურმა გარემომ უნდა აღიაროს და გაითვალისწინოს მოსწავლის მრავალფეროვანი საჭიროებები; სკოლამ უნდა შეძლოს სწავლის განსხვავებული სტილით და შესაბამისი სტრატეგიის გამოყენებით სწავლების უზრუნველყოფა;
- სკოლის გარემომ უნდა შეძლოს სპეციალური საგნმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების შესაბამისი მხარდაჭერა; საჭიროების შემთხვევაში, დაახმაროს მოსწავლეებს სპეციალისტები;
- სკოლა დაინტერესებული უნდა იყოს პედაგოგების უწყვეტი პროფესიული განვითარებით და მომზადებით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის შესაბამისი მხარდაჭერის აღმოსაჩენად;
- სკოლას უნდა ჰყავდეს მოტივირებული პედაგოგები, რომლებსაც უწყვეტი ურთიერთობა ექნებათ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობლებთან; სკოლამ ხელი უნდა შეუწყოს მშობლებს, აქტიურად ჩაერთონ შვილების სწავლის პროცესში.
- სკოლამ უნდა შექმნას მისაწვდომი ფიზიკური გარემო და საჭიროების შემთხვევაში (კომუნიკაციისთვის, მობილობისთვის), გამოიყენოს შესაბამისი ტექნოლოგიები. ინკლუზიური განათლების მიდგომის თანახმად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასა და მის სასწავლო პროცესში ჩართვა უმთავრესი პრიორიტეტია. მოსწავლეები სპეციალიზებულ სკოლებსა და კლასებში უნდა ნაწილდებოდნენ გამონაკლის შემთხვევებში და რეკომენდებულია მხოლოდ მაშინ, როცა ზოგადსაგანმანათლებლო კლასში ჩართულობა ვერ უზრუნველყოფს ბავშვის საგანამანათლებლო თუ სოციალურ საჭიროებებს ან როცა ეს აუცილებელია ამ ბავშვის ან სხვა ბავშვების კეთილდღეობისთვის. ამ შემთხვევაში მშობლებს აქვთ უფლება, მიიღონ კვალიფიციური და ამომწურავი კონსულტაცია განათლების იმ ფორმის შესახებ, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება მათი შვილების საჭიროებებს, რათა სწორი არჩევანი გააკეთონ.

სკოლები, რომლებიც იზიარებენ ინკლუზიური განათლების მიდგომებს, დისკრიმინაციული დამოკიდებულების წინააღმდეგ ბრძოლის, კეთილგანწყობილი გარემოს შექმნის ყველაზე ეფექტური საშუალებაა. ინკლუზიური განათლება ინკლუზიური საზოგადოების ფორმირების აუცილებელი წინაპირობა. სწორედ ინკლუზიური განათლების კონტექსტში ხდება შესაძლებელი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებმა მიაღწიონ პროგრესს განათლებაში და სოციალურ ინტეგრაციას.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება

ტერმინი – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება - გულისხმობს სწავლის სირთულეებს ან შეზღუდულ შესაძლებლობას, რომელსაც აწყდება მოსწავლე სწავლის პროცესში და რომლის დაძლევაც მას სპეციალური დახმარების გარეშე უჭირს. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს ექმნება სირთულეები და სჭირდება დახმარება შემდეგ სფეროებში:

- კითხვა, წერა, ანგარიში
- ინფორმაციის გადამუშავება
- საკუთარი აზრის და შეხედულებების გამოხატვა, სხვების აზრის გაგება

- საშინაო და საკლასო დავალებების შესრულება
- ქცევა
- ურთიერთობა თანატოლებთან და პედაგოგებთან
- მოწესრიგებულობა
- სხვადასხვა სახის სენსორული და ფიზიკური დეფიციტი, რომელიც ზეგავლენას ახდენს სასწავლო პროცესზე
- გრძელვადიანი მკურნალობის/ჰოსპიტალიზაციის საჭიროება
- ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობა
- სოციალური დაუცველობა
- სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების გამო საგანმანათლებლო პროცესიდან გარიყვის საშიშროება

ტერმინის – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება – დამკვიდრება აუცილებელი გახდა მას შემდეგ, რაც სპეციალისტებმა აღიარეს, რომ სირთულეები სწავლის პროცესში მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს არ ახასიათებთ. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ მოსწავლეს არ აღენიშნება თვალსაჩინო დაზიანება თუ განვითარების დარღვევა, ისინი მაინც წარუმატებელნი არიან სკოლაში.შესაბამისად, განსაზღვრა იმისა, აქვს თუ არა მოსწავლეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, დამოკიდებული უნდა იყოს არა მის სამედიცინო დიაგნოზზე ან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსზე, არამედ სირთულეებზე სწავლის პროცესში.

2004 წლამდე საქართველოს განათლების სისტემა არ იცნობდა ინკლუზიური განათლების პრინციპებს და შესაბამისად, ნებისმიერი შეზღუდული შესაძლებლობის თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის განათლების ერთადერთ ალტერნატივას სპეციალიზებული სკოლა წარმოადგენდა. ბავშვებს, რომელთაც აღენიშნებათ უყურადღებობისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომები, დისლექსია, კითხვის, წერისა თუ მეტყველების სპეციფიკური დარღვევები, შეზღუდული შესაძლებლობის პირის სტატუსი არა აქვთ, თუმცა განათლების მხრივ სერიოზული საჭიროებები უდგებათ. სამედიცინო დიაგნოზის თუ შეზღუდული შესაძლებლობის არარსებობის გამო კი, მათი სწავლისა და ქცევის თავისებურებები არასწორადაა ინტერპრეტირებული. ხშირად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის შეუსაბამო ქცევა სიზარმაცედ ფასდება. ეს კი, თავის მხრივ, სასწავლო პროცესის არასწორ დაგეგმვას, ჩარევის მცდარი სტრატეგიებისა და არაეფექტიანი ღონისძიებების განხორციელებას გულისხმობს. შესაბამისად, ნათელია, რომ სკოლაში ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა გამოვლენას დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, რათა თავიდან ავიცილოთ როგორც მოსწავლის ქცევის თავისებურების არასწორი ინტერპრეტაცია, ისე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსის არასწორად მინიჭება იქ, სადაც ამის საჭიროება არ არსებობს.

ინკლუზიური განათლების ხელშემწყობი გარემო

სკოლაში ინკლუზიური განათლების წარმატებით განხორციელებისთვის რამდენიმე აუცილებელი პირობის დაცვაა საჭირო. ესენია: სწავლისა და მოსწავლეებისთვის კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა; მოსწავლეების ინდივიდუალური განსხვავებებისა და საგანმანათლებლო საჭიროების მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულება; ყველა მოსწავლისთვის ერთნაირი, სწავლისა და განათლების თანაბარი პირობების უზრუნველყოფა და თანამონაწილეობა მთლიან სასკოლო საქმიანობაში.

სწავლისა და მოსწავლეებისთვის კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა სკოლის, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულების, უმთავრესი ამოცანაა. როდესაც ყველა მოსწავლის აკადემიური

და სოციალური წარმატებები სკოლისთვის მთავარი ღირებულებაა, მაშინ ყველა, ვინც სასწავლო პროცესშია ჩართული - მასწავლებლები, მოსწავლეები, ადმინისტრაცია და მშობლები, ყურადღებას ამ მიზნის მიღწევისკენ მიმართავს და შესაბამისად, სკოლაში თანამშრომლობის, ურთიერთდახმარებისა და პატივისცემის გარემო იქმნება. ინკლუზიური განათლება თავისი არსით სწორედ ასეთ დამოკიდებულებას გულისხმობს ყველა მოსწავლის მიმართ და აღიარებს, რომ მიუხედავად ინდივიდუალური განსხვავებებისა სწავლისა და მოსწავლის მიმართ, კეთილგანწყობილი გარემო განათლების აუცილებელი პირობაა.

ყველა მასწავლებლის მიზანი და ამოცანა მოსწავლის მიღწევებსა და წარმატებებზე ორიენტირებაა, მაგრამ მოლოდინი და მოსწავლისთვის დასახული მიზნები აუცილებლად რეალისტური და განხორციელებადი უნდა იყოს. შესაბამისად, ნებისმიერი დავალება, რომელსაც მოსწავლეს ვაძლევთ, მის შესაძლებლობებს, უნარებს და ცოდნის დონეს უნდა შეესაბამებოდეს.

მოსწავლეებს შორის ინდივიდუალური განსხვავებების მიუხედავად, არსებობს მათი მხარდაჭერის და სწავლის სტიმულირების რამდენიმე ფაქტორი, რომლებიც ერთნაირად მნიშვნელოვანია ყველასთვის. უპირველეს ყოვლისა, ეს არის მოსწავლის თვითშეფასების ამაღლება, ქცევის პოზიტიური მართვა, სწავლისადმი ინტერესის გაღვივება და სწავლის მოტივაციის ამაღლება.

ინკლუზიური განათლება სკოლაში დანერგვისთანავე ამ სკოლის ცხოვრების შემადგენელი ნაწილი ხდება. სკოლაში მიმდინარე ყველა პროცესი გავლენას ახდენს ინკლუზიურ განათლებაზე და პირიქით. შესაბამისად, სკოლის ფარგლებში ზოგადსაგანმანათლებლო და ინკლუზიური განათლების პროცესები სკოლის მართვის ერთიან კონტექსტში განიხილება. კარგად დაგეგმილი მართვის პროცესში სკოლა ქმნის ყველა აუცილებელ პირობას იმისთვის, რომ თითოეული მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროება მაქსიმალურად იყოს დაკმაყოფილებული და ყველა მოსწავლეს სწავლისა და განვითარების ყველა აუცილებელი პირობა ჰქონდეს შექმნილი. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელი ხდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც სკოლა ერთი მიზნის გარშემოა გაერთიანებული და ყველა - სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები – ამ საერთო მიზნის მიღწევაშია ჩართული. ინკლუზიური განათლებისთვის საერთო მიზანი და თანამშრომლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რაც კარგ ორგანიზებულობასა და მართვას მოითხოვს. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მართვაში არის რამდენიმე ძირითადი პრინციპი, რომელთა დაცვაც უზრუნველყოფს მთლიანად სკოლის და ინკლუზიური განათლების ეფექტიან მართვას. აღნიშნული პრინციპებია:

- სკოლა უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ზოგადი განათლების მიღების უფლებას. მოსწავლეების მიღებისას სკოლა არ უშვებს რაიმე სახის დისკრიმინაციას და არ ამბობს უარს სწავლის სირთულეების მქონე ბავშვის სკოლაში მიღებაზე.
- თითოეული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის სკოლის ადმინისტრაცია და მასწავლებლები უზრუნველყოფენ ადეკვატურ და ხარისხიან განათლებას მისი საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით. ამისათვის სკოლის ადმინისტრაციამ სამინისტროს მიერ დადგენილი წესით[1] უნდა განახორციელოს: ა) კვალიფიციური სპეციალისტების მიერ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის ფსიქიკური, ფიზიკური და სოციალური უნარების განვითარების შეფასება; ბ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროების გამოკვეთა და გ) შეფასების შედეგებსა და საგანმანათლებლო საჭიროებებზე დაყრდნობით, ბავშვის მშობელთან და მასწავლებლებთან ერთად მისთვის ინდივიდუალური

[1] იმ შემთხვევაში, თუ სკოლას არ ჰყავს შესაბამისი სპეციალისტი სპეციალური საგანმანათლებო საჭიროების მქონე ბავშვის განვითარების შეფასებისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისთვის, სკოლა ვალდებულია, მიმართოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამების დეპარტემანტის ინკლუზიური განათლების მიმართულებას და/ან საგანმანათლებლო რესურს-ცენტრს დახმარებისთვის.

სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავება.

- სკოლის ადმინისტრაცია გამოყოფს სკოლისთვის ინკლუზიური განათლების კოორდინატორს. კოორდინატორი შეიძლება იყოს დირექციის წევრი, მასწავლებელი ან მშობელი. სასურველია, ინკლუზიური განათლების არჩეული კოორდინატორი სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრიც იყოს. სკოლის ინკლუზიური განათლების კოორდინატორის ფუნქციაა, თვალყური ადევნოს ინკლუზიური გა ნათლების პროცესს, მოსწავლეთა დასწრებას, სასწავლო პროცესსა და მთლიან სასკოლო აქტივობებში მათი ჩართულობის ხარისხს. კოორდინატორმა საბჭოს წინაშე უნდა დააყენოს ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი და საბჭოს წევრებთან ერთად პრობლემების მოგვარების ეფექტური გზები ეძიოს. მათ შორის, საბჭოს წევრებთან ერთად დაგეგმოს ინკლუზიური განათლებისთვის აუცილებელი დამატებითი სახსრების მოძიების ღონისძიებები. კვირის განმავლობაში კოორდინატორთან შეხვედრის დღეები წინასწარ უნდა იყოს გამოყოფილი, რათა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობლებმა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებმა და ამ მოსწავლეთა მეგობრებმა შეძლონ მასთან გასაუბრება გარკვეულ ინიციატივებზე, შესაძლო პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე.
- სკოლა, რომელსაც ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, ვალდებულია, ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებზე დაყრდნობით, სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოადგინოს: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების განათლების ხელშემწყობი მექანიზმები: ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მოდიფიცირებული ან ადაპტირებული სასწავლო გეგმები, განსაკუთრებული საგაკვეთილო განრიგი, დამატებითი ინდივიდუალური და ჯგუფური მეცადინეობები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის მაქსიმალურად ხელშემწყობი და ნაკლებად შემზღუდველი სასწავლო გარემოს შექმნა (მაგალითად, მეცადინეობა და/ ან დასვენება რესურსოთახში, შემეცნებითი ექსკურსიები, დამოუკიდებელი ცხოვრების გაკვეთილები და სხვა); სკოლამ სისტემატურად უნდა შეაფასოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები. ასეთი შეფასების პრინციპებია: 1. თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე მიყვება სასკოლო სასწავლო გეგმას ყველა საგანში და დამაკმაყოფილებელ დონეს აღწევს, მაშინ იგი ყველა დანარჩენი მოსწავლის მსგავსად ფასდება; 2. თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე სწავლობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, კლასიდან კლასში გადასასვლელად მან უნდა მიაღწიოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებს და ამოცანებს. ამ ამოცანების ფარგლებში კი შეფასება ჩვეულებრივი ათქულიანი სისტემით მოხდება. მაგალითად, VI კლასის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს მათემატიკის გაკვეთილზე დავალებად ჰქონდა, ეწარმოებინა მარტივი გამოთვლები ასის ფარგლებში. მან წარმატებით გაართვა თავი დავალებას. შესაბამისად, მას მასწავლებელი უმაღლეს შეფასებას (10 ქულას) უწერს. იმ შემთხვევაში, თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე მისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დავალებებს თავს არიდებს და არ ასრულებს, ის დაბალ ქულას იღებს. უცილებელია, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე თითოეული ბავშვი ქულებთან (ნიშნებთან) ერთად იღებდეს კომენტარს ტექსტის სახით, სადაც აღწერილია მისი ძლიერი და სუსტი მხარეები დავალების შესრულებისას და მოცემულია კონკრეტული რეკომენდაციები, თუ როგორ შეუძლია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოვლენა. 3. თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე ვერ აღწევს დამაკმაყოფილებელ დონეს რომელიმე კონკრეტულ საგანში, მისთვის უნდა შემუშავდეს ინდივიდუალური სასწავლო

გეგმა ამ საგანში. მაგ. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე სტანდარტულად სძლევს ქართულს და ისტორიას, ხოლო მათემატიკას ინდივიდუალური სასწავლო გეგმით ეუფლება. შესაბამისად, ქართულსა და ისტორიაში მას სტანდარტული ნიშნები ეწერება, ხოლო მათემატიკაში – ნიშანი და შესაბამისი კომენტარი.

- მოსწავლის სკოლაში მიიღება და მისთვის შესაფერისი სწავლის საფეხური (კლასის) ირჩევა მისი აკადემიური და სოციალური უნარების, ასაკის და საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალიწინებით. მოსწავლეთა საგანმანათლებლო და სოციალური ინტეგრაციის ინტერესების დასაცავად, სკოლა მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ბავშვის ასაკსა და მისთვის შერჩეულ სწავლის საფეხურს (კლასს) შორის შესაბამისობას. დაუშვებელია, ათი წლის მოსწავლე სწავლობდეს I ან II კლასელებთან ერთად ან 14-15 წლის მოსწავლე - III ან IV კლასელებთან ერთად. დასაშვები განსხვავება მაქსიმუმ სამი წელია.
- სკოლა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების განათლებასთან დაკავშირებული შესაძლო სადავო საკითხების, საჩივრების დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი განხილვის ეფექტიან მექანიზმს ქმნის. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის განათლებასთან დაკავშირებული საჩივრების განხილვისას, სკოლა უფლებამოსილია, მიმართოს საგანმანათლებლო რესურსცენტრს და მოითხოვოს მულტიდისციპლინური გუნდის მომსახურება/დახმარება სადავო საკითხების მიუკერძოებლად განსახილველად.
- სკოლა ადგილობრივ თემთან ერთად გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა ტიპის აქტივობას, რათა ხელი შეუწყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების საზოგადოებაში ინტეგრაციას. მაგ. მოაწყოს მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა; საქველმოქმედო კონცერტები, რომელთა შემოსავლებითაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები მეგობრებთან ერთად დაეხმარება მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს და სხვა.

ყველა ამ პრინციპის დაცვის შემთხვევაში, ინკლუზიური განათლება კარგად ორგანიზებული ხდება. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები მონაწილეობენ სასკოლო ცხოვრების ყველა ასპექტში, იღებენ ხარისხიან და მათი შესაძლებლობების შესაბამის განათლებას, მოსწავლეთა მშობლები მასწავლებლებთან ერთად ჩართული არიან მათი განათლების პროცესში და სკოლაში ურთიერთპატივისცემისა და კეთილგანწყობის ატმოსფერო სუფევს. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში ყველას, ვინც სკოლის ცხოვრებაშია ჩართული, გარკვეული უფლება-მოვალეობები აქვს.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლება ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში

რამდენადაც ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის ძირითად საშუალებას ეროვნული სასწავლო გეგმა წარმოადგენს, ხოლო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლება იგივე მიზნების მიღწევას ემსახურება, აუცილებელია მათი სწავლება ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით ხორციელდებოდეს და ამით საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებსაც თვითრეალიზაციის თუ წარმატების ისეთივე პირობები მიეცეთ, როგორც საქართველოს სხვა მოქალაქეებს.

ეროვნული სასწავლო გეგმის გამოყენებით საგანმანათლებლო სისტემა შეძლებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ხარისხიანი განათლების მიღების უზრუნველყოფას, იმ ცოდნის გადაცემას და უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რაც მათ საკუთარი პოტენ-

ციალის სრულ რეალიზებაში დაეხმარება და ცხოვრების მაღალი ხარისხის განცდას მიანიჭებს.

ერთიანი სასწავლო გეგმა არის საუკეთესო საშუალება ჭეშმარიტად ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფისთვის. ამ მიდგომის თანახმად, ყველა საჯარო სკოლის მოსწავლისთვის უნდა არსებობდეს ერთი განსაზღვრული (მიზანდასახული, დოკუმენტირებული) სასწავლო გეგმა, რომლითაც იხელმძღვანელებს პედაგოგი განურჩევლად ყველა მოსწავლესთან. შესაბამისად, მიუხედავად მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებისა, პედაგოგის უპირველესი სურვილი უნდა იყოს, განავითაროს და გააძლიეროს მოსწავლე იმ ძირითად და პრიორიტეტულ საკითხებში, რომლებიც ეროვნული საგანმანათლებლო მიზნებით არის განსაზღვრული. ის უნდა ცდილობდეს, რაც შეიძლება მეტად მიუახლოვოს მოსწავლე გათვალისწინებულ სასწავლო შედეგებს, რადგან სჯერა, რომ დადგენილი სასწავლო გეგმა მოსწავლისთვის ყველა მნიშვნელოვან სასწავლო ასპექტს მოიცავს. შესაბამისად, სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლებისას, მათი სასწავლო გეგმა მაქსიმალურად უნდა იყოს დატვირთული იმგვარივე შინაარსით, რაც ეროვნული სასწავლო გეგმით არის გათვალისწინებული.

არსებული თანამედროვე მიდგომით, ეროვნული სასწავლო გეგმით სწავლებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის ინტერესები, მისი ინდივიდუალური შესაძლებლობები, გაუწიოს ანგარიში მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებას და სწავლებისას ეროვნული სასწავლო გეგმიდან მათთვის ყველაზე აქტუალურ სასწავლო მიზნებზე გააკეთოს აქცენტი. მასწავლებელმა თავისი მოსწავლეების საჭიროების გათვალისწინებით უნდა გაანალიზოს, რა სასწავლო შედეგების მიღწევაა პირველადი მნიშვნელობის

მოსწავლეთა სრულად რეალიზების, დამოუკიდებელი მაქსიმალური ცხოვრების დონის მისაღწევად. ამავდროულად, დასაშვებია, მოსწავლეთა სწავლების პროცესში მასწავლებელმა გადახედოს სასწავლო გეგმას და მოსწავლისთვის და/ან მოსწავლეთა გუნდის თავისებურებების გათვალისწინებით ხელახლა დაგეგმოს ის. მთავარია, მასწავლებელმა სწორად განსაზღვროს, რა სასწავლო მიზანია ამ კონკრეტული მოსწავლისთვის მისი პიროვნული ფაქტორების და სამომავლო ცხოვრებისეული მიზნების გათვალისწინებით პრიორიტეტული.

ეროვნული სასწავლო გეგმა იძლევა საშუალებას, მასწავლებელმა თავად განსაზღროსპირველადი, მეორეული, მესამეული მნიშვნელობის სასწავლო შედეგები კონკრეტული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის და დააზუსტოს მიზნების თანმიმდევრობა სასწავლო გეგმის ფარგლებში. შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში, მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს, თუ რა იქნება მოსწავლისთვის ყველაზე შესაფერისი სასწავლო პროგრამა. მასწავლებელი მოსწავლეთა საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით აზუსტებს და ეროვნული სასწავლო გეგმიდან ირჩევს მათთვის აქტუალურ მისაღწევ შედეგებს და განსაზღვრავს მიზნის მიღწევის (ცოდნის გადაცემის, უნარის გავარჯიშების) გზებს. დაზუსტებული სასწავლო გეგმის ფარგლებში დეტალურად იგეგმება მასწავლებლის სწავლების სტრატეგიები და სასწავლო აქტივობები (საკლასო და საშინაო), გამოყენებული მასალა, სახელმძღვანელოები. ამავდროულად, ზუსტდება დრო, რომელსაც მასწავლებელი დაუთმობს შერჩეულ მიზანს, აქტივობას თუ მასალას. მასწავლებელი ცდილობს, უფრო სპეციფიკური გახადოს სასწავლო გეგმა მოსწავლისთვის და მასში ასახოს ყველა მნიშვნელოვანი სასწავლო მიზანი. თუკი მოსწავლის საგანმანათლებლო პროცესი ამ პერსპექტივიდან დაიგეგმება, ეს დისკრეტული და იზოლირებული მიზნების დასახვისგან დაიცავს პედაგოგს და მის მოსწავლეს. მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისას, გაითვალისწინოს ეროვნული სასწავლო გეგმა, რადგან შეუძლებელია იზოლირებულად დასახული მიზნებით ინკლუზიური საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფა. ხშირად მოსწავლის პიროვნული ფაქტორები აუცილებელს ხდის მისთვის, სასწავლო პროგრამაში არსებობდეს დამატებითი მიზნები, რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმაში ნაკლებად არის ხაზგასმული, მაგრამ მნიშვნელოვანია მოსწავლის პიროვნული გან

ვითარებისთვის. ხშირ შემთხვევაში, სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეებთან ასეთი მიზნები ყოველდღიური უნარების გაუმჯობესებით განისაზღვრება.

მასალა ამოღებულია მასწავლებელთა გზამკვლევიდან „ინკლუზიური განათლება“, 2011, © ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი